სტუმარ-მასპინძელი

წინათ ჩვენში სტუმრიანობა, ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა მაშინ იწყებოდა, როცა შემოდგომა მიილეოდა, როცა წლის მოსავალს ბეღელ-მარანში დააბინავებდნენ და ბალახს თეთრად შეთრთვილავდა ნოემბრის პირველი სუსხი.

წარმოვიდგინოთ შემოდგომის სოფელი - დაბერტყილი კაკლები, გაკრეფილი ვენახები. წვიმს. მოდის, გულჯავრიანად მობუტბუტებს ამღვრეული ნაკადული. ჰაერში კვამლისა და ჭაჭის მომჟავო სუნი ტრიალებს. დერეფნიდან მოწყენილი ხბო გამოიცქირება. ეზოს ბოლოში, სანეხვეზე ჭაჭის ნახადი ყრია, ზედ აღარ დასტრიალებს ბურნა და მუმლი, სიცივისაგან აბუზული ქათმებიღა კენკავენ უხალისოდ.

მარნის კარი ღიაა. იქ, მოხდილ ქვევრთან, მლოცველივით ჩაჩოქილა სახლის პატრონი და ტიკებში ღვინოს იღებს. იმისი დედაკაცი დერეფანში ქათმებს პუტავს. ჯეელ ბიჭს გომურიდან ჭედილა გამოუყვანია, ალინჭყულ ეზოში რქებით მოათრევს. ბერიკაცი ფარდაგგადაფარებულ ტახტზე ზის და ჯალაბის საქმიანობას ჩუმად უყურებს.

აქედან შორს, სულ სხვა სოფელში, ამათ ნათესავს - ბიძაშვილს, სიძესა თუ ბიჭის ნათლიას უკვე გზისკენ უჭირავს თვალი. სტუმრის მოლოდინში გულიღა გადალევია, აღარც ჭამაა მისთვის, აღარც სმა, საქმეც აღარაფერი აქვს და რომ ჰქონდეს, ხელიდან არაფერი გამოუვა. დადის, ეზოში დააბოტებს, იღრინება, დაცოფა ცოლ-შვილი, ძაღლს სცემა, მამას შემოსწყრა - აღარ ელაპარაკება. ერთი სიტყვით, გაბეზრდა, გაბოროტდა, შინ გული აღარ უდგება.

ჩავა, ჩაივლის ორღობეს, ტალახიან ბილიკს ჩაათავებს, იმ ძანძახში სერზე გადადგება და გზას გახედავს. წვიმის წყლით ალაპლაპებულ, დაკლაკნილ შარაზე კაცის ჭაჭანება არ არის. გზის პირზე მარტო ერთი თეთრი ცხენი აბია და ისიც სველი, ავდრისგან შეღონებული სოფლისკენ იცქირება. წვიმაში თხელი ბურუსი ადის, კვამლია, ნისლია - ვერ გაიგებ.

სტუმრის მომლოდინე მასპინძელი კარგახანს დგას, ბრეზენტის კაპიშონზე წკაპუნით დასდის წვიმა, საჩიხზე წუნწკლები ჩამოსდის, სველდება, მაგრამ ფეხს მაინც არ იცვლის.

ბოლოს, როდის, როდის გამობრუნდება და წამოვა. მოდის შინისაკენ უფრო მეტად გაბოროტებული, დაბოღმილი. ტალახის ზელვით ამოივლის ბილიკს, ვიწრო ორღობეს და თავისი ეზოს ჭიშკართან გაჩერდება. ერთხელაც მიიხედ-მოიხედავს, ერთხელაც მოათვალიერებს დაცარიელებულ მიდამოს, მერე კუტიკარს შეაღებს და შინ შევა. ვაი, იმას, ვინც ეხლა ფეხებში გაებლანდება, ვაი, იმას, ვისაც მოუზომავი სიტყვა წამოსცდება!

იმ ღამით უთუოდ უნდა ამოქროლდეს ქარი, თანდათანობით გაძლიერდეს, გაღონიერდეს, ააფრიალოს დერეფანში გაფენილი სარეცხი, გაიტაცოს სახლის კედელზე აყუდებული თუნუქის ტაშტი, წაიღოს ხმაურით, რახარუხით, შემოატაროს მთელი ეზო. დაირეკოს ის შავი, შავად ჩამოწოლილი ღრუბლებიც და

აღმოსავლეთით გადახენცოს. ამ დროს, მოკრიალებულ ცაზე აუცილებლად უნდა ამოვიდეს მთვარე და იქაურობას მკრთალი ნათელი მოჰფინოს.

დილით ქარი ჩადგება და შემოდგომის ძალაგამოლეული მზე შემცბარი ღიმილით ჩამოხედავს სოფელს, ატალახებულ გზებს, აჩალულ საფუზრებს, წითელკრამიტიან სახლებს.

გუნებაგამოკეთებული ბალღები ჟრიამულით წავლენ სკოლაში.

საქონელი ფერნაცვალ მინდვრებს მოედება.

სანახიროზე ნელ-ნელა მოგროვდებიან სოფლის კაცები. იქ, მყუდროში, მზის გულზე თბილა და ეს სითბო ადამიანებს ახალისებს, ხუმრობის, ლაზღანდარობის გუნებაზე აყენებს.

ამას კი, ამ ჩვენს ნაცნობ, გზისკენ მაცქერალ კაცს საქმე გამოუჩენია: ღუმელის ზომაზე დაჭრილ-დაჩეხილ სველ შეშას კოშკურად ალაგებს, რომ ქარმა გაუაროს, მზემ დაჰხედოს და გააშროს. საქმეს რომ მოათავებს, განზე გადგება, კაცის სიმაღლეზე აკოკოლავებულ შეშის კოშკებს შუბლშეჭმუხნული, უკმაყოფილო სახით ათვალიერებს, ერთხანს ეგრე უყურებს, მერე წამოუვლის, დაშლის, დაანგრევს და შეშის ნაპობებს ახლა სახლის კედელზე აყუდებს, ღობის გასწვრივ ამწკრივებს.

ბერიკაცი შორიდან უყურებს, ულვაშებში ეღიმება, იცის, რა ცეცხლიც ტრიალებს იმის გულში, მაგრამ ხმას არა სცემს, ჯოხის ბჯენით მიდის სათონის კართან.

სათონეში სახეალანძული ქალები პურს აცხობენ - ლავაში უკვე ამოუყრიათ, ახლა პურის გუნდა ჩაუკრავთ და თონისთვის ფიცრები გადაუფარებიათ. გარედან ისმის ურმის ჭრიალი, კაცების მხიარული შეძახილი და ძაღლის ყეფა!

შეფუცხუნებული რძალ-დედამთილი ერთმანეთს გადახედავს.

- გადი, ქალო, გაჰხედე! - ეუბნება დედაბერი.

- პური არ დაგვეწვას!

- მე აქ არა ვარ?! გადი, სირცხვილია!

ახალგაზრდა ქალი პირზე ახვეულ ხილაბანდს მოიხსნის, წინსაფარსაც და ცომიანი ხელების ფშვნეტით, ღიმილით გადის სათონედან.

მასპინძელს ჭიშკარი მოუფრიალებია და კამეჩებშებმული ურემი ჭრიალით შემოდის ეზოში. ზედ ალაგია მანეულის კალათები, ღვინით სავსე ორი დიდი ტიკი. ურემს უკან მოსდევს ხელნის ბოლოზე თოკით გამობმული ჭედილა.

სტუმრის ჯალაბი მასპინძლის ცოლს შემოეხვევა, არის ერთი ხვევნა-კოცნა, სალამ-ქალამი.

- აი, პურს ვაცხობდი და... - ცომიან ხელებზე დაიცქირება მორცხვად მომღიმარი პატარძალი.

სტუმარი და მასპინძელი ჭიშკარს მიხურავენ, ურდულს გაუყრიან და ერთმანეთს მერეღა ჩამოართმევენ ხელს.

- გამარჯობა

- გაგიმარჯოს!

- სადა ხართ, კაცო, დაგვებრიცა თვალები!

- გამოდარებას ველოდებოდით, განა ჩვენ კი არ გაგვისენდა გულები!

- აღარა ქნა, ამ ვერანმა, არა!

ძაღლი აღარ იყეფება, სტუმარ ბალღებს კუდის ქნევით შესცქერის.

- გადი, მოშორდი! - უწყრება პატრონი.

ძაღლი გაეცლება, სათონესთან მივა და მოღიავებულ კარში ჩაწვება - იქნებ პურის მცხობლებმა, ერთი კუტი მაინც გადმომიგდონო.

ბერიკაცი სათონის ღია კარიდან უყურებს სტუმრებს:

- აბა, დახე, ილა განა წამოუყვანიათ! - ეუბნება დედაბერს.

- არც ბაბუცა?

- არა. მარტო თითონ მობრძანდნენ.

დედაბერი თონეს ხდის, ყუადაბრაწულ პურს კინჭუტით ამოაფრენს და ამბობს.

- მაშ რა ექნათ, კაცო, უპატრონოდ ხომ არ დააგდებდნენ სახლ-კარს!

- ჰა, დროზე ეხლა, დროზე!!! - ისმის ქეიფის ეშხზე მოსული მასპინძლის ყვირილი.

- აი, გიჟიი!.. - ღიმილს ვეღარ იკავებს ბერიკაცი.

წყნარად, ქართლური სიდინჯით იშლება სუფრა: მაგიდაზე ჯერ საღვინეებს ჩამოსდგამენ, მერე უნდა ჩამოამწკრივონ ლავაშში გახვეული პურები, თეფშები, ჭიქები, სამარილეები, მწვანილი - ნაგვიანევი, სულმთლად დახუჭუჭებული ოხრახუში და წითელი ბოლოკი. ამას უნდა მოაყოლონ ყველი და, რაც მთავარია, მწნილი - ქართლური სუფრის მშვენება: წიწაკისა, კომბოსტოსი, შემრეშილი პამიდვრისა. იმათში აქა-იქ უნდა ერიოს შუა-შუა დაჭრილი, მუშტისოდენა ჩამწნილებული გოგრები, ჯამებით მოიტანენ დამტვრეულ კაკალს, ჩალაგდება მრგვლად მოხარშული, დაუჭრელი დედლებიც.

- დავსხდეთ, დავსხდეთ! - ჩქარობს მასპინძელი და ხელების ფშვნეტით ათვალიერებს გაშლილ სუფრას.

სტუმარი ყურს იყრუებს, ბერიკაცს ემასლაათება. დედაბერი ბალღებს ჯერ ისევ ნედლ, თასმასავით რბილ ჩურჩხელებს ურიგებს.

- დავსხდეთ, კაცო! - იძახის მასპინძელი და მაგიდას პირველი თვითონ მიუჯდება, - ჰა, მოდით ეხლა!

ნელა, აუჩქარებლად სხდებიან: მასპინძლის გვერდით სტუმარი, მერე იმისი ჯეელი ბიჭი, მერე ბერიკაცი, დედაბერი, იქით და იქით წვრილფეხობა.

ქალები ჯერ ისევ ფეხზე ტრიალებენ.

მასპინძელი ჭიქებს შეავსებს:

- მოდით, ამ ჭიქით, თქვენს მოსვლას და ჩვენს დახვედრას გაუმარჯოს!

ქალებს დიდი ორჯამიანებით შემოაქვთ კერძი და თვითონაც დასხდებიან.

შეავსებენ ისევ იმ პატარა ჭიქებს და ადღეგრძელებენ შინ დარჩენილ მოხუცებს - ილას და ბაბუცას, „ვისი სულიც ეხლა აქა ტრიალებს“, იგონებენ იმქვეყნად წასულებს - „ვინც ჩვენი ხელით შესანდობარს მიელის“. მომცრო ჯამით ამბობენ მაგიდის ირგვლივ შემომსხდარი, ჭამაში გართული ბალღების სადღეგრძელოს.

ჯეელი ბიჭი ჭიქებს ბოლომდე სცლის, ბოლომდე გამოსცლის თიხის ჯამსაც. მოხუცი ჩუმად ადევნებს თვალს, თავისთვის ეღიმება, მერე წამღერებით ამბობს:

- ბერიკაცი თვრესო, ვაჟკაცს ერთი ხვდესო, ყმაწვილს სუნი მიედინოს - ღმერთს თაყვანი სცესო!..

ყველას გაეცინება. ბიჭს ლოყები შეეფაკლება, ატკრციალებულ ბალღებს თვალებს გადაუბრიალებს და თავს ჩაღუნავს.

- დალიე, შვილო, გუნება თუ გთხოვს, დალიე! - ამხნევებს მასპინძელი, მერე ჭიქებს შეავსებს და მორიგ სადღეგრძელოს ამბობს.

და სწორედ ამ დროს, ჯეელი ბიჭი, რომელიც ისევ თავჩაღუნული ზის, სიმღერას წამოიწყებს:

- ტურფანი სხედან ჩარდახსა, არიგებ, ჩარიგებულნი...

ბერიკაცი გაკვირვებული გაჰხედავს, მასპინძელსაც ხელში შეაცივდება ჭიქა.

- პურსა სჭამენ და ღვინოს სმენ, სიმღერას არ იტყვიანო... - განაგრძობს ბიჭი. ხავერდივით რბილი ხმა იოლად ამოსდის ყელიდან, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ უწევს, ბანს ელოდება.

გაოცებული მასპინძელი სტუმარს გადახედავს. იმას ეშმაკურად უციმციმებს თვალები, ოდნავ, სულ ოდნავ დაუქნევს თავს და მასპინძელიც ჭიქას მაგიდაზე დადგამს, ბიჭს ბანს მიაშველებს, სტუმარი კი მეორეს ამბობს:

- არ ვიცი, ვისა გლოვობენ, არ ვიცი არ იციანო!..

ბალღებიც კი გაჩუმდებიან და თვალებდადიდებულები მიაჩერდებიან მომღერლებს. ქალებს პირზე ღიმილი მოეფინებათ, ლოყაზე ხელებშემოწყობილნი ბიჭს ნეტარი სახით მიაჩერდებიან და ისიც, გათამამებული ხმას აუწევს, ხავერდში ფოლადს გამოურევს, მაგრამ მაშინვე ყველა იგრძნობს, რომ სიმღერას ბანი არ ყოფნის, ვიღაცა თუ არ ჩაერია, არ ივარგებს და ბერიკაციც სწორედ ამ დროს აჰყვება - იმისი შელახული, ხრინწშეპარული, მაგრამ მაინც ჯერ ისევ ძლიერი ბანი მომღერლებს სულზე მიუსწრებს, სიმღერას ეშხს შემატებს.

გარეთ კი ისევ წკაპუნობს წვიმა. მოსულა, საიდანღაც მოხეტებულა შავად ჩალუსკუმებული ღრუბელი და სოფელს სულთამხუთავივით დასწოლია გულზე. წვიმის წვეთები წყნარად ფაჩუნობენ შემოდგომის ყვითელი ფოთლებით ამოვსებულ წუხანდელ გუბეებში. სიცივისაგან აბუზული ქათმები გომურის საჩიხს შეჰხიზვნიან. გომურში თბილა. ისმის საქონლის ქშენა, ზღვეზე დაცურებული ჩლიქის ბრაგუნი. სტუმრის კამეჩები - ლომა და მერცხალა მშვიდად იცოხნებიან, მასპინძლისანი კი სიბნელეში ავად აბრიალებენ თვალებს.

ბინდდება.

ძაღლი მარნის კართან ჩაწოლილა, თვლემს და ძილ-ბურანში ესმის შინიდან გამომავალი სიმღერა: „მტერო, დამჩაგრე, არ ვსტირი, ტირილი დიაცთ წესია; ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დღეში, მაგრამ არ დამიკვნესია. მაცალე, ერთი გავლესო, ხმალ-ხანჯალ ცეცხლის მკვესია, სულ წაღმა შემოგიბრუნო, რაც ჩემთვის დაგითესია!“

სიმღერა ნელ-ნელა ეფინება აჭონჭოხებულ ეზოს, გზას, მოწყენილ ნაბოსტნარებს, მთელს სოფელს და სახლების საკვამურიდან ამომავალ ბოლთან ერთად ადის მაღლა, ჩამობურულ ზეცას უერთდება.

. . .

დილით, კაცები დერეფნის თავხეზე უკანა ფეხით დაკიდებულ, დაკლულ ციკანს ატყავებენ - რაღა ციკანს, თითქმის ბოტს! ქალები სათონეში ფუსფუსებენ, აგუზგუზებულ ცეცხლს რცხილის დიდრონ ნაპობებს უკეთებენ.

ჯეელი ბიჭი შინიდან გამოვა, დადგება და კაცების საქმიანობას თვალს ადევნებს. ბერიკაცი თხილის ჯოხებისგან შამფურებს თლის, ჩუმად იღიმება და მერე ამბობს:

- რა ყოფილა, კაცო, ეს ბალღი, რა ყოფილა!

ბიჭის მამას სიამოვნების ღიმილი ეფინება სახეზე.

- მაიცა, გადმოვუყვანო ჯერ კოლას ბიჭი, - იქადნება მასპინძელი, - ნახე, ესენი რას იზამენ!

და მართლაც, როცა ისევ გაიშლება სუფრა, როცა გუშინდელივით ისევ ეშხში შევა ქეიფი და კოლას ბიჭი ყელმოღერებით წამოიწყებს - ზამთარი ვარდსა დააჭკნობს ფურცელი ჩამოსცვივაო! - ეს ჩვენი ნაქები ჯეელი ისეთ პირველ შემოსძახებს, ისეთ ხმას ამოიღებს ყელიდან და კაცებიც - სამივენი და მეოთხე თვითონ კოლა, ისეთ ბანებს დააგუგუნებენ, რომ კუთხეში მიმჯდარ, სახემონაღვლიანებულ დედაბერს ღაპაღუპით ჩამოსცვივდება ცრემლები.

მესამე დილით სტუმარს ადრე ეღვიძება. გარეთ მამლები ყივიან. ფანჯრის მინებზე წვიმის წვეთები წკაპუნობენ. კაცი თვალებგახელილი წევს ლოგინში, მერე მძინარე ცოლს ხელს წაჰკრავს და გააღვიძებს:

- ადე, ქალო!

- რა იყო, ადამიანო?!

- ადე, ადე, უნდა წავიდეთ!

- სად უნდა წავიდეთ, ქა, რას ამბობ?!

- ადე, ფინთი სიზმარი ვნახე, გული ავად შემომკვნესის.

- იჰ, ნეტავი შენ! - ქალი გადაბრუნდება, ისევ დაძინებას აპირებს.

- ადე, შე ოჯახქორო!

- აი, დაგეწოს ხასიათი... - ქალი ლოგინში წამოჯდება და სკამზე გადაფენილ ტანისამოსს მისწვდება.

კაცი არ ჩქარობს, დააცდის, სანამ ცოლი ჩაიცვამს, მერე თვითონაც ადგება. ეზოში ჩასული გომურიდან კამეჩებს გამოიყვანს, ურემზე დააბამს, თივას დაუყრის...

გაკვირვებული მასპინძელი მარნის დერეფნიდან უყურებს:

- რას აკეთებ, ე?!

- უნდა წავიდეთ.

სად უნდა წახვიდეთ, რას ამბობ, კაცო?!

- გიჟი ქორწილში შევიდა, ჩემს სახლს ესა სჯობიაო!

- რაიო?!

- უნდა წავიდეთ-მეთქი!

- შენა, ძმაო, ხატმა ხო არ შეგაშინა?!

- არა, არა, უნდა წავიდეთ!

- კიდე!!!

დერეფანში ჯოხზე ბჯენით გამოვა, გამოიკაკვება ბერიკაცი:

- რა იყოთ, რა ვერ გადაგიწყვეტიათ?

- აი, უნდა წავიდეთო?!

ბერიკაცი კეფას მოიქექავს, სტუმარს შეათვალიერებს:

- რა გეჩქარება?

- რა ვიცი, მიხა ძია, რაღაც ფინთი სიზმარი ვნახე, უნდა წავიდე!

- კაცო, ამისთვის ხაშხაში ხო არავის უჭმევია?!

- გადაირევა მასპინძელი.

- კარგი, ჰო, კარგი, - უწყრება შვილს ბერიკაცი, მერე მარნის კარს შეაჭრიალებს, შიგ შევა და იქიდან ეძახის, - მოდი, აბა, აქა!

ამასობაში ყველა იღვიძებს. ისმის ბალღების ტირილი, ქალების ქოთქოთი. სათონიდან გამოშლილი კვამლი ატალახებულ ეზოში იბურდება.

იშლება დილის სახელდახელო სუფრა. კაცები ცხელ კერძს სამ-სამ არაყს აყოლებენ.

ბოლოს, როდის, როდის აიშლებიან, გამოვლენ აივანზე და სტუმარს პირკატა ეცემა: კამეჩებს, იმ მცივანა ოტროველებს, ტალახში მოუკეციათ, წვანან და დასდით ზედ ნოემბრის წვიმა! მივა, ერთხანს თავგზააბნეული დასცქერის სველ, პრიალა ზურგებზე, მერე ორმიდან სახრეს აიღებს და წამოუვლის:

- ადე, ლომა! ადე, მერცხალა!

მაგრამ ისინი აინუნშიც არ აგდებენ, ზანტად იცოხნებიან.

- ტყუილად ეხვეწები, არ ადგებიან, არა! - ეძახის მასპინძელი.

- რათა, კაცო?!

- მაგათა, შვილოსა, თითო ჩაფი ღვინო აქვთ დალეული, საღამომდე ვერ გამოფხიზლდებიან!

მართლაც, იქვე დგას დაჭეჭყილი ტაშტი, რომელშიც ცოტაოდენი ღვინო კიდევ ჩარჩენილა. სტუმარი შიგ ხელს ამოჰკრავს, ცხვირთან მიიტანს და დასუნავს. ერთხანს ეგრე დგას, არ იცის, რა ქნას - გაბრაზდეს თუ გამხიარულდეს.

აივნიდან სიცილს დააყრიან - იცინიან ბალღები, ქირქილებს ბერიკაცი, დედაბერს უკბილო პირზე ხელისგული მიუფარებია და მარტო თვალები უცინის. ფხუკუნებენ ქალებიც.

სტუმარი უილაჯოდ გაიღიმებს და ურმის ხელნაზე ჩამოჯდება.

სულ მალე მოვა კოლას ბიჭი თავისი ორი ამხანაგით, კოლა, კიდევ ერთი მაღალი, ოქროსკბილებიანი კაკაროტი კაცი და იწყება ისევ ქეიფი...

არა წასვლით რა თქმა უნდა, მაინც წავლენ, მაგრამ წავლენ მეხუთე თუ მეექვსე დღეს. სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს ტკბილად დაემშვიდობება და ეზოდან ნელა, ჭრიალით გავა ურემი.

საშობაოდ ესენი ეწვევიან, ახლა ესენი იქნებიან სტუმრები, ისინი კი - მასპინძლები...

ასე გაჰყავდათ ზამთარი. სტუმრიანობა, ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა მაშინღა შეწყდებოდა, როცა გაზაფხულის მზე ძალას მოიცემდა, როცა ტყისპირებიდან ყვითლად გამოაჭყეტდა შინდი და ტყემლებიც თეთრად გადაიპენტებოდნენ. ასეთ დროს სტუმრისთვის ვიღა მოიცლიდა?! - სამჭედლოში საბერველი ქშინავდა, მჭედელი გულმოდგინედ უკაკუნებდა გამოსაწკეპად მიტანილ სახნისს; სანახიროზე უკვე გაეშალათ ღვედ-იარაღი; გუთნეულის საქონელს - უგრეხელნაჭამ, ნაზამთრალ ხარებს პატარა ბიჭები უდგნენ სახრეებით.

შორიდან გუგულის „კაფე-თესე“ ისმოდა.

მეორე დღეს გუთნისდედა ღმერთს ახსენებდა და მინდორში პირველ კვალს გაიტანდა. ჰაერში ფხვიერი მიწის მსუყე სურნელი დატრიალდებოდა და ცაში წასული ტოროლების წკრიალს ნელ-ნელა უერთდებოდა ტკბილი, ნაღვლიანი სიმღერა: - „შენი ჭირიმე გუთანო, მაგ შენი მრუდე ყელისა - შენა ხარ პურის მომყვანი, დამძველებელი ქერისაო“...

თუმცა, ეს ხომ წინათ იყო, ძალიან დიდი ხნის წინათ.

ყარაულები და ქურდები

სექტემბერი მიიწურა, მაგრამ ჯერ ისევ ცხელა.

მტვრიან ბალახში დიდი, წითელი კალიები დახტიან.

მერცხლები უკვე ერთად იკრიბებიან, გუნდ-გუნდად დაფრინავენ, თავზე დასტრიალებენ ფერნაცვალ მინდვრებს, ვაშლის ბაღებს, ზაფხულის ხვატში გადამხმარ ხრიოკ გორებს.

მზე ჩავა თუ არა, აგრილდება, დაუბერავს ნიავი და ვაშლის მძიმედ დაზნექილ ტოტებს შეარხევს.

მერე ღამდება. ბაღში ფრთხილად შემოიპარება შემოდგომის სუსხი. დიდი, მამალი ზღარბი ცხვირს ასწევს და შეგრილებულ ჰაერს შეშფოთებით დაყნოსავს.

ბეტონის არხში წყალი მოდუდუნებს.

„ჭოოტ, ჭოოტ!“ - იძახის სიბნელეში შეყუჟული ჭოტი.

არხის პირზე სამი კაცი მიწოლილა. მეოთხე, ათიოდე წლის ბიჭი, შორიახლოს ზის. მთვარე ჯერ არ ამოსულა - იქაურობას ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ანათებს.

არხის გასწვრივ ცხენი ძოვს. ზოგჯერ გაჩერდება, თავს ასწევს და სიბნელეს მიაყურადებს.

კაცები შინიდან წამოღებულ არაყს სვამენ. ჯერ არ მოჰკიდებიათ და ამიტომ საუბრობენ დინჯად, საქმიანად. ლაპარაკობენ ვაშლის ქურდებზე, რომლებიც ქალაქიდან ამოდიან მანქანებით, გაავსებენ უნამუსოდ საბარგულებს სულ კარგი, ნარჩევი ვაშლით და მიაქვთ. თუ არ უყარაულე, ცარიელზე დაგსვამენ, წყალში ჩაგეყრება იმდენი შრომა, იმდენი წამლის ფული - სულ ცოტა, რვაჯერ ხომ მაინც უნდა შეწამლო!

ბიჭი ჩუმად ზის და კაცების საუბარს ყურს უგდებს. ორნი - გივია და ბადრია მამის ძმაკაცები არიან, მესამე - ვალიკო - პაპისა. ამათ იმიტომ გამოაყოლეს, რომ მამაცა და პაპაც ტყეში არიან, შეშას ამზადებენ.

ბიჭს დედის ხათრით შინიდან წამოუღია ნაქსოვი ქუდი და პაპის ძველი, დაბამბული ქურთუკი. ის ქუდი ჯიბეში უდევს, ქურთუკი კი ძირს გაუშლია და ზედ ზის.

- აბა, ორი სახარება შეგვეწიოს! - ამბობს ვალიკო.

- შეგვეწიოს...

- მოდი, გიო, შეჭამე რამე! - ეძახის ბიჭს ბადრია.

- არა, არა მშია.

- არაყიც არ გინდა? - ეშმაკურად ეკითხება გივია.

ბიჭს ჩუმად ეღიმება.

ცხენი თავს ასწევს, ყურებს დაწკურავს და დაიხვიხვინებს.

- ერთხელ, კაცო, ომი ახალი დამთავრებულია და... - დაიწყებს ვალიკო, - აბა, მე რა ვიქნებოდი, ამხელა აი, გიოსხელა, მეტისა არა... მე, ჩვენი კოლა, ნოქარი და გოგია - ისინიც სულ პატარები - წამოვედით მოსაღამოვებულზე, ჩამოვედით... სად იყო მაშინ აქ ეს ვაშლები, სიმინდი ეთესა კოლექტივსა. მოვედით, დავანთეთ ცეცხლი, დავამტვრიეთ ტაროები და შევწვით. ისე დავძეხით, ვეღარა ვტოკავთ. ღამეა, ამოვიდა მთვარე. ვწევართ, აი, ესე, ცეცხლის პირზე და ვლაპარაკობთ. უცბათ, მოგვესმა სიმინდების შრიალი! წამოვყავით თავები, მეველისა გვეშინიან და რასა ვხედავთ: მოდის იმ სიმინდებში ძია სტალინი...

- ვინა?! - ეკითხება გივია.

- ძია სტალინი. ფორმა აცვია, პაგონები, ქუდი... უკან ორნი მოსდევენ, ისინიც დიდი კაცები, დიდფორმიანები. მოდის ეს სტალინი, გაჩერდება ერთ სიმინდთან, დააცქერდება, გადაიქნევს თავს... ისინიც, ის ორი კაციც, ცოტა მოშორებით კი მოსდევენ, მაგრამ ისინიც ათვალიერებენ ამ ტაროებდამტვრეულ სიმინდებს, ისინიც სინანულით იქნევენ თავებს, აქეთ-იქით, იცქირებიან...

გივია და ბადრია ერთმანეთს გადახედავენ. ბადრია თვალსაც კი ჩაუკრავს გივიას, მაგრამ ვალიკო იმ სიბნელეში ვერაფერს ამჩნევს და განაგრძობს:

- ბიჭო, შეგვეშინდა, შეგვეშინდა, რო სული ფეხებში გაგვეპარა. წამოვცვივდით და აბა, რომელი რომელს გაასწრებს! - სულ ფხაჭა-ფხუჭით ავედით სოფელში. ერთი კვირა არა გვძინებია - აი, ეხდა მოვლენ და წაგვიყვანენ, აი, ეხლაო...

გივია და ბადრია თავს ვეღარ შეიკავებენ - წასკდებათ სიცილი.

ვალიკო არყის ჭიქას ძირს დადგამს, ბიჭებს ნაწყენი სახით მიაჩერდება:

- რას იცინით, მაიმუნებო?!

ამაზე ხომ უფრო მეტად გაეცინებათ, ერთმანეთს მხრებითაც კი მიეხლებიან და ბადრიას არაყი დაექცევა.

- არა გჯერათ, არა? - გაბრაზდება ვალიკო.

ბიჭები ცოტათი ჩაცხრებიან, მაგრამ ჩუმჩუმად მაინც ეცინებათ.

ცხენი თავს ასწევს და კაცებისკენ გამოიხედავს.

- ჰო, კარგი, გაგვიმარჯოს - ამბობს ბოლოს გივია და არაყს გადაკრავს.

- მოგეჩვენებოდა ვალიკო, - ეუბნება ბადრია.

- არა, კაცო, რაღა ოთხივეს მოგვეჩვენა! აგე ნოქარი, აგე კოლა, აგე გოგია, ადით და ჰკითხეთ!

- მაიცა, ვალიკო და, ის ორნი ვიღანი იქნებოდნენ? - სერიოზული ხმით ეკითხება გივია.

- ისინი?

- ჰო.

- რა ვიცი, ისინი ვერ ვიცანი...

- ვინ იქნებოდნენ, კაცო, - ჩაერევა ბადრია, - ალბათ, მოლოტოვი და ვოროშილოვი!

- შეიძლება... - ჩაფიქრდა ვალიკო.

ბიჭებს ისევ წასკდებათ სიცილი, ისევ მხრებით მიეხლებიან ერთმანეთს.

- არა გჯერათ, არა? - ეკითხება გულნატკენი ვალიკო - რას იცინით, შვილო, აგე, ჩვენი კოლა, აგე ნოქარი, აგე გოგია, მიდით და ჰკითხეთ!

ბიჭები გაჩუმდებიან, აღარ იცინიან.

ცხენი მშვიდად სძოვს.

ვალიკო ჭიქებს შეავსებს.

ბიჭი ჩუმად უყურებს იმათ, მერე ამბობს:

- ლენინი და სტალინი ერთი კაცი იყო, არა?

- რაიო?! - მოიხედავს ვალიკო.

- ერთი კაცი იყო-მეთქი?

- ვინა ბიჯო?!

- ლენინი და სტალინი.

გივია და ბადრია ბალახზე გულაღმა გადაცვივდებიან, იცინიან, იცინიან - იხოცებიან სიცილით.

ბიჭი მიხვდება, რომ რაღაც სისულელე წამოროშა და იმ სიბნელეში სახეზე სირცხვილის ალმური აჰკრავს.

ვალიკო ჩუმად უყურებს, მერე ეტყვის:

- მოდი, გიო, მოდი აქა.

- რა გინდა?

- მოდი, კაცო!

ბიჭი წამოდგება და ნელა მიუახლოვდება.

ვალიკო წამოიწევს, მხარზე ხელს მოხვევს, ჩაიხუტებს და თბილ კისერში აკოცებს:

- შენ კი გენაცვალე, შვილო, შენა!

გივია და ბადრია ჩუმად სხედან.

ცხენი გაკვირვებული უყურებს კაცებს.

სწორედ ამ დროს ამოვა მთვარეც და იქაურობას მკრთალ ნათელს მოჰფენს.

9 მარტი

ნავთის სუნით აქოთებულ ცივ ოთახში დედა ბიჭს აბანავებს. ბიჭი არც ისეთი პატარაა, ეს ამბავი დღესაც, ორმოცდასამი წლის შემდეგაც არ ახსოვდეს და არც ისეთი დიდი, რომ შიშველს დედისა შერცხვეს.

ქალს გასაპნული ბავშვი ხის ვარცლში ჩადგმულ სველ ტაბურეტზე დაუსვამს და ჭინჭით ზურგს უხეხავს.

ბიჭი ძალიან გამხდარია, დედას ებრალება და სწორედ ამიტომ ბრაზით, რაღაცნაირი ჯიბრითაც კი ხეხავს. ბავშვს თვალებში საპნის ქაფი ჩასვლია და ეწვის, მაგრამ დედის შიშით ხმას ვერ იღებს.

- ადექი! - ეუბნება ქალი.

ბიჭი წამოდგება და ლამპის შუქზე სულ ცარიელი ძვალი და ტყავი გამოჩნდება.

ქალი ახლა ფეხებს უხეხავს. ფეხებიც გაჩხინკული აქვს, მუხლის თავებზე ძველი სისხლები შეხმობია. ამის დანახვაზე ქალი სულ გაცოფდება: გაუსვამს და გამოუსვამს იმ სისხლებზე, გაუსვამს და გამოუსვამს!

- დადიხარ, მთელი დღე დაეხეტები, - ამბობს იგი, სუნთქვა აჩქარებულს ლაპარაკი უჭირს, - აღარ დაგინახო იმ ოხერ ბიჭთან გავლილი, გესმის, აღარ დაგინახო!

- მტკივა... - წამოიკნავლებს ბავშვი.

- ახია!

ბიჭს თვალები ეწვის, მუხლები სტკივა და ვარცლიდან ამოხტომა უნდა, მაგრამ შიშველი სად წაუვა? ამიტომ ითმენს, ითმენს, რადგან იცის, რომ ეს ყველაფერი ოდესმე აუცილებლად დამთავრდება.

ბოლოს, მართლაც, მთავრდება: დედა სარეცხის დიდი ქვაბიდან ალუმინის ჯამით გადანელებულ წყალს ამოიღებს და თავზე დაასხამს...

ბიჭი შვებით ამოისუნთქავს, თვალებში ხელებს ამოისვამს, ცდილობს, საპნიანი წყალი ცხვირში არ შეუვიდეს.

- ყურები, ყურები გამოიბანე! - უყვირის ქალი და თან წყალს ასხამს.

ცხელი წყალი სასიამოვნოდ ევლება თავზე, მხრებზე, ზურგზე, მკლავებზე და ბიჭიც ფრუტუნებს, წყლიან ვარცლში თვინიერად დგას.

ბოლოს, როცა ის ქვაბი სულ ამოიცლება, ქალი შვილს ხელს მოჰხვევს, ასწევს, საპნიანი, მოლურჯო წყლით სავსე ვარცლიდან ამოიყვანს, ფეხებზე უკანასკნელ ჯამ წყალსაც გადაავლებს და ეუბნება:

- აივსე ჯანითა, ღონითა, სიცოცხლითა, სიხარულითა... დათვი მჭლე და შენ - მსუქანი! დათვი მჭლე და შენ - მსუქანი! დათვი მჭლე და შენ მსუქანი!

ბიჭი გრძნობს, როგორ თანდათანობით ულბება ხმა დედას, როგორი ალერსიანი და თბილი უხდება.

სულ ბოლოს, ქალი ჯამს დაცარიელებულ ქვაბში ჩააგდებს, ბიჭს სკამის საზურგეზე გადაფენილ განიერ პირსახოცს შემოახვევს და ხელში ატატებულს გაშლილი ლოგინისკენ წაიყვანს.

მერე ბიჭი ლოგინში წევს, ტანთ ბამბაზიის გრძელი ღამის პერანგი აცვია, თავზე ნაქსოვი ქუდი ახურავს და ახლადგამოცვლილი, გახამებული თეთრეულის სასიამოვნო სურნელს ხარბად ისუნთქავს - უყვარს გახამებული თეთრეულის სუნი და გრილი, ღუნღულა ლოგინი.

წევს და გრძნობს, როგორ ეწვის გადატყავებული მუხლები, რანაირად უბჟუის მთელი სხეული, როგორ ნელ-ნელა უმძიმდება ქუთუთოები. ბურანში წასულს ესმის წყლის ჩქაფუნიც, და როცა სიძილედ მიბლეტილი თვალებით დედას გახედავს, დაინახავს, რომ ის, მთლად შიშველი, ვარცლში ზის, ცალი ხელით თავზე წყალს ისხამს და მეორეთი მხრებზე ჩამოშლილ სველ თმას ივარცხნის.

ღამით, სანამ ბიჭს ტკბილად სძინავს, მახათას მთიდან წამოვა სქელი, ნოტიო ნისლი, რომელიც მთვარის შუქზე ნისლს კი არა, თეთრ კვამლს უფრო ჰგავს, გეგონება, მახათას მთის გადაღმა ვიღაცას დიდი, სველი ბულულისთვის ცეცხლი

წაუკიდებიაო. იდენს ის ნისლი, იდენს და ბოლოს, მთელი უბანი ჯანღში გაეხვევა, გარშემო აღარაფერი ჩანს.

შუაღამე რომ გადავა, აცივდება, ყინვა ნისლს შეადედებს, მერე რძესავით აჭრის და ნაფლეთებად აქცევს. ქუჩიდან ჯანღი აიკრიფება, მარტო ქარსაცავ ზოლში და სასაფლაოს ჩამოსწვრივ, ფიჭვის კორომშიღა დარჩება. ხის ტოტებში გაბლანდული, გარინდებული ბური დილამდე გასძლებს. დილით გაუჩინარდება, მაგრამ უკვალოდ როდი გაქრება, სიფრიფანა ყინულის გარსად გადაეკვრება ფოთოლგაცლილი ხეების რტოებს, მიწაზე გაფართხულ ყვითელ ბალახს, ფიჭვის მუქმწვანე წიწვებს და დილით, როცა დედა სახლის კარს გასაღებით დაკეტავს და სკოლისაკენ მიმავალნი ქუჩაზე დაეშვებიან, ბიჭი თვალს ვერ აცილებს თეთრად შეჭირხლულ, მზეზე აბრჭყვიალებულ იმ რტოებს, ბალახებსა და წიწვებს.

მართლაც ისეთი ლამაზი და საკვირველი სანახავია იქაურობა, რომ მთელი დღის საზრუნავით წინასწარ აფორიაქებულ, შუბლშეკრულ ქალსაც კი გაეღიმება. ბიჭი იმ ღიმილს ვერ დაინახავს, მაგრამ იგრძნობს და დედას თეძოზე გაეხახუნება.

- მოხვედი, ბიჭო-ჯან? - ეუბნება სკოლის დარაჯი, კოჭლი სედრაკა და დედის დასანახავად თავზე ხელს უთათუნებს.

დედა დგას და აივნის კიბისკენ მიმავალ შვილს ჩუმი, შეფიქრიანებული მზერით მიაცილებს.

საკლასო ოთახებიდან ბავშვების საშინელი ღრიანცელი ისმის, როგორც ჩანს, ზარი ჯერ არ დარეკილა.

ბიჭი კლასში შედის.

იქ ყურთასმენის წამღები გნიასი დგას, ბავშვები ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან, ერთმანეთს ურტყამენ, ჭიდაობენ, ოფლში გახვითქულები, ტანსაცმელამოჩაჩულები გორავენ იატაკზე. მაისურაძე მერხებზე დარბის, უკან კავლელიშვილი დასდევს, სკამებზე მსხდომ გოგოებს თავზე ახტებიან და ისინიც ისეთი შემზარავი ხმით კივიან, თითქოს არ იცოდნენ, რომ ეს ყველაფერი მათთვის ხდება: მათ დასანახავად ჩხუბობენ, ჭიდაობენ, მათი ხათრით უნაყავენ ერთმანეთს ცხვირპირს და მაისურაძე და კავლელიშვილიც სწორედ მათი გულის მოსაგებად დარბიან მერხებზე.

ბიჭი პალტოს გაიხდის და სხვა პალტოებით დახუნძლულ საკიდზე ჩამოკიდებს. მერე მოიხდის ქუდს, მოიხსნის კაშნესაც და ერთს პალტოს ცალ სამკლავეში ჩაჩურთავს, მეორეს - მეორეში.

ისმის ზარის ხმა და საკლასო ოთახი წამით ჩაცხრება, მაგრამ თითქოს ვიღაცის ჯიბრზე, უმალ ახალი ძალით აგნიასდება - ბავშვები სიგიჟეწამოვლილებივით წივიან, კივიან, გაჰყვირიან...

იმ ორ ბიჭს ახლა მესამეც ასდევნებია - სულელებივით დარბიან მერხებზე და ზედ ფეხსაცმელის ნაკვალევს ტოვებენ.

ოთახში ქართულის მასწავლებელი, „ილო პაპა“ შემოდის. მოხუცი კაცია, გამხდარი, გაძვალტყავებული; შავი, მრავალჯერ დაკემსილ-დაუთოებული კოსტუმი აცვია, თეთრი თმა ყალყზე უდგას და გადარეულ კლასს შეშინებული უყურებს.

ბავშვები იმას აინუნშიც არ აგდებენ, გამწარებულები ჭიდაობენ, ღრიალებენ, ის ბიჭები ისევ ისე დარბიან მერხებზე და ველური ყიჟინით დასდევენ ერთმანეთს.

ილო პაპა ხმას ვერ იღებს, თვალები უწითლდება, თმა უარესად ებურძგნება და დიდი, თეთრი, ლურჯად დაძარღვული ხელები უკანკალებს.

ამის შემხედვარე ბიჭს რაღაც უცნაური, ველური სურვილი უჩნდება, თავს ვერ იკავებს, შემზარავი ღრიალით შეხტება მერხზე და კავლელიშვილს ფეთიანივით დაედევნება. ახლა ვეღარც ილო პაპას ხედავს, ვეღარც ამხანაგებს, მარტო კავლელიშვილის ზურგი უფრიალებს ცხვირწინ და ისე აგიჟებს, როგორც ხარს წითელი ნაჭერი. მირბის, ყიჟინით მისდევს, გოგოებს თავზე ახტება, მათი წივილ-კივილი სასიამოვნოდ უღიტინებს ყურებში და როცა ვიღაცის ღონიერი ხელი მერხიდან გადაითრევს, ჩათეთქვავს და იატაკზე დაახეთქებს, მაშინღა გამოერკვევა: თავზე კლასის დამრიგებელი გაბუნია - უშველებელი, - ორასკილოიანი ქალი ადგას და საშინელი ხმით უყვირის:

- სად იზრდები, გამაგებინე, რა ოჯახში იზრდები, შე მხეცო, შე გადარეულო, - ფერდში წიხლს ჩააზელს, - ადექი, აეთრიე და ხვალ დილით მშობელი მომიყვანე, თორემ არ ვიცი, რას გიზამ, - კიდევ ჩააზელს, მერე მკლავში ხელს წაავლებს, ასწევს, ფეხზე დააყენებს და ახლა სახეში შემოულაწუნებს, - წადი, გაეთრიე, თვალით არ დამენახო!

ბიჭი ხელიდან გაუსხლტება, ჩანთას ეცემა, საკიდიდან პალტოს ჩამოხსნის და კლასიდან თავქუდმოგლეჯილი გავარდება.

- დაგხოცავთ, ერთ დღეს დაგხოცავთ ყველაას! - ახლა აივანზე ესმის გაბუნიას კივილი და თვალცრემლიანი, ყელში გორგალგაჩრილი ჩარბის კიბეზე.

- ვა, გამოგაგდეს, ბიჭო-ჯან?! - დამცინავი ღიმილით ეკითხება კოჭლი სედრაკა და ცდილობს თავში წამოარტყას, მაგრამ ბიჭი გაექცევა, სირბილით გადაივლის ასფალტიან ეზოს, გალავანთან მივა, ჩანთას და პალტოს ღობის იქით გადაყრის და მერე თვითონაც ზედ გადაძვრება.

ფეხბურთის ცარიელ მინდორზე ქარი გაზეთის ნაგლეჯს დააფრიალებს.

ბიჭი კედლის ძირში ჩაჯდება და აზლუქუნდება. კარგახანს ტირის, გულამომჯდარს ღაპაღუპით ჩამოსდის ცრემლები. აგონდება მამა, რომელიც უკვე მივიდოდა შინ და ახდა, ღამის ნამორიგალს, ალბათ, სძინავს. გაახსენდება დედაც, ყურში ჩაესმის მისი მკაცრი, ნაღვლიანი ხმა: - „შენ მოუკვდი, შვილო, დედაშენს!“ - უფრო მეტად ამოუჯდება გული, ტირის, ტირის...

უეცრად, ზემოდან ჩანთა გადმოვარდება და ზედ მის ცხვირწინ ბრახუნით დაეცემა.

ბიჭი ტირილს შეწყვეტს, ცრემლით ჩამოსველებულ სახეზე მაჯას გაისვამს და მაღლა აიხედავს: გალავანზე კავლელიშვილი გადმოფოფხდება, კედელს ხელებით დაეკიდება და ძირს ჩამოხტება.

ბიჭი ჩუმად უყურებს.

- გიჟია, ეგ ჩემისა! - იკრიჭება კავლელიშვილი.

ბიჭს ეღიმება - უხარია, რომ გაბუნიას ესეც გამოუგდია და ახლა ორნი არიან.

კავლელიშვილი გვერდით მიუჯდება.

ქარი ჩამდგარა. კედელს მარტის მზე მისდგომია, თბილა. ბიჭები მხრებით ეხებიან ერთმანეთს. მოშორებით, ნაპირებმოყინულ გუბეში ბეღურები ჭყუმპალაობენ.

კავლელიშვილი ჩანთას მოიწევს, გახსნის და იქიდან ლოყაწითელ ვაშლს ამოიღებს:

- გინდა?

- ჰო.

- დაგიტოვებ. - ვაშლს ჩაკბეჩავს და გემრიელად შეექცევა. ნახევარზე რომ დაიყვანს, ბიჭს მისცემს.

ახლა ის ჩაკბეჩავს. ძალიან კარგი, ტკბილი ვაშლია.

- რა ვქნათ? - ეკითხება კავლელიშვილი.

- რა ვიცი... - ბიჭი ვაშლის ნაჭამს გუბისკენ გაისვრის. დამფრთხალი ბეღურები ჟივილხივილით წამოიშლებიან და ფოთოლგაძარცვულ ჭადარზე შემოსხდებიან.

- წამო, გინდა, სანაპიროზე წავიდეთ!

ადგებიან, ჩანთებს აიღებენ, ფეხბურთის მოედანს გადაჭრიან და გამონგრეულ გალავანში გაძვრებიან.

ალექსანდროვის ბაღში, სტალინის ძეგლთან უამრავი ხალხი შეყრილა.

მაღალი კვარცხლბეკი ყვავილის გვირგვინებს დაუფარავს. დაბლა, მარმარილოს ტრიბუნაზე, საპატიო ყარაულში პიონერები დგანან. იქვე მიკროფონია გამართული.

- ლე-ნინ, სტა-ლინ! ლე-ნინ, სტა-ლინ! - წამოიწყებს უეცრად ხალხის ნაწილი და მათი ყურთასმენის წამღები გუგუნი მთელს ქალაქს მოედება - მტკვარგაღმა ვორონ-ცოვსა და სვანეთის უბანს, მტკვარგამოღმა ორბელიანების მოედანსა და მთაწმინდას.

თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, ახლა ბაღის მეორე კიდეში ატყდება ძახილი: - ჯუ-დე! ჯუ-დე!

ბაღში ჩასასვლელი კიბე ხალხით გაჭედილა, ამიტომ ბიჭები ქვემოთ ვიწრო, ტალახშემშრალი ბილიკით ჩავლენ, ხალხში ხვლიკებივით გაძვრებიან, კვარცხლბეკისკენ გაიკვლევენ გზას და ბოლოს, როგორც იქნება, მიუახლოვდებიან.

ტრიბუნაზე ახალგაზრდა პოეტი დგას და მიკროფონში ლექსს კითხულობს.

ხალხი სულგანაბული მისჩერებია, ჩუმი, სევდანარევი დრტვინვა გადასდის თავზე და უეცრად, თითქოს მილიონი მტრედი ერთდროულად აფრინდაო, იქაურობას ტაშის ქუხილი გააყრუებს.

- ლენინ-სტალინ! ლენინ-სტალინ! - მარტო ესღა ისმის, რადგან ახლა აქეთურებიცა და იქითურებიც მხოლოდ ამას გაჰყვირიან.

- ლენინ-სტალინ! - იჭაჭებიან ბიჭებიც. აღარც გაბუნია ახსოვთ, აღარც წეღანდელი ცემა-ტყეპა და არც ის, რომ ხვალ დილით სკოლაში მშობლები ჰყავთ მისაყვანი.

მოულოდნელად, კავლელიშვილი სადღაც გაქრება!

ბიჭი ეძებს, აქეთ-იქით იცქირება და უეცრად დაინახავს, რომ ის მაღლა, ტრიბუნაზე საპატიო ყარაულში დგას და პიონერული სალმის ნიშნად გაშლილი ხელი შუბლთან მიუტანია.

ბიჭი ტრიბუნის უკან გაძვრება.

კიბესთან უფროს გოგოებსა და ბიჭებს პიონერები რიგში ჩაუყენებიათ, ყელსახვევებს უმოწმებენ, ბავშვებს საპატიო ყარაულისთვის არჩევენ.

ბიჭი ყელსახვევზე დაიხედავს. ამით ვერ დაიწუნებენ, დილით დედამ გაურეცხა და გაუუთოვა. მართლაც, ერთი გოგო, რომელსაც გადაღეღილი პალტოდან მკერდზე მიბნეული კომკავშირელის ნიშანი მოუჩანს, ბიჭს შეამჩნევს და ხელს დაუქნევს.

ბიჭი მიუახლოვდება.

- ახვალ, ბიჭი? - ეკითხება გოგო.

- დიახ…

- იცოდე, ხუთი წუთი გაუნძრევლად უნდა იდგე, შესძლებ?

- როგორ არა!

- კარგი, გაიხადე!

ბიჭი პალტოს გაიხდის და კიბის ძირში დაყრილ სხვა პალტოებზე ზემოდან მიაგდებს. დასდებს ჩანთასაც.

გოგო ყელსახვევს უსწორებს.

შავგვრემანი გოგოა, ზედა ტუჩზე ღინღლი მოსდებია, ლოყაზე კი პატარა, კოხტა ხალი აზის. ბიჭი ყურთან გრძნობს მის თბილ სუნთქვას და რატომღაც გული ეწურება.

- იცოდე, არ გაინძრე და ხელიც აი, ასე მაღლა გეჭიროს. გაიგე? - ეუბნება იგი.

- დიახ.

- აბა, შენ იცი!

ბიჭი გრანიტის კიბეზე ადის, იქ ვიღაც წითელსამკლავურიანი კაცები ტრიალებენ.

- ეგ ბიჭი გაატარეთ, ამხანაგებო! - ეძახის ქვემოდან გოგო.

- მოდი! - ეუბნება წითური, დიდულვაშა კაცი და ბიჭს მსუბუქი ხელისკვრით ბაქანზე შეაგდებს.

თითქოს არ ელოდებოდაო, მოზიმზიმე ხალხის დანახვაზე ბიჭი შეკრთება, დაიბნევა, უკან გამობრუნებასაც კი დააპირებს, მაგრამ ბოლოს თავს დასძლევს, გაშლილ ხე-ლისგულს შუბლთან მიიტანს და სუნთქვაშეკრული გაშეშდება.

დგას და ფრთხილად, მხოლოდ თვალების შეუმჩნეველი მოძრაობით ათვალიერებს ხალხს. ამდენი უცნობი სახე ერთად არასოდეს უნახავს - კაცები, ქალები, ბავშვები, მოხუცები, ახალგაზრდები… ეჩვენება, რომ ყველანი მას მისჩერებიან, ყველა მას უყურებს. ნუთუ ამდენ ხალხში ერთი ნაცნობიც არ ურევია?!

- დიდება, დიდ სტალინს! - ისმის გამაძლიერებლიდან ვიღაცის ომახიანი შეძახილი და უეცრად:

- სტა-ლინ! სტა-ლინ! სტა-ლინ!!!

ეს ყურთასმენის წამღები გუგუნი ბიჭს აჩლუნგებს, რაღაცნაირად ათაყვანებს, საულვაშეზე ოფლს ასხამს, ეჩვენება, რომ თანდათანობით პატარავდება, პატარავდება და ბოლოს, სულ ერთი ციცქნა, რაღაც ნამცეცისოდენა ხდება, სამაგიეროდ, იზრდება ის ბაღი, უსაშველოდ იზრდება გვირგვინებით შემკული მარმარილოს კვარცხლბეკი, იზრდებიან ადამიანებიც, ხეებიც… ეს გრძნობა ნაცნობია, ასეთი რამ ავადმყოფობის დროს ემართება ხოლმე, მაშინ, როცა დიდი სიცხე აქვს და ლოგინში წევს.

ყვირილი რომ ჩაცხრება, ყველაფერი თავის ადგილზე დგება: ბიჭი ისევ არჩევს ადამიანებს, მათ ანთებულ თვალებს, მომღიმარ სახეებს…

როგორც ჩანს, ხუთი წუთი უკვე გასულა, რადგან მხრებზე ხელს უთათუნებენ და ძირს ჩაჰყავთ. იქ კავლელიშვილი ელოდება.

- არ მოგშივდა? - ეკითხება იგი.

- ჰო. შენა?

- მეცა. წამო, მამიდაჩემთან ავიდეთ, გინდა?

ბიჭს მართლაც შია, მაგრამ კავლელიშვილის მამიდასთან ასვლისა ერიდება, აქეთ-იქით იცქირება, უნდა გაიგოს, რომელი საათია. ბოლოს შეამჩნევს, რომ იმ გოგოს, კომკავშირელს მაჯაზე საათი უკეთია, მივა და ჰკითხავს: თურმე უკვე ორია - მალე გაკვეთილები დამთავრდება!

მზე ღრუბლებში შეიმალება, საიდანღაც ცივი ქარი დაუბერავს და ბაღში შარშანდელ ფოთლებს ააფრიალებს.

- წამოხვალ? - ეკითხება კავლელიშვილი.

- სადა.

- მამიდაჩემთან.

- არა, შინ წავალ…

- კარგი, როგორც გინდა. საღამოს ხო ჩამოხვალ?

- ჰო. შენა?

- ი, მე სულ აქ არა ვარ?!

ეზოს წინ ლოვა და ჯემალა ავჭალურს კენწლავენ. სადარბაზოს ქვის კიბეზე ალბერტა ჩამომჯდარა.

ბიჭი ეზოს გადაივლის, თავისი სახლის კარს შეაღებს და ოთახში ფრთხილად შევა. მამას სძინავს. დედა სამსახურიდან ჯერ არ მოსულა. სამზარეულოში ცივ კატლეტსა და პურს შეჭამს, წყალს დააყოლებს და ისევ გარეთ გამოვა.

ლოვა და ჯემალა სადღაც წასულან.

- ბიჭები სად არიან? - ეკითხება ალბერტას.

- ვინა, ლოვიკა?

- ჰო.

- პერეეზდზე წავიდა.

მიდის „პერეეზდზე“, სადაც ლახტს თამაშობენ ხოლმე,

მაგრამ იქ არავინ დახვდება, მერე „ფეზეოს“ ეზოშიც შეიხედავს და ბოლოს ბაღისკენ დაეშვება.

ბაღთან დიდი ბიჭები დგანან, იცინიან, ლაზღანდარობენ. ერთი მათგანი ბიჭის ნათლიაა - თარხანა, სკოლა შარშან დაამთავრა და ახლა საშოფროზე სწავლობს.

- ე, გესმის, - ეძახის ის, - მოდი აქ!

ბიჭი მიუახლოვდება.

- ჩემი ნათლულია, - ეუბნება ამხანაგებს თარხანა.

- ვა?! - გაუკვირდებათ მათ.

თარხანა სიგარეტს გააბოლებს.

ბიჭს სიამოვნებს მის გვერდით დგომა, ამაყად იხედება აქეთ-იქით.

ქვემოდან მაისურაძე მოდის, ბიჭის დანახვაზე გაეღიმება და მისკენ წამოვა:

- რა გიყო, ბიჭო, გაბუნიამ! - ეუბნება იგი.

ბიჭსაც ეღიმება, ახლა, რატომღაც ფეხებზე ჰკიდია ეს ამბავი.

- შენი კლასელია? - ეკითხება თარხანა.

- ჰო.

- თქვი ეხლა, რომელი ერევით!

- მე ვერევი! - აცხადებს მაისურაძე, არადა ტყუის, არასოდეს უჩხუბიათ.

თარხანა იბოღმება:

- წამოდით, აბა, ბაღში!

- ვაჩხუბოთ? - უხარია თარხანას ამხანაგს.

ბიჭს სულაც არ ეპიტნავება ჩხუბი, მაისურაძე კი უკვე მამლაყინწასავით აბრიალებს თვალებს.

- ჰა, ხო არ გეშინია, ბიჭო? - ღიმილით ეკითხება თარხანა.

- რისი უნდა მეშინოდეს.

- მაშინ წამო!

ბაღში შეხორავდებიან და ბიჭებს ერთმანეთის პირისპირ დააყენებენ.

- მიდით, ეხლა, ჰა! - ეუბნება იმათ თარხანას ამხანაგი.

ბიჭი მაისურაძეს შესცქერის, აღელვებულს ეღიმება.

- მიდით, ბიჭო! - აქეზებენ დანარჩენებიც.

მაისურაძეს რაღაც ცუდად უელავს თვალები.

- დავაი, გლიჯე! - ეუბნება თარხანა ბიჭს.

- ეე, მაიცა, რა უნდა ვგლიჯო...

სხვები მაისურაძეს აქეზებენ:

- მიდი, ბიჭო, სველი თითი წაუსვი!

უეცრად მაისურაძე საჩვენებელსა და შუათითს დაინერწყვავს და სახეზე ჩამოუსვამს. ბიჭი მაშინვე დაარტყამს, მაგრამ საპასუხო დარტყმასაც უმალ მიიღებს. ეცემიან ერთმანეთს და გაგორდებიან მიწაზე. ბიჭი ქვეშ მოექცევა, მაისურაძე ზემოდან დასწოლია და გამეტებით უქნევს მუშტებს.

ბიჭი ხან სახეზე მკლავებს იფარებს, ხანაც ცდილობს, მოწინააღმდეგეს ხელები დაუჭიროს, არ დაარტყმევინოს, მაგრამ მაისურაძე ქვასავით მაგარ მუშტს მაინც ახვედრებს ცხვირში.

ბიჭს თვალებიდან ნაპერწკლები წამოსცვივდება, გამწარებული, ძალამოცემული მეტოქეს ააყირავებს, ძირს დასცემს, ზემოდან გადააჯდება და ყელში ხელებს წაუჭერს...

მაისურაძე ხროტინებს, ღმუის, თვალებს კარკლავს და ხელ-ფეხს იქნევს, მაგრამ ბიჭი არ ეშვება, სულ უფრო და უფრო მაგრად უჭერს ყელში.

უეცრად, შეამჩნევს, რომ მაისურაძეს მთელი სახე სისხლით აქვს მოსვრილი! ხელებს გაუშვებს, შეშინებული დააჩერდება, მაგრამ მაშინვერ მიხვდება, რომ ეს თავისი სისხლია, თვითონა სდის გატეხილი ცხვირიდან და გაბრაზებული ახლა მუშტებს დაუშენს სახეში...

- მოკლა, ტო, მოკლა, ამ ვირიშვილმა! - ყვირის თარხანას რომელიღაც ამხანაგი.

თარხანა ბიჭს მხრებში დასწვდება, მსხვერპლს ძალით ააგლეჯს და შემცბარი ღიმილით ეუბნება:

- ე, შენ ვინა ყოფილხარ, ბიჭო?! - მერე ჯიბიდან ცხვირსახოცს ამოიღებს და მიაწოდებს, - აჰა, მოიწმინდე!

ბიჭი ცხვირსახოციან ხელზე ხელს აუკრავს და ბაღიდან თავქუდმოგლეჯილი გავარდება.

- დედაშენი გეძებს, - ეუბნება სადარბაზოს კიბეზე ჩამომჯდარი ალბერტა - ვა, ეგ რა არი, ტო, იჩხუბე?!

ბიჭი ცხვირზე ხელს მოისვამს - ნესტოები შედედებული, გამხმარი სისხლით აქვს გამოტენილი.

- პალტო ნახე, პალტო!

პალტოც ალაგ სისხლით, ალაგ აგურის ფხვნილით მოთხვრია.

- ნახე ეხლა, დედაშენი რას გიზამს!.. - ამბობს ალბერტა.

პალტოზე დაიცქირება, არა, ასე შინ მისვლა არ იქნება, არადა, სად წავიდეს... კავლელიშვილს მაინც გაჰყოლოდა მამიდასთან.

- შენ მოუკვდი შვილო, დედაშენს, შენ ჩაგდე კუბოში, დაგაყარე გულზე მიწა!.. - ესმის დედის ხმა და უმალ დაინახავს კიდეც - „პერეეზდის“ მხრიდან მოდის, ხელში მატყლის საწკეპლი ჯოხი უჭირავს.

ქუჩაში ხომ არ ეცემინება, ჭიშკარს შეაღებს და ეზოში შევარდება.

იქ მამა ელოდება, ყურში ხელს წაავლებს და შინ შეათრევს. ამასობაში დედაც შემოვა:

- რა გინდა, შვილო, რა დაგიშავე, გაჭმევთ, გაცმევთ, გახურავთ... - ეუბნება იგი, თან ნელა უახლოვდება და უეცრად, ბახ! - ჯოხს მოსდებს თავში.

ბიჭი ტკივილისგან შეჰყვირებს, კარისკენ გავარდება, მაგრამ იქ მამა დგას და ავად უელავს თვალები.

- რა გინდათ, რა!

- რა ქენი, შენ, დღეს, სკოლაში, რა ქენი! - უყვირის დედა და ჯოხს ახლა ფერდში მოუნაცვლებს.

ბიჭი განზე გახტება და თავზე ხელებს დაიფარებს.

- შეხედე, რას გავს, შეხედე... - ტირილნარევი ხმით ამბობს დედა, - წუხელ მაინც არ მებანავებინა... ხომ გითხარი, იმ ოხერ ბიჭთან აღარ დაგინახო-მეთქი, არ გით-ხარი? - და ისევ ჩასცხებს ჯოხს. თავში უმარჯვებს და ამიტომ ხელებში ხვდება.

- ვინ ბიჭთან, ვაა, ვინ ბიჭთან!

- ვისთან და კავლელიშვილთან... სად იყავით, სად და-ეთრეოდით!

- გამანებეთ თავი, გამანებეთ! - დაიღრიალებს უეცრად ბიჭი და რაკი დაინახავს, რომ მამა ბრტყელ, ოქროსფერაბზინდიან ქამარს იხსნის, გავეშებული კარისკენ დაიძრება, წინ შემოგებებულ, ხელებგაშლილ მამას ცრუ მოძრაობით გვერდს აუვლის, ღრიჭოდ დარჩენილ კარს დაეჯახება და გარეთ გავარდება.

- არ გაუშვა, არ გაუშვა! - ესმის დედის კივილი, მაგრამ უკვე გვიანია, ეზოს გადაირბენს, ქუჩაში გავა და ქვემოთ დაეშვება.

მზე ჩასულა, ცივა. ჩერქეზოვზე, პურის მაღაზიასთან მანქანას ცლიან. ცხელი პურის საამო სურნელი ედება საღამოს ბინდში ჩაძირულ ქუჩას, მოედანს. მთელი დღის უგზოუკვლოდ ნახეტიალევი, დაღლილი და მოშიებული ბიჭი დგას და პირზე ნერწყვმომდგარი უყურებს, როგორ შეაქვთ მუშებს მაღაზიაში ხის ბადიებზე დალაგებული პური. იქვე, შორიახლოს მაწანწალა ძაღლი ჩაწოლილა - ეტყობა, იმასაც შია, რადგან პურის მზიდავებს თვალს არ აცილებს.

უეცრად, მანქანის კაბინის კარი გაიღება, იქიდან შოფერი გადმოვა და ბიჭს მოწყალე ღიმილით მიაჩერდება:

- რა იყო, ბიჭო, გშია?

ბიჭი უკან დაიხევს, მაგრამ არ გაეცლება, დგას და უცნობ კაცს შუბლშეკრული კუშტად უყურებს.

შოფერი წავა, მანქანიდან ერთ ცალ „ბუხანკას“ გადმოიღებს და ბიჭს მოუტანს:

- ჭამე, გენაცვალე, შინ შენოდონა ბიჭი მყავს...

ბიჭი ფეხს უხერხულად მოინაცვლებს.

- ჰა, გამომართვი, რაღა! - პურს თითქმის ძალით ჩასჩრის ხელებში, მანქანის კაბინაში ავა, დაჯდება და კარს მიიჯახუნებს.

ბიჭი წავა. სირცხვილისგან ლოყებზე ალმური ასდის. უნდა, რაც შეიძლება ჩქარა გაეცალოს იქაურობას. მოედანს გადაირბენს და ჩაბნელებული ქუჩით ტრამვაის ხაზისკენ დაეშვება.

მიძუნძულებს და ეჩვენება, რომ ვიღაც მისდევს, თითქოს ეს პური კი არ აჩუქეს, მოიპარა და ახლა თავქუდმოგ-ლეჯილი გარბის, რადგან ეშინია, ხელი არ სტაცონ და მილიციაში არ გააქანონ.

არადა, ნამდვილად მოსდევს ვიღაც!

ნაბიჯს შეანელებს და უკან მიიხედავს: ის მაწანწალა ძაღლი ასდევნებია, წეღან პურის მაღაზიასთან რომ იწვა.

ბიჭი გაჩერდება. ძაღლიც დადგება და კუდის ქიცინით მიაჩერდება ხელებში. უეცრად, ბიჭი საშინელი ხმით დასჭყივლებს და სიბნელეში ტროტუარს მოათვალიერებს - ქვას ეძებს, რომ ამ ქეციანს თავი გაუჭეჭყოს. შეშინებული ძაღლი წკავწკავით გაეცლება და სიბნელეში დაიკარგება.

სანაპიროზე უფრო მეტი ხალხი მოგროვებულა. ძეგლი პროჟექტორების შუქით გაუბრდღვიალებიათ. საპატიო ყარაულში ახლა უკვე ხანშიშესული კაცები და ქალები დგანან, რომლებსაც მკერდზე უამრავი მედლები და ორდენები ჰკიდიათ.

ბიჭს ეჩვენება, რომ აქ რაღაც შეცვლილა, დილანდელი საზეიმო განწყობილება გამქრალა და მის ნაცვლად ბაღში რაღაც ავი, შემაშფოთებელი გუგუნი ისმის.

ბაღის კიდიდან სუსტი, არეული ძახილი წამოვა:

- ლენინ-სტალინ! ლენინ-სტალინ!

ხალხი ამას აღარ ჰყვება, ადამიანები კუშტი, მოღუშული სახეებით შეჰყურებენ ტრიბუნაზე გამომსვლელებს. უეცრად რაღაც უცნაური, შიშისმომგვრელი დრტვინვა გადაუვლით თავზე და ყურთასმენის წამღებ გუგუნში ნელ-ნელა, თანდათანობით იკვეთება ერთი, ერთადერთი სიტყვა:

- სა-ქარ-თვე-ლო! სა-ქარ-თვე-ლო!

მოულოდნელად ბიჭს ვიღაც წამოუთაქებს. მიიხედავს და კავლელიშვილი არ შერჩება ხელში?!

- სადა ხარ, შეჩემა! - ეუბნება იგი.

ბიჭს მისი დანახვა უხარია, იღიმება.

- ე, იჩხუბე?! - ეკითხება კავლელიშვილი.

- ჰო.

- ვინ იყო.

- მაისურაძე.

- მერე, გცემა?!

- არა, რა მცემა...

- მა ეგ რა არი?

ბიჭი ცხვირზე ხელს მოისვამს:

- დიდმა ბიჭებმა გვაჩხუბეს და მუშტი ჩამარტყა.

- მაიცა, მოვიდეს სკოლაში! - გაბრაზდება კავლელიშვილი.

ბიჭს რაღაც მაგარი და ხორკლიანი მოაწვება ყელში.

- წამო, დაიბანე.

- სადა?

- წამო, წამო!

ხალხში გაძვრებიან და ბაღის ბოლოში შადრევანთან მივლენ.

ბიჭი დაიხრება, იბანს და კავლელიშვილი ეუბნება:

- გორში ვიყავი, ხო იცი!

- გორში?!

- ჰო. დიდი მანქანით წავედით... - ჯიბიდან ცხვირსახოცს ამოიღებს და აძლევს, - აჰა, გაიწმინდე...

ცხვირსახოცს კავლელიშვილის სუნი უდის. ბიჭი თავს ვეღარ შეიკავებს და თვალებიდან ცრემლები წამოსცვივა, მაგრამ კავლელიშვილი ვერაფერს ამჩნევს, რადგან აქ, შადრევანთან ბნელა.

- ხალხს პურმარილი გამოჰქონდა, - განაგრძობს იგი, - ღვინო, რამე... ნეტა წამოსულიყავი!

ბიჭი წარმოიდგენს, როგორ სვამდა კავლელიშვილი გორში ღვინოს და ეღიმება:

- შენც დალიე?

- მარა! იცი, რა ხდებოდა, აუ, წამოსულიყავი, რა, ბიჭო, რა გინდოდა სახლში!

- დედაჩემს გაბუნია უნახავს...

- ვინა?

- გაბუნია.

- ერთი იმის... წამო, ხო დაიბანე!

ძეგლთან არეულობა დახვდებათ. ტრიბუნიდან ვიღაც თმაგაწეწილი, საკინძეშემოხეული ქალი გაჰკივის:

- გვესვრიან, ხალხო, გვხოცავენ!..

ხალხი შეჩოჩქოლდება, აირევა, ახმაურდება, ატყდება ქალების წივილ-კივილი, კაცების ყვირილი, ბავშვების წიოკი და ეს ყველაფერი ერთ მთლიან, შემზარავ გუგუნად მოედება იქაურობას.

უეცრად, ხალხის ერთი მოზრდილი ტალღა ქუჩაში ასასვლელ კიბეს მიაწყდება და ბიჭებსაც თან გაიტაცებს... გაივლიან მშრალ ხიდს, მარჯვნივ გაუხვევენ და ჯორჯიაშვილის ქუჩის აღმართს შეუყვებიან. სწრაფად მიდიან, სიბნელეში მარტო მათი მძიმე სუნთქვა და ნაბიჯების ხმა ისმის.

ბიჭს უცნაური აღტკინება ეუფლება - ეჩვენება, თითქოს უკვე დიდია და ამ ხალხთან ერთად რაღაც მნიშვნელოვან, გადაუდებენ საქმეზე მიდის. გამქრალან, შორეულ წარსულში გადახვეწილან დედა, მამა, გაბუნია, თარხანა, ილო პა-პა, მაისურაძე და სხვებიც, დანარჩენები. ყველანი სადღაც, ბავშვობაში დარჩენილან, მას შემდეგ ზუსტად ორმოცდასამი წელი გასულა, ორმოცდასამი, და თითქოს ახლა თერ-თმეტისა კი არა, უკვე ორმოცდათოთხმეტი წლისაა... ან იქნებ პირიქით, იქნებ ამ ორმოცდათოთხმეტი წლის კაცს ეჩვენება, რომ ჯერ ისევ 1956 წლის 9 მარტია, მას შემდეგ წამიც არ გასულა, დრო გაყინულა და ისიც, ჯერ ისევ თერთმეტი წლის ბიჭი, სხვებთან ერთად არბის ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, რუსთაველის პროსპექტს უახლოვდება და აი, სულ მალე გამოჩნდება სასტუმრო „თბილისიც“. იქ ჩამიჩუმი არ ისმის, არავინ მოჩანს, კაციშვილი არსად ჭაჭანებს და ესენიც, გულმოცემულნი უფრო აუჩქარებენ ნაბიჯს, რუსთაველზე სირბილით ავლენ და კავშირგაბმულობის შენობის წინ ჩამწკრივებულ ტროლეიბუსებს დაინახავენ...

ხალხი შედგება, შეჯგუფდება, ერთხანს მდუმარედ უყურებენ იმ ტროლეიბუსებს, ათვალიერებენ ფოსტა-ტელეგრაფის მაღალი შენობის ჩაბნელებულ ფანჯრებს და უეცრად, ისე, რომ არავინ ელოდება, ვიღაც გამყინავი, ისტერიული ხმით წამოიწყებს:

- ლე-ნინ! სტა-ლინ! ლე-ნინ! სტა-ლინ!

- ლენინ! სტალინ! - აჰყვება ხალხიც, მაგრამ ამას სულ მალე ისევ ის შეენაცვლება, ისევ ის ერთი, ერთადერთი სიტყვა აგუგუნდება:

- სა-ქარ-თვე-ლო! სა-ქარ-თვე-ლო!

„სა-ქარ-თვე-ლო!“ - ყვირის ბიჭიც %ბიჭი თუ კაცი?? და აღლუმზე ნაყიდი ფერადი ბუშტივით ამჩატებული, რაღაცით უსაზღვროდ გახარებული და გაბედნიერებული ადგილზე ხტის, კავლელიშვილს მხარზე ხელს ურტყამს და მასთან ერთად მთელი ხმით გაჰკივის:

- სა-ქარ-თვე-ლო!

- სა-ქარ-თვე-ლო! - და თითქოს სწორედ ამას ელოდებოდნენო, უეცრად, იქვე, სულ ახლოს, ხალხის თავსზემოთ ტყვიამფრქვევები აკაკანდება!..

ახლა ძნელია იმის აღწერა, რაც მაშინ მოხდა - ახლა ბუნდოვნადღა ახსოვს ის ამბავი, - მაშინ, უცებ, ვერც კი მიხვდა, რომ იმ ღრიანცელში, იმ საშინელ წივილ-კივილში ნამდვილად ეცემოდნენ დაჭრილები, ნამდვილად კვნესოდნენ, ყვიროდნენ, ნამდვილი სისხლი იღვრებოდა. თავიდან ეგონა, რომ ამას, ყველაფერს კინოში

უყურებდა - კინოში კაკანებდა ტყვიამფრქვევი, კინოში იხოცებოდა ხალხი, ხოლო თვითონ, იმ კინოში შემთხვევით მოხვედრილივით იდგა და დაბნეული იცქირებოდა აქეთ-იქით.

ტყვიები წივილით დაქრიან ჰაერში, ასფალტზე სეტყვის მარცვლებივით ხტიან, კაკუნობენ, ისმის კვნესა, გმინვა, ყვირილი:

- რუსებო, თქვენი დედა!!!

ტყვიამფრქვევები კი კაკანებენ - მაღლიდან შენობის სახურავებიდან ისვრიან და ადამიანებს ჯვარედინი ცეცხლით ცელავენ.

ვიღაც დაჭრილი ბიჭს შარვლის ტოტზე ეპოტინება და ტკივილისაგან სახედამანჭული ჩახლეჩილი ხმით ეუბნება:

- გაიქეცი, ბიჭი, რას დგეხარ!

და ისიც, თითქოს ახლაღა მიხვდება, რომ ყველაფერი სინამდვილეა - ჰაერში ნამდვილი ტყვიები დაქრიან, ნამ-დვილია ეს შავი სისხლი, ასფალტზე ღვარად რომ მიედინება და ამ აღმოჩენით თავზარდაცემული, გულგახეთქილი გარბის, წაქცეულებს ზედ ახტება, წინ ჩაურბენს ტროლეიბუსებს და სასტუმრო „თბილისის“ მომრგვალებულ კუთხესთან ჯორჯიაშვილის ქუჩაზე დაეშვება...

მირბის და საკუთარი გულის ბაგაბუგის მეტი აღარაფერი ესმის - აღარც ტყვიამფრქვევების კაკანი, აღარც დაჭრილების კვნესა და არც სასოწარკვეთილი ხალხის ყვირილი.

უეცრად, სადარბაზოდან ვიღაც ახალგაზრდა კაცი გამოხტება და მკლავში ხელს სტაცებს:

- სად მიდიხარ, ე, სადა!

ბიჭი გაოგნებული მიაჩერდება.

- რას მიყურებ, ბიჭო, შემოდი, იქაც ისვრიან! - და სადარბაზოში თითქმის ძალით შეათრევს.

ჭერში ჩამოკიდებული მტვრიანი ნათურა იქაურობას ოდნავ ანათებს, იატაკზე ვიღაც წევს და კვნესის, ზემოთ ამავალი კიბის საფეხურები ბნელში იკარგება...

- შენ აქ იყავი, გესმის, - ეუბნება ის კაცი, - მე წავალ, ექიმს მოვიყვან, - და გარეთ ისე გავარდება, პასუხს არც კი დაელოდება.

ბიჭი დაჭრილს დააკვირდება - ქალია, თვალებდახუჭუ-ლი მძიმედ სუნთქავს, გულისპირი სისხლით მოსვრია და, უეცრად, იცნობს! - ის გოგოა, დილას, ძეგლთან პიონერებს საპატიო ყარაულისთვის რომ არჩევდა: - აგე, ხალი! აგე, კომკავშირის ნიშანი! - და იატაკზე ჩაცუცქდება, ზურგით სადარბაზოს კედელს მიეყრდნობა.

გოგო თვალებს გაახელს, ნათურის შუქზე ის თვალები შავად უელავს, ბიჭს მიაჩერდება და ეუბნება:

- მოხვედი, დედა?

ბიჭი გრძნობს, როგორ ნელ-ნელა თაყვანდება, როგორ ჩლუნგდება და ეჩვენება, რომ თანდათანობით პატარავდება, პატარავდება და ბოლოს სულ ერთი ციცქნა, რაღაც ნამცეცისოდენა ხდება. სამაგიეროდ, მის გარშემო იზრდება ყველაფერი - სადარბაზო, ქუჩა, მთელი ქალაქი...

- შენა ხარ, დედა?

- მისუსტებული ხმით ეკითხება გოგო და, უეცრად, ბიჭი ხვდება, რომ ამ შეკითხვაზე, ახლა, მხოლოდ ერთადერთი სწორი პასუხი არსებობს და ამიტომ ამბობს:

- ჰო, მე ვარ.

- დედა... - ჩურჩულებს გოგო და ეღიმება, თვალებს დახუჭავს, სახე დაუმშვიდდება, გაყუჩდება, სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობა, გაფითრებულ სახეზე შავად მოუჩანს თმა, წარბები, ზედა ტუჩზე აშლილი ღინღლი და ხალი, ის ხალი!

ბიჭი ჩუმად დასცქერის მისი ჩამუქებული თვალის უპეებს, ჩაცვენილ ლოყებს, წამწვეტებულ ცხვირს და გრძნობს შიშისა და სასოწარკვეთილებისაგან როგორ ნელ-ნელა ეთოშება, რანაირად უხევდება მთელი სხეული.

გარედან აღარც სროლის ხმა ისმის, აღარც ხალხის წივილ-კივილი. ღამის სიბნელეში ჩაძირული ქალაქი გაყუჩებულა, დამნაშავესავით გატრუნულა, თითქოს სულაც გამქრალა და მის ადგილზე ერთი უშველებელი, პირდაღებული სიცარიელე დარჩენილა. ბიჭს ეჩვენება, რომ ის სიცარიელე აქაც შემოდის ღრიჭოდ დარჩენილ კარში მოიპარება და თანდათან ისრუტავს იმ მიუსაფარ, ნახევრად ბნელ სადარბაზოსაც, სადაც ქვის იატაკზე მკვდარი ჩიტივით ასვენია ეს სრულიად უცნობი და იმავე დროს ძალზე ახლობელი ადამიანი.

უეცრად, გარედან ლაპარაკი შემოესმება და სადარბაზოში ორნი შემოვლენ. ერთი ის არის, წეღან ექიმის მოსაყვანად რომ გაიქცა, მეორე, ალბათ - ექიმი. იგი დაჭრილის წინ ჩაცუცქდება, ხელში იმის მაჯას აიღებს, მომყვანს ახედავს და თავს პირუჩუმრად გადააქნევს.

- რა იყო? - ჩახრინწული ხმით ეკითხება იგი.

- იცნობდი?

- ჩემი უბნელია... სამი თვის წინ დედა მოუკვდა.

ბიჭს ფეხები გაუცივდება. უხმოდ დგას და ხან ერთ კაცს უყურებს, ხანაც - მეორეს.

ექიმი წამოდგება და ბიჭს მიაჩერდება:

- ეს ვინ არი?

- არ ვიცი, ბიჭია...

კაცი შუბლს მოისრისავს:

- ცოტა მოვიცადოთ და მერე ახლობლებს შევატყობინოთ.

ბიჭი გარეთ გავა და ჯორჯიაშვილის ქუჩაზე ანგარიშმიუცემლად დაეშვება.

მიდის, ნელ-ნელა უმატებს ნაბიჯს, თითქოს უნდა, რომ რაც შეიძლება ჩქარა გაეცალოს იქაურობას. ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმის, კაცი არსად ჭაჭანებს და უეცრად, იმ სროლის, იმ არეულობის შემდეგ პირველად ახლაღა ახსენდება კავლელიშვილი, მოაგონდება, რომ სანამ სროლა ატყდებოდა, ერთად იყვნენ, ერთად ყვიროდნენ, მერე კი სადღაც გაქრა და მას შემდეგ აღარ უნახავს. გაჩერდება და უკან მიიხედავს: ზემოთ, რუსთაველზე სიწყნარეა, ბნელა და აქედან არაფერი ჩანს, მაგრამ ბიჭმა ხომ იცის, რომ იქ, სისხლით მორწყულ ასფალტზე დაჭრილები და დახოცილები წვანან. დგას და არ იცის, როგორ მოიქცეს. ახლა რუსთაველზე

დაბრუნებას სიკვდილი ურჩევნია, მაგრამ რაღაც თუ ვიღაც დაჟინებით ურჩევს, განუწყვეტ-ლივ ჩასჩიჩინებს, რომ დაბრუნდეს და ამხანაგი მოძებნოს, რადგან უამისოდ ყოველივეს აზრი ეკარგება, უამისოდ ცა ჩამოინგრევა, მიწა გასკდება და თან ჩაიტანს.

ბიჭი შემობრუნდება და ჯორჯიაშვილის ქუჩის აღმართს შეუყვება. სწრაფად მიაბიჯებს. შიში და ის წეღანდელი სასოწარკვეთილება სადღაც გამქრალა და ისევ ეჩვენება, რომ უკვე დიდია, ღონიერი და ქვეყნიერებაზე აღარაფრისა ეშინია. მიდის, სადაცაა აღმართს აათავებს - აგე, სასტუმრო „თბილისი“, მალე ალბათ, დაჭრილი ხალხიც გამოჩნდება და უეცრად ნაცნობ სტვენას გაიგონებს. გულაჩქროლებული გაჩერდება და უკან მიიხედავს - იქ, ქვემოთ, სიბნელეში ორნი დგანან - ერთი დედაა, მეორე კი კავლელიშვილი!

ბიჭს რაღაც თბილი, მძლავრი ტალღა დაეჯახება და ზედ გადაუვლის. ქვემოთ დაეშვება. გული წინ უსწრებს, უნდა, რომ გაიქცეს, სირბილით ჩაიაროს თავდაღმართი, მაგრამ რაღაც უცხო, ჯერაც უცნობი ძალა არ უშვებს, დინჯად მიაბიჯებს და წინ შემოგებებულ, ცრემლით სახეჩამოსველებულ დედას ნელა, მძიმედ უახლოვდება.

<u>რ ე ქ ვ ი ე მ ი</u>

ჯერ ქალაქი: მაღალი, ნაცრისფერი სახლები, მანქანის სადგომები, გაჩერებული ქარხნის ჯართით მოღავებული ეზოები: ერთ დროს ყვითელი, ახლა კი ჟანგისგან შეჭმული, მუხლუხოჩაშლილი ტრაქტორი, ძველებური ბულდოზერი, მილები, შპალები, რელსები. ეს ყველაფერი ნელა, თითქმის უხმაუროდ მისრიალებს უკან. გამოჩნდება გრძლად გაჭიმული, სველი, მიუსაფარი ქუჩა. ტროტუარის გასწვრივ ჩარიგებული სავაჭრო ჯიხურები, ერთმანეთის გვერდით მიკუნჭულები, თითქოს ერთმანეთის მოიმედენი. ჯიხურების ხელისგულისოდენა სარკმელებიდან მოჩანს ანთებული სანთლები და ვიღაცათა სანთლის ნაღვენთისფერი სახეები. სველ ტროტუარზე მირბიან ძაღლები, ქეჩოაშლილები, მგლებივით კისერგაძაგრულები.

წვიმას გადაუღია, მაგრამ ცა ისევ ისეა მოღრუბლული, ჩამოდაბლებული, თითქმის მაღალი სახლების სახურავებამდე დაწეული. ერთი სახლის აივანზე ვიღაც ხალათმობურდნული ქალი თოკებზე სარეცხს ფენს. სველ ტროტუარზე ჩქარი ნაბიჯით მიდის სასკოლო ჩანთააკიდებული, თბილად ჩაფუთნული ბალღი, ვერ გაიგებ, ბიჭია თუ გოგო. ქუჩის გასწვრივ ჩარიგებულ აკაციებს თითქმის სულ გასცვენია ფოთოლი. ის ყვითელი ფოთლები ყრია ტროტუარზეც და აქეთაც, მანქანების სავალ გზაზე.

მოედანზე, ავტობუსის გაჩერებასთან სევდისმომგვრელად დგანან კაცები და ქალები. მათ შორის ყოჩაღად დაძვრებიან შუბლზე ქუდებჩამოფხატული ბიჭები - ჯერ სულ ათითორმეტი წლისანი, მაგრამ უკვე კარგად გამოჯეგილები, თვალებგაფაციცებულები.

რკინისგზის გასწვრივ სავაჭრო ფარდულები, ჩარდახიანი დახლები. დახლებზე თურქეთიდან შემოტანილი საქონელი - ფერადი ბურთები, შამპუნები,

ტელევიზორები, ზეთის ბოთლები, ჯინსები, ქურთუკები, კამფეტის ბრჭყვიალა კოლოფები. იქით - მანქანის ნაწილები, კიდევ უნიტაზები, ონკანები, აბაზანები, შპალერის რულონები, გაჯისა და ცემენტის ტომრები, ქვიშა, თაბაშირი, ბიტუმის დიდრონი მორგვები და ხალხი - სახეგაქვავებული გამყიდველები, გულჩაბოროტებული მყიდველების მაზუთის მდინარესავით ბლანტი ნაკადი.

ესეც, ეს ყველაფერიც ნელა, აუჩქარებლად მისრიალებს უკან, თვალს მიეფარება და გამოჩნდება სველი მინდორი, რომელსაც ყვითელი, ტალახიანი გზა მიუყვება. გზაზე წყლის პატარ-პატარა გუბეები, მანქანის ბორბლების ნაკვალევი. დაბალი, ჯერ ისევ მწვანედ მოღაღანე ბალახი. ნაგვის უშველებელი, შავად მხრჩოლავი გორები, ზედ მისეული, გულმოდგინედ მოფუთფუთე ადამიანები. ნაგავში დინგებწაყოფილი დაურიდებელი ღორები.

გზის იქით რკინის საწოლის თავებითა და მავთულის გაძაძღული, ჩაქელილი ბადით შემოღობილი ხელისგულისოდენა ნაბოსტნარები, მიწიდან ამოჩრილი კომბოსტოს გაყვითლებული ძირები, მწვანედ მოღაღანე ჭარხლები, დაგვალული, გამხმარი სიმინდები. შორს, ნისლში ჩაყუჟული ჭალის ტყე, ისიც სველი, შავად გამომზირალი.

რკინის თაღიანი ხიდის ქვეშ ხევი - ჩანაგვიანებული, ძველი, დაჭეჭყილი მაცივრებისა და გაზქურების სასაფლაო. ნელა, მდორედ მოდის ბინძური, თითქმის შავი წყალი. იმ მაცივრებსა და გაზქურებზე სხედან ყვავები, უხმოდ ჩასცქერიან ხავსიან ღელეს.

მინდორში საქონელი: დიდი, წითელი ძროხები, ნემსებივით წვერწამახულრქებიანი ორი მოზვერი, გრძელ ჯოხს ჩამოყრდნობილი გაფხოკილლაბადიანი მწყემსი.

გაკრეფილი, მოწყენილი ვენახები. ფოთოლგაცლილი ვაზები. ჯერ ისევ მწვანე კორდები. მანეულის ყვითელი, გადაბელილი როკები. ვენახისპირებში დიდი, დიდრონი კაკლები, იმათ ქვეშ გაფენილი ჟანგისფერი ფოთოლი. სცრის. აწვიმს ვაზებს, მანეულებს, მწვანე კორდებს, ასველებს ასფალტიან გზასაც.

გზის გასწვრის ჩარიგებული მაღალი ძაბვის უქმად მდგომი ანძები, ტელეგრაფის ბოძები. ბოძებზე გაბმული მავთულები აიწევენ მაღლა, ავლენ, ავლენ და მერე ისევ დაბლა ეშვებიან. ბენზინგასამართი სადგური, გაკრიალებული, გაჩახჩახებული, ინგლისური წარწერებით მორთულ-მოკაზმული.

ჯვრები. მარმარილოს სველი, შავი ფილები. კორდზე გამხმარი, გახუნებული უკვდავას კორომი.

საბუხრეებიდან ამომავალი ყომრალი კვამლი. ეზოში თივის ზვინი. იმ ზვინთან მიმდგარი ყბაშავი ცხვარი. სახლის აივანზე გადმოყუდებული ჭრელთავშლიანი თათრის დედაკაცი.

ქვემოთ მტკვარი. რიყეზე უხალისოდ სხედან თოლიები. წყალი გამკვრივებულა. ნელა, თითქმის შეუმჩნევლად მოდის და მოაქვს რაღაც შეუცნობელი ნაღველი.

ვაშლის გამხმარი, გასაცოდავებული ხეები, სველ მიწაზე შავად გადაფაფხულები. იქით და იქით გაკაფულები, ზოგგან ძირფესვიანად დაგლეჯილები და მიტოვებულები.

მინდორში ჩაწოლილ ნისლს ნელა ფანტავს მთებიდან აძრული ნიავი. ქარი თანდათანობით ძლიერდება.

ირხევა ნარზე შემომჯდარი ნიბლია ჩიტი, ეკლებზე ფრთებით იფართხება და თავს ისეღა იმაგრებს. თითქოს ისმის უცნაური, რექვიემის მსგავსი მუსიკაც.

გვალვა

მაღაზიის წინ, გზაზე კაცები დგანან და ლაპარაკობენ ამინდზე, იმაზე რომ გვალვაა, გადაიხრუკა ყველაფერი, ორი თვეა ნამი არ ჩამოვარდნილა მიწაზე, სარწყავი არხი კი მოშლილია - ვიღაცეებმა ჯერ კიდევ ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ მოიპარეს წყალსაქაჩის მოტორი, დაშალეს, ამოაცალეს სპილენძის მავთული და თურქეთის გზას გაუყენეს. ახალი მოტორია საყიდელი, ფული უნდა შეაგროვონ, მაგრამ ხალხს ფული არა აქვს; ვისაც აქვს, იმას არ სჭირდება ის მოტორი, წყალსაქაჩი და არხი, რადგან ფულს სულ სხვა საქმიანობით შოულობს და არა მიწის დამუშავებით.

კაცები ბოღმით ლაპარაკობენ ფულიან ხალხზე, თურქეთზე, სპილენძის ბაზარზე..

მოდის ამ დროს ქვემოდან შიო - სამოცდაათი წლის ჯერ კიდევ ჯანიანი კაცი, ლექსების მოყვარული, თითქმის მთელი ქართული პოეზიის ზეპირად მცოდნე და თავადაც პოეტი - ლექსების მთხზველი. გოდორაკიდებული მოდის, ღიმილით ათვალიერებს დაბოღმილ კაცებს, მიუახლოვდება და ამბობს:

„ჩამოსხდებიან ყორნები,
არ გაირევენ ძერასა,
კაცი ვერსაით წაუვა
თავის ბედსა და წერასა“.

კაცები მოჰხედავენ, უყურებენ უხმოდ, უსიტყვოდ. თანდათანობით ირონიული ღიმილი აუგრიხავთ ტუჩის კუთხეებს, მარტო მაღალი გივია ეუბნება გაბრაზებული, ჩახრინწული ხმით:

- ნეტა კი დედიშენისას არ მიირთმევდე შენა და!

შეცბუნებული შიო გაეცლება, ზემოთკენ გასწევს. მიდის და მიაქვს ძირგავარდნილი, ცარიელი გოდორი. ოდნავ, სულ ოდნავ ურაცრაცებს თავი.

ვენახი

დილით ქარი ჩადგა, მზე ამოვიდა და წუხანდელი ღრუბლის ნარჩენები ვარდისფრად შეღება. ნიკამ დაბამბული ქურთუკი და ქირზის დაფხოკილი ჩექმები

ჩაიცვა, ყურებიანი ქუდი დაიხურა, აივანზე გავიდა და ხის მოაჯირს ხელებით დაეყრდნო.

ალინჭყულ ეზოს მარტის მზე მოსდგომოდა და ათბობდა. ტალახს თხელი, ოდნავ შესამჩნევი ორთქლი ასდიოდა. ნიკა ჩუმად ათვალიერებდა დაბალ გომურს, სათონეს, ღობის ძირში მოკუტკუტე ქათმებს, გომურის კედელთან მოფანტულ თივას, ცულით გაღეჯნ კუნძსა და მესერზე აყუდებულ ფუჩეჩის კონებს.

მოვიდა, საიდანღაც გალექებული მოვარდა მურა და აივანზე გადმომდგარი პატრონის დანახვით გახარებული მოჰყვა ხტუნვასა და მხიარულ წკმუტუნს.

ნიკა გაღიმებული უყურებდა ძაღლს, მერე ხის კიბეზე ჩავიდა, მარნის მშრალ დერეფანში კედელზე მიყუდებული სახრე აიღო და ეზოში გავიდა.

მურა მაშინვე ფეხებში გაუგორდა, ზედ გაეგლასუნა, განზე გაუხტა და მერე ისევ გაეგლასუნა ფეხებზე.

ნიკა შეწუხებული ღიმილით იგერიებდა ძაღლს, მაგრამ არც სახრე მოუქნევია და არც ხმამაღალი სიტყვა უთქვამს. ფრთხილად, ჯოხის ბჯენით გადაიარა ტალახიანი ეზო და ის იყო, ჭიშკარი უნდა გამოეღო, რომ ცოლის ხმა შემოესმა:

- საით გაგიწევია შენა?!

ნიკა მობრუნდა და აივანზე გადმომდგარ, დოინჯშემოყრილ ქალს დანაშაულზე წასწრებული კაცის მორიდებული ღიმილით მიაჩერდა:

- ვენახში მივდივარ...

- უი, მამიკვდეს თავი! ვენახში რა გინდა, ადამიანო?!

- რა უნდა მინდოდეს, ჩავალ, ჩავხედავ...

- უიმეე, არა, ნიკა, გენაცვალე, არა!

- მაშ, როდემდე ვიჯდე სახლში?

- კაცო, ვერ გაიგე, რა გითხრა ექიმმა?!

ნიკამ უმწეოდ გაიხედ-გამოიხედა:

- რა გინდა ქალო, განა უნდა ვბარო, რო...

- არც ეგ გაგიკვირდება. მოდი, მობრუნდი შინა!

- აკი მითხრეს, იარე ხოლმეო.

- მერე? აი ეზო, დადექი და იარე!

- ვერახი რაღა შორია, რა...

- შენა, კაცო, აღარ უნდა მოიშალო შენებური?! როდემდე უნდა იყო ეგეთი კემუტი, ვეღარ გაიგე, რო ის ნიკა აღარა ხარ?!

ძაღლი ისევ ფეხებზე გაეგლასუნა პატრონს, მაგრამ იმან გაბრაზებულმა ამოუქნია წიხლი. მურა განზე გახტა, მოშორებით დადგა და ენაგადმოგდებულმა, აქასქასებულმა ახლა იქიდან დაუწყო კუდის ქნევა.

- რა გინდა, დედაკაცო, რას გადამეკიდე ძველი ხურ-ჯინივითა, - ხმაში სუსხი გაირია ნიკამ, - ვენახში ჩავალ-მეთქი, იქ ხო არ მივდივარ, აიქა!..

მურამ მხიარულად შეჰყეფა და პატრონს აციმციმებული თვალებით მიაჩერდა.

- გაიწყვიტე ხმა! - დაუყვირა ნიკამ.

ძაღლმა კუდი ამოიძუა, პატრონს გაერიდა და გომურის კედელთან თივაში ჩაწვა.

ნიკას ცოლმა მოკუმულ ტუჩებზე ხელისგული მიიფარა, ერთხანს ეგრე უყურა, თვალები ჩაუნაღვლიანდა, მერე უთხრა:

- ბიჭი მაინც წაგეყოლებინა, კაცო...

- ბიჭი არა! - ხელი აუქნია ნიკამ, მერე კუტიკარი გამოაღო და გზაზე გავიდა.

გზა ალინჭყულიყო, მაგრამ საქონლის ნაჩლიქარებს შორის წყვილად მიდიოდა მანქანის ბორბლების ორი კარგად გატკეპნილი ნაკვალევი და ნიკაც ერთ-ერთ მათგანს გაუყვა. ნელა მიდიოდა, სახრეს მიიბჯენდა და ჩუმად ათვალიერებდა ორღობეს, გზის აქეთ-იქით ჩარიგებულ სახლებს, ნაბოსტნარებს, ნაფუზრებში ჩადგმულ თივის ბულულებს და იმ ბულულებთან მობალახე თითო-ოროლა ცხვარსა და ხბოს.

წყაროსთან, გუბეში ყიპყიპით ჭყუმპალაობდნენ იხვები. შორიახლოს ორი პატარა ბიჭი ტუტუნებდა.

ნიკას დანახვაზე ბიჭები გაჩუმდნენ და გამხდარ, გაყვითლებულ კაცს თვალების ხამხამით მიაჩერდნენ. ერთი შაქრიასი იყო, მეორე - შალასი.

ნიკას გაეცინა:

- გამარჯობათ, ე! როგორა ხართ?

- კარგად. თქვენა, თქვენ როგორღა ხართ ნიკა ძია? - ჰკითხა შაქრიასამ.

- კარგად, მეც კარგად! - გაიცინა ნიკამ და გზა განაგრძო.

ჩასცდა წყაროს, ჩაუარა დომბურის სახლს და ვენახებისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. მიდიოდა ნელა, ზოგჯერ გაჩერდებოდა, ისვენებდა. ამ დროს საქმიანად ჩაიცქირებოდა, რუში.

რუს პირს მოსდებოდა შარშანდელი, მაგრამ ჯერაც მწვანედ მოღაღანე ვირისპიტნა, იმ ვირისპიტნების ძირში წყალს მიეხვეტა კაკლის გაყავისფრებული, ზამთარგამოვლილი ფოთოლი, ლობიოს დამბალი კუწეწი და კაკლისავე გაშავებული წენგო.

იდგა, ათვალიერებდა, იმ ვირისპიტნებს, იმ ფოთლებს, კუწეწს, წენგოს. ათვალიერებდა, თან ისვენებდა. მერე ისევ წავიდოდა, ტალახს ფეხს არიდებდა, ცდილობდა, ბილიკის გასწვრივ, ამწვანებულ კორდზე ევლო.

ვენახამდე ისე ჩავიდა, რომ აღარავინ შეხვედრია.

მალე შორიდანვე დაინახა საკუთარი ვენახის ღობე, გულაჩქროლებული გაჩერდა, ჩუმად მოათვალიერა იქაურობა. მომიჯნავე ბაღში ვალიკო ბარავდა, მარჯვედ, ღონივრად მუშაობდა.

ნიკამ ერთხანს უყურა, მერე დაუძახა:

- გამარჯობა, ვალიკო!

ვალიკომ თავდაღუნულმა გამოიხედა, ნიკას დანახვაზე გაიღიმა, ბარი მიწაში ჩატოვა და გაღიმებული წამოვიდა.

- შენა ხარ, ნიკა? - ჰკითხა მოახლოებულმა.

- ჰო, მე ვარ.

- როგორა ხარ, კაცო?

- აი, როგორა ვარ... - ხელები გაშალა ნიკამ.

- ეე, შერცხვენილი ვარ შენთან, შერცხვენილი... - დაიწყო ვალიკომ.

- კარგი ერთი და!
- ვეღარა გნახე, კაცო, აი, დღეს, აი ხვალ და…
- ეგ არაფერი.
- როგორ არაფერი, მაგრამ, აბა…
ვალიკო ღობეს მოადგა და იქიდაგ გადმოაწოდა დიდი, ხორკლიანი ხელი.
ნიკამ ჩამოართვა:
- არა ტალახობს, ვალიკო?
- ეჰ, ტალახობს, მაგრამ…
- ეს მზე გააშრობს, ხვალ უფრო კარგი საბარი იქნება.
- ხვალ, აბა, მცალია, რო? ჰა, თქვი, ეხლა, როგორა ხარ?
- რა ვიცი, აი გამოვღოღდი გარეთა…
- შეგიხორცდა?
- ხორცდება ნელ-ნელა, - მკერდზე ჩამოისვა ნიკამ ხელი.
- გტკივა თუ აღარა?
- არა, აღარა. ხანდახან თუ გამკრავს ხოლმე.
- ეგ კარგი ჭირი მოიშორე ნიკავ!
- მაშ, კაცო. ხო გახსოვს, წვეთს ვეღარა ვსვამდი…
- ეხლა რა გითხრეს, არ გითხრეს ცოტ-ცოტას მიეპარეო?
- ჰო, დალიეო.
- მერე?
- რა მერე, - გაეცინა ნიკას, - ცოტა დრო ხომ უნდა გავიდეს!
- ნელ-ნელა უნდა მიეჩვიო, კაცო, - დაარიგა ვალიკომ, - დღეს ერთი ჭიქა დალიე, ხვალ - ორი, ზეგ - სამი და ეგრე…
- გუშინ დავლიე ერთი დიდი სტაქანი! - საქმიანად თქვა ნიკამ.
- მერე, ხო კარგადა ხარ?
- კარგად.
- გიშველა ღმერთმა! მაიცა, გამოკეთდი, იგეთი ღვინო დაგალევინო, რო!
- ღვინო მეც კარგი მაქვს! - გაიცინა ნიკამ.
- გექნება, რატომ არ გექნება!
- წავალ ეხლა, ვენახს თვალს გადავავლებ…
- აბა, თავს გაუფრთხილდი, იცოდე!
ნიკა წავიდა. კაკლის შარშანდელ ფოთლებს მიაშრიალებდა. ეგრე შრიალშრიალით მიადგა ჭიშკარს, შეაღო და შიგ შეაბიჯა.
მშვიდად, უჩუმრად მიეგება ნაზამთრალი ვენახი, ფოთოლგაცვენილი ვაზები, თოვლის წყლით გაჟიებული მიწა, გვერდზე გადაყანთრული, გაშავებული ქოხი.
ზემოთ აუყვა.
ნელი, მძიმე ნაბიჯით აიარა ბალახგადავლილი ბილიკი, თავში ავიდა და ვაშლის დაფუტუროებულ კუნძზე ჩამოჯდა.
იჯდა და უცნაურ ბურუსში წასული უყურებდა ვენახს, საიდანაც რაღაც სევდიანი სიმშვიდე მოდიოდა.
ის სიმშვიდე ნიკას დაკემსილ გულს მალამოდ ედებოდა.

<u>საქართველო მსოფლიოს რუკაზე</u>

- გოგი!

- ბიჭო, გოგია!

გოგიას ესმის, მაგრამ ყურს იყრუებს, ტახტზე გულაღმა წევს, ხელში გაზეთი უჭირავს.

- გოგი, არ გესმის, კაცო?!

გოგია ხმას არ იღებს. იცის, რატომაც ეძახიან. არ უნდა ისევ დილიდანვე გააბას არყის სმა და ეს კვირადღეც ჩაიშხამოს.

ახლა კედელზე უკაკუნებენ. კედელი თხელია, ფიცრისა, ზედ ადამისჟამინდელი გახუნებული შპალიერია გაკრული.

- გოგია, ბიჭო!

- ადექი, კაცო, გაჰხედე, იქნება რა უჭირთ! - ეუბნება ცოლიც.

- მე ვიცი, მაგათ რაც უჭირთ…

- ადექი, სირცხვილია!

გოგია წამოდგება, ფეხებს ფლოსტებში წაჰყოფს, სა-ერთო აივანზე გავა და მეზობელი ბინის კარს შეაღებს.

ზაირა ნავთქურაზე შემოდგმულ ტაფაში სქლად დაჭ-რილ კარტოფილს წვავს, იმისი ქმარი ზაურა კედელზე აკაკუნებს, თექვსმეტნომრელი ჯემალა კი არყის თითქმის ბოლომდე დაცლილ ბოთლს ნაღვლიანი სახით მისჩერებია.

- რა გინდათ? ეკითხება იმათ გოგია.

- ვა, მოხვედი გიორგი? - უხარია ზაურას, - მოდი, დაჯექი! - ბოთლში ჩარჩენილ არაყს ჭიქაში ჩაუწურავს და მიაწვდის.

- არ მინდა. - თავს გააქნევს გოგია.

- დალიე, კაცო!

- არ მინდა, არა!

ერთხანს სიჩუმე ჩამოწვება.

- კარგი, ისე მაინც დაჯექი. აი, შემწვარი კარტოფილი ხო გიყვარს!

- გოგია სკამზე ჩამოჯდება და ნაცნობ ოთახს მოათვალიერებს: ორი საწოლი, ტანისამოსის კარადა, „პურის შკაფი“, ექვსი ცალი ძველი, მორყეული სკამი. იმისი ბინის მომიჯნავე კედელზე ფერადი ჟურნალიდან ამოჭრილი სურათები და მსოფლიოს დიდი პოლიტიკური რუკაა გაკრული.

- ხო ხედავ, გოგი, რა დღეში ვართ… - არყის ცარიელ ბოთლზე ანიშნებს თექვსმეტნომრელი ჯემალა.

- მერე მე რა გიყოთ?

- რა უნდა გვიყო, ერთი არაყი გვიყიდე.

„თუ არ ვუყიდე, არ მომეშვებიან ესენი“, - ფიქრობს გოგია.

- კარგით, გიყიდით, ოღონდ ამ რუკაზე საქართველო მიპოვეთ!

ზაურა და ჯემალა ერთმანეთს გადახედავენ.

- მართლა იყიდი? - ეკითხება დაეჭვებული ზაურა.

- ჰო, რა იყო, იპოვეთ და ვიყიდი, მეტი რა ვქნა?!

ზაურა ჯემალას მიაჩერდება, ჯემალა ზაურას. ოთახში სიჩუმე ჩამოწვება, ტაფაზე დასხმული ზეთის შიშხინიღა ისმის.

- მე რომ ვიპოვო შეიძლება? - მორიდებით ეკითხება ზაირა.

- შენა?

- ჰო.

- იპოვე რა!

ზაირა ტაფას თავს მიანებებს და რუკასთან მივა. დიდი, მჭრელი დანა უჭირავს ხელში და იღიმება.

ჯემალა და ზაურა დიასახლისს იმედის თვალით მიაჩერდებიან.

ზაირა ჯერ ავსტრალიას მოათვალიერებს კარგად, მერე აფრიკაზე გადავა, ქვემოდან ზემოთ აუყვება და უეცრად სახეზე ნათელი მოეფინება:

- აი, აქ იქნება სადმე! - ამბობს და დანის წვერით ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ქვემოთ აფხაჭუნებს.

გოგია ადგება და რუკასთან მივა. ჯემალა და ზაურა დაძაბული სახით მისჩერებიან იმათ.

- ნახე, - ეუბნება ზაირა, - ზაირი წერია აქა!

- ზაირი თუ ზაირა? - ეცინება გოგიას.

თექვსმეტნომრელ ჯემალასაც ჩუმად ეღიმება, გოგიას თვალს ჩაუკრავს.

- ჰა, რა იყო, - ეუბნება იმას გოგია, - ეხლა არა თქვა, მე ვიციო!

- ვიცი, მა რა!

- აბა სად არი?

ჯემალა მეორე ნახევარსფეროზე ანიშნებს - სამხრეთ ამერიკაზე, თან ვითომ არ უნდა, რომ ზაირამ დაინახოს.

- აბა, შენა ხარ, აი! - ეუბნება გოგია.

ზაურა თანდათან იბოღმება, მერე ცოლს შეუღრენს

- ეე, შე ჩემა, როდემდე უნდა იყო ეგეთი ახვარი, ხო ხედავ გვაღადავებს - რა უნდა მანდ საქართველოს, ეგ ხო მსოფლიოს რუკაა!

გოგია ჯიბიდან ხუთლარიანს ამოიღებს, მაგიდაზე დააგდებს და კარისკენ წავა. სანამ გარეთ გავიდოდეს, მოიხედავს და ჯემალას ეტყვის:

- იცოდე, ხურდა მომიტანეთ, სულ არ დახარჯოთ, გაიგე?

აივანზე გასული ხის მოაჯირს ხელებით დაეყრდნობა და ქვემოთ გაიხედავს, აქედან ხელისგულივით მოჩანს მთელი უბანი - ახლადგამოფოთლილ ჭადრებსა და აკაციებში ჩაფლული ძველი, კედლებდაბზარული, სახურავ-დაზნექილი სახლები, ვიწრო, მოუკირწყლავი ქუჩები. ჰაერში ლაღად დასრიალებენ ნამგალები და თან რაღაც უცნაური, სასოწარკვეთილი ხმით ჟღივიან.

<u>მწერლის ცოლი</u>

ერთ მწერალს მეც ვიცნობდი, თქვენნაირს - დაჯდებოდა, შემოიდებდა შუბლზე ხელს და წერდა.

სისხლს გვიშრობდა მისი ცოლი მეზობლის ბავშვებს - ნუ ხმაურობთ, დიმიტრი მუშაობსო.

რას მუშაობდა ვერ გეტყვით, თუმცა მისი რომანი კი მაქვს წაკითხული, „სახლი ცაცხვქვეშ“ ერქვა. სანამ ორჯერ არ დამაბანინა თამარამ ხელები, არ წამაკითხა.

შევუჩნდი, წამაკითხე, რა იქნება-მეთქი! დიმიტრი აღარ იყო უკვე ცოცხალი.

- მიჩვენე, აბა, ხელებიო!

ვუჩვენე.

- საპნით დაიბანე და წაგაკითხებო!

დავიბანე, რა უნდა მექნა.

გამომიტანა. კედელზე დაკიდებული დიმიტრის გადიდებული სურათის უკან ჰქონდა დამალული ის რვეული.

- დაჯექი და წაიკითხეო.

- შინ გამატანე, თამარა ბიცოლა-მეთქი. - არაო, წაკითხვა თუ გინდა, აქაც კარგად წაიკითხავო!

რაღას ვიზამდი, დავჯექი და დავიწყე კითხვა.

სანამ ბოლომდე არ ჩავედი, თვალი არ მოუშორებია - იდგა გულხელდაკრეფილი და მიყურებდა, თითქოს, დიმიტრის რომანს კი არა, ლენინის ხელნაწერს ვკითხულობდი კრემლის ბიბლიოთეკაში.

განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა იმ რომანში, მაგრამ, დაკვირვებული ვარ, არც თქვენს ნაწერებში ხდება მაინცდამაინც დიდი ამბები. ერთი ოჯახის ისტორია იყო მოთხრობილი და მახსოვს, ერთმანეთის მიყოლებით იხოცებოდა იმ ოჯახის ყველა წევრი. ახლა რანაირად, არ იკითხავ? - იმათი სახლის კიბეს ერთი საფეხური ჰქონდა ჩამტვრეული და ყველა იმ საფეხურზე იტეხდა კისერს.

შეეკეთებინათ მერე, ის საფეხურიო, იტყვით, და მეც ეგ აზრი გამიჩნდა კითხვისას, მაგრამ ვისთვის მეთქვა, ავტორი ე. ი. დიმიტრი სამი წლის მკვდარი იყო უკვე.

მისი სიკვდილის შემდეგ, განცხადებას ვეღარავინ დაგიწერს სოფელში. იმისთანა განცხადების წერა იცოდა, ქვას ხეთქავდა. მე შენ გეტყვი, გამოგართმევდა რამეს - ღვინისა და არყის მეტს ხელს არ კიდებდა არაფერს.

სასმელზე, როგორც ვატყობ, არც თქვენ ამბობთ უარს და დიმიტრისაც ძალიან უყვარდა. რომ გადააბამდა, ორი-სამი კვირა და ზოგჯერ, მთელი თვეც მთვრალი იყო. ასეთ დროს, ცხადია, არაფერს წერდა, იწვა ლოგინში და უზიდავდა თამარა მაღაზიიდან ღვინო-არაყს.

ცოლი მყავსო, იმას უნდა დაეტრაბახა. იცოდა დიმიტრის ფასი, მაგრამ დიმიტრიმაც იცოდა თამარას ფასიო, ვერ ვიტყვი: წავიდოდა, ზოგჯერ დაიკარგებოდა, თვეობით არ ჩანდა. დადიოდა, ეძებდა საწყალი თამარა, შეაჯერებდა ქვეყანას, მარა დიმიტრის იპოვიდი შეენ?! ბოლოს მოიტანდნენ ამბავს - დიმიტრის

ამა და ამ რაიონში ცოლი შეურთავს, კაი გამართული ოჯახი უშოვნია, ქერის ორმოშია ჩავარდნილიო!

გადაირეოდა სოფელი. ლანძღავდნენ ამ დიმიტრის, თათხავდნენ, აღარ იყვნენ თამარას საცოდაობით.

თვითონ თამარა არაფერს იმჩნევდა, ერთს არ დაიწუწუნებდა, ერთ კურცხალს არ გადმოაგდებდა. დიმიტრის აუგს რომ ეტყოდა ვინმე, ძალიან წყინდა.

- რა მოხდა, მწერალი კაცია, გაივლის, გამოივლის, თვალს წყალს დაალევინებს და მოვა ისევ შინო!

ისე ყველაფერი კარგი აგიხდათ, ორ-სამ თვეში მართლაც მოვიდოდა! დამინახავს, ასეთ დროს, როგორ დადიოდა თავისი სახლის გრძელ აივანზე, ხელები უკან ჰქონდა დაწყობილი და რაღაცას გატაცებით უყვებოდა თამარას. ისიც ტახტზე მჯდომი, თვალცრემლიანი და პირღიმილიანი მისჩერებოდა თავის დიმიტრის.

ერთხელ, ჩვენი სოფლიდან, ორმა კაცმა სიმინდი წაიღო ქართლში, არაყზე უნდოდათ გადაცვლა. დაღამებიათ ერთ სოფელში და ნაცნობთან დარჩენილან ღამის გასათევად. მასპინძელს უთქვამს - აგერ, სამეზობლოში, ქორწილია და გადავიდეთ, წავიქეიფოთ გემოზეო. გადასულან და რას ხედავენ - ეს ჩვენი დიმიტრი არაა წამოჭიმული ნეფედ?

თვალით უნიშნებია, არ გამთქვათ, იცოდეო და იმ კაცებმაც მაშინ კი შეუნახეს პირი, მარა სოფელში მობრუნებულებმა ცოლებს უამბეს ყველაფერი და იმათაც, რასაკვირველია, თამარას მიურბენინეს ეს ამბავი.

წავიდა საწყალი თამარა, წაიყვანა ბავშვებიც, ჩავიდა იმ სოფელში და დაადგა თავის კაცს თავზე. ზის ის თურმე აივანზე, გადუდია ფეხი ფეხზე, პირში პაპიროსი აქვს გაჩრილი, უკრავს კაი ბანტიან გიტარაზე და მღერის ტკბილად.

გადარეულა მათ დანახვაზე:

- დედა, რას მევესწარი, ამათი ჭირიმე, ჩემი საყვარელი და და დისშვილები მესტუმრნენო! - თან უბრიალებს თურმე თვალებს, არ გამთქვა თამარა, თორემ დაგვხოცავენ ორივესო.

წამოჰყოლია მაინც. ახალი შერთული ცოლისთვის უთქვამს, წავყვები ჩემს დას სოფელში, რაღაც საქმე აქვს და ორ დღეში ისევ აქ ვარო.

ახლა ყველას გახსენება ძნელია, მაგრამ მე რაც ვიცი, ერთი ცოლი დუშეთში ყავდა, მეორე - ტყიბულში, მესამე - ზნაურში, მეოთხე, ქე გითხარი, - სადაც და მეხუთე, მგონი - ფოთში.

მარა არ მიკვირს: როგორც გამიგონია, ეს მრავალცოლიანობა არც თქვენთვის ყოფილა უცხო ხილი და დიმიტრი რა ისეთი გამონაკლისი იქნებოდა!

ნამეტანი შესახედი კაცი კი იყო, ლამაზი, წარმოსადეგი, ის რომ ულვაშზე ხელს გადისობდა, ჭკუას კარგავდნენ თურმე ქალები. ახლა როგორი მომლხენი, მომღერალი, როგორი მსმელი, მარა მუშაობა არ უყვარდა მაინცდამაინც.

- მაგენი ბიძიკო, სულელები არიანო, - იტყოდა მხარზე თოხგადებული, ყანაში მიმავალი მეზობლების დანახვაზე, - სულელებმა უნდა იმუშაონ და ჭკვიანებმა ჭამონო!

გამოუტანდა, ზოგჯერ საწყალი თამარა ბარს:

- ე, ბიჭო, საბოსტნე მაინც დამიბარეო!

- რას ამბობ, ქალო, მიწას შევაწუხებო?! ამან უნდა ჩამიკრას ასი წლის მერე გულში და ამას შევაწუხებ, ამასო?!

ერთხელ, ხიდს რომ აშენებდნენ მდინარეზე, დიმიტრი „დესიატნიკად“ ყავდათ. წაუყვანია მთელი მისი ბრიგადა შესვენებაზე და გაუშლია კარგი პურმარილი, ისე, რომ სულ დავიწყებიათ ის ხიდი და მისი მშენებლობა. მოსულა, სწორედ იმ დროს, თავსხმა, მოვარდნილა საშინელი დელგმა, წაუღია ყველაფერი - ხიდიც და სამშენებლო მასალებიც.

გამორბის თურმე საწყალი თამარა, იპუტავს თმას:

- კაცი დამიღრჩო წყალმა, კაციო!

შეხვედრია ვიღაცა:

- ვინ კაცი დაგიღრჩო, შე ქალო, აგერ ქეიფობს, პაჭკორიას დუქანშიო!

ამას რომ იგონებდა, დიმიტრი, იცინოდა - მე რომ მუშაობა მყვარებოდა, ახლა კაი ხნის მკვდარი ვიქნებოდიო! მარა თამარა არ ემდუროდა, ადრეც გითხარი, იცოდა მისი ფასი და იმიტომ.

საკუთარი თავის ფასი დიმიტრიმაც კარგად იცოდა. მეო, ამბობდა, ვაჟა-ფშაველაზე დიდი მწერალი ვარო, ჩემს ფასს ვერ გაიგებენ ესენი, მაგრამ მოვა დრო და მაღიარებენო.

არ მოსულა, ეტყობა, ჯერ ის დრო.

თუმცა, როგორ უნდა აღიარონ, არ მესმის - იმ ერთი რვეულის მეტი სხვა არაფერი დარჩენია და ისიც საცოდავ თამარას გავატანეთ საიქიოში, თვითონ დაიბარა - მე რომ მოვკვდები, ჩემი დიმიტრის ნაწერები ჩამაყოლეთ კუბოშიო.

კი, ასე იყო.

<u>მ ო ბ ი ლ უ რ ი ტ ე ლ ე ფ ო ნ ი</u>

შაბათს №-ის გასვენებაში ვიყავი - მწერალთა კავშირის შენობიდან უნდა გამოესვენებინათ. პრეზიდენტს ელოდებოდნენ და ამიტომ უამრავი ხალხი მოვიდა, ვინ გინდა, რომ იქ არ იყო, ყველა ძალიან ღელავდა. საგზაო პოლიციამ ქუჩა დილიდანვე გადაკეტა.

ორის ნახევარზე ვიღაც თავაზიანმა, მაგრამ მკაცრი სახის ახალგაზრდებმა სამძიმარზე მოსული ხალხი მარცხენა ტროტუარისკენ მიხვეტეს და ქუჩის მარჯვენა ნაწილი მთლიანად გაათავისუფლეს.

ორს რომ თხუთმეტი წუთი დააკლდა, ქუჩის ბოლოში პრეზიდენტი და მისი ამალა გამოჩნდა. ფეხით მოდიოდნენ.

მაშინვე შევჩოჩქოლდით და წინ მივიწიეთ: ყველას გვინდოდა, გამოსაჩენ ადგილზე დავდმდგარიყავით, რომ პრეზიდენტს შევემჩნიეთ, მაგრამ ჩვენზე გერგილიანებს თავიდანვე დაეჭირათ თადარიგი და ამიტომ ყველა კარგი ადგილი დაკავებული აღმოჩნდა, თან იმ მკაცრი სახის ბიჭებმა მწყემსის ნაგაზებივით წინიდან დაგვირბინეს და ისევ უკან მიგვკუნჭეს.

რაღას ვიზამდით, ბედს დავმორჩილდით და სახეზე გულგრილი გამომეტყველება, ზოგმაც ირონიული ღიმილი ავიფარეთ.

პრეზიდენტი მოგვიახლოვდა. უკან პარლამენტის თავმჯდომარე, ქალაქის მერი და სხვა პასუხისმგებელი პირები მოსდევდნენ.

ხალხმა სული განაბა. ეს ამდენი წყვილი თვალი მხოლოდ მას - თეთრთმიან, უქუდო კაცს მისჩერებოდა.

სხვათაშორის, ისიც გვიყურებდა, გვათვალიერებდა, ზოგს ოდნავშესამჩნევად გვიღიმოდა, ზოგს თავს გვიქნევდა და, გინდა დაიჯერეთ, გინდა - არა, ერთ-ერთ ჩვენთაგანს ხელიც კი ჩამოართვა. მე არა, აბა, მე ხელს როგორ ჩამომართმევდა, როცა, ჯერ ერთი, არ მიცნობს და მეორეც, ისე შორს ვიდექი, იქამდე ხელს ნამდვილად ვერ მომიწვდენდა.

ქუჩა ამოიარეს, მწერალთა სასახლეში შევიდნენ და ხალხმაც შვებით ამოისუნთქა, ნელ-ნელა წინ მიიწია, ცოტათი შეხალვათდა, მაგრამ იქითა ტროტუარზე გადასვლა მაინც ვერავინ გაბედა.

ახლა იქ, შიგნით სამგლოვიარო მიტინგი უნდა გამართულიყო, მიტინგი რადიოფიცირებული იყო და გამომსვლელთა ხმა, წესით, აქაც, ქუჩაშიც უნდა გაგვეგონა, მაგრამ დიდი ხნის უნახავმა ნაცნობ-მეგობრებმა ერთმანეთში ისეთი გაცხოველებული საუბარი გააბეს, რომ იქაურობა საშინელმა ყაყანმა გააყრუა.

ერთი წუთით წარმოვიდგინე, როგორ იწვა ახლა კუბოში საწყალი №-ი - არცთუ დიდად ნიჭიერი, მაგრამ ძალიან ყოჩაღი მწერალი და როგორ უხაროდა, რომ მის გასვენებას თავად პრეზიდენტი ესწრებოდა! ის ხომ მთელი ცხოვრების მანძილზე სწორედ ამისთვის იღვწოდა, ამიტომ გამოდიოდა რადიოთი, ტელევიზიით, ამიტომ იდგა მუდამ გამოსაჩენ ადგილზე და ბოლოს და ბოლოს სწორედ ამიტომ წერდა იმ თავის წიგნებს!

მკვდარი კაცის როგორ უნდა შეგშურდეს, მაგრამ ერთი წამით, მის ადგილზე ყოფნა ვინატრე.

ციოდა. ჩემს მარჯვნივ მდგომმა, კარგად ჩაცმულ-დახურულმა, ჯერ ისევ ახალგაზრდა კაცმა ჯიბიდან მობილური ტელეფონის აპარატი ამოიღო და ნომერი აკრიფა.

ჩემს მარცხნივ მდგომი, ასევე კარგად ჩაცმულ-დახურული კაცის პალტოს ჯიბეში მაშინვე ტელეფონის ზარი აწკრიალდა. მან სასწრაფოდ ამოიღო თავისი მობილური და ყურზე მიიდო:

- გისმენ!
- რას შვრები? - ჰკითხა მარჯვნივ მდგომმა.
- არაფერს, შენ რას შვრები?
- №-ის გასვენებაში ვარ.
- რას მეუბნები, მეც №-ის გასვენებაში ვარ!
- მართლა?! რა ადგილას დგახარ?
- აქვე შესასვლელთან, ცოტა ზემოთ. შენა?
- მეც!

ორივემ აქეთ-იქით დაიწყეს ცქერა, მაგრამ ერთმანეთი ვერ დაინახეს, მე ვეფარებოდი.

- მოიცა, ლორთქიას ხედავ?

- ვხედავ.

- გიზოს?

- გიზოსაც.

- მითხარი, ვის გვერდით ხარ.

მარჯვნივ მდგომმა ცალი თვალით შემათვალიერა:

- რა ვიცი, ვიღაც მაზალო ტიპია, წვერებიანი...

- ვაი?! მეც მაგის გვერდით ვარ!

- მართლა?!

ახლა კი ვინამუსე და უკან დავიწიე.

მობილურები არ მოუშორებიათ, ისე გადაკოცნეს ერთმანეთი.

- როგორ ხარ? - ყურმილს ჩასძახა მარცხენამ.

- კარგად. შენ?

- მეც კარგად.

- გუშინ სად იყავი, გეძებდი.

- გამორთული მქონდა.

- მოდიხარ ქელეხში?

- მოვდივარ.

- მაშინ, იქ გნახავ. იცოდე, ადგილი შემინახე, სალაპარაკო მაქვს.

- კარგი.

მობილურები გამორთეს და პალტოს ჯიბეებში ჩაილაგეს.

მე ისევ წინ წავდექი.

ამასობაში სამგლოვიარო მიტინგიც დამთავრებულიყო. პრეზიდენტი ქუჩაში გამოვიდა და ქვემოთ დაეშვა. უკან ისევ ის ხალხი მისდევდა. მარტო ერთი კაცი შემატებოდათ - მწერალთა კავშირის თავმჯდომარე - პრეზიდენტს გვერდით მიჰყვებოდა და რაღაცაზე აცინებდა.

სულ მალე ქუჩის ბოლოში ჩავიდნენ და თვალს მიეფარნენ.

უეცრად, ჩემი მეზობლის ჯიბეში ისევ აწკრიალდა ტელეფონის ზარი.

- ჰო, რა გინდა.

. . .

- კი, იყო, ახლახანს წავიდა.

. . .

- როგორ არა, მომესალმა კიდეც!

. . .

- კარგი, ნუ იცი ხოლმე ეგრე... მოვალ და ყველაფერს გიამბობ. - მერე აპარატი გამორთო და პალტოს ჯიბეში ჩაიდო.

ვნებათაღელვამ ჩაიარა. ხალხი დაწყნარდა.

ახლა უდრტვინველად იდგნენ და მიცვალებულის გამოსვენებას ელოდებოდნენ. სიჩუმეს მობილური ტელეფონების მელოდიური წკრიალი არღვევდა.

ხევსურის ხმალი

დილოიძეს, თუშს, ჯერ ისევ პირტიტველა ბიჭს ერთი უხეირო ჩვევა ჰქონდა: ნადირობისას, საფარში მჯდომს, უნებურად კბილების კაწკაწი აუტყდებოდა ხოლმე. რა იყო, რისა იყო, დილოიძემ ეს არ იცოდა და სირცხვილით ვერც ვერავის ეკითხებოდა.

ახლაც სწორედ ამისი ეშინოდა და მართლაც, როცა ეწერი გაიარეს და ცხენ-კაციანად ერთი გორის ნაკუდალს ამოეფარნენ, აუტყდა ისევ იმ ოხერი კბილების კაწკაწი!

რა ექნა, რა ეღონა?

იბჯენდა ნიკაპს მკერდზე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა თავს იკავებდა, მაგრამ მაინც კი ყველას ესმოდა იმისი კბილების კაპუნი. რაზმელები აქეთ-იქით იხედებოდნენ, უყურებდნენ დილოიძესაც, თანაგრძნობით უღიმოდნენ, ის კი საწყალი, ნატრობდა - ნეტავი მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოსო!

გადმოდგა როდის, როდის გორის ფხაზე, კუდგამონასკვულ იაბოზე გადამჯდარი მეფის ქეშიკი და ბაღდადიანი ხელი მაღლა ასწია. რაზმი გაიტრუნა, მხედრებმა სული განაბეს, ცხენებმაც კი შეწყვიტეს ფრთხვინვა და ლაგამის ღეჭვა. სიჩუმე ჩამოწვა და იმ სიჩუმეში მარტო დილოიძის კბილების კაკაკუკიღა ისმოდა, მაგრამ ვის ეცალა იმისთვის, ყველანი ქეშიკს ასცქეროდნენ და როცა იმან ბაღდადიანი ხელი დაიქნია, ცხენებს მათრახები სწყვიტეს და წინ გაქანდნენ...

მიქროდნენ წინ წახრილები, ცხენების აფრიალებულ ფაფარში ცხვირპირჩარგულები, მარცხენა ხელით დამოკლებული სადავეები ეჭირათ, მარცხენით დაბლადაშვებული, გაშიშვლებული ხმლები; მალე, გაფრენილებმა, ერთი გორის ცხვირს შემოუარეს და შუა ომში ისე შეცვივდნენ, გაკვირვება ვერც კი მოასწრეს.

დილოიძემ წინ შემოფეთებულ ოსმალოს ხმალი მხარიღლივ გადაუქნია, მაგრამ ის გაეცალა, ცხენი გან-გან წააქივქივა, მერე მოულოდნელად მოაბრუნა, გამოაქანა, დილოიძის ცხენს დაატაკა და ყირამალა გადაატარა.

ვითომ სირცხვილად ის კბილების კაწკაწი არ ეყოფოდა, დილოიძეს პირკატა ეცა, მაგრამ არ წახდა, უმალ წამოხტა, ცხენს წაქცეულსვე გადააჯდა, დეზი იხმარა და როცა ულაყი ფეხზე წამოაგდო, თავის წამქცევ ოსმალოს ხმალი მუცელში გამოუსვა!

თვალის კუთხით დაინახა, როგორ გადმოიშალა იმისი გაფატრული მუცლიდან იისფერი ნაწლავები და ძირს რანაირად ჩამოიწლაწა... ჰო, თვალის კუთხით, რადგან ახლა უკვე მეორეს ებრძოდა, ფარს იფარებდა და ცდილობდა, იმის ინით შეღებილ მოკლე წვერქვეშ გამოჩენილ თეთრ ყელს მისწვდენოდა და როცა მისწვდა, როცა ოს-მალოს ჩალმამომძვრალი გაპარსული თავი მიწაზე გაგორდა და ამის დამნახავმა ყალყზე შემდგარმა ულაყმა საშინელი ხმით დაიჭიხვინა, დილოიძე მაშინღა მიხვდა, რომ კბილების კაწკაწი გასჩერებოდა!

აქამდე კი იმათი რაკა-რუკის მეტი სხვა არა ესმოდა რა, აქამდე ყველაფერი უხმოდ ხდებოდა: უხმოდ ეხეთქებოდა ერთიმეორეს ცხენი და კაცი, ხმალი და ხმალი, ფარი და შიმშერი. უხმოდ სცვიოდა ფოლადს ნაპერწკალი, სასიკვდილოდ

დაჭრილ-დასახიჩრებული ადამიანებიც უხმოდ აღებდნენ პირებს და ახლა, როცა ყოველივემ სული ჩაიდგა და ხმა ამოიღო - ერთმანეთში აირია რკინის ჩახა-ჩუხი, ცხენთა ჭიხვინი, მომაკვდავთა ღრიალი, გინება, კვნესა - გახარებულმა დილოიძემ ყიჟინა დასცა და წინ შემოგებებულ შავნაბდიან ლეკს ცხენი ზედ მიაგდო, ხმალი მოუქნია და როცა იმან თავისი მოკლე გორდა წინ დაუხვედრა, მოულოდნელად, მარჯვენაში თავზარდამცემი სიმსუბუქე იგრძნო და იმავე წამს დაინახა, რომ ხელში ხმლის ნაცვლად იმისი პირგადასხეპილი ვადა ეჭირა…

ეს ყველაფერი თვალის ერთ დახამხამებაში მოხდა და როცა დილოიძემ ხელმეორედ მოქნეულ გორდას ფარი დაუხვედრა, დაინახა, გვერდიდან როგორ დააძგერა ბებერმა ხირჩლამ, ხევსურმა, თავისი ცხენი ლეკისას, უკანა ფეხებზე როგორ ჩააჩოქა და როცა ქვაბის ძირივით პირყარტლმა ლეკმა თავისი გორდა ახლა ხირჩლას ხმალს მიაგება, დილოიძის გასაკვირად, ხევსურის მახვილმა ხის ნედლი ტოტივით გადაჭრა ლეკისა და სანამ ის ხელში შერჩენილ ვადას ხევსურს სახეში ესროდა, თუშმა იმარჯვა, ლეკს დაეძგერა, ცხენიდან ჩამოიღო, ხანჯლით ხაშალი ცხვარივით გამოსჭრა ყელი და როცა წამოდგა, ბებერი ხირჩლა უკვე აღარსად იყო…

მერეც, სადღა ეცალა, მაგრამ მთელი ბრძოლის განმავლობაში, დილოიძეს მაინც სულ თვალწინ ედგა ის საკვირველი სურათი - იმისი ფრანგულის გამკვეთს, როგორ ყველივით სთლიდა ხევსურის ხმალი და რამდენჯერმე შორიდან თვალიც კი შეასწრო იმის ელვარებას, ხოლო ერთხელ, როცა ორი ოსმალო დაიფრინა და უკან მიდევნებულმა ორთავეს წირვა გამოუყვანა, ხირჩლამ, ხევსურმა გვერდით ჩამოუქროლა, გაუცინა და - „ყოჩაღ, თუშო!“ - დაუძახა. თან ის საკვირველი ხმალი მაღლა ასწია და ჰაერში მძიმედ შეათამაშა.

მტრის ლეშით მოფენილ იმ არემარეზე ხმალი ბევრი იშოვებოდა, და დილოიძემაც ერთი კარგი ხორასნული მოიგდო ხელში, მაგრამ არა, ხევსურის ხმალი მაინც სხვა იყო!

ასპინძიდან წამოსულმა დაღლილ-დაქანცულმა, მაგრამ გამარჯვებულმა ჯარმა ერთ სერზე შეისვენა. სადროშოების მიხედვით დაბანაკდნენ. მეფე ერეკლეს აქებდნენ, რომელმაც იმ ომში ჩვეული გამჭრიახობა გამოიჩინა - ღამით, ბორჩალოელ თათარ ხუდიას ხიდის ისრები დაახერხინა და მეორე დილით, იმ ხიდზე შემდგარი თურქებისა და ლეკების უკანდახეული ჯარი სულ ერთიანად მტკვარს გაატანა.

„დღესა მას მოკლა მეფემან ირაკლი ხელითა თვისითა კოხტა ბელადი, რომელიცა იყო ჩინებული მძღვანი ლეკთა და მოიშუთვნენ უმეტეს წყალთა შინა ორისა ათასისა ლეკთანი და თათარნი და მოიქცნენ ქართველნი ალაფითა სავსენი“.

მაგრამ ტოტლებენის ღალატის გამო ერეკლე ისე იყო გაბრაზებული და კრიჭაშეკრული, დანა რომ დაეკრათ, წვეთი სისხლი არ გამოუვიდოდა.

კარავი ველზე გაუშალეს და სახელდახელო სუფრაც გაუწყეს, მაგრამ მეფემ პირი არაფერს დააკარა. ის აცოფებდა, რომ რუსის იმპერატრიცამ თვითონ ატეხა ოსმალოსთან საომრად, გენერალ ტოტლებენის მეთაურობით ჯარი და ზარბაზნებიც გამოუგზავნა, მაგრამ რუსებმა, როგორც სჩვეოდათ, გადამწყვეტ წუთს უგანეს ქართველებს, ბრძოლის ველი მიატოვეს და ბორჯომის გზით თბილისისკენ

გაეშურნენ. ერეკლე მტრის ექვსიათასიან ჯარს თავისი ორიათასი ქართველითა და ათასი ბორჩალოელი თათრით შეებრძოლა და დაამარცხა კიდეც, მაგრამ ახლა იმისი დარდი ჰკლავდა, ის აწუხებდა, ვაითუ, ტოტლებენმა ქალაქი წამიხდინოსო. ამიტომ საჩქაროდ წალკის გზით წამოვიდა, რომ მოკლეზე გადმოსულიყო და რუსისთვის თბილისის მისადგომებთან ეყელა.

ახლა კარვის წინ გაშლილ სუფრასთან მხართეძოზე წამოწოლილიყო, ხელში კახურით სავსე ჯამი ეჭირა და ღვინოს სუნავდა. ფარეში ბატონს თვალს ადევნებდა და ნატრობდა, ეს ერთი ჯამი მაინც დალიოს, რომ გუნება გამოუკეთდეს და ვინ იცის, მადაზეც მოვიდესო, მაგრამ ერეკლემ ჯამი ისე დადგა, ზედ ტუჩიც არ დაუკარებია და ფერდობზე ამომავალ მცველს მიაჩერდა, რომელსაც უკან ახალგაზრდა, პირტიტველა თუში მოსდევდა.

ერეკლე ბალახზე წამოჯდა.

თუში ამოვიდა და მეფის წინ ცალ მუხლზე დაიჩოქა.

- რა გვარისა ხარ, შვილო? - ჰკითხა ერეკლემ.

- დილოიძე გახლავარ, ბატონო... - გაწითლდა თუში, მაგრამ თავი არ აუღია და არც მეფისთვის შეუხედავს სახეში.

ერეკლე ყმაწვილივით მკვირცხლად წამოდგა, თუშიც წამოაყენა და აათვალიერ-ჩაათვალიერა. მაინცდამაინც დიდი ტანისა როდი იყო, ჰა და ჰა, მეფეზე ოდნავ მაღალი იქნებოდა და ცოტათი განიერიც. ერთხანს უყურა, მერე წავიდა, ფერდობი ჩაიარა, სერზე გადადგა და თუშიც მიიხმო.

ქვემოთ, ვიწრო ხეობაში პატარა მდინარე მიქშუოდა. აპრილი იდგა და მდინარის ნაპირები მწვანედ აშუქებდა. ტყეში აქა-იქ ყვაოდა ტყემალი და შინდი. დაბლა, ბექობზე მომცრო საყდარი იდგა, ბექობის ძირში კი სოფელი მოჩანდა.

- აი, ჩემო თუშო, - უთხრა მეფემ, - ეს ხეობა შენთვის მიჩუქნია, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს!

დილოიძემ ჯერ მეფეს შეხედა, მერე ისევ ქვემოთ ჩაატარა თვალი და მოიწყინა.

ერეკლეს მგლის ფერი დაედო:

- რა იყო, ვეჟო, საჩუქარი ხომ არ გეცოტავა?!

თუში შეცბა, თავი ჩაღუნა, სახეზე ალმურმა გადაუარა და მეფეს წარბებქვემოდან აჰხედა:

- არა, ბატონო, მაგრამ... აქაურობას, აბა, რა თავში ვიხლი?!.

ერეკლემ უკან მიიხედა და მოშორებით გაჩერებულ მცველს თვალი შეავლო:

- კარგი, მაშინ მითხარი, რა გინდა და შეგისრულებ!

თუშმა თავი ჩაქინდრა, ერთხანს ჩუმად იყო, მაგრამ მეფის მზერას გრძნობდა და ამიტომ თქვა:

- ბატონო, მე არა მინდა რა, მაგრამ რაკი საჩუქრის ღირსად ჩამთვალე, მაშინ ხევსურის ხმალი მიწყალობე... ხირჩლასი...

ერეკლეს გულიანად გაეცინა, მობრუნდა და კარვისკენ წამოვიდა.

რაღამდენი დარჩა? - ჰკითხა ხირჩლამ ბიჭს, რომელმაც ფეხებთან მარილის გუდა დაუგდო.

- ესღაა… - უპასუხა იმან და პირი იბრუნა, ერთი სუ-ლი ჰქონდა, იქაურობას როდის გაეცლებოდა.

- კარგი, წადი. - შეეცოდა ხირჩლას ბიჭი და მარილი არ გვეყოფაო, გაიფიქრა.

- მარილი არ გვეყოფა, ე! - დაუძახა არდოტელს, რომელიც თავის მეზობელ ბერიკაცს მიცვალებულის გახდაში შველოდა.

- რა თქვი?

- მარილი არ გვეყოფა-მეთქი, - გუდას ფეხი წაჰკრა ხირჩლამ, - აი, ესღაა, გვეყოფა?

არდოტელმა უკან მიიხედა. თხილის ბუჩქებთან, ახლადამწვანებულ კორდზე ოთხი მიცვალებული კიდევ ესვენა:

- ჰო, არ გვეყოფა და რა ვქნათ…

სანამ ხირჩლა მიწაზე ხბოს ტყავს გაშლიდა, იმათ მიცვალებულს ტანისამოსი გახადეს და მკვდარი წამოიღეს. არდოტელს იღლიებით ეჭირა, იმას, მეორეს - ფეხებით.

მიწაზე დაასვენეს და განზე გადგნენ. მოხუცმა ხევსურმა პირჯვარი გადაიწერა, ზეცას აჰხედა.

მზე ჩასასვლელად ემზადებოდა, ამწვანებულ გორებს ფერი ეცვალათ.

ხირჩლამ მასათით ხანჯალს პირი აუწმინდავა, მიცვალებულთან ჩაიჩოქა და ცხედარი გულისკოვზიდან ბალნიან ბოქვენამდე სიგრძივ ჩასერა. მერე გულის ყაფაზიც ჩაჭრა, ნაჭრევში ხელი ჩაჰყო და კაცის შიგანი ხბოს ტყავზე ამოალაგა.

არდოტელი და მოხუცი ხევსური ხირჩლას საქმიანობას თვალს ადევნებდნენ. ბოლოს, ხირჩლას ნიშანზე, ტყავს ნაპირები აუკრიფეს, გუდასავით შეკრეს და შიგ მოქცეული ფაშვი და გულ-ღვიძლი ქვემოთ, წინასწარ გაჭრილი ორმოსკენ წაიღეს.

ხელებგასისხლიანებული, პირგამეხებული ხირჩლა იდგა და უყურებდა, რანაირად მიჰქონდათ, როგორ მიათახ-თახებდნენ იმ მაფრაშას.

უკან მობრუნებულმა არდოტელმა ცარიელი ხურჯინ-ები მოიტანა.

ხირჩლამ ცხედარი ოთხად გაჭრა, ხურჯინების თითო თვალში თითო ნაჭერი ჩადო და თან მუჭით მარილი ჩააყარა.

- ეგ არ ეყოფა ხირჩლავ… - უთხრა მოხუცმა.

ხირჩლამ მწყრალად ახედა:

- მერე, მე რას ვიძახდი? - გუდიდან თითო მუჭა კიდევ ამოიღო და ჩაუმატა.

- პატრა კახი! - დაიძახა უცებ ვიღაცამ.

ხირჩლამ აიხედა და მეფე დაინახა.

ერეკლე ბალახიან ფერდობზე ტაატით მოდიოდა, უკან ორი მცველი მოსდევდა. ზოგჯერ ჩერდებოდა და იქაურობას ჩუმად, უგულისყუროდ ათვალიერებდა.

ხირჩლამ გასისხლიანებულ ხელებზე დაიხედა:

- წყალი ბიჭოუ!

წეღანდელმა პირტიტველა ბიჭმა თუნგით წყალი მოურბენინა და ხელებზე დაუსხა.

წყალმა სისხლი კი გააცილა, მაგრამ ცხიმი ვერა. გაზინთული ფეშტამალი მოიხსნა და მეფეს ხელების მშრალებით მიეგება.

- რამდენი იზარალეთ? - ჰკითხა იმან, ისე რომ სახეში არ შეუხედავს.

- თექვსმეტი…
- ნათელში ამყოფოთ. დაჭრილი?
- ოცდაორი. არა? - მიჰხედა არდოტელს.
- ჰოუ. - თავი დაუქნია იმან.
- ყველას წყალობა მიეცემა!
- იცოცხლე, ბატონო!
ბექობისკენ დაიძრნენ.
მცველები შორიახლო მისდევდნენ.
ერეკლემ ხირჩლას გადმოჰხედა, პირზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი გაუკრთა:
- შევაბერდით ერთმანეთს, ხირჩლავ…
- ჰო, ბატონო. - ხირჩლამ ხელებზე დაიხედა, ზედ ისევ ეცხო კაცის ქონი და ზურგსუკან დამალა.
მეფეს არ გამოჰპარვია, მცველს რაღაც ანიშნა და იმან მომცრო ტიკი მოართვა.
- დალიე! - უთხრა ერეკლემ ხევსურს.
ხირჩლამ კეფა მოიქექა.
- დალიე, დალიე!
ხირჩლამ მცველს ტიკი გამოართვა და მიიყუდა. დალოცვილი კახური რაკრაკით გადასდიოდა ყელში. პირიდან ძლივს მოიწყვიტა, ჩამოსველებულ წვერზე მაჯა გადაისვა:
- გიშველა ღმერთმა! - ამოიხავლა და ერეკლეს მადლიერი სახით მიაჩერდა. გულზე ისე მოეშვა, თითქოს მძიმე ლოდი აცალესო. ერთხელაც უნდოდა მიეყუდებინა, მაგრამ მოერიდა და ტიკი მეფის მცველს გაუწოდა.
- ფეშქეშ! - ღიმილით უთხრა ერეკლემ, - როცა დაიცლება, გამოუგზავნე და გაგივსებენ.
მცველებსაც ჩუმად ეღიმებოდათ.
- კაცოო… - დაიწყო პატარა კახმა, ხმა ჩაეხრინწა, მაგრამ ჩაახველა და ყელი ჩაიწმინდა, - რა გაქვს, რა ხმალი გაქვს ეგეთი?
ხირჩლამ ვერ გაიგო.
- შენი ხმალი მიქეს, რა ხმალია-მეთქი. - გაუმეორა ერეკლემ.
ხირჩლამ მოიწყინა და თავი ჩაღუნა:
- დავითფერული, ბატონო…
- აბა, ერთი გასძახე, მოიტანონ.
ქვემოთ ხევსურები შეჯგუფულიყვნენ და აქეთ იცქირებოდნენ:
- ბიჭოუ! - დაუძახა ხირჩლამ, - ხმალი მოართვით ბატონსა!
ხევსურები შეჩქვიფდნენ:
- რომელი ხმალი?
- ჩემი ხმალი!
პირტიტველა ხევსური გაიქცა, ცოტა ხანში სირბილით მოქაქანდა და ხმალი მოიტანა.

ერეკლემ გამოართვა, ჯერ ისე შეათვალიერა, მერე ქარქაშიდან ამოიღო და შეატრიალ-შემოატრიალა. ოდნავ მოხრილ, ლაპლაპა მახვილს ცალ გვერდზე პირდაღებული ლომი ეხატა, მეორეზე - ჯვრიანი სფერო.

მეფემ ხმალი ჩააგო და ახლა ქარქაშიანად დაათვალიერა. უბრალო ქარქაში ჰქონდა, ტყავისა, ხარის ნაწლავით ამოკერილი.

ერთხანს ჩუმად იდგნენ და ხმალს დასცქეროდნენ.

ბოლოს ხირჩლამ ჩაახველა:

- ვიცი, ვისთვისაც გინდა, ბატონო... ალალია იმ ბიჭზე, რა ვქნა...

- რა იცი?! - ღიმილი ვერ შეიკავა ერეკლემ.

- ვიცი. ჯერ მე მომიგზავნა კაცები...

- კარგი. რა მოგცე ამ ხმალში?

- არაფერი, ბატონო, - ხირჩლამ ხელში შერჩენილ ტიკს დახედა, მერე რაღაც გაახსენდა და სასწრაფოდ დაამატა, - ერთი გუდა მარილი მიბოძე, მეტი არა მინდა რა.

* * *

წლევანდელ ზამთარს თოვლი არ მოვიდა. ჩაიარა ნოემბერმა, დეკემბერმა, დადგა ახალი წელი და თოვლი კი მაინც არ მოვიდა.

დილოიძე - ჯერ ისევ ახალგაზრდა, ორმოციოდე წლის კაცი ტახტზე გულაღმა იწვა და ჭერს მიშტერებული ამ უცნაურობაზე ფიქრობდა. იცოდა, რომ მარტო აქ, კახეთში კი არა, მთელს საქართველოში არ ჩამოვარდნილიყო ფიფქი და უკვირდა, როგორ ყველაფერი შეიცვალა ეს ოხერი, ესაო! ჯერ იყო და ზაფხულმა გაამწარა მთელი კახეთი - სიცხე, სიცხე, რომ მეორედ მოსვლა ეგონებოდა ადამიანს. სასუნთქი ჰაერი აღარსად იყო. ზოგჯერ, წამოვიდოდა, წამოიგრაგნებოდა ყვარლის მხრიდან ღრუბელი, ჩამოაბნელებდა იქაურობას, დაიწყებდა ცა რუხრუხს, ატყდებოდა ერთი საშინელი ჭექა-ქუხილი და წამოუშენდა სულ ცერისსიმსხო სეტყვა. ჩარეგვა, მოსპო და გაანადგურა ვენახები, რაც სეტყვას გადაურჩა, ნაცარმა შეჭამა, მოლოკა და მოასუფთავა.

ღვინო იმდენი ვერა, მაგრამ დილოიძემ იმ წელიწადს დიდი ძალი საზამთრო მოიყვანა. წაიღო, ქალაქში გაყიდა და ზამთრის სარჩოც იმაში აღებული ფულით მოინგრა. იმიტომაც იწვა ახლა არხეინად ტახტზე და ჭერს მიშტერებოდა.

გარედან მანქანის საყვირის ხმა მოისმა.

დილოიძეს ადგომა დაეზარა, ყური მიუგდო და როცა მანქანამ მეორედაც დაასიგნალა, გაბრაზდა - აბა, თუ ვინმემ გაჰხედოს, ამ ოჯახქორებმა, ამათაო! - წამოდგა, ფლოსტებში ფეხები წაჰყო და აივანზე გავიდა.

გზაზე გვარიანად შელახული თეთრი „მერსედესი“ იდგა.

დილოიძემ გუნებაში შეიგინა, მერე კიბე ჩაიარა, ეზოში ჩავიდა, ჭიშკარი გამოაღო და გარეთ გაიხედა.

მანქანის ღია სარკმლიდან გოგოჭურს, ლაფანყურელ ხევსურს გადმოეყო თავი და იცინოდა.

„ნეტავი რას იკრიჭება?“ - გაიფიქრა გამწყრალმა და სტუმარს ნაძალადევად გაუღიმა:

- გადმო!

- გააქვს რამე? - ჰკითხა ხევსურმა.

- მტერსაც ნურა ჰქონია რა!

გოგოჭური მანქანიდან გადმოვიდა, მოვიდა და დილოიძეს ხელი ჩამოართვა:

- გამარჯობა, შალიკო!

- გაგიმარჯოს...

- რასა იქ, როგორა ხარ?

- იგრე ვარ, როგორც პოლის ლურსმანი!

- მაიცა, - გოგოჭური წავიდა, „მერსედესის“ უკანა კარი გამოაღო და იქიდან ღვინით სავსე ოცდაორლიტრიანი ბოცა გადმოაცოცა, - აი, ღვინო გადავიღე გუშინა და...

- ეგ რაღად გინდოდა, განა მე კი არა მაქვს, რა!

- შენ ესეთი არ გექნება!

„მააშ, შენი ყველაყისამ!“ - გულში გაივლო დილოიძემ, მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამს.

გოგოჭურმა ბოცა ეზოში შემოიტანა და ძირს დაუშვა.

აივანზე დილოიძის ცოლი გადმომდგარიყო და კაცებს პირგამეხებული უყურებდა.

- სადა ხარ, ვალიკო, რო დაიკარგები ხოლმე წეროს სკინტლივითა, ეგრე უნდა?! - იღიმებოდა ნასიამოვნები დილოიძე.

- შენ ეს აიტანე, მე მანქანას გადავაყენებ!

დილოიძე ბოცას ჩაუცუცქდა, ორივე ხელი მოჰხვია, ღიპზე მიიხუტა და ასწია, მაგრამ მტკივანმა წელმა არ აუშვა, ვეღარ გაიმართა, მოგიკვდა პატრონიო და ისევ ძირს დაუშვა.

გოგოჭური გარეთ მანქანას აბღუვლებდა.

ქალი კიბეზე ჩამოვიდა, ქმარს გვერდით გაუარა და ტუტუნით უთხრა:

- რაღა გინდა, ხო მოგივიდა ამფსონი, ჩაიხეთქეთ ეხლა მუცლები...

- გამეცა, ქალო, - შეუღრინა დილოიძემ, - შენ გირჩევნია საქმეს მიხედო, თორე ხო იცი!

ქალმა ჭიშკრისკენ გაიხედა, ხმას დაუწია:

- რა უნდა, რას შემოგვეჩვია, რომელი ჩვენი ნათესავ-მოკეთე ეგ არი?!

- დედაკაცო, - გაბრაზდა დილოიძე, - შენა ყურთ ხო არ დაგაკლდა, ვერ გაიგე, რა გითხარი?!

- რა მითხარი? - არ შეეპუა ქალი.

- სუფრა გაშალე-მეთქი!

- რა მაქვს, რა გაგიშალოთ?

- მიდი, ეხლა! - ფეხი მიწაზე დაურტყა დილოიძემ და ჭიშკარში შემოსულ გოგოჭურს ღიმილით მიეგება, - მოდი, ვალიკო, მოდი, კაცო!

ავიდნენ კიბეზე. ბოცა გოგოჭურმა აიტანა. შევიდნენ. დილოიძემ თუნუქის ღუმელს რცხილის ნაპობები შეუკეთა და ააგუზგუზა.

- რა ვქნა, შალიკო, იგრე მამინდება ხოლმე შენთან ქეიფი, იგრე მამინდება ხოლმე, რო... - ბოდიშობდა გოგოჭური.

- დაჯე! - დილოიძემ განჯინიდან თიხის საღვინე და რეზინის მილი გადმოიღო, ბოციდან ღვინო ჩამოასხა და საღვინე მაგიდაზე შემოდგა.

ამასობაში, პირზე ღიმილგადაგლესილმა ქალმა ოთახში პურები და დიდი ჯამით კომბოსტოს მწნილი შემოიტანა:

- რასა იქთ, ვალიკო, როგორა ხართ?

- რა ვიცი, ვაართ, როგორც ამ დროს შეეფერება.

- შუქი არც თქვენა გაქვთ?

- არა, გოგო, რა შუქი, მეორე წელიწადია თვალით აღარ გვინახავს!

- აი, შუქი გაუქრეთ თვალებში ამათა, შუქი!

- მიდი, ქათამი დაიჭირე, ქალო! - უთხრა დილოიძემ.

- არა, შალიკო, არა, კაცო, - შეწუხდა გოგოჭური, - ეხლა ავდგები და წავალ, იცოდე, აი!

დილოიძემ ჭიქები შეავსო:

- შენს მოსვლას და ჩვენს დახვედრას გაუმარჯოს!

- გაგიმარჯოს...

- რა კარგისა დამდგარა, ე?! - გაიკვირვა დილოიძემ და გამოცლილ ჭიქას თვალებდაელმებულმა ჩახედა.

- ეგრე იცის ნასეტყვარმა ვენახმა.... - ნაღვლიანად გაიღიმა გოგოჭურმა.

ქალმა ახლა კოხტად დათლილი ყველი შემოიტანა თეფშით.

დილოიძემ ისევ შეავსო ჭიქები.

- ამ ჭიქით მშობლები მოვიგონოთ...

- იცოცხლე!

- დედაშენი ჯერ ხო კარგად არი? - გამოცლილი ჭიქა მაგიდაზე ხმაურით დადგა დილოიძემ.

- არი, რა ვიცი... ცოტა წელს იტკიებს...

- ეჰ, წელი რა არი, კაცო, წელი ხო მეცა მტკივა!

- გაანათლოს წასულები, ცოცხლები კარგად გვიმყოფოს. - თქვა გოგოჭურმა

- ადე, ქალო, აქ რას ჩამოგვიჯექი, ან ერბოკვერცხი შეგვიწვი, ან რამე!

ქალი ტახტიდან ადგა და ოთახიდან უხმოდ გავიდა.

დალიეს კიდევ ორ-ორი თუ სამ-სამი და გოგოჭური, ცოტა არ იყოს, გათამამდა - თვალს მალიმალ კედელზე გაკრული ხალიჩისკენ აპარებდა, სადაც ძველებური ხმალი ეკიდა. ბოლოს, წამოდგა, არეული ნაბიჯით მივიდა, ხმალი ჩამოხსნა და შეათვალიერა.

- ჰა, რა იყო? - ჰკითხა დილოიძემ, რომელიც სტუმარს ამრეზილი თვალით უყურებდა.

გოგოჭურმა კრინტი არ დაძრა, ხმალი ქარქაშიდან ამოიღო და შეატრიალ-შემოატრიალა. ჟანგმოკიდებულ მახვილს ცალ გვერდზე პირდაღებული ლომი ეხატა, მეორეზე - ჯვრიანი სფერო.

დილოიძე ადგა, გოგოჭურთან მივიდა. იმან ერთი კი შეავლო თვალი, მერე ხმალი ჩააგო და ახლა ქარქაშიანად დაათვალიერა - უბრალო ქარქაში ჰქონდა, ტყავისა, ხარის ნაწლავით ამოკერილი.

დილოიძემ ხმალი გამოართვა - თითქმის ძალით წაგ-ლიჯა ხელიდან და ისევ კედელზე ჩამოკიდა.

- მოდი, კაცო, მოდი, დავლიოთ, რა დროს ეგ არი! - მხარზე ხელი გადახვია და მაგიდისკენ წამოიყვანა.

დასხდნენ.

დილოიძემ ჭიქები შეავსო.

- შალიკო... - წამოიწყო გოგოჭურმა, - კაცო, იმდღეს, აქ რო ვიყავ, მაშინაც გითხარი და...

- ჰო.

- რა ვიცი, ეს ოხერი, ამ ბოლო დროს, რაღაც ფინთი სიზმარი დამჩემდა...

- რა სიზმარი? - მკვახე ხმით ჰკითხა დილოიძემ.

- ფინთი, რაღაცნაირი... - გოგოჭურმა თავი ჩაღუნა და მერე თქვა, - შალიკო, ოღონდაც ეგ ხმალი დამითმე და რაც გინდა მთხოვე...

დილოიძემ გაპიპინებული ჭიქა აიღო და სულმოუთქ-მელად გამოცალა.

- განა მუქთად მინდა, შე კაი კაცო, თქვი, რას აფასებ და მოგიკვდეს ჩემი თავი!

- იმდღესაც ხო გითხარი - არა ვყიდი, ვალიკო.

- მაშინ, მაჩუქე. ხო იცი, რო ჩემთან არაფერი დაგეკარგება!

დილოიძე მაგიდის გადასაფარებელს დააცქერდა. მუშამბის გადასაფარებელი იყო - ძველი, გაცრეცილი, ნახატებ-გადაშლილი.

- ვერც გაჩუქებ.

- რატომა, კაცო!

დილოიძე უცებ გაბრაზდა:

- ვერ გაჩუქებ-მეთქი, მორჩა და გათავდა!

ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა.

ბოლოს, დილოიძემ თავისი ჭიქა შეავსო, გოგოჭურისას მიუწკარუნა და თქვა:

- კარგი ეხლა, დავლიოთ... ბალღებ გაუმარჯოთ! - და გადაჰკრა.

სტუმარმა ჭიქას ხელი არ ახლო, გაბუსხული იჯდა და ისიც იმ გაქერცლილ მუშამბას ჩასცქეროდა.

- ჰო, კარგი, დალიე ეხლა. - ხმა დაირბილა დილოიძემ.

გოგოჭურმა თავი ასწია და მასპინძელს მიაჩერდა:

- რა იყო, ბიჭო, რა გაგიხდა ეგ ჟანგიანი ხმალი...

- რა ვქნა, იმდღესაც ხო გითხარი, რო ვერა-მეთქი და...

- მაშინ, ისიც მითხარი, რად გინდა!

- შენ რაღად გინდა?

გოგოჭურმა თავი ჩაღუნა და კეფა მოიქექა.

- აიღე ეხლა და დალიე! - ნიშნისმოგებით უთხრა დილოიძემ.

უცებ გოგოჭურმა თავი ასწია და მასპინძელს თვალი თვალში გაუყარა:

- კარგი, მაშინ, რაც არი, არი, ჩემს მერსედესში გაგიცვლი, მეტი რა ვქნა!

მასპინძელმა ჩუმად შეათვალიერა სტუმარი.

- ჰო, რა იყო, აჰა, მაიტა, ხელი!

- ვის რად უნდა ბიჯო, შენი დანჯღრეული მერსედესი! - გაიცინა დილოიძემ.

გოგოჭურს ეწყინა:

- არ გეხუმრები, შალიკო!

- არც მე გეხუმრები!

- ეგ არი შენი ბოლო სიტყვა? - ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ გოგოჭურმა.

- ჰო, ეგ არი.

- მაშინ დამიცალე ბალონი!

- რა დაცლა უნდა, ადექი და ეგრევე წაიღე.

- დამიცალე-მეთქი!

- შენა ძმაო, ხო არაფერი გეშლება? - სახეზე ალმური აუვიდა დილოიძეს.

უეცრად, გოგოჭური ფეხზე წამოიჭრა. სკამი გადაყირავდა და ბოცას ზემოდან დაეცა. ბოცა ჭახანით გასკდა!

გოგოჭურმა კარი გამოგლიჯა, გარეთ გავარდა და კიბეზე ფეთიანივით დაეშვა...

ოთახში შეშინებული ქალი შემოვიდა:

- რა იყო, შალიკო?!

დილოიძე იჯდა და ჩუმად იღიმებოდა.

- უი, მამიკვდეს თავი! - შეიცხადა ქალმა, როცა გატეხილი ბოცა და დაქცეული ღვინო დაინახა. - რა იყო, რა ჭირი გეტაკათ?! - მერე წავიდა, ტილო მოიტანა და იატ-აკის მოწმენდას შეუდგა.

ოთახში ღვინის სასიამოვნო სუნი დადგა.

- რა იყო, რამ გადაგრიათ!

- ხმალში მანქანას მიცვლიდა და არ მივეცი.

- აი, გიჟებო, გიჟებო... რად გინდათ ეგ ხმალი, ქა, რა ჭირად გინდათ, ან შენა და ან კიდევ იმას!

დილოიძე იჯდა და კედელზე ჩამოკიდებულ ხმალს მისჩერებოდა, თვითონაც არ იცოდა, რა უხაროდა.

<u>ნანგრევებზე</u>

შამბგადავლილ ნაეზოვარში ბალახების მოტკბო სუნი ტრიალებდა. სიცხისაგან შემჭკნარ რუსპიტნებში უჩუმრად მიიპარებოდა დამშრალ-დალეული ნაკადული. ჩამოშლილ ყორესთან, ყვითელ შალგებში დახვეული იდო დიდი, ჭრელი გველი და ივლისის მზეს ეფიცხებოდა.

მზე რომ კარგად წამომაღლდებოდა და სიცხისაგან თავბრუდახვეული ბალახები სუნს აუშვებდნენ, ის გველი მაშინ გამოძვრებოდა ხოლმე სასახლის ნანგრევებიდან, ზლაზვნით ჩამოივლიდა რბილი ბალახით შემოსილ ფერდობს, ყორესთან, მზვარეზე დაიგორგლებოდა და დიდხანს იწვა გარინდებული. თაკარა მზე მცხუნვარე სხივებით ეფერებოდა ხალიჩასავით ჭრელ ტანზე, ცივ სისხლს უთბობდა და ისიც

სიამოვნებისაგან თვალებმილულული უძრავად იწვა, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, მაგრამ ზოგჯერ, სულ მცირეოდენ ფაჩუნზეც კი თვალებს ახელდა და ორად გაყოფილი ენის სავსავით იქაურობას ჩუმად ზვერავდა.

მზე რომ დასავლეთისკენ დაეშვებოდა და დანახვისის თავზე გაწოლილ ღრუბლებს წითლად შეაფერადებდა, გველი ნელა გამოიშლებოდა, წამოიყალყებოდა და გაველურებულ ბაღს თვალს მოავლებდა. ხეებს ჩრდილები დაგრძელებოდათ, საღამოს ნიავი ოდნავ არხევდა ფითრშეხორხლილი მსხლების წვეროკინებს, იქვე, სულ ახლოს, ასკილის ტოტზე შემომჯდარი შაშვი კუთავდა. ნახევრად-მონგრეულ გალავანსაც ჩრდილი დაეგდო. გველი ფერდობზე გასრიალდებოდა, მაღლა ავიდოდა და ნათალი ქვით ნაგებ კედელთან ისე უეცრად გაუჩინარდებოდა, თითქოს მიწამ უყო პირიო, მაგრამ დაკვირვებული თვალი მაინც შენიშნავდა, როგორ ნელ-ნელა გადადიოდა კარის ზღურბლზე, რანაირად გადაჰქონდა მძიმე ტანი, როგორ მიიზლაზნებოდა შიგნით, კრამიტის ნამუსრევით გამოფენილ, შამბით დაბურულ ნასახლარში.

მერე ღამდებოდა, უკუნი სიბნელე ისადგურებდა და იმ სიბნელეში ისმოდა ნაკადულის ჩუმი ლიკლიკი, კაკლის ტოტებში შეხიზნული ვასაკას კრუალი და საშოვარზე გამოშლილი ღამურების წრიპინი. მალე ამოვიდოდა მთვარეც და თითქოს ოქროთი მოავარაყესო, რაღაც საკვირველი დიდებულებით იმოსებოდა ერთ დროს მართლაც რომ დიდი და დიდებული სასახლის ნანგრევები. ქვეყანა ჩაყუჩდებოდა, ჩადგებოდა ნიავიც და ყველაფერი, სულიერიცა და უსულოც მონუსხულივით მიაჩერდებოდა მთვარის შუქით განათებულ ნასახლარს, გატრუნული ყურს მიუგდებდა იქიდან გამომავალ უცნაურ ხმებს - ქალების კისკისს, გიტარის კვნესას, კაცების ხორხოცს.

კედლის თახჩაში ჩაწოლილი გველი თვალებს ახელდა - მასაც ესმოდა ხმები, წარსულის ეს სასწაულებრივად გადარჩენილი ნაწყვეტები, თითქოს რაღაც შორეული და დიდი ხნის წინათ გარდასული ამბავი აგონდებაო, თავაღერილი, ორკაპა ენის სავსავით აცქერდებოდა ძველებური დარბაზის ჩამონგრეულ კედლებს, მუხის გაშავებული თავხის ნარჩენებს, სიბნელეში აყაყულ ბუხარს და მთვარის შუქზე ქარვისფრად უბრწყინავდა თვალები.

ის ხმები კი უფრო და უფრო მკაფიოდ ისმოდა, ცოცხლდებოდა, სულს იდგამდა არემარე - წკრიალებდა დეზები, შარიშური გაჰქონდა ფარჩა-აბრეშუმს, წკარუნობდა ბროლის ჭიქები, ვერცხლის დანა-ჩანგალი, ფაიფურის ჭურჭელი. ისმოდა გიტარის საამო კვნესა და სიმღერაც, ისიც ტკბილი, სულში ჩამწვდომი, მაგრამ იმავე დროს ნა-ღვლიანი და ცრემლის მომგვრელი.

გველი გრილ თახჩაში იწვა და მისი მრგვლად დახვეული, ერთ გუნდად შეკრული ჭრელი სხეული, ახლა, ამ სიბნელეში, ფოსფორული შუქით განათებულ, ღრმა ხვეულებით დაღარულ რაღაც ბლანტსა და რუხ მასას ჰგავდა - აღარც თავი უჩანდა, არც მძივებივით მბრწყინავი თვალები და აღარც ის თავზარდამცემი, ორკაპა ენა. ეს მძიმე რამ საგანი უძრავად იდო ბნელ თახჩაში და რაღაც სასწაულებრივი ძალის წყალობით სულ სხვა სუბსტანციად გარდაქცეული, არარსებული თვალებით

ხედავდა მრავალჯერ ნანახს, უთვალავჯერ განცდილსა და გამოვლილს ისევ თავიდან განიცდიდა.

...მრუმე ნათელი მღვრიე წყალივით მოჟონავდა მტკიცედ ნაქსოვი პარკის კედლებში, პარკუჭის შიგანს ავსებდა და ძველი, დიდი ხნის შემოჩვეული გრძნობა ისეთნაირად იმორჩილებდა, რომ მუმიასავით უძრავად იდო და ეჩვენებოდა თითქოს ისევ იქ იყო, კვირაცხოვლის ეკლესიის კარის ზღურბლთან ცივ ქვაზე იდო თხელ ჩარსავში მაგრად გაკრული, პირში კისერზე კანაფით ჩამობმული შაქრიანი პარკუჭი ედო, სახეზე ჭიანჭველები დასდიოდნენ და თანდათანობით ისეთი ცოცხალი და ხელშესახები ხდებოდა ეს ჩვენება, რომ უკვე ცხადად ჩაესმოდა ზარების რეკვა, გალობა და ეკლესიის კამარებქვეშ დარხეული ჩუმი ბუბუნი:

- ნეტარხართ გლახაკნი სულითა, რამეთუ თქვენი არს სასუფეველი ღმრთისა. ნეტარ-ხართ თქუენ, რომელსაც გშიის აწ, რამეთუ განსძღეთ. ნეტარხართ, რომელნი სტირით აწ, რამეთუ იცინოდეთ! ხოლო ვაი თქუენდა, მდიდარნო! ვაი თქვენდა გამაძღარნო აწ! რამეთუ გშიოდეს. ვაი თქვენდა, რომელნი იცინით აწ! რამეთუ იგლოვდეთ და სტიროდეთ...

სწორედ რომ ჭუპრსა ჰგავდა და, კაცმა რომ თქვას, სინამდვილეშიც ჭუპრი იყო - თოთო, ლოფ-ლოფი, ჭიპმოურჩენელი, რომელსაც ჯერ არა გაეგებოდარა ამ მუხთალი წუთისოფლისა, ჯერ ვერ გაერკვია, რა იყო მის თავს, რა ხდებოდა, დღენახევრის ბალღს აქ რა უნდოდა, ამ ცივ ქვაზე, ან რას მოსთქვამდნენ ეს ზარები, რას აუწყებდნენ ქვეყნიერებას.

მართლაც რომ ჭუპრივით იდო მლოცველთა ფეხით გაცვეთილ ფილაქანზე, ეკლესიის დასავლის კართან და გამალებით წუწნიდა შაქრიან პარკუჭს, ლოყაზე ტკბილი, წებოვანი დორბლი ჩამოსდიოდა და იმ დორბლს ამოყოლილი ჭიანჭველები დააცოცავდნენ ტუჩებზე, შუბლზე, ნი-კაპზე, მხრებზე.

ახლა ამ შაქრიანი პარკუჭითღა იყო დაკავშირებული ქვეყნიერებასთან, სხვა აღარა შერჩენოდარა. ისევ ეწვოდა სისხლმიმხმარი პატარა ჭიპი, რომლითაც ჯერ კიდევ გუშინ, თბილსა და მზრუნველ სხეულზე იყო მიბმული და უკვე ეწყებოდა მონატრება იმ სხეულისა, მძაფრი, ძლიერი, ყოვლისმომცველი მონატრება, რომელიც საფლავის კარამდე უნდა მიეთრია და იქაც, საფლავშიც თან უნდა ჩაეტანა.

ის კი, აგრერიგად სასურველი და სანატრელი, იქვე, სულ ახლოს, ფალელების საგვარეულო სასახლის შიგნიშიგან ოთახში იწვა, ღუნღულა ქვეშაგებში ნებივრობდა და თხუთმეტი წლის წვინტლმოუხოცავი გომბიოს უზრუნველობით თვალებმინაბული უსმენდა გადიას, რომელიც ნელა, ალერსიანად უსვამდა თბილ ხელისგულს მშობიარობის ტკივილებისაგან ნატანჯ, მობოშებულ მუცელზე და თან ისევ იმ ოქროსქოჩრიანი უფლისწულის ამბავს უყვებოდა, აქეთ, ოძისისკენ რომ მოაგელვებდა მერანს, რათა თავისი სანუკვარი და მოლოდინით დამაშვრალი გულისსწორი ენახა.

ის კი, უმწეო და უსუსური, დღენახევრის სოველი ბალღი აღარავის ენაღვლებოდა, აღარც ახსოვდათ! მისგან ისე განთავისუფლებულიყვნენ, როგორც მძიმე, აქოთებული ტვირთისაგან და ახლა შვებამოგვრილნი თანდათანობით უბრუნდებოდნენ ჩვეულ ცხოვრებას. მაგრამ გავიდოდა წლები და ყველა თავისას მიიზღავდა - ისიც, ის

ცინგლიანი ძუკნაც, რომელმაც ხეირიანად არც კი იცოდა, რა ჩაიდინა და ის ცხენის კუდზე გამოსაბმელი გადიაც, პატარა ბიჭი ძველმან ჩვარში რომ გაახვია, პირში წინასწარ შეკერილი შაქრის პარკუჭი ჩასჩარა და ამნაირად მოტყუებული, დედის მკერდზე მიხუტებულივით გატრუნული და გაბრიყვებული, დილაუთენია კვირაცხოვლის ეკლესიის დაკეტილ კართან დადო და თავად თვალებგაფაციცებული გაერიდა იქაურობას.

საკადრისს მიიზღავდა მთავარი დამნაშავე ნანუჩა ფა-ლელი და თავისას მიიღებდა მღვდელი ზაქარიაც - ის, ვინც პატარა ბიჭი ეკლესიის კართან იპოვნა და იმის ნაცვლად, რომ თოთო ბალღის დანახვაზე ძუძუებატკიებული ცოლის ხვეწნისთვის ყური მიეგდო და თვითონ ეშვილა, ბავშვი სხვას, ტურტლიან გლეხებს ჩაუგდო ხელში, რადგან ფალელებთან საქმის დაჭერას და იმათი ბუშის გაზრდას ერჩივნა ჯაგრიან გველთან დაეჭირა საქმე და მისივე წიწილი გამოეზარდა. დაისჯებოდნენ სხვებიც, დამნაშავენიც და უდანაშაულონიც, ზოგი ისეთიც, ჯერ დაბადებულიც რომ არ იყო; გრძელ რიგში იდგნენ ყველანი და საკუთარ ჯერს მოთმინებით ელოდებოდნენ.

მამა ზაქარიამ კი, როცა სამრეკლოდან ჩამოვიდა და რკინის რგოლზე აცმული გასაღებების ჩხარუნით ეკლესი-ისკენ გამოსწია, მაშინვე დაინახა დასავლეთის კართან, ფილაქანზე დადებული რაღაც საგანი, რომელსაც ბაქმაზაანთ ბებერი ძაღლი სუნავდა.

ბედის დაცინვა იყო, მაშ რა იყო! სხვა რაც უნდა ეპოვნა, ყველაფერი უპრიანი იქნებოდა, ყველაფერი გამოადგებოდა მღვდლის ხრამივით ამოუვსებელ ოჯახს: ჟანგიანი ლურსმანი, გატეხილი ჯაყვა, გაღუნული ნალი, მაგრამ ბალღი?! ბალღების მეტი რა ჰყავდა! ღვთის მადლითა და ბუნების შეწევნით ეს სიკეთე მართლა არ აკლდა - იმის ნოყიერსა და ნაყოფიერ ცოლს თერთმეტი შვილი ეჩუქებინა მოსიყვარულე ქმრისთვის, თერთმეტი ბავშვი ღნაოდა იმის კარმიდამოზე, თერთმეტი მუცელი შესჭყრიალებდა და შეჰყურყურებდა, თერთმეტი პირი შესტიროდა და ისიც, ხელებდაკაპიწებული, ანაფორის კალთააკეცილი დღენიადაგ შრომობდა, უბრალო და უბირი გლეხივით დღენიადაგ მიწას ჩაჰბღუოდა, რომ ჯალაბი როგორმე გამოეკვება და მწუხარებით გრძნობდა, დღითიდღე და თანდათანობით როგორ ხდებოდა საკუთარ ნაშიერთა მუცლის მსახური.

მაგრამ დიდია და აზრმიუწვდომელი განზრახვანი უფლისა ჩვენისა და როცა მამა ზაქარიამ ცივ ფილაქანზე დადებული ფუთა შენიშნა, მაშინვე მიხვდა, რაც უნდა ყოფილიყო და ძაღლს შორიდანვე დაუტატანა - გადი, დაიკარგე მანდედანო! - თან დაიკუზა, მიწაზე ხელი მოაფათურა, ვითომ, აი, იცოდე, ქვას ვეძებო და ამის დამნახავი ძუკნაც წკავწკავით გაიქცა, მაგრამ შორს არ წასულა, იქვე გაჩერდა, ეკლესიის კუთხეს ამოეფარა და კუდამოძუებული იქიდან მიაჩერდა მღვდელს.

მამა ზაქარიამ მიიხედ-მოიხედა, მერე ეკლესიის კართან მივიდა, ჩაცუცქდა, მსხვილი, კოტიტა თითით ბავშვს სახიდან ფრთხილად გააცალა ჭიანჭველები, ხელში აიყვანა, გაბრუნდა და შინისაკენ ჩქარი ნაბიჯით გაეშურა.

ბაქმაზაანთ ძაღლი მღვდელს უკან აედევნა, სახლამდე მისდია და როცა მან ბალღი შინ შეიყვანა, ეზოს ჭიშკართან ჩაწვა, დრუნჩი წინა თათებზე ჩამოდო და

თვალები დახუჭა. კარგა ხანს იწვა ეგრე და ბურანში წასულს ყველა ლეკვი ახსენდებოდა, თავისი არცთუ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე რაც კი დაეგდო, სულ წვრილად აგონდებოდა თითოეული მათგანის ხვედრი - რომელი გადარჩა და გაიზარდა, რომელი - ვერა. დაკარგული და მკვდარი ლეკვების სევდა სულ თან დასდევდა, წვრილად ახსოვდა ყველა მათგანი და მათი დარდი ახლაც, ამ სიბერეშიც სულ აწუხებდა.

ჯალაბი საუზმეს ამთავრებდა, როცა კარი გაიღო და ოთახში ბალღატატებული ზაქარია შემოვიდა. თმაწვერგა-ბურძგნული, მღელვარებისგან თვალებაელვარებული ქმრის დანახვაზე ფოფოდიას ელდა ეცა და მუხლთ მოეკვეთა, ბავშვებიც გაოცებულნი მიაჩერდნენ მამას და როცა ქალმა ქმარს თეთრ ჩარსავში გამოკრული ფუთა ჩამოართვა, ზაქარია სკამზე ჩამოჯდა, დოქიდან წყალი მოსვა და სულმობრუნებულმა ძლივას ამოთქვა - ეკლესიის კართან ეგდოო.

ფოფოდიამ ფუთა ტახტზე დადო, გახსნა და უეცრად, შეჰკივლა, რადგან ბავშვს მთელ ტანზე ჭიანჭველები დააცოცავდნენ!

ბალღები წამოიშალნენ და ტახტთან მიცვივდნენ. ყველაზე უფროსს ყველაზე უმცროსი ეჭირა ხელში. დანარჩენები - ერთმანეთის მსგავსნი, ალი და კვალი ერთმანეთისა, გაკვირვებულნი დასჩერებოდნენ საიდანღაც მოსულ პატა-რას, უცნაურად მოვლენილს, ჭიპზე სისხლშემხმარს. მათთვის უცხო როდი იყო ასეთი ჩვილი - თითო ამისთანა ოჯახს, თითქმის ყოველ წელიწადს ემატებოდა, მაგრამ იმათ ეკლესიის კართან როდი პოულობდა მამა, უკლებლივ ყველანი დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მოდიოდნენ, მანამდე კი დედის გამობერილ მუცელზე ყურმიდებულნი გრძნობდნენ ხოლმე თავიანთი ჯერ უხილავი დისა თუ ძმის უცნაურად გულისამაჩქროლებელ მოძრაობებს, მისი ხელფეხის ქნევას და ჭიფხვას.

ფოფოდია ბალღს ჭიანჭველებს აცლიდა, თოთო კანზე ხელის გულს უსვამდა და ისეთ უცნაურ სიხარულს გრძნობდა, ისეთი სიყვარულით ეწურებოდა გული, თითქოს ეს პატარა, ვარდისფერი არსება ცხრა თვე თვითონ ეტარებინა მუცლით, თავადვე ეშვა და ახლა, თითქოს რძე უდგებაო, გრძნობდა, როგორ ებერებოდა, რანაირად უმკვრივდებოდა ძუძუები, როგორ სტკიოდა.

მღვდელი თვალს ვერ აცილებდა ქალის განაზებულ პროფილს, მის ოდნავ ღია, სველ ბაგეს, თვალის მორღვეულ უპეებში ჩამდგარ თბილ სევდას და უსიტყვოდ გრძნობდა ცოლის გულისთქმას, მაგრამ როცა ქალმა თავი აიღო, ქმარს მოჰხედა და რაღაცნაირი მუდარით ჰკითხა, ეხლა რას უპირებ ამ საცოდავსო, - რა ვიცი, გამოუჩნდება პატრონიო, - უპასუხა.

- ჩვენ რო ვიშვილოთ?

მამა ზაქარია სწორედ ამას ელოდებოდა და ცოდვა გამხელილი სჯობს, როცა იქ, კვირაცხოვლის ეკლესიის კართან, ფილაქანზე ჩაჩოქილი ბავშვს დასცქეროდა, თავადაც ამასვე ფიქრობდა, ასე განსჯიდა - სადაც თერთმეტი, იქაც მეთორმეტე, ჩვენს ოჯახს ეს ერთი ზედმეტი ბალღი ვერას უზამსო და მერეც, შინისაკენ მომავალიც ამგვარსავე ფიქრს შეეპყრო, მაგრამ შინ რომ მოვიდა, სულ სხვა საბუთი ამოუტივტივდა გონებაში, სხვა ანგარიშმა გაუქარწყლა ის წეღანდელი აზრი, თავიდან ამოუგდო და ახლა, ცოლის ნათქვამმა, მართალია, ერთი წამით ისევ

იქითკენ მიაბრუნა, იმ მაცდურმა აზრმა ისევ ისე შეუღიტინა, მაგრამ მაშინვე შუბლი შეიკრა და უარის ნიშნად თავი გააქნია - ფალელების ნაბიჭვრის გაზრდას, მართლაც გველის წიწილის გაზრდა ერჩივნა. ვის არ სმენოდა წყეული ჩანჩახა ფალელის ამბავი, რომელიც ამ ოთხასი წლის წინათ მეფეს განუდგა, ირანის შაჰს ეახლა და იქიდან დიდძალი ჯარით მობრუნებულმა გვირგვინოსანი მეფე ლიხს იქით გააქცია, ხოლო კათალიკოსი წვერებით ათრია. სოფელში ნანუჩაზეც ათას ჭორსა და მართალს ჰყვებოდნენ, ბევრ ავკაცობას მიაწერდნენ, მაგრამ ბატონი იყო და გლეხი მაშ რისი გლეხი იქნებოდა, რომ თავის ბატონზე, თუნდაც კეთილსა და მამასავით მზრუნველზე, ბინძური ჭორი არ შეეთხზა. ზაქარია მუდამ ცდილობდა, ის ჭორები არ დაეჯერებინა, ცხადია, არც ის, რომ ნანუჩა ფალელს თავისი ერთადერთი, უდედოდ გაზრდილი ქალიშვილის შემაცდენელი - ახალგაზრდა, ღარიბი სტუდენტი სადღაც, რუსეთის რომელიღაც შორეულ ქალაქში მოეძებნა და საკუთარი ხელით დაეკლა, მაგრამ ახლა, როცა ამ საცოდავ, პირში შაქრის პარკუჭჩაჩრილსა და ვარდისფერ, თოთო სხეულზე ჭიანჭველებდახვეულ ბავშვს უყურებდა, მზად იყო, რომ ყველაფერი დაეჯერებინა.

* * *

ფალელების სასახლის მეორე სართულის სარკმელზე ფარდა შეირხა. იქ, იმ ფარდის უკან დიდი ხნის დგომისგან წელგაშეშებულმა ნანუჩა ფალელმა მოინაცვლა ფეხი. ისევ იქ იდგა, იმ ფარდის უკან ატუზულიყო, ვერ სცილდებოდა სარკმელს და ფეხებგახევებული, წელკავგამჯდარი გასცქეროდა გაყუჩებულ სოფელ-გარემოს. იქიდან ხელისგულივით მოჩანდა ყველაფერი: კვირაცხოვლის ძველი საყდარი, უშნო, უბადრუკი მიწურები, მთელი სოფელი, იმის იქით ერთმანეთზე მილაგებული ქაჩალგორები, შორს - ტყიანი ქედი, ჩამუქებული, გულჩაბოროტებული და უფრო იქით თრიალეთის მთები, ლურჯად ასულნი მაღლა, ღრუბლებისაკენ აზიდულნი. მაგრამ ნანუჩა ფალელი ვერ ამჩნევდა ბალღობიდან თვალმიჩვეულ ამ სურათს, აგრერიგად ნაცნობსა და ახლობელს, წელიწადის სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად ლამაზსა და საყვარელს, ახლა კი ყოფიერების საზრუნავისგან გაფერმკრთალებულს, გამქრალს, უჩინოს.

კაცმა რომ თქვას, ყველაფერი ისე მოაწყო, როგორც უნდოდა: სამარცხვინო ტვირთი, რომელსაც მისი უბედური შვილი ცხრა თვე მუცლით დაატარებდა, ღვთის წყალობით თავიდან მოიცილა და, როგორც იქნა, თვითონაც განთავისუფლდა იმ მძიმე ლოდისგან, ზუსტად იმდენივე ხანი, წვრილი ძაფით რომ ეკიდა გულზე და წესით ახლა ისეთივე შვება უნდა ეგრძნო, როგორც იმას, იმ საცოდავს, აქვე, მეზობელ ოთახში რომ იწვა მშობიარობის ტკივილებისაგან მისავათებული და მიკნავებული, მაგრამ ნანუჩა ფალელს რაღაცას ავს უგრძნობდა გული და ალბათ ეს თუ უშლიდა, რომ ახლა მაინც ამოესუნთქა თავისუფლად.

იდგა და მღვდლიანთ კარ-მიდამოს მიშტერებოდა. ის გაძვალტყავებული ძუკნა, რომელმაც დილას, ეკლესიის კარიბჭესთან ბალღი დასუნა, ახლა მღვდლის ჭიშკართან ჩაწოლილიყო და თვლემდა.

წეღან, როცა მღვდლის სახლიდან პატარა ბიჭი გამოვიდა და ქვემოთ გაქუსლა, ნანუჩა ფალელმა თვალი გააყოლა, ფარდაც კი გადასწია და სანამ ბიჭი თვალს არ მიეფარა, შეფიქრიანებულმა დიდხანს უყურა. რაღაც ხდებოდა, მღვდელი ასეთ დროს ბიჭს ტყუილად არსად გაგზავნიდა და მართლაც, იმან, უკან მობრუნებულმა, თან ყვითელი ისაკა და იმისი ცოლი მოიყვანა!

ნანუჩა ფალელი მაშინვე მიხვდა ყოველივეს, მაგრამ ფანჯარას არ მოსცილებია და როცა ისინი მღვდლის სახლში შევიდნენ, ფეხი მოინაცვლა და ძაღლს გაჰხედა. ძუკნა წამომდგარიყო, თითქოს იმასაც უგრძნობდა ტანი, რომ რაღაც ხდებოდა, რაღაც მნიშვნელოვანი და არსებითი, რადგან მგელივით კისერგაშეშებული უძრავად იდგა და სახლის მოხურულ კარსა და ფანჯრებს თვალს არ აცილებდა.

ზემოდან ცხენის ფეხის ხმა მოისმა - ქურანა ჭაკზე, უბელოზე, ორი მაიმუნი ბიჭი გადამჯდარიყო და ურწყავებისკენ მიაჭენებდნენ. ცხენს უკან მისდევდა კუდაფ-შეკილი პატარა კვიცი, რომელიც ძაღლის დანახვაზე გაფრთხა და განზე გავარდა. იმათ რომ აიარეს, მღვდლიანთ ეზოდან გამობაჯბაჯდნენ ბატები - ბევრნი, რატომ ოცნი მაინც არა და დინჯი ყიყინითა და კურტუმოების ქნევით დაეშვნენ თავქვე. იქ, ქვემოთ, ბოსტნების ბოლოზე ოძურა დიოდა და ბოგირთან უკვე ისმოდა სხვა ბატების ყიპყიპი და ფრთების ფართხუნი.

ბოლოს, მღვდლის სახლის კარი გაიღო. ყვითელ ისაკასა და ბალღატატებულ იმის დედაკაცს წვერულვაშგაბურძგნული მასპინძელი მოაცილებდა, მღვდლის ზურგსუკან მოჩანდა სახეგადატეტკილი ფოფოდია, რომელიც ქმარს რაღაცას ეტუტუნებოდა, მაგრამ ზაქარია იმას ყურს არ უგდებდა, ეზოს ჭიშკრისკენ მიმავალ ცოლ-ქმარს ჯვარს სახავდა და თან აქეთიქით იყურებოდა.

ძუკნა ჩაწვა, კისერგაწვდილმა ქვედა ყბა მიწაზე დადო და როცა ყვითელი ისაკა და იმისი დედაკაცი ჭიშკარს გამოსცდნენ, გზაზე გამოვიდნენ და გაჩქარებული ნაბიჯით დაეშვნენ თავქვე, წამოდგა და კუდამოძუებული იმათ დაედევნა.

ყვითელი ისაკა წინ მიდიოდა, გაჩქარებული მიაბოტებდა, იმისი კაფანდარა ცოლი კი მალიმალ იხედებოდა უკან და მღვდლის ეზოს გასცქეროდა, სადაც უქუდო და თმაგაწეწილი მამა ზაქარია იდგა, სამთითშეწებებული მარჯვენა მაღლა აეწია და გაუთავებლად, აგერ უკვე მერამდენედ სახავდა ჯვარს გზაზე მიმავალთ. სონა ძლივს ეწეოდა ქმარს, გამალებით მისდევდა უკან, კოჭებამდე ჩაფართხუნებული ქვედა კაბა ჩქარა სიარულში ხელს უშლიდა და თან, რაკიღა წამდაუწუმ უკან იხედებოდა, ბორძიკობდა, მაგრამ როცა ორღობეში შეუხვიეს და სოფლის თვალს მიეფარნენ, როცა მღვდლის სახლს დიდი კაკლები ჩამოეფარა, გაჩერდა, ბავშვს სახეზე გადახადა და ისეთნაირად დააცქერდა, თითქოს გზაზე შემთხვევით ნაპოვნ ნივთს ათვალიერებსო.

ნანუჩა ფალელი ფარდის უკან ნირშეცვლილი იდგა და გრძნობდა, რომ რაღაც ვერ გათვალა, რაღაცაში შეცდა, მაგრამ ცხადია, არ იცოდა, რა საბედისწერო იყო ეს შეცდომა. იდგა შუბლშეჭმუხნული გასცქეროდა პირზე ღიმილმორეულ ქალს, რომელიც, თითქოს ნაპოვნის სარგებლიანობაში დარწმუნდაო, გახარებული უქნევდა ხელს ყვითელ ისაკას და ისიც, აქამდე, ცოტა არ იყოს შეფიქრიანებული და დადარდიანებული უკან გამობრუნდა, სონას მიუახლოვდა, ბალღს დააცქერდა და

ნელ-ნელა იმის უშნოდ ნაჩორკნ, ყვითელ პირ-სახესაც მოეფინა, კი არ მოეფინა, ხავსივით მოედო ღიმილი.

ერთხანს ეგრე იდგნენ და გაღიმებულები მდუმარედ დასჩერებოდნენ შენაძენს, მერე გაბრუნდნენ, კაკლებით ჩამობურულ ორღობეს გაუყვნენ და სულ მალე გაუჩინარდნენ კიდეც.

ორღობეში ბაქმაზაანთ ძუკნაღა დარჩა, უკანა ფეხებზე დაყუნცული ჩუმად გასცქეროდა ცოლ-ქმარს და როცა ისინი თვალს მიეფარნენ, ადგა და ისიც იმათ კვალს გაჰყვა.

* * *

მართალია, პატარა ბიჭი უშვილო ცოლ-ქმარს მიაშვილა, მაგრამ მამა ზაქარიას ბავშვისთვის ყურადღება არ მოუკლია. ნათლიღება დღეს მირონი სცხო, თავის უფროს ბიჭს მოანათვლინა, ნეტარი გრიგოლის პატივსაცემად მისი სახელი დაარქვა, კისერზე საკუთარი ხელით დაჰკიდა ოქროს პაწაწინა ჯვარი და მერეც, თვე ისე არ გავიდოდა, რომ ერთხელ მაინც არ მოენახულებინა, ხან თვითონ, ხან კიდევ ფოფოდიას.

მუდამ ხელდამშვენებულები მიდიოდნენ, მიჰქონდათ თავიანთი შვილების გამონაცვლები - პირველ ხანებში, შესახვევი ფალას-ფულასი, მერე და მერე ტანისამოსიც: რეცხვით გახუნებულ-გაწყალებული პერანგები, შარვლები, ნარმისა და ბამბაზიის პატარა ხალათები. იზრდებოდნენ ბალღები და თანდათანობით იზრდებოდა ის ტანისამოსიც, უფროსიდან უმცროსებზე გადადიოდა: ახალი, ქალაქში ნაყიდი პალტო ჯერ სულ დიდს ეცვა, მერე იმის მომდევნოს. როცა ეს ორი ბავშვი პალტოს ისე გააბედრანგებდა, რომ მესამეს აღარ ჩაეცმეოდა, ფოფოდია დაშლიდა, გარეცხავდა, და უკუღმა პირზე შეკერავდა. ის გადაბრუნებულ-გაახლებული პალტო ჯერ მესამე ბალღს ეცვა, მერე - მეოთხეს და მეხუთეს რიგი რომ დადგებოდა, საწყალი ფოფოდია ისევ დაშლიდა, ისევ გარეცხავდა, ახლა წაღმა პირზე შეკერავდა და ასე - მეთერთმეტემდე... მეთორმეტე კი რიგში პატარა გრიგოლი - გიგო იდგა, ვინ იცის, რამდენჯერ გადაბრუნებულ, ფერგადასულ, გაცრეცილ პალტოს ახლა უკვე იმას აცმევდნენ.

ათი წლის გიგომ, მღვდლის უფროსი ბიჭის, ნიკოს წყალობით უკვე კარგად იცოდა წერა-კითხვა. თერთმეტი ბავშვის ხელში გამოვლილი, დაფლეთილი „დედაენა“ სულ ზეპირად დაესწავლა. ნიკო ზაფხულის არდადეგებზე ამოდიოდა ხოლმე ახალსოფლიდან, სადაც იგი დაწყებითი კლასის მასწავლებლად მუშაობდა და ორ-სამ თვეს მამის ოჯახში ატარებდა. როგორც კი მოიცლიდა, გიგო მღვდლიანთ ეზოში გადაირბენდა ხოლმე და ნათლიასთან საუბარში ჰკლავდა დროს. ნიკო ბიჭს უამბობდა ამ მთისას, იმ ბარისას, ასწავლიდა ფიზიკის, არითმეტიკის, ბოტანიკის საფუძვლებს და გიგოც ხარბად ეწაფებოდა ცოდნას.

ნიკოს ახარებდა და ახალისებდა ნათლულის მონდომება, მისი ნიჭიერება და ზოგჯერ პოლიტიკაზეც კი ჩამოუგდებდა ხოლმე სიტყვას - ბავშვისთვის გასაგები ენით ესაუბრებოდა მაშინდელ მოწინავე იდეებზე, მსოფლიო პროლეტარიატის ბედზე, მჩაგვრელებსა და ჩაგრულებზე, პირსისხლიანი მეფის რეჟიმზე და გიგოც

მშრალი ღრუბელივით ისრუტავდა ყოველივეს, თვალებანთებული უსმენდა ნიკოს და მის ყოველ სიტყვას გულსა და გონებაში იბეჭდავდა. ასეთ საუბრებში ხშირად დაღამებიათ კიდეც, მაგრამ ბიჭი შინ წასვლას არ ჩქარობდა, არ მიუწევდა იქითკენ გული, სადაც შიმშილს, მიუსაფრობას, უსიყვარუ-ლობასა და ავადმყოფობას დაედო ბინა.

რაც თავი ახსოვდა, ყვითელი ისაკა სულ ავად იყო, ღვიძლს იტკიებდა, დღენიადაგ დაღვრემილი იჯდა კერასთან და კვნესოდა. ტკივილისაგან გაბეზრებულს ტკბილი სიტყვის თქმა ეზარებოდა, ლანძღვაგინება კი, იცოცხლე, იმისი მოგონილი იყო - აგინებდა ცოლს, საწყალ სონას, რომელიც წელებზე ფეხს იდგამდა, დღედაღამ შრომობდა, რომ როგორმე ქმარ-შვილი გამოეკვება, აგინებდა გიგოს, მეზობლებს, მღვდელს, ბატონს, მთელს ქვეყნიერებას და მაშინღა თუ დატკბებოდა, როცა ცოლი საიდანღაც ნახევარ ჩარექ არაყს გამოუძვრენდა. გაუთავებელმა სმამ მუცელში წყალი ჩაუყენა, ლოგინად ჩააგდო, ბოლო დროს ფეხებიც უსივდებოდა და სხვის დაუხმარებლად გარეთ ვეღარ გადიოდა.

სონა ფალელებს ედგა პურის მცხობლად. პურის მცხობელი ერქვა, თორემ საქმით ყველაფერს აკეთებდა - სარეცხი გინდა, ქვაბების ხეხვა თუ სამზად-სამოჯამაგირეოს მოვლა-მოჟმიარება. ფალელებს სტუმრიანი ოჯახი ჰქონდათ, დღე ისე არ გავიდოდა, იმათ სახლში საკლავი არ დაკლულიყო, მეორე სართულის აივანზე გრძელი სუფრა არ გაშლილიყო. მეზობელი სოფლებიდან ბატონს იქაური თავადები ესტუმრებოდნენ ხოლმე, ქალაქიდან კი სიძე-ქალი მოსდიოდა, მართალია, ისინი ისე წამდაუწუმ არა, მაგრამ, სამაგიეროდ, ზაფხულობით სულ იქ იყვნენ, რომ ბავშვისთვის პატარა, გაფსხლიკული გოგოსთვის ჰაერი შეეცვალათ. სამზარეულოში დღენიადაგ თუხთუხებდა დიდრონი ქვაბები - იხარშებოდა ხაშლამა და ბოზბაში, ჩიხითმა და ლობიო, ქათამი და ზუთხი. სონაც ტრიალებდა, ვარცლში ცომს ზელავდა, ორომზე აგუნდავებდა და მერე, ხილაბანდით თავპირაკრული, გავარვარებულ თონეში თავდაყირა ეკიდა. შუადღის უკან, მზარეულს ბრინჯსა და ლობიოს ურჩევდა, ხახვსა და ნიორს უფცქვნიდა, მწვანილს ურეცხავდა, საღამოობით კი დაქონილ-დამურული ქვაბები წყაროზე ჩაჰქონდა დასახეხად.

ზოგჯერ, როცა ბატონიანთ აივანზე სტუმრები მოიყრიდნენ თავს, დაუძახებდნენ და, თითქოს მაშინჯრები არიანო, ხან წყალს მოატანინებდნენ, ხან სველ ნაბადს გაატანდნენ ცეცხლზე გასაშრობად და ხანაც ტალახიან ჩექმებს გადმოუყრიდნენ - დაფხიკეო! სონა გრძნობდა იმათ გაფაციცებულ მზერას, ესმოდა ქალების ტუტუნი, კაცების მოურიდებელი, როყიო შეკითხვები - ეგ არი, მართლა ეგ არიო?! - და იმის ნაცვლად, რომ დაბნეულიყო და დაერცხვინა, სიამაყით ევსებოდა ხოლმე გული, რადგან იმ წუთებში ერთი ვიღაც ბოგანო დედაკაცი უბრალო მოსამსახურე კი არა, თითქმის იმათი ტოლი და სწორი ეგონა თავი.

ტოლი კი არა, რატომ ამათზე, ამ გასაწყვეტლებზე მეტიც არ იყო! აკი სწორედ ამათ გამოუგზავნა ღმერთმა და ბედმა ის ანგელოზივით ბალღი, მაგრამ ვერ ითანიეს, ვერ შეიშნოვეს, პირში შაქრიანი პარკუჭი ჩასჩარეს და საყდრის წინ ცივ ქვაზე დადეს, იქნებ ვინმე ღვთისნიერმა ჩამოიაროს და წაიყვანოსო. რა უნდა ექნათ, სონა რომ არ გამოსჩენოდათ? როგორი ბიჭი გაზარდა, ტანი დააკლო თუ ფეხი!

მართალია, ძუძუ არ უწოვებია, მაგრამ პირიდან ლუკმას იღებდა და იმას აჭმევდა. მარტო ის ხომ არ არის, მუცლად იღო და ცხრა თვე ატარო, ეგ ხომ საქონელსაც შეუძლია! აბა, გაზარდე, აბა, ღამეები უთიე, აკვანი ურწიე, ასვი, აჭამე, ჩააცვი. ადვილია? არ არი ადვილი, არა!

სული მისდიოდა, ისე უნდოდა, ერთხელ, როდისმე მიეყვანა, ბატონიანთ სტუმრებისთვის ეჩვენებინა და თვალებიც დაეთხარა, მაგრამ აკრძალული ჰქონდა გადიასგან, იმ როკაპისგან და ეგეც რომ არა, სიზმრისგანაც ძალიან იყო შეშინებული: ზოგჯერ ეზმანებოდა, ვითომ ძნას ლეწავდნენ, ხარებს ქარში თმაწვერგაშლილი, ანაფორის კალთებაფარებული მამა ზაქარია მიუძღვოდა, თვითონ კი კევრზე იჯდა და კალთაში პატარა გიგო ესვა. სად იყო სად - არა, გამოტყვრებოდნენ ბატონიანთ სტუმრები, მთელი ის კნიაზობა - ქალი და კაცი. მორთავდნენ საშინელ ჟღივილს - ბალღი მაგისი არ არი, არაო, წაართვითო! სონა ბიჭს გაიტაცებდა და ხელჩაკიდებულს მიარბენინებდა, საბძელში მალავდა, მაგრამ შემოგლიჯავდნენ, შემოაფრიალებდნენ საბძლის ფარღალალა კარსაც და ბურდოსა და ნამჯას ორთითებით ჩხვერავდნენ. საწყალი სონა ახლა სახლისკენ მიარბენინებდა ბიჭს და - მიშველე, კაცო, მომეხმარეო! - ეძახდა ისაკას, მაგრამ, ვითომ, ის კერის პირზე გორაობდა და იცინოდა, იცინოდა, კვდებოდა სიცილით...

ერთთავად სხვისი მუშა, საკუთარი სახლ-კარისა და ქმარ-შვილისთვის ვეღარ იცლიდა. ოჯახისა და ლოგინად ჩავარდნილი ისაკას მოვლა გიგოს დასწოლოდა კისერზე და ისიც, როგორც შეეძლო, ისე უძღვებოდა ამ საქმეს, თუმცა, პატარა როდიღა იყო მკათათვეში თერთმეტისა შესრულდებოდა.

* * *

- მამი, ბუში რა არი? - ჰკითხა ერთხელ გიგომ ისაკას.
- რაო?
- ბუში რა არი-მეთქი?
- ეგ სიტყვა ვინ გითხრა შენა?
- ბიჭებმა მითხრეს...
- ბუში შენა ხარ. - ნაძალადევად გაიცინა ისაკამ.
- რათა?
- შენა განა ჩვენი შვილი ხარ, რო...
- ჰა?!
- გადაგდებული გიპოვნეთ და აგიყვანეთ.
- მატყუებ?.. - გაეღიმა გიგოს.
- არა, მართლა გეუბნები.
- მაშ ვისი ვარ?
- ბატონიანთი. ფალელებისა.
- როგორ თუ ფალელებისა?!
- ეგრე. იმათ გადაგაგდეს.

* * *

- შენ რო დედაჩემი არა ყოფილხარ? - უთხრა გიგომ საღამოთი შინ მოსულ სონას.

- რას ამბობ, ბიჭო, ვინ გითხრა ეგა!

- აი, მამაჩემმა.

- უი, მამიკვდეს თავი, მართლა შენ უთხარი, კაცო?!

ისაკამ თავი ჩაღუნა, ცეცხლის პირს ჩააშტერდა და საჩხრეკით ნაცარი გაქექა.

- შენ უთხარი-მეთქი, ადამიანო?!

- ჰო, მე ვუთხარი...

- რათა, მერე, რათა!!!

- რავი, ბუში ხაარო, ბიჭებს ეთქვათ და...

- აბა, რომელმა გითხრა, ჰო, მითხარი, მითხარი, რომელმა გითხრა! - ვაიმე, ტირიხარ, ბიჭო? არა, შვილო, არა, არ იტირო!

გიგო ტიროდა.

* * *

ზაფხულის მთვარიან ღამით, როა ისაკა ხვრინვას ამოუშვებდა და კერის პირზე მოკუნტული, მთელი დღის ჯაფით მოღლილი სონაც ტკბილ ძილს მიეცემოდა, გიგო ლოგინიდან აიპარებოდა, ტანისამოსს გარეთ გაიტანდა და იქ ჩაიცვამდა. ჩაცმული, ერთხანს, ხის ჩრდილში იდგა და მთვარის ვერცხლისფერი შუქით განათებულ მძინარე სოფელს გასცქეროდა; ყურს უგდებდა კაკლის ფოთლებში შეყუჟული ვასაკას კრუალს, ჭრიჭინების გაბმულ კრიმანჭულს და გიტარის კვნესას, ფალელების სასახლიდან რომ მოისმოდა. მერე ეზოს ფეხაკრეფით გადაივლიდა და მთვარის შუქით დაფერილ გზას დაადგებოდა.

მიდიოდა, თანდათანობით ფეხს უჩქარებდა და ეჩვენებოდა, რომ გიტარის ის უცნაური, გულისმომწყვლელი ხმა ვერცხლისფერი თოკივით ჰქონდა ყელზე გამობმული და ეწეოდა, ექაჩებოდა, სოფლის შარაზე ოჩან ხბოსავით მიარბენინებდა და სასახლის ეზოს ალაყაფი რომ გამოჩნდებოდა, მაშინღა შეანელებდა ნაბიჯს, წავიდოდა, ჩრდილ-ჩრდილ ივლიდა და ქვის გალავანზე აძვრებოდა.

ისეთი ადგილი ჰქონდა არჩეული, საიდანაც კარგად მოჩანდა ბატონიანთ მთელი ეზო და ლამპების შუქით განათებული რიკულებიანი აივანი.

მამლის პირველ ყივილამდე იჯდა ხოლმე გალავნის თავზე და თვალებდადიდებული უყურებდა ჩალის სკამებში მოკალათებულ, კარგად ჩაცმულ-დახურულ ქალებს და კაცებს, ესმოდა მათი საუბარი, სიცილი, ყურს უგდებდა დეზების წკრიალს, ფარჩა-აბრეშუმის შარიშურს, ვერცხლის დანა-ჩანგლის წკარუნს, გიტარის საამო კვნესას და სიმღერას, იმასაც ტკბილსა და სულში ჩამწვდომს, მაგრამ იმავე დროს საოცრად ნაღვლიანსა და ცრემლის მომგვრელს. ასეთ დროს მუდამ ეჩვენებოდა, რომ თვითონაც იქ იყო და მათთან ერთად მიირთმევდა ოქროსფერი სამოვარიდან ფაიფურის ლამაზ ფინჯანში ჩამოსხმულ ჩაის.

ერთ კვირა დილით, როცა მამა ზაქარიამ წირვა დაასრულა და ბატონიანთ სტუმრები ეკლესიიდან გამოიშალნენ, მარუსამ გიგოს ხელი ჩასჭიდა, - წამოდი, დედაშენი უნდა გაჩვენოო, - და საყდრის უკან გაიყვანა.

იქ ვიღაც ლამაზი, ახალგაზრდა ქალი ელოდებოდათ.

- აი, ქალბატონო, - უთხრა მარუსამ, - ეს არი თქვენი შვილი!..

ქალმა ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა, ლოყაზე ბეჭდიანი თითებით მიეფერა და ხელში მძიმე ქისა ჩაუდო.

გიგო გაუძალიანდა.

- გამოართვი, ბიჭო, დედაშენია ეგა! - უთხრა მარუსამ.

მაგრამ გიგომ ის ქისა ქალბატონს ფეხებთან მიუგდო, გაიქცა და საყდრის ეზოში მოზიმზიმე ხალხს შეერია.

ღამღამობით, გალავანზე ამძვრალი, ახლა მხოლოდ იმ ქალს უყურებდა, დაჟინებით მიშტერებოდა, თითქოს უნდოდა, რომ კარგად დაემახსოვრებინა და მართლაც, სიცოცხლის ბოლომდე სულ თვალწინ ედგა, სულ ახსოვდა, როგორ იჯდა, როგორ დადიოდა, შუბლზე ჩამოშლილ თმას როგორ ისწორებდა, როგორ იცინოდა და არა მარტო ახსოვდა, თითქმის ყოველღამე ესიზმრებოდა და ამიტომ მთელი ცხოვრების მანძილზე, მოუთმენლად ელოდა ხოლმე დაღამებას, რათა ძილში მაინც ენახა, სიზმარში მაინც ეგრძნო მისი სითბო, მისი ალერსი.

ზოგჯერ თვალს მოჰკრავდა იმ ქალის შვილსაც - ერთიციქნა, ლამაზ გოგონას, ხედავდა, როგორ დაჰკანკალებდნენ ყველანი, ქალი და კაცი, შინაური თუ გარეული. განსაკუთრებით ნანუჩა ფალელი ათამამებდა, სულ ერთთავად ეფერებოდა, სულ ერთთავად მუხლზე ეჯდა, ჩალი-სფერ თმაზე ხელს უცაცუნებდა, თავზე სუნავდა და ასეთ დროს მუდამ სიამით ეჭუტებოდა ხოლმე თვალები.

გიგოს ის გოგო არ უყვარდა, სადმე მარტო რომ მოეგდო, იცოცხლე, იმ კულულებს სულ სათითაოდ გააცლიდა, მაგრამ ფალელების მემკვიდრეს ხელში ეგრე იოლად ვინ ჩაუგდებდა!

ერთხელ, ვერ მოითმინა და გალავანზე დღისითაც აძვრა.

ბატონიანთ აივანზე არავინ იყო, მარტო ერთი პირდაუბანელი გოგო ჰგვიდა იატაკს, ჩალის სკამები ერთმანეთზე აეკოკოლავებინა მაგიდიდან სამოვარი აეღო და სუფრაც აეშალა.

ოთახიდან გრძელი ყალიონის პლაკუნით გამოვიდა ბატონი, გოგოს დაუტატანა, მოაჯირს მოადგა და ეზოში თვალი მოატარა.

სათონესთან სონა და მარუსა ტრიალებდნენ. მარუსა წალდით ფიჩხს კუწავდა, სონა კი თონეში ჰყრიდა.

ბატონმა იმათ საქმიანობას ერთხანს უყურა, მერე, უეცრად, გალავნისკენ გამოიხედა, გიგო დაინახა და დაუძახა:

- რომელი ხარ, ბიჭო, მანდა?

გიგო დაიბნა, გაწითლდა და ის იყო, ძირს ჩახტომა დააპირა, რომ მოესმა:

- აბა, მოდი აქა!

რაღას იზამდა, ეზოში ჩაფოფხდა, მუხლები უკანკალებდა, მაგრამ მაინც მივიდა და ბატონს ქვემოდან აჰხედა.

- ამოდი მაღლა! - უბრძანა იმან.

გიგო აივანზე ავიდა და ბატონის წინ თავჩაღუნული დადგა.

- ვისი ბიჭი ხარ?

- ისაკასი...

- ვისი?!
- სონასი და ისაკასი...
- მერე, აქ რა გინდოდა?
- არაფერი...
ბატონმა ჩაახველა, მერე, უეცრად, ხელი სტაცა, რომ არ გაჰქცეოდა, მეორე ხელი მკლავში წაავლო, დაიხარა და თავზე დასუნა.
გიგოს ცხვირში თამბაქოს სასიამოვნო სუნმა შეუღიტინა, მაგრამ ყური ეტკინა და ლეკვივით აწკმუტუნდა.
ბატონმა მაშინვე ხელი უშვა და ახლა თავში წამოუთაქა:
- აქ აღარ დაგინახო, გაიგე შენა!
გიგო გაიქცა და კიბეზე თავქუდმოგლეჯილი დაეშვა.
ძირს შეშინებული სონა ელოდებოდა:
- მამიკვდეს თავი, რა გინდოდა, ბიჭო, აქა!
მაგრამ გიგო არც იმას გაუჩერდა, ეზო სირბილით გადაჭრა და ღია ჭიშკარში შურდულივით გავარდა.

* * *

მარიამობის თვეში ბატონმა სონა აივანზე აიხმო, დაუყვავა, მოიკითხა და ბოლოს უთხრა:
- ბიჭი მოგსწრებია, შვილო, პატარა როდიღაა, დროა, ხელობა რამე ასწავლო.
- რა ხელობა?! - გულმა რეჩხი უყო სონას.
ბატონმა უბიდან დაბეჭდილი წერილი ამოიღო:
- აი, ჩემო სონა, ქალაქში ამ მისამართზე მიხვალ, ოქრომჭედელ იოსებას იკითხავ, ბიჭს შეგირდად აიყვანს და ისეთ ხელობას ასწავლის, ქვეყანა თქვენ დაგნატროდეთ!
ამ სიტყვებს ბატონმა ღიმილიც ზედ მოაყოლა, მაგრამ სონა ამ ღიმილმა უფრო დააფრთხო. განა თვითონ არ ეფიქრა გიგოს მომავალზე, განა თვითონ არ ეთენებინა ღამეები - წვითა და დაგვით ნაშოვნ კაპიკს კაპიკზე აწებებდა, ფულს აგროვებდა, რომ ორიოდ ქცევა მიწა ეყიდა, ცოდვა გამხელილი სჯობს, ზოგჯერ იმასაც გაივლებდა ხოლმე გულში, იქნებ ბატონმა ბოლომდე არ გაწიროს თავისი სისხლი და ხორცი, ეგებ იმანაც უწყალობოს რამე და მაშინ ხომ გიგოს ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო, მაგრამ ახლა, ნანუჩა ფალელის ნათქვამმა, ნირი უცვალა და მწარედ ჩააფიქრა.
ნეტავ რა იყო, რა უნდა სდებოდა გულში... ვითომ მართლა გიგოს მომავალი აწუხებდა? აუტკივარ თავს იმაზე ფიქრით იტკიებდა? ვითომ აქამდე არ იცოდა, როგორი ვაინაჩრობით ზრდიდა, როგორ მერცხალივით უზიდავდა იმათ ნასუფრალს, მღვდლის შვილების გამონაცვალი ძონძებით როგორ უფარავდა ტიტველა ხორცებს, ზაფხულში როგორა სცხელოდა საწყალს და ზამთარში კიდევ როგორ სციოდა. ვითომ ეხლა გაახსენდა? ეხლა გაიგო, რომ ცხვირი პირიდან არ მოიჭრება?
არა, სხვა ამბავი იყო, სხვა რამეს შეეწუხებინა ბატონი, სულ სხვა მუცლის გვრემა ჰქონდა - აქაურობისთვის უნდოდა გაერიდებინა, როგორმე თავიდან უნდა მოეშორებინა, რომ იმის ქალ-სიძეს თვალში არ შესჩხეროდა. აკი ამას წინათ

დაემუქრა კიდეც - იცოდე, ეგ გველის წიწილი აქ აღარ დავინახო, თორემ თავს გავუჭეჭყავო! - მაგრამ რა ექნა, როგორ მოქცეულიყო, ბატონთან უარი ხომ არ გაუვიდოდა?! რაკი იმან გიგოს ქალაქში გახიზვნა ამოიჭრა გულში, წინ ვეღარაფერი დაუდგებოდა, ვეღარავინ გადააფიქრებინებდა. სონა ვინ იყო, რომ ბატონს იმის სიტ-ყვაზე გაევლო, იმისთვის დაეჯერებინა, თანაც, ვინ იცის, იქნებ სწორედ ქალაქში ელოდებოდა ამ საწყალ ბიჭს თავისი იღბალი. სოფელში ცხოვრებით სონამ რა ხეირი ნახა, რომ გიგოს ენახა - მთელი სიცოცხლე მუშა ხარივით უნდა ეჯაფა, შრომის ოფლი უნდა ეწურა, რომ ერთი ლუკმა პური ეშოვნა. ეგეც არ იყოს, იმ მუცელჩასახეთქი ისაკას შემყურე რა უნდა გამოსულიყო, იმისაგან რა უნდა ესწავლა და სონასაც თანდათან ჭკუაში უჯდებოდა ბატონის ნათქვამი - რა იცი, იქნებ სიკეთე ალაპარაკებს, ეგებ კარგის მეტი არაფერი უნდაო. ბუშია თუ რაც არი, ხომ მაინც თავისია და საკუთარ შვილიშვილს გადასაგდებად რატომ გაიმეტებს, გულიდან კი ჰყავს მოწყვეტილი, მაგრამ ჯიგრიდან როგორ მოიწყვიტავსო და ამიტომაც კვირის თავზე ბიჭი მამა ზაქარიას დაალოცვინა, რაც კი რამე კარგი ებადა, სულ ზედ ჩააცვა და ქალაქის გზას გაუყენა.

ბატონმა იმდენი პატივი დასდო, რომ დედა-შვილი თავის მეურმეს გააყოლა, რომელსაც ქალაქში სამარიამობო თევზეულის ყიდვა ჰქონდა დავალებული. მშვიდობით იმგზავრეს, ჩავიდნენ, ბატონის ნაცნობ ოქრომჭედელს კითხვა-კითხვით მიაგნეს და იმანაც, ბარათი რომ წაიკითხა, გიგოს თავზე ხელი გადაუსვა, სონა დაამშვიდა, ამას მე აქ არაფერს გავუჭირვებო და დაიმედებული გამოისტუმრა.

* * *

დილით, მზე რომ ამოვიდა და გაველურებული ბაღიდან ნამი აკრიფა, გველი თახჩიდან გამოსრიალდა, თავი აიღო და კარის განათებულ ღიობს მიაჩერდა, მერე დაიძრა, კრამიტის ნამუსრევით მოფენილი იატაკი გადაიარა, მძიმე, ჭრელი ტანი ზღურბლზე ზლაზვნით გადაიტანა და გარეთ გავიდა.

ბაღში შაშვი გალობდა. ხმობაშეპარული ჭანჭურის ტოტებში ჩიტბატონები დაფრთხიალებდნენ. მინდვრიდან ცვარნასვამი, დაპურებული ყანების თავბრუდამხვევი სურნელი მოჩქროლავდა, იქიდანვე ისმოდა მწყრების ქვითქვითი და ცაში წასული ტოროლების ლაღი წკრიალიც.

გველი ყვითლად აყვავებულ შალგებში შეძვრა, კედლის ძირში დაიგორგლა და მზეს მიეფიცხა. თვალებდახუჭულს ბრტყელი, დაკუთხული თავი ჭრელ ტანზე ედო და თანდათანობით ღრმა ხვეულებით დაღარულ რაღაც რუხ მასას ემსგავსებოდა, რომელიც შორიდან გველს კი არა, ქუდს უფრო ჰგავდა.

თვალებდახუჭული იწვა და უკვე ხედავდა შორეულ ტყეს, უღრანს, სადაც ისეთი ფიჭვები ხარობდა, რომ ზოგს რვა კაცი ხელსაც კი ვერ შემოუწვდენდა. მიწა ძველი წიწვითა და სქელი ხავსით იყო მოფენილი. ხეთა ტოტებში მზის სხივები ვერ ატანდა და ტყეში ბნელოდა. ის ტყე, რატომღაც სწორედ აქ, ამ თბილი კედლის ძირში ახსენდებოდა ხოლმე და ეს მოგონება ისე ითრევდა, ისეთნაირად იმორჩილებდა, რომ ეჩვენებოდა, თითქოს ახლაც იქ იყო, კატორღიდან გამოქცეული ისევ იმ თავის ორ ამხანაგთან ერთად მოდიოდა, რომლებიც წვერგაუპარსავები,

გაზინზლულები, მგლებივით გუმანს მინდობილნი საკუთარ ფეხებს მოჰყვებოდნენ, რადგან მათივე თქმით, შიშველი ფეხისგულებით გრძნობდნენ უხილავ ბილიკს, რომელსაც მთელი ის თვალუწვდენელი ტაიგა უნდა გადმოესერა და ბოლოს სამივენი სამშვიდობოს გამოეყვანა.

თავიდან არ სჯეროდა - ნეტა რას ამბობენ, ფეხებს რა ჭკუა მოეკითხებათო, მაგრამ მერე, როცა საკუთარ თავზე გამოსცადა, როცა მარტო დარჩა და ის იმხელა გზა სულ ფეხშიშველმა გამოიარა, მაშინღა დარწმუნდა ძველი, გამოცდილი კატორღელების სიმართლეში.

ტაიგაშიც და იქაც, იმ შორეულ ბოდაიბოშიც გიგოს თავისი მშობლიური სოფელი მუდამ ახსოვდა, მწარე ბავშვობა მუდამ ტკბილად აგონდებოდა, იქაურობა ენატრებოდა და არ იცოდა, რომ ოძისი ის აღარ იყო, როგორიც ამ ოციოდე წლის წინ დატოვა: ისაკა მოკვდა, სონა ბატონიანთ კარზე დაბერდა, იმათ თონეში ჩაწვა და ჩამუმლა თავისი ჯეელობა. პურის მცხობლად რომ აღარ ვარგოდა, ლობიოსღა არჩევინებდნენ. იჯდა, კალთაში ლობიოს ნედლ პარკებს იგროვებდა, სულ ერთთავად გზისკენ ეჭირა თვალი და ბოლოს თავისი გიგოს მოლოდინში დალია სული. გიგო კი დასაფლავებაზეც ვერ ჩავიდა.

სოფელმა, რასაკვირველია, სულ დაივიწყა ფალელების პატარა ბუში, მარტო ერთადერთხელღა გაახსენდათ, როცა ხმა მიუვიდათ - ქალაქში ბუნტისთაობა დაუბრალებიათ და გაუციმბირებიათო.

მღვდლის წვრილფეხობა დაიზარდა - ქალები დათხოვდნენ, ბიჭები დაცოლშვილდნენ და ზოგი საით წავიდა, ზოგი - საით. მამა ზაქარიას უფროსი ვაჟი ნიკო - გიგოს ნათლია, შორეულ რუსეთში გადაიხვეწა, ფოფოდია მოკვდა და დარჩა საწყალი მღვდელი მარტო.

საქართველოს გასაბჭოების წინა დღეებში, ნანუჩა ფალელის ქალ-სიძე და იმათი ქალიშვილი მენშევიკების მთავრობას გაჰყვნენ უცხოეთში. სასახლეში მარტო ბატონი და ას წელს მიღწეული გადიაღა დაღინღილობდნენ. სახლი გამოყრუვდა, გაუკაცურდა - აღარსად სტუმარო, აღარსად მასპინძელო. მამა ზაქარიაღა თუ ეწვეოდათ ხოლმე - მოჰქონდა გაზეთები და ბატონს ხმამაღლა უკითხავდა. იქ ისეთი ამბები ეწერა, რომ სამთავეს თმა ყალყზე უდგებოდა: - მთელს ქართლ-კახეთში და ლიხს იქითაც - იმერეთში, თურმე, ბოლშევიკებს მღვდლები დაეკრიჭათ, საყდრები დაერბიათ და შიგ კლუბები და სამკითხველოები დაეხსნათ. ხშირად ქვეყნდებოდა ამა თუ იმ მღვდლის განცხადება: - აქამდე ხალხს ვატყუებდი, ღმერთის არსებობას ვქადაგებდი და მშრომელებს წურბელასავით ვწოვდი სისხლს, მაგრამ ამიერიდან ამ საქმისთვის თავი დამინებებია, ჩემის ნებით გავკრეჭილვარ და დღეის ამას იქით საკუთარი ნაოფლარით უნდა ვიცხოვროო. ერთი და ორი რომ ყოფილიყო ამგვარი წერილი, კიდევ დაიჯერებდა კაცი, რომ ესა თუ ის მღვდელი მართლაც შეეცდინა ეშმაკს და ბოლშევიკების სამსახურში ჩაეყენებინა, მაგრამ ზოგ გაზეთში ამნაირი რატომ ათი და თორმეტი წერილი არ იყო დაბეჭდილი და ნანუჩა ფალელი თანდათან რწმუნდებოდა, რომ ბოლშევიკებს საქართველოდან ქრისტეს რჯულის ძირფესვიანად ამოგდება განეზრახათ.

დროის დინებას მართლაც ისე შეეცვალა და გადაესხვაფერებინა ოძისი, როგორც მდინარე სცვლის და ასხვაფერებს საკუთარ ნაპირს. ან თვითონ გიგო კი ისევ ისეთი იყო, როგორიც მაშინ, ამ ოციოდე წლის წინათ, როცა ბატონიანთ გალავანზე შემომჯდარი უთვალთვალებდა აივანზე გამოშლილ სტუმრებს? მას შემდეგ ხომ მრავალმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ შეიცვალა და ცხადია, ოძისიც შეიცვლებოდა, მაგრამ გიგოს მაინც გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ იქ ისევ ძველებურად იქნებოდა ყველაფერი.

ასე ფიქრობდა ოქროს საბადოებზეც - კარბიდის შუქით განათებულ ვიწრო გვირაბში, იმ თვალუწვდენელ ტაიგაშიც და მერეც, როცა რკონს ზემოთ უღრან ტყეში მოაბიჯებდა და მაშინდელივით ნადირის გუმანს მინდობილი, ამხანაგებს წინ მოუძღვოდა.

კლდეკარზე გადმოსულიყვნენ, იმ გზაზე, საიდანაც წინათ თურქისა და ლეკის მარბიელი ჯარი გადმოდიოდა. მაშინ, ალბათ, ისინიც ამასავით საკუთარ ფეხებს მოჰყავდათ და მოდიოდნენ, რომ ქართლის სოფლებს კალიასავით მოსდებოდნენ და იქაურობა ნაცარტუტად ექციათ.

ახლა ესენი მოდიოდნენ და სანამ ცხავერში ჩამოითავქვევებდნენ, სანამ ნაძვნარიდან წიფლიანში ჩამოვიდოდნენ, გიგოს სულ თვალწინ ედგა მაღალი ფიჭვებით დაბურული ის მაშინდელი უღრანი ტყე, სადაც წვერგაუპარსავები, გაზინზლულქურთუკიანები მართლაც მგლებივით მოძუნძულებდნენ. მაშინ სამნი იყვნენ, მაგრამ გიგომ გვიან შეიტყო, რომ სამნი კი არა, თურმე ორნი ყოფილიყვნენ, თურმე მარტო ორნი მოდიოდნენ და ეს მესამე კი მხოლოდ იმიტომ წამოეყვანათ, გზაში შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ.

ცხვარივით მოდენიდნენ და თანაც ისე უფრთხილდებოდნენ, ისე უვლიდნენ, როგორც დასაკლავ ცხვარს უვლიან და უფრთხილდებიან, მაგრამ არ იცოდნენ, ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ ცხვრის ნაცვლად ფარეხიდან შეცდომით მწყემსის ნაგაზი წამოეყვანათ.

აკი ამ საბედისწერო შეცდომამ იმსხვერპლა ორივენი, აკი იმან მოინელა, მაგრამ რაც იყო - იყო! ყოველთვის, როცა ის ამბავი ახსენდებოდა, მუდამ გულს აზიდებდა და ამიტომ მოგონებებსაც სწორედ აქ წყვეტდა.

ახლა ხუთი კაცი მოსდევდა უკან, ხუთივე ერთგული, მრავალ ჭირვარამში გამოცდილი სულ ნარჩევი ბიჭები. მარტო ერთი თქმა უნდოდათ და მისი გულისთვის ხუთივე კლდეზე გადაცვიოდა. ცხავერისკენ ეშვებოდნენ და როცა ერთი მოტიტვლებული სერიდან ოძისს გადაჰხედეს, გულმა რეჩხი უყო, რადგან პირველი, რაც თვალში მოხვდა, ფალელების სასახლე იყო - ისევ ისეთი გოროზი, ნირუცვლელი, ქვის მაღალი გალავნით შემოღობილი.

გაახსენდა, როგორ იჯდა ხოლმე ღამღამობით იმ გალავანზე გულაჩქროლებული, რანაირად მისჩერებოდა ბატონიანთ ლამაზად ჩაცმულ-დახურულ სტუმრებს, ყურში ახლაც ჩაესმა კაცების ლაპარაკი, ქალების კისკისი, გიტარის ხმა და ტკბილი სიმღერა. გაახსენდა ის ლამაზი ქალბატონიც, თითქმის ყოველღამ რომ ესიზმრებოდა და მისი შვილი - თეთრკაბიანი, პატარა გოგო, რომელიც ახლა უთუოდ გასათხოვრად იქნებოდა შეღერებული.

იდგა და ბატონიანთ სასახლეს ისე მიშტერებოდა, თითქოს უნდოდა აქედან, ამ სიშორიდან დაენახა განიერი აივანი, თეთრსუფრაგადაფარებული მაგიდა, ზედ შემოდგმული ოქროსფერი სამოვარი და ჩაის ჭურჭელი.

მისი თანამგზავრები ბალახიან კორდზე მიწოლილიყვნენ და მგზავრობით დაღლილები ახლა უკვე შვებითა და სიამოვნებით ლაპარაკობდნენ სოფლურ კერძებზე, ქვევრის ღვინოზე, თბილ ქვეშაგებსა და გლეხის გოგოებზე, ერთი შეხედვით მორცხვებსა და უმწიკვლოებზე, მაგრამ სინამდვილეში სოფლელ ბიჭებთან ღლაბუცით გვარიანად გაცვეთილებზე.

ესმოდა მათი სიცილი, ლაზღანდარობა, ერთდროულად აქაც იყო და იქაც, ამათ ბილწსიტყვაობაზეც ეღიმებოდა და მწვანეში ჩაფლულ სოფელსაც ათვალიერებდა: ბატონიანთ სასახლიდან მზერა გადაჰქონდა კვირაცხოვლის ეკლესიაზე, სახლებზე - მიწურებზე, ბანიანებზე, მერე საკუთარ ქოხს დაუწყო ძებნა, მაგრამ როცა ვერ იპოვნა, მიხვდა, რომ მღვდლიანთ კაკლები დაზრდილიყვნენ, ისინი ეფარებოდნენ და სწორედ ამ დროს, ეკლესიის ზარების რეკვა შემოესმა:

- ნაუ!.. ნაუ!.. ნაუ!

ზარის ხმა ნელა ეფინებოდა სიმწიფეში შესულ ყანებს, ვენახებს, რბილად გადადიოდა დაბალ, ფერნაცვალ გორმახებზე, სხერტის ჭალას მტკვრამდე ჩასდევდა და გაღმა გასული კავკასიონის თოვლიან ქედს ელამუნებოდა.

ყურები ცქვიტა. დანარჩენებიც წამოიშალნენ, გვერდით ამოუდგნენ და სოფელს გაჰხედეს.

- ვერ უყურებ ამათა?! - გაიკვირვა ერთმა.

- მაიცა, მოვიდეთ მანდა, - თქვა მეორემ, - იმ სულ-აძაღლებულ ხუცესს ზარის ენაზე რომ დავკიდებთ, მერე დარეკოს!

გაიცინეს და ბალახით შემოსილ რბილ ფერდობზე სწრაფად დაეშვნენ.

ჰაერში თეთრი პეპლები დაფარფატებდნენ. ქვემოდან, მწიფე ყანებიდან მწყრებისა და კვირიონების ხმები ისმოდა. ჩექმების ფხლაკაფხლუკით მიდიოდნენ, თითქმის მირბოდნენ, მხარიღლივ გადაკიდებული მაუზერები თეძოზე სცემდათ და დაღლილობისა და შიმშილის მიუხედავად, მაინც ხალისიანები, მგზავრობის დასასრულით გამხიარულებულები სოფელს სწრაფად უახლოვდებოდნენ. ახალგაზრდები იყვნენ. იმათში ყველაზე უფროსი ოცდაათისა თუ იქნებოდა, უმცროსი - თვრამეტისა.

* * *

- ბატონო, შენი სუხლების ჭირიმე, გვიშველე რამე!

- მე რა გიშველოთ?!

- ბატონი შენა ბრძანდები და მაშ ვინ გიშველის?!

- ჰე, აბა, მე რაღა შემიძლია... - ნანუჩა ფალელმა აივნის მოაჯირზე ყალიონი დაბერტყა და თმაწვერგაბურძგნულ, შეშინებულ მღვდელს დამნაშავის ღიმილით მიაჩერდა.

ტახტის კუთხეში მიმჯდარი გადია გამალებით იწერდა პირჯვარს.

- რა ვიცი, შენ რო იქ დაგინახონ, ეგება მოერიდოთ-მეთქი...

- ვისა, მაგათა? - მწარედ გაიცინა ნანუჩა ფალელმა, - ვერ გაიგე, მამაო, რო მაგათ ჩემი კი არა, ქრისტე ღმერთისა აღარ ერიდებათ?

მღვდელმა თავი ჩაქინდრა და კინკრიხოზე მელოტი გამოუჩნდა.

გადია უკბილო პირით რაღაცას ჩიფჩიფებდა. ყური მიუგდეს:

- გეშინოდეს უფლისაი და მიეცით დიდებაი, რამეთუ მოვიდა ჟამი სასჯელისა მისისა და თაყვანი ეცით მას, რომელმან შექმნა ცაი და ქვეყანაი და ზღვანი და წყარონი წყალთანი... - ამბობდა იგი, - მაგრამ რომელმანცა თაყვანი სცეს მხეცსა მას, იტანჯოს ცეცხლითა და წუმწუბითა, და კვამლი ტანჯვისა მისისაი უკუნითი უკუნისამდე აღვიდოდეს!

ნანუჩა ფალელმა თავი აიღო და ფართედ, რაღაც საზეიმო განწყობილებითაც კი გადაიწერა პირჯვარი. მას მამა ზაქარიამაც მიბაძა, მაგრამ იმან სულ სხვანაირად, თითქოს ვალის მოხდის მიზნით მოიფათურა მკერდზე ერთად შეწებებული სამი თითი და წამოდგა.

- ღმერთი იყოს შენი მფარველი, მამაო! - უთხრა მას გადიამ, მერე ადგა, მოაჯირთან მივიდა და კიბეზე ჩამავალ მღვდელს ჯვარი გადასახა.

ნანუჩა ფალელი ჩაფიქრებული იჯდა და დაბერტყილ ყალიონს ანგარიშმიუცემლად სუტავდა, მერე წამოდგა, ზურგშექცევით მდგომ დედაბერს თვალი შეავლო, თავის ოთახში შევიდა და კარი მიიხურა.

* * *

საყდრის ეზოში ტევა არ იყო, თითქმის მთელი სოფელი აქ შეყრილიყო, მაგრამ ხმას არავინ იღებდა, მდუმარედ იდგნენ და წითელმაუდგადაფარებულ მაგიდასთან მოფუსფუსე ფორმიან კაცებს ჩუმად უყურებდნენ. ხალხი ემატებოდა და ემატებოდა: ჯოხებზე ბჯენით მოიკაკვებოდნენ ბერიკაცები, მოდიოდნენ ბალღებატატებული ახალგაზრდა ქალები, დედაბრები, ჯეელი ბიჭები. ჭარმაგი გლეხები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და იქაურობას შეფიქრიანებულები ათვალიერებდნენ. ვიღაცამ წყლიანი დოქი მოიტანა და მაგიდაზე შემოდგა, მეორემ ახალგაზრდა, ცქვიტი სახის ბიჭმა ნათალ ჭიქას საჩვენებელი თითი გამოუსვა, გამოწმინდა და დოქს გვერდით მიუდგა.

უეცრად, ხალხი შეჩოჩქოლდა, ორად გაიყო და მამა ზაქარია გამოატარა, რომელსაც უკან შეიარაღებული კაცი მოსდევდა.

მღვდელი საყდრის კარიბჭესთან მიიყვანეს, კარი გასაღებით გააღებინეს და შიგ შევიდნენ. ამასობაში წინასწარგაგზავნილმა ბიჭებმა ხმელი წალმის კონები მოზიდეს და ერთიმეორეზე დაალაგეს.

ბატონიანთ სასახლის მეორე სართულის ღია სარკმელზე ფარდა შეირხა. იმ ფარდის უკან ნანუჩა ფალელი იდგა და საყდრის ეზოს გადასცქეროდა. დაინახა, როგორ მოიყვანეს მღვდელი, ეკლესიის კარი როგორ გააღებინეს, მერე როგორ გამოზიდეს საყდრიდან ხატები, წალმის კონებზე დაალაგეს და ერთმა ფორმიანმა რანაირად გაჰკრა ასანთს, როგორ მოედო ალი ხმელ წალამს და ბოლოს, იმ ხატებსაც... თითქოს ის ცეცხლი თვითონაც მოეკიდაო, სახეზე სიმხურვალის ალი აუვიდა და იმავე წამს თავისი დიდი წინაპარი ჩანჩახა ფალელი გაახსენდა, ის ჩანჩახა ფალელი, რომელიც, თავის დროზე მეფეს განუდგა ირანის შაჰს ეახლა და

იქიდან ჯარით მობრუნებულმა დიდძალი ქონებაც იშოვნა, მაგრამ სიცოცხლე კი დაკარგა, რადგან ოძისში სტუმრად მყოფ ირანელ სარდალს, რომელმაც სწორედ ამ საყდარში შეღერღეტებულმა თავიდან ჩალმა არ მოიხადა, საშინელი სილა გააწნა.

თავზარდაცემული, გაოგნებული მისჩერებოდა კოცონს და ეჩვენებოდა, რომ იქ მარტო ხატები კი არ იწვოდა, არამედ თვალდათვალ იფერფლებოდა ფალელების საგვარეულოს ყველა ოცნება, იმედი და მომავალი, მერე კი, როცა დაინახა, როგორ მოიტანეს თოკი, ეკლესიის წვერს ქამანდი მოსდეს და გუმბათზე ამძვრალმა ვიღაც პირტიტველა, მარჯვე ბიჭმა, როგორ დაუშინა საყდრის ჯვარს ჩაქუჩი, ნანუჩა ფალელმა კედლიდან გატენილი ხირიმი გადმოიღო, დაიჩოქა, თოფის ლულა რაფაზე დადო, გულდაგულ დაუმიზნა და ესროლა.

ბიჭი ისე შეხტა, თითქოს თითში ჩაქუჩი ჩაირტყაო, უკან გადმოქანდა, თოკს ხელი უშვა, გუმბათზე დაცურდა, ჰაერში ორჯერ გადატრიალდა და მიწაზე ზღართანი მოადინა...

ნანუჩა ფალელმა თოფი თავის ადგილზე დაკიდა, ეკლესიის აჩოჩქოლებულ ეზოს თვალი ერთხელაც მოატარა, მერე აივანზე გავიდა და ტახტზე ჩამოჯდა.

ტახტის მეორე ბოლოში გადია იჯდა და სიბერისაგან გამოხუნებული მღვრიე წყლისფერი თვალები თრიალეთის ტყიანი ქედისთვის მიეშტერებინა.

* * *

კვირაცხოვლის საყდრის ეზოში ხალხს შიშის ზარი შესდგომოდა; ღვთივმოვლენილ სასწაულს ისე დაემუნჯებინა, ისეთნაირად გაეხევებინა ყველანი, რომ სიტყვა ვერ დაეძრათ, პირჯვარიც კი ვერ გადაეწერათ, ერთურთის ლაჯებში თავშერგული ცხვრებივით უძრავად იდგნენ და ეკლესიის კედელთან გაშხლართული ბიჭის უსიცოცხლო სხეულს თავზარდაცემულები მისჩერებოდნენ.

- დაიჩოქეთ, დაიჩოქეთ, უბედურებო! - დაიძახა უეცრად მამა ზაქარიამ. თვითონ მუხლთ მოიყარა, თვალები ზეცას მიაპყრო და პირჯვრის წერასა და ლოცვას მოჰყვა.

ხალხი მაშინვე დაემორჩილა - თითქოს მის ნებართვასღა ელოდებოდნენო, უმალ მუხლებზე დაეშვნენ და შვებამოგვრილები, თავჩაქინდრულები მიწას მორჩილად ჩააჩერდნენ.

მარტო ფორმიანებს არ დაუჩოქიათ - ხუთნიღა იყვნენ.

მამა ზაქარია ხმამაღლა, მჭექარე ხმით ქადაგებდა:

- უფალო, გვიხსენ და შეგვიწყალენ! უფალო, გვაშორე ყოველი მბრძოლი და მტერი კაცთა ნათესავისა! ცოდვილნო, გეშინოდენ უფლისაი და მიეცით მას დიდებაი, რამეთუ მოვიდა ჟამი სასჯელისა მისისა. რომელმანცა თაყვანი სცეს მხეცსა მას - მტერსა კაცთა ნათესავისასა - ანუ სახელსა მისსა და მიიღოს ბეჭედი მისი შუბლსა მისსა ანუ ხელსა, იტანჯოს უკუნითი უკუნისამდე, ხოლო რომელმან დაითმინოს სრულად - იგი სცხონდეს!

ის ხუთნი კი, გონს მოგებულნი, უკვე საქმიანად ირჯებოდნენ - მკვდარი ამხანაგი პირქვე გადაებრუნებინათ და კეფასთან ნატყვიარს უსინჯავდნენ.

რაზმის უფროსმა თავი აიღო, ბატონიანთ სასახლისკენ გაიხედა და დანარჩენებს რაღაც უბრძანა. იმათაც უმალ გააშიშვლეს მაუზერები, დაჩოქილ ხალხს წინ გაურბინეს და თვალებგაფაციცებულებმა ხის განიერ ჭიშკარს მიაშურეს.

გიგო წინ მიდიოდა, - უფროსი იყო და ეკუთვნოდა, მაგრამ უფროსიც რომ არ ყოფილიყო, მაინც წინ უნდა გასძღოლოდა - ადგილის კურღდელს ადგილის მწევარი უნდოდა, მასზე კარგად ვის ეცოდინებოდა, რომ ამ საქმის ჩამდენი მთელს ოძისში ნანუჩა ფალელის მეტი არავინ იყო.

* * *

ჭიშკარმა რომ გაიჭრიალა, ბატონი წამოდგა, აივნის მოაჯირს ხელებით დაეყრდნო და დაიძახა:

- რომელი ხარ მანდა!

გიგოს მოეჩვენა, რომ ეს ყველაფერი ადრე, შორეულ წარსულში უკვე მოხდა და ახლა, საოცარი სიზუსტით მეორდებოდა: მაშინაც სწორედ ასე იდგა, ეს ბიჭებიც ასევე გაფაციცებულები ასცქეროდნენ მაღალ აივანს და მის ბრძანებასღა ელოდებოდნენ. ჩაახველა და ოდნავ ხრინწიანი ხმით თქვა:

- ჩამოიყვანეთ აქა!

ოთხივენი კიბეზე აცვივდნენ და ნანუჩა ფალელი და აწივლებული გადია ეზოში კინწისკვრით ჩამოათრიეს. ერთმა ბიჭმა თან ხირიმიც ჩამოიტანა. გიგომ თოფს ლულაში ჩასუნა და ამხანაგებს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა.

ბიჭები მდუმარედ მისჩერებოდნენ.

- კედელთან დააყენეთ!

ნანუჩა ფალელი კედელთან მიაყენეს და გვერდზე გადგნენ.

- ესეცა!

ახლა გადიას ეცნენ და ბატონს გვერდით ამოუყენეს.

- ხალხს დაუძახეთ!

ნანუჩა ფალელი თავზარდაცემული მისჩერებოდა რაზმის უფროსს, თვალებგაფართოებული, გაფითრებული უყურებდა და აგონდებოდა იქ, ცივ რუსეთში, ერთ პატარა თაგვის სოროსავით ვიწრო ოთახში, როგორ ეხვეწებოდა სწორედ ეს ბიჭი - არ მომკლაო. საოცარი სიცხადით გაახსენდა, როცა დაჩოქილს, ცრემლით სახეჩამომბალს თმაში ხელი სტაცა, თავი უკან გადაუწია და ყელში ხანჯალი გამოუსვა, რანაირად იფეთქა სისხლმა იმისი პირდაღებული ჭრილობიდან... მოხუცი გაოგნებული იდგა - განკითხვის დღეს როგორ არ ელოდებოდა, მაგრამ იცოდა, რომ ეს დღე მხოლოდ სიკვდილის შემდეგ დაუდგებოდა - ღმერთი უნდა ყოფილიყო მისი განმკითხველიცა და მიმტევებელიც და არა ეს ბიჭი, მკვდრეთით აღმდგარი და საიქიოდან შურის საძიებლად მობრუნებული...

უეცრად ჭიშკრის ორივ ფრთა მოღიავდა და ეზოში ხალხის ნიაღვარი შემოიჭრა. ჯერ ერთ ადგილზე დაბრუნდა, დატრიალდა, მერე გაჩერდა და შავად ჩაგუბდა. ყველანი რაზმის უფროსს მისჩერებოდნენ, მის სიტყვას სულგანაბულები ელოდებოდნენ და როცა იმანაც არ დააყოვნა და დაიძახა - ძირს პირსისხლიანი თავადები, გაუმარჯოს მშრომელ გლეხობასო, - ხალხი მღვრიე მორევივით შეიძრა და ახმაურდა. ახლა ეს ბრბო სულაც აღარ ჰგავდა ცხვრის მორჩილ ფარას, წინ მდგომთ ავად უელავდათ თვალები და ეს შეიარაღებული კაცები რომ არა, ეგებ ქვაც კი წამოეკრიფათ და კედელთან მიყენებული ბატონი საკუთარი ხელით ჩაექოლათ.

ნანუჩა ფალელმა იგრძნო, შიშისაგან რანაირად წაუვიდა თმა მაღლა, მუხლებდადუნებულმა რაზმის უფროსს შეავლო თვალი და თითქოს მძიმე ბურუსიდან ახლაღა გამოერკვაო, მისკენ დაიძრა, სახემოღვენთილი მიუახლოვდა და ხმის კანკალით ჰკითხა:

- ბიჭო, გიგო, შენა?

გიგომ უკან დაიხია, მაგრამ მოხუცმა მოასწრო - თავი დაუჭირა, დაბლა დაახრევინა და ზედ დასუნა, მაგრამ გიგოს ამხანაგებმა ბერიკაცი გაითრიეს და ისევ კედელთან მიაგდეს. იქ, გალავნის ძირში გადია ჩაკუნტულიყო და კატასავით ღნაოდა.

* * *

მამა ზაქარია შინ იჯდა, წინ სარკე დაედგა და მაკრატლით წვერს იკრეჭდა, როცა თოფების ბათქი შემოესმა. ამ ხმაზე შეხტა და მაკრატლის წვერი ნიკაპში იტაკა.

ჭრილობიდან ჩამონადენმა სისხლმა მღვდელს ყელი გაუთბო და გაუწითლა.

* * *

მზე დასავლეთისკენ დაეღირა, ქსილისის მხრიდან გრილმა ნიავმა დაუბერა და ბალახები შეატოკა, მაგრამ გველი ადგილიდან არ დაძრულა, დაგორგლილი იწვა და მოქანავე შალგების ყვითელ ყვავილებს უყურებდა. ქვემოთ, ყორის ძირში, ჯერ ისევ მწვანე ნაყოფით დახუნძლულ დაბალ აკსილზე შაშვი იჯდა და ისე უსტვენდა, თითქოს ოცნებაში წასულს ქვეყნიერების არსებობა აღარ ახსოვსო. ოდნავ, სულ ოდნავ ქანაობდნენ ფითრშეხორხლილი მსხლების გამხმარი, გაფშეკილი წვეროკინები. მონგრეულ ყორეს ჩრდილი დაეგდო.

უეცრად, ნაბიჯების ხმა შემოესმა, თავი ასწია, ორკაპა ენის სავსავით მოათვალიერა ნაეზოვარი და ჩამომპალ, დაშლილ ჭიშკართან ორი ადამიანი დაინახა: მოდიოდნენ და მოსაუბრობდნენ. ხნიერი მწყემსი მეორეს, უფრო ახალგაზრდას რაღაცას უამბობდა და ისიც ყურადღებით უსმენდა, თავს უქნევდა.

მალე აბალახებული ეზო გადმოიარეს და ზედ წაადგნენ. გველმა სული გაკმინდა, თავი დაბლა დაუშვა და გაისუსა.

- წითელ ცხენზე იჯდა ხოლმე, იორღაზე, - ამბობდა მწყემსი, - წელზე მაუზერი ეკიდა. ახლა ულვაში? ერთ ვაჟკაცად მარტო იმისი ულვაში ღირდა: სქელი, დაბლა დაშვებული, ყოჩის რქებივით ბოლოებდაგრეხილი. ის რომ სოფელში ჩამოივლიდა, დიდი და პატარა სახლებში ვიმალებოდით. მაღალი კაცი იყო, კაკაროტი, თავზე სულ ერთთავად ნაბდის ქუდი ეხურა. ომის დროს მე პატარა ვიყავი, მაგრამ მაინც მახსოვს, დეზერტირებს დასდევდა - აეს ჩვენი ტყეები სულ ლაჯებქვეშ ჰქონდა ამოდებული. დაუპატიჟია, ერთხელაც პაპაჩემი და იმისი ამხანაგები - ღორი ჰყოლია დაკლული, - მწვადი, ყაურმა უჭმევია, ღვინო დაულევინებია. არიან თურმე გასუსულები, შიშით კრინტს ვერა სძრავენ საწყლები.

შემოუტანია ბოლოს, მოხარშული თავი, სულ საკუთარი ხელით დაუთლია და ჩამოურიგებია დიდ-დიდი ნაჭრები. მისდგომია ახლა ძვალს, დანით უნდა რომ გახსნას და ტვინი ამოაცალოს, მაგრამ ხო იცი, როგორიც არი ღორის თავი, ეწვალა,

ეწვალა თურმე და რომ ვერაფერი დააკლო, ამოუღია მაუზერი, დაუწყია იმისი ტარით ცემა და ამ დროს - რა იყო, როგორ იყო, - არ გავარდნილა?!

ცხონებული პაპაჩემი იტყოდა ხოლმე, იღლიის ქვეშ გაუარა ტყვიამაო, ის რომ იქ მომკვდარიყო, ციმბირს აქეთ დაგვატოვებინებდნენ ყველასაო! სულ სათითაოდ გამოპარულან. ამ ამბავს მერეც, სიბერეშიც ჩურჩულითა ჰყვებოდა ხოლმე საწყალი, არავინ გაიგონოსო.

კალია რომ შემოგვესია და ავიყარენით, ის აქ დარჩა, აქედან ფეხი არ მოუცვლია. ამ სახლში ხომ წინათ თავა-დები ცხოვრობდნენ, მერე სოფლის კანტორა გახსნეს ში-გა და ისიც აქ ჩასახლდა. ერთი რუსის დედაკაცი ჰყავდა - ის უვლიდა. არ ვიცი, მერე რა იქნა - გაექცა თუ მოუკ-ვდა, მაგრამ ბოლო დროს კი სულ მარტო დარჩა. ან რასა სჭამდა, ან რასა სვამდა?!.. შენხნობას, გაღმა, პანტიანში რომ ვაძოვებდი საქონელს, აქედან ყვირილი მესმოდა ხოლმე - დასაკლავი ხარივით ბღაოდა. ვინ მიეკარებოდა ახლო! ბოლოს სულ გაქრა, დაიკარგა. ამოვედით ერთხელ მე და ჩვენი შალიკო, ყველი ამოვუტანეთ, მაგრამ აქ აღარავინ დაგვხვედრია. დღესაც არავინ იცის, სად წავიდა, სად გადაიხვეწა. აი, ხო უყურებ, როგორ დაინგრა და გაპარტახდა ყველაფერი. ეგრე იცის უკაცობამ. - მწყემსი გაჩუმდა. ერთხანს იდგნენ ორივენი, მერე წავიდნენ, ეზო ჩაიარეს, ჭიშკარში გავიდნენ და თვალს მიეფარნენ.

გველი შეინძრა, ჭრელი ტანი ნელა გამოშალა, შალგებში გასრიალდა და კარის ღიობთან ისე უეცრად გაუჩინარდა, თითქოს მიწამ უყო პირიო, მაგრამ დაკვირვებული თვალი მაინც შენიშნავდა, როგორ მძიმედ გადადიოდა ზღურბლზე, ხალიჩასავით დაჭრელებული ტანი ზედ რანაირად გადაჰქონდა.

ბოლოს დაღამდა. ამოვიდა მთვარე და თითქოს ოქროთი მოავარაყესო, რაღაც საკვირველი დიდებულებით შეიმოსა სასახლის ნანგრევები. ქვეყანა ჩაყუჩდა, ნიავი ჩადგა და ყველაფერი, სულიერიცა და უსულოც მონუსხულივით მიაჩერდა მთვარის შუქით განათებულ ნასახლარს, ყური მიუგდო იქიდან გამომავალ უცნაურ ხმებს - ქალების კისკისს, კაცების სიცილს, გიტარის კვნესას.

კედლის თახჩაში ჩაწოლილმა გველმა თვალები გაახილა. მასაც ესმოდა ეს ხმები, წარსულის ეს სასწაულებრივად გადარჩენილი ნაწყვეტები. თავაღერილი, ორკაპა ენის სავსავით ათვალიერებდა ძველებური დარბაზის ჩამონგრეულ კედლებს, მუხის გაშავებულ თავხის ნარჩენებს, სიბნელეში აყაყულ ბუხარს და მთვარის შუქზე თვალები ქარვისფრად უბრწყინავდა.

ტრამვაი

დავკარგეთ ლამაზი გაზაფხულები,
დღეის შემდეგ ველით უმსგავს ზამთრებსა.
ჰაზირა

“აგე, მოვიდა ყაჩაღი!“ - იტყოდა ხოლმე პაპა, როცა ბილიკზე ნატა გამოჩნდებდა შავი, გახუნებული კაბითა და ისეთივე ხილაბანდით. ამ სიტყვებს თავისთვის ამბობდა, მაგრამ

მე მაინც მესმოდა, რადგან ყოველთვის იქვე ახლომახლო ვტრიალებდი, ან დერეფანში, ან გომურთან, ან - საფუტკრეში.

ჩამოივლიდა ნატა თავისებური მოკლე და სწრაფი ნაბიჯით, წამითაც არ შეჩერდებოდა - არც გამარჯობა, არც გაგიმარჯოს, ერთს გამოიხედავდა და თითქოს ემუქრებაო, მხოლოდ ამას ეტყოდა - "ჰაა, ილაა!" - და შევიდოდა სახლში.

"მობრძანდი, ნატა, მობრძანდი, გენაცვალე!" - ისმოდა იქიდან დიდედას ტკბილი, ლაქარდიანი ხმა.

"ჰაიი!ყყ" - იტყოდა პაპა, მაგრამ ისევ ჩუმად, თავისთვის.

დარწმუნებული ვიყავი, რომ პაპას იმ ქალისა ეშინოდა. ორივეს ეშინოდათ - პაპასაც და დიდედასაც, ალბათ, იმიტომ რომ ნატა ბაბო ომის დროს და მერეც, ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში, კოლექტივის თავმჯდომარედ მუშაობდა. იჯდა კარგ, წითელ ბედაურზე და ხან აღმა მიაჭენებდა, ხან – დაღმა. შესაბამისად, ხან ზემო უბნიდან ისმოდა მისი კივილი და ხანაც ქვემო უბნიდან:

"გაიღვიძე, ქალო, ნინაა, გაიღვიძეეე!!! "

"ასწი, გოგო, სონა, ასწი ეგ ტრაკი, რო გაგსიებია, და დროზე გამოადგი ფეხიი!!!"

მაშინ ტელევიზორები არ იყო, მაგრამ გაზეთებში კი წამდაუწუმ იბეჭდებოდა ნარკვევები სოფ. ნოსტეს გიორგი სააკაძის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე თავმჯდომარის ნატა ხიზამბარელის შესახებ. ბეჭდავდნენ მის ფოტოებსაც და როგორც ჩანდა, ის შიში თუ მოკრძალებაც სწორედ ამისი იყო, მაგრამ გავიდა დრო და ნამდვილი მიზეზი მერე, დიდი ხნის შემდეგღა შევიტყე.

ერთ ზაფხულს, ცხელი მკათათვის ბოლოს, როცა ყანები უკვე გაჭრილი იყო და ძნა გალეწილი, ფურკამეჩი ახურდა. მთელი ღამე იწია, იყოყინა, დილით კი, როცა პაპამ წყლის დასალევად ბაგიდან აუშვა, გზაზე გავარდა და გაიქცა.

ჰარიქა, ბიჭო, მისდიე, მისდიე და დაგეწევიო! - დამიძახა პაპამ და თვითონ ფეხსალაგში შევარდა.

დავავლე სახრეს ხელი და კამეჩს დავედევნე, რომელმაც თითქმის სირბილით გაიარა მთელი სოფელი, ჩაუარა წყაროს, ნაწისქვილარს და საკავთიხეოსკენ დაეშვა.

მიდიოდა, მიიზაყებოდა და თავგადაკლული ვიღაცას ეძახდა. მე უკვე იმხელა ვიყავი, რომ დაახლოებით ვხვდებოდი, ვისაც ეძახდა, რაც უნდოდა და ამიტომ, ცოტა არ იყოს, აღელვებული და გულაჩქროლებული მივდევდი უკან.

სულ მალე სოფელი თვალს მიეფარა და გავედით ყვითელ ნაწვერალში, სადაც ჯერ კიდევ იდგა ნამკლის სურნელი, აქა-იქ ჯერ ისევ ქვითქვითებდნენ მწყრები და ცაში აჭრილ ტოროლებსაც ისევ გაუდიოდათ წკრიალი. მინდორს მზე ჯერ არ მისდგომოდა, ნამიანი ბალახი ქალაქურ სანდლებს მისველებდა და მალე ისე დამილბო და გამიდიდა, რომ გზაში მეხდებოდა.

კამეჩი მირბოდა და თოკზე გამობმულივით მეც უკან მიმიყოლებდა. შეფიქრიანებული ვიყავი და გული უსიამოვნოდ მეწურებოდა, რადგან სოფელს თანდათანობით ვშორდებოდით, პაპა კი ჯერ არსად ჩანდა.

მაგრამ, აი, გავიარეთ ის ნაწვერალი, ტყისპირში გავედით და გაოცებისაგან პირი დავაღე: პაპა ერთი ჯაგრცხილის ძირში იჯდა და იქ გველოდებოდა.

"ჰაიი, ბეითალმანო!" - უთხრა კამეჩს, მერე წამოდგა და სახრე გამომართვა.

ახლა უკვე ორივენი მივდევდით უკან.

გაღმა ველში ვიღაც კაცები დადუმებულ კომბაინთან საქმიანობდნენ.

"ილა, ილაა!" - დაიძახეს იქიდან.

"ზახრუმაა!" - უპასუხა პაპამ.

ჩავუარეთ ვერცხლისფერ ფშატებს, სიმინდის ყანას, ნავენახობს და შევედით რომელიღაც სოფელში.

კამეჩმა ნაბიჯს უმატა, თანდათანობით უკან ჩამოგვიტოვა და იქით დაეშვა, სადაც ჯერ ისევ მწვანედ მოღაღანე სათიბში ნახირი სძოვდა.

წყაროსთან გავჩერდით და მინდორში გაშლილ საქონელს გადავხედეთ. ძროხები და კამეჩები აქედან ჭიანჭველებისოდენად მოჩანდნენ. ფურკამეჩი მათკენ მირბოდა და ცოტა ხანში თვალს მიეფარა.

პაპას შევხედე. ის იდგა და შეფიქრიანებული კეფას იქექავდა.

მაჯისსიმსხო წყალი რკინის პრიალა მილიდან რბილად და თითქმის უხმაუროდ გადმოდიოდა. იქვე სახლი იდგა. სახლის წინ, თოკზე სარეცხი ეფინა. პაპა იმ სარეცხს უყურებდა. მერე წყაროსთან მივიდა, სახრე მიწაზე დადო, დაიხარა და დაიწყო ხელების ბანვა. იბანდა და თან სახლისკენ იცქირებოდა. ერთი ჩვეულებრივი სახლი იყო, ძველი კრამიტით დახურული და, კაცმა რომ თქვას, დიდად არც ის სარეცხი გამოირჩეოდა, მაგრამ პაპა თვალს არ აშორებდა, ხელებს იბანდა და უყურებდა - სახლს ათვალიერებდა, კარმიდამოს ზვერავდა, თან დიდრონ, დაკოჟრილ ხელებს იბანდა და როცა ეზოში ვიღაც ხანშიშესული დედაკაცი გამოვიდა, წყაროს მაშინღა მოსცილდა და ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო.

დედაკაცი თოკიდან სარეცხს კრეფდა და ხახალში ალაგებდა.

პაპამ ხელები გაიმშრალა, სველი, დაჭმუჭნული ცხვირსახოცი შარვლის ჯიბეში ჩაიტენა და იმ ქალს ტკბილი, უჩვეულოდ ტკბილი და ნაზი ხმით დაუძახა: “სოფოო... გოგო, სოფიოო!..”

ქალმა გამოიხედა, მის დანახვაზე წამოიკივლა, ხახალი ხელიდან გაუვარდა, წყაროსკენ ტუსტუსით გამოიქცა, მოვიდა და პაპას წინ გაუჩერდა.

ერთმანეთს ჩუმად უყურებდნენ.

“მოხველ, ილავ?” - ჰკითხა ბოლოს ქალმა.

“ჰო, აი, კამეჩი აგვიხურდა და... ხხხ... კხ...” - უპასუხა პაპამ.

“რაი?!” - ვერ გაიგო ქალმა.

“ხხხ... კხხხ, უხ!” - გაუმეორა პაპამ, ნაბდის ქუდი მოიხადა, დაჭმუჭნა, მერე ისევ გაასწორა და თავზე დაიდო.

დედაკაცს ნიკაპი აუკანკალდა.

“როგორა ხართ, ბიჭო, რასა იქთ...”

“რა ვიცი... ისა... ჩვენ რა გვიჭირს და თქვენა?”

“ეეეჰ... ოცდახუთი წელი სრულდება... ოცდახუთი...”

“ოცდახუთი?!” - პაპა ისევ ქუდს წაეტანა, მაგრამ აღარ მოუხდია.

“დაბერებულხარ, ბიჭო...”

“ეხხხ... ხო.”

“მე?”

“რავი, აბა... შენცა...”

“განა ცოტაა ოცდახუთი წელი?”

“რათ არი ცოტაი.”

იმათი ლაპარაკიდან ვერაფერი გავიგე და ამიტომ გაკვირვებული ვუყურებდი.

ქალმა ახლაღა შემამჩნია:

“ქა, ესა?! ეს ბალღი?... შენა ggავ, ილა!”

“ჰოუ!..” - უპასუხა პაპამ.

მოულოდნელად, დედაკაცმა მკლავები მომხვია, გულში ჩამიკრა და ცრემლი წასკდა:

“მოგიკვდეს, შვილო, შენა პაპიდაი, მოგიკვდეს!.. ვისი ხარ, შვილო, რომლისა ხარ, აბა, მითხარი... რომლისაა, ილა?”

“ლენასი...”

ქალს ტანსაცმლიდან ნამიანი სარეცხის სუნი ასდიოდა, სული მეხუთებოდა, მაგრამ მაინც მორჩილად ვიდექი.

“აბა, წამოდი ერთი რეები მაქ შენთვინ შენახული, წამოდი!...” - საიდუმლო ხმით მითხრა, ხელი ჩამჭიდა და სახლისკენ წამიყვანა.

პაპა ადგილიდან არ იძროდა.

“წამო, ბიჭო, შენცა, რაღას უყურეფ!” - დაუძახა ქალმა.

პაპამ წყაროსთან მიგდებული სახრე აიღო, იქაურობა ჩუმად მოათვალიერა და უკან გამოგვყვა.

გადავჭერით ხრიოკი ეზო, ხის მორყეული კიბე ავიარეთ და შევედით ოთახში, სადაც გრილოდა და ახლადგამომცხვარი პურის სურნელი ტრიალებდა.

მასპინძელმა მაგიდაზე გასაციებლად გაფენილი პურები აალაგა და ორის გარდა ყველა სადღაც წაიღო.

პაპა ტახტზე ჩამოჯდა, მე კი ოთახის კედლებს ჩამოვუარე, სადაც გაკრული იყო შოთა რუსთაველის, ალექსანდრე ყაზბეგისა და ძია სტალინის სურათები.

“ეს ქალი, შვილო, ჩემი და არი, იცი?” - საიდუმლო ხმით მითხრა პაპამ.

“არა...”

“ჰოოდა, იცოდე... ხოლოთა, ბიჭო, მაიხედე აქეთა, არავის უთხრა, რო აქ ვიყავით, გაიგე შენა?”

მე თავი დავუქნიე და ახლა თაროზე ჩამომწკრივებულ წიგნებს მივადექი. იქ იყო ყდაშემოცვეთილი სასკოლო სახელმძღვანელოები ფიზიკისა, ქიმიისა, მშობლიური ლიტერატურისა და კიდევ ერთი სქელი, ლურჯი წიგნი, რომელსაც ზედ “პოლიტეკონომია” ეწერა. ის წიგნი უკან დავდე და პაპას შევხედე:

“არც დიდედასა?”

“არავისა!”

შემოვიდა პაპას და, შემოიტანა თაბახზე დალაგებული ყველი, მწვანილი, არაყი, ტაფით ერბოკვერცხი და თვალის დახამხამებაში სუფრა გააწყო.

“აბა, აჰა, მიირთვით, ეხლა... გადაიღე, შვილო!”

მე ერბოკვერცხი გადავიღე. მეგემრიელა და ტაფა ახლოს მივიჩოჩე. ქალი გახარებული მიყურებდა.

“ჭამე, გენაცვალე, ჭამე, კიდე უნდა შეგიწვა, განა!... კვერცხი ჰყვარებია, ქა?!”

“რატომ არ ეყვარება, რა!..” - პაპა ჭიქაში არაყს ისხამდა.

“ესენი ქალაქში ცხოვრობენ, არა, ილა?”

“მაშ.”

“სიძე როგორი გამოგადგათ?”

“კაარგი, კაარგი... აბა, გაგვიმარჯოს... ჰუხ... ეე, ძაან ცხარე გამოგიხდია!..”

“რა ვქნა, ილა, სხვანაირს არ იკარებს ბიჭი პირში...”

“მოჰკლამს, კაცო, ესა!”

“მიაყოლე, მიაყოლე რამე!”

პაპამ ყველი მოციცქნა.

“ოცდახუთი წელი... ეხ!”

“ოცდახუთი...” - ქალს ტუჩები დაებრიცა.

“კარგი ეხლა, არ იტირო!.. მითხარი, ბიჭი რას აკეთებს.”

“ვსწავლოფო და აბა, რა ვიცი...”

“რა უნდა გამოვიდეო.”

“ინჟინერიო. ინჟინერი უნდა გამოვიდეო.”

“ინჟინერიო?!..”

“ჰო...”

“კარგია, რა გინდა... ორი სახარება შეგვეწიოს... უჰჰ!”

“აი, ერბოკვერცხი მიაყოლე!”

“ცხარეა, კაცო, ძაან ცხარეა!”

“აი, ეგეთიო... ეგეთი მინდა მეეო!”

“აბა, ამის დამლევი ისწავლისღა რამესა?!”

“ეჰ, რა ვიცი, ილა, რა ვიცი... - ქალმა მე შემომხედა, - ეხლა, ამან რო ამბავი მიუტანოს, იქ ვიყავითო?”

“არ მიუტანს, ნუ გეშინიან.”

“რა უნდა, ქა, იმ ჯანდამწვარს, ჩემგან, რა უნდა!”

“ეჰ... ყაჩაღია, არ იცი?”

“რა გველი შევუწვი... ან ჩემმა შვილებმა რა დაუშავეს...”

“ჯანაბა იმის თავსა და ტანსა!”

“ეგ ჩემი ცოდვით არ გაიხარებს, არა... მაგისი თუ ქმარი იყო, ჩემი ხო ძმა იყო, ქა?!.. მე არ დამეწო ჯიგარი?”

პაპამ არაყი დაისხა.

“ადე, შვილო, აბა, ხო ჭამე, ადე ეხლა და იმ კამეჩს ჩაჰხედე!”

წამოვდექი და მასპინძელს მივაჩერდი - აქ ყოფნა მერჩივნა.

“მაიცა, გენაცვალე... - დაფაცურდა იგი, კიდობანს აჰხადა, იქიდან ორი ცალი გამხმარი, გაკოროწებული ჩურჩხელა ამოიღო და ხელში ჩამიდო, - ცოტა ხმელია, მაგრამ კარგი კბილები გააქ შენა!”

“სახრე წაიღე, ემანდ არი მიყუდებული!” - მითხრა პაპამ.

ოთახიდან გავედი, სახრე ავიღე და კიბეზე დავეშვი.

მზე მაღლა წამოსულიყო. ცხელოდა. ეზოში ინდაურები დაკივკივებდნენ. წყაროზე წყალი დავლიე და მინდორს გავხედე, მაგრამ ნახირი აღარსად ჩანდა. თავქვე დავეშვი. მივდიოდი, გზადაგზა ამძაღებულ ჩურჩხელას ვჭამდი და თან რუს პირზე ამოსულ ბუერებს სახრით თავებს ვაყრევინებდი.

მიკვირდა, რომ აქამდე ამ პაპიდის არსებობა არც კი ვიცოდი, დედასაც კი არასოდეს არაფერი ეთქვა მის შესახებ, ნეტავი რატომ მიმალავდნენ?!

დღემდე ორი პაპიდა მყავდა: ელიჭკა პაპიდა - ტკბილი, ძალიან ალერსიანი ქალი და კატუშა პაპიდა - გაუცინარი, სულ მუდამ მოწყენილი და დაღონებული დედაკაცი, ახლა კი აღმოჩნდა, რომ მესამეც მყოლოდა - სოფიო პაპიდა!

ელიჭკა ცხოვრობდა კერძო სახლში, კოლექტივიზაციის ქუჩაზე, საკმაოდ შორს და იქამდე ტრამვაით მისვლას მთელი საათი ვუნდებოდით. როგორც კი ეზოს ჭიშკარს შევაღებდით, მაშინვე დავინახავდით ჩვენს კეთილ, წითელლოყება პაპიდას, რომელიც ბილიკზე გამორბოდა და სახეგაცისკროვნებული, გახარებული იძახოდა:

“ესენი ვინ არიან, ქაა?! ვინ არიან ესენი, ამათ კი შემოვევლე, ამათა!”

მოვიდოდა, მოვარდებოდა, ჩაგვიკრავდა გულში და ისე გვკოცნიდა, ისე გვეფერებოდა, თითქოს წინა კვირასაც აქ არ ვყოფილიყავით.

ელიჭკას ქმარი კოლა - ძველმოდურად ულვაშებაპრეხილი, მელოტი კაცი ქართლური სიდინჯით გვხვდებოდა, ბავშვებს ყურადღებას არ გვაქცევდა, მამაჩემს კი სიამოვნების ღიმილით ართმევდა ხელს და მაშინვე გულითად საუბარს გაუბამდა.

ამათ ჰყავდათ ოთხი შვილი: ეთერა, ოთარა, ფირუზა და ნორა. ოთარა - ახალგაზრდა, ჯერ კიდევ უცოლშვილო ბიჭი კარგად ხატავდა, ყოველ შემთხვევაში, მე მაშინ ასე მეგონა. ხატავდა ტარიელს, ავთანდილს, თინათინსა და ნესტან-დარეჯანს. როგორც ახლა ვხვდები, ეს სურათები ირაკლი თოიძის ილუსტრაციებიდან ჰქონდა გადმოღებული. მე განსაკუთრებით ის ნახატი მომწონდა, ტარიელი რომ ვეფხვს ახრჩობს, ფეხებთან კი ხმლით განგმირული ლომი უგდია და გულს ვუწყალებდი - მაჩუქე და მაჩუქე-მეთქი. უარს არ მეუბნებოდა, მაგრამ არც ეთმობოდა, ამიტომ იქიდან ყოველთვის ნაწყენი და გულნატკენი მოვდიოდი ხოლმე. ახლა, როცა მის ნახატებს ვიგონებ, თანდათანობით ვრწმუნდები, რომ იმ სხვისი კომპოზიციების ნაცვლად ოთარას საკუთარი დედ-მამა, დები, მეზობლები და ნათესავ-მოკეთეები რომ ეხატა, ახლა, ალბათ, ვანო მელიაშვილივით ცნობილი და ჩუბჩიკას საყვარელი მხატვარი იქნებოდა. ის სურათები კი, ვინ იცის ეხლა სადა ყრია.

კოლა დურგალი იყო. სახელოსნო სარდაფში ჰქონდა მოწყობილი, მაგრამ ბავშვებს იქ ჩასვლა გვეკრძალებოდა. თვითონ ამბობდა, დურგალი კი არა, სტალიარი ვარო და ალბათ, ასეც იყო. ახლაც მახსოვს მისი გაკეთებული მშვენიერი ნარდი, რომელზეც ისა და მამაჩემი სადილის მოლოდინში კამათელს აგორებდნენ და კოჭებს აჭახუნებდნენ. ამ დროს, ელიჭკა ნახერხის "ფეჩთან" ტრიალებდა - უზარმაზარ, შავ ტაფაზე ღორის ხორცის დიდრონ ნაჭრებს აშიშხინებდა, ეთერა და დედაჩემი კი კარტოფილს ფცქვნიდნენ.

გაიშლებოდა სუფრა, მაგიდის შუაში ჩასდგამდნენ "ჟარკოვით" სავსე იმ ტაფას, დიდ-დიდ ნაჭრებად დასჭრიდნენ პურსაც, მოიტანდნენ ჯამით კომბოსტოს მწნილს, ხელა-დით ღვინოს და ნარდის თამაშში გართულ კაცებს დაუძახებდნენ. თამადა ყოველთვის კოლა იყო, ამბობდა მოკლე-მოკლე, მაგრამ გულში ჩამწვდომ სადღეგრძელოებს, მერე კი, როცა კარგად შექეიფიანდებოდა, ბაიათებს მღეროდა.

კატუშა პაპიდა დიდუბეში, ვახუშტის შესახვევში ცხოვრობდა. ქმარი ომში ჰყავდა დაკარგული და ორ ბიჭს - ნოდარს და გურამს მარტოკა ზრდიდა; წელებზე ფეხს იდგა-მდა, სადღა არ მუშაობდა, რაღას არ აკეთებდა, რომ უმამო ბიჭებისთვის არაფერი მოეკლო.

ერთხელ, რის ვაინაჩრობით, უფროს შვილს პალტო უყიდა. ეცვა ის პალტო ნოდარს, სულ ცოტა, სამი ზამთარი მაინც - დაუმოკლდა, დაუპატარავდა. დედაჩემმა დაშალა, გარეცხა, გადააბრუნა, შეკერა და ჩააცვეს ახლა გურამს. სამი-ოთხი წელი იმას ეცვა - გაცვითა, გააბედრანგა. დედაჩემმა ისევ დაშალა, გარეცხა, ძველ პირზე გადმოაბრუნა, შეკერა და ახლა მე ჩამაცვეს. ვატარე ის მოთელილი პალტო მეც იმდენ ხანს, სანამ ჭირივით არ შემჯავრდა, მერე დედაჩემმა ისევ დაშალა, ისევ გადააბრუნა, შეკერა და ახლა ჩემს საწყალ ძმას ჩააცვა. ორი ზამთარიც იმას ეცვა. მერე რა უყვეს, ვის გადაუკეთეს, აღარ მახსოვს.

ახლა კი, როგორი საქმე იყო, აღმოჩნდა, რომ მესამე პაპიდაც მყოლოდა!

მინდორში ნახირის ნაცვლად მონეხვილებიღა დამხვდა. ცხელოდა. ბალახებში მსხვილი კალიები დახტოდნენ. შორიდან ძაღლის ყეფა ისმოდა. ვიდექი და აქეთ-იქით ვიცქირებოდი, არ ვიცოდი, რა მექნა, სად მეძებნა. დავადექი გზას. თუმცა რა გზა, რის გზა - ნაწვერალში მივდიოდი, სანდლის გამოჭრილებში პურის წამახული ძირები მერჭობოდნენ და ფეხებს მტკენდნენ.

კარგა ხანს ვიარე, მაგრამ საქონლის კვალს ვერსად მივაგენი, აქეთ და აქეთ ის მონეხვილებიც კი აღარ ჩანდა. მინდორში სიცხის ლული ტრიალებდა. წყურვილისგან ტუჩები მიხმებოდა და წამდაუწუმ ენით ვილოკავდი, მაგრამ მალე ენაც გამიშრა და სიმინდის ნაქუჩივით გამიხდა. მინდორს ბოლო არ უჩანდა. მომეჩვენა, რომ დავიკარგე და ტირილს აღარაფერი მიკლდა, მაგრამ თავს ვაჟკაცურად ვიკავებდი და პაპაზე ვბრაზობდი, რომელიც ახლა იმ თავისი საიდუმლო დის გრილ ოთახში იჯდა და არაყს ხუხავდა.

უეცრად, რაღაც ნაცნობი და მშობლიური ხმა შემომესმა! ყურები ვცქვიტე, მივიხედ-მოვიხედე - შორს, ნაკალოვარში ერთი ეული ბოძი იდგა, ზედ დიდი, შავი ფერის რადიო ეკიდა და ის ხმაც სწორედ იქიდან მოდიოდა.

ნაბიჯს ავუჩქარე, მივედი და ყური მივუგდე - ეროსი მანჯგალაძე ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟს გადმოსცემდა! ვიდექი და ვუსმენდი. იმ ხმამ გამახსენა ქალაქი, დედა, მამა, ამხანაგები, გული ამომიჯდა, ბოძს ორთავ ხელი მოვხვიე, ჩავეხუტე და, მაინც არვინ მიყურებდა, ავზლუქუნდი...

დიდხანს ვტიროდი, ისე დიდხანს, რომ დავიღალე და ჩემდა გასაკვირად, დავმშვიდდი კიდეც. გამოვბრუნდი და წამოვედი, მაგრამ ვატყობდი, რომ გული ისევ უკან, იმ რადიოსკენ მიმიწევდა, ბოლოს ცდუნებას ვერ გავუძელი - მივბრუნდი, ბოძის ქვეშ დავჯექი და ფეხბურთის გადმოცემას ბოლომდე ვუსმინე. ჩვენებმა მოსკოვის "დინამოს-თან" 2 : 2 ითამაშეს.

რეპორტაჟი რომ დამთავრდა, თავში ერთი ნათელი აზრი მომივიდა - გადავწყვიტე ბექობზე ავსულიყავი და მინდორი იქიდან მომეთვალიერებინა. მართლაც, როცა იქ ავბობღდი და მეორე მხარეს გადავიხედე, დავინახე, რომ ნახირი დაბალ ტაფობში, საგუბართან მიგროვილიყო. ძროხები ტირიფების ჩრდილში ეყარნენ, კამეჩები კი ლაფში იწვნენ, იცოხნებოდნენ და ტალახიან კუდებს აშლაპუნებდნენ.

გახარებული ქვემოთ დავეშვი და სულ მალე თავზე წავადექი ცხვირაქერცლილ, წითურ მწყემსს, რომელსაც ცალ ხელში ნახევარი პური ეჭირა, მეორეში - ყველი და გემრიელად ილუკმებოდა.

“ვისი ხარ, ბიჯო?” - მკითხა მან.

“ილას შვილიშვილი ვარ”.

“აბა, ილაი?”

“ლაჭიაანთი, ნოსტელი...”

“თქვენია ეს კამეჩი?”

“ჩვენია.”

“პაპაშენს უთხარ, ელიოზამ შემოგითვალა, მაღარიჩი შენზეა-თქო!”

“რა მაღარიჩი.”

“რაი და, იმაკა, ეეე, იმაკა!”

კამეჩებს გავხედე. ისე იყვნენ ამოლაფულები, რომ ერთმანეთისგან ვერ გაარჩევდი.

“აბა, სცნოობ, რომელია?” - მკითხა სიცილით ელიოზამ.

“ვერა, ვერა ვცნობ...”

“რქებითაც ვერა სცნობ, კაცო?! ეე, ქალაქელო!... აგე ის არი, ნაპირზე რო წევს. მიდი, გადასცხე სახრეი და წაიყვანე!”

“წამოვა, რო?”

“წამოვა... ეხლა წამოვა, ნუ გეშინიან!”

მწყემსს კალთაში ჩურჩხელა ჩავუდე, კამეჩს უკნიდან მოვუარე, გავაზე ვუცხუნე და წამოვაგდე.

“მადლობთ, მაგრამ, აბა, ამის კბილები მაქ, ბიჯოო?!” - იცინოდა ელიოზა.

ფურკამეჩი სოფლისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა და მეც უკან ავედევნე. მივდიოდი და ვფიქრობდი, ნეტავ რატომ გამაფრთხილა პაპაჩემმა, არავის უთხრა, სოფო პაპიდასთან რომ ვიყავითო. ვგრძნობდი, რომ ამ ამბავში რაღაც მნიშვნელოვანი საიდუმლო იმალებოდა, მაგრამ იმასაც ვხვდებოდი, ამ საიდუმლოს მე რომ არავინ გამიმხელდა...

გვიახლოვდებოდა მარიამობა, რომლის მეორე დღეს, 29 აგვისტოს ქალაქში უნდა წამოვსულიყავით, რადგან პირველ სექტემბერს სწავლა გვეწყებოდა.

ზუსტად ორი კვირით ადრე მოვაგროვებდი ხოლმე თოთხმეტ ცალ “სარაგატკე” კენჭს და ჩავიყრიდი შარვლის ჯიბეში, რომელიც ისე გამომებერებოდა და დამიმძიმდებოდა, რომ ყველა ამჩნევდა - პაპაც, დიდედაც, დედაც და ბიძებიც.

“რა არი, ბიჭო, ეგა, რა გიყრია ჯიბეში?!” - მეკითხებოდნენ ისინი.

“კენჭებია...” - ვპასუხობდი მე.

“რად გინდა, რას დააჩხარუნებ?!”

“რა ვიცი, ისე...”

ერთმანეთს გადახედავდნენ და შეფიქრიანებულები გადააქნევდნენ თავებს - ყველას ისედაც ცოტა შერეკილი ბავშვი ვეგონე და ეს კენჭები სულ აგიჟებდათ.

“გადაყარე, ეხლავე გადაყარე!” - მეჩხუბებოდა დედა.

“რა გინდა, რას გიშლის შენა!” - ვბუზღუნებდი მე.

“აი, გიჟო, გიჟო, გიჟი გვარისავ!!!”

წინათ, მართლაც გვყოლოდა ერთი სულით ავადმყოფი ნათესავი - მამაჩემის მამიდა ლიზა (ისიც პაპიდა!), რომელიც ახალგაზრდობაშივე მომკვდარიყო და დედაჩემი შემ-თხვევას არ უშვებდა ხელიდან, ის რომ არ ეხსენებინა.

“რა ვიცი, ქა, - ამბობდა ხოლმე ბებია, - გავურეცხავდი, გავუუთოვებდი, ჩავაცმევდი... გავიხედამდი და მოვიდოდა ისევ შემოგლეჯილი... ისე კი არ იყო ცუდი, აცხონოს ღმერთმა!”

ამაზე ცუდი რაღა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბაბუცა ბაბოს ყველა ადამიანი კარგი, კეთილი, გულისხმიერი და ლამაზი ეგონა.

“გადაყარე, ბიჭო, გადაყარე-მეთქი!” - ბრაზობდა დედა.

მე უხმოდ წავიდოდი, გავეცლებოდი, ავიპარებოდი ჩვენს თუთაზე და საღამომდე ფრინველივით ზედ ვიჯექი. ხშირად ავიტანდი წიგნსაც და იქ ვკითხულობდი.

კენჭები კი იმისთვის მჭირდებოდა, რომ ქალაქში წასვლამდე დარჩენილი დღეები დამეთვალა: ყოველ საღამოს თითო კენჭს ვაგდებდი, ჯიბე თანდათანობით მიცარიელ-დებოდა და სასიამოვნოდ მიმსუბუქდებოდა.

გადავაგდებდი ბოლო კენჭსაც და დადგებოდა ქალაქში გამგზავრების დღე. ახლაც ცხადად მახსოვს მეტეხის სადგურის ბაქანი, შპალების სუნი, მატარებლის მომლოდინე მგზავრები და “საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი”, სადგურის შენობის თავზე მიმაგრებული რადიოდან რომ ისმოდა. ეს მუსიკა იყო ძალიან სევდიანი და მუდამ რაღაც უცნაური ნაღველით მავსებდა. საკვირველი იყო, ჯერ ქალაქში არ ჩავსულიყავით და უკვე სოფლის მონატრება მეწყებოდა.

იმ წელიწადს, მარიამობა დღეს, როცა შარვლის ჯიბეში ერთადერთი კენჭიღა მეგდო, ყველანი - პაპაც, დიდედაც, ბიძაჩემიც, ჩემი მშობლებიცა და მეც სოლუას საფლავზე გავედით. ნატა ბაბო უკვე იქ გველოდებოდა, ნატაცა და იმისი ბიჭი ვალიკოც. ნატა საფლავს წმენდდა, ბალახს გლეჯდა და იქაურობას საგულდაგულოდ ასუფთავებდა, ვალიკო კი სუფრას შლიდა.

“როგორა ხარ, ნატა ძალო, როგორა!” - დაუძახა დედაჩემმა.

“ეე, როგორ ვიქნები, ლენა, აბა... აი, ამან შეიწირა ჩემი ჯეელობა, ამანა!.. - საფლავის ქვას ხელის გული გადაუსვა ნატამ და შავი კაბის სახელოდან ცხვირსახოცი გამოიღო, - ოცდახუთი წელი შესრულდა, გოგო, ოცდახუთი!..”

დედაჩემი ახლოს მივიდა, ნატა რკინის მესერზე გადმოიხარა და ერთმანეთი გადაკოცნეს.

“ვახო, მიდი ერთი, ეგ ქათამი შენებურად დაჭერი, გენაცვალე!” - დაუძახა ნატამ მამაჩემს.

“მოდი, ქალო, შენცა!” - უთხრა პაპამ.

“ჯერ დასხედით და მოვალ, მა რას ვიზამ!”

კაცები ბალახზე გაშლილ სუფრას შემოუსხდნენ, მამაჩემმა მოხარშული ქათმის დაჭრა დაიწყო, ვალიკომ ღვინო ჩამოასხა.

პაპამ ჭიქა აიღო, ერთხანს გაყუჩებული ჩასცქეროდა სასმისს და ბოლოს თქვა:

“ეჰ, გაანათლოს საწყალი ჩემი ძმის სული ღმერთმა... ნათელში ამყოფოს...”

“გაანათლოს...” - თქვა ბიძაჩემმაც და ღვინის რამდენიმე წვეთი ლავაშს დააპკურა.

ამასობაში ნატაც მოვიდა.

“უჰ, შენ კი გენაცვალე მაგ ხელებში, შენა!” - უთხრა მამაჩემს, როცა დაჭრილი ქათამი დაინახა.

დედამ ნახევარი ხაჭაპური და ქათმის ერთი ბარკალი მომცა, დიდედამ კი სანთელი და ასანთი.

“მანამ შაშჭამ, შვილო, მიდი და ეს სანთელი დაუნთე სოლუა პაპასა!”

“ეე, ბაბუციიი... - შესტირა ნატამ დიდედას, - ოცდახუთი წელი შესრულდა, ქალო, ოცდახუთიი...”

“დაიწოს ის დღე, დაიწოს...” - თვალებიდან ცრემლი ამოიწმინდა დიდედამ.

საფლავის ლოდთან ჩავცუცქდი, ასანთს გავკარი და სანთელს მოვუკიდე. ხვიფლით დახორხლილ ძველებურ ქვაზე რაღაც წარწერა ამოეკვეთათ, მაგრამ ისე იყო დაზი-ანებული, რომ ცალკეული სიტყვებიღა იკითხებოდა: “ღმერთმა მოჰკითხოს”, “შენდობა

მითხარ"... მარტო ერთი სტრიქონი გადარჩენილიყო: "სოფლის ბოლოში დამიხვდა, ხანჯლით გამამჭრა ყელია" და უეცრად მივხვდი, რომ იმ საიდუმლოს გასაღები სწორედ აქ, ამ წარწერაში იმალებოდა! სანთელი საფლავის ქვაზე მივამაგრე, შემოღობილიდან გამოვედი და სუფრის შორიახლო დავჯექი, რათა იმათი საუბრიდან მაინც შემეტყო რამე, მაგრამ იმედი გამიცრუვდა - ჩვეულებრივ ამბებზე ლაპარაკობდნენ, იმაზე, რომ ხვალ ქალაქში მივდიოდით, რკინიგზის სადგურზე ჩასასვლელად ურემი გვჭირდებოდა და ამიტომ ბიძაჩემს სისხამ დილით უნდა შეება კამეჩები. პაპა ამბობდა, რომ ფურკამეჩმა ახლახან იმაკა და მისი შებმა არ ივარგებდა, სჯობდა, ისევ კოლექტივისთვის ეთხოვათ ხარები, მაგრამ ბიძაჩემი უარზე იდგა - მე ანდროსთან ვეღარ მივალ და შენ თუ მიხვალ, მიდიო. პაპაჩემი უწყრებოდა - ეგრეაო, მა რა გეგონაო, სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობიანო! - ეტყობოდა, არც იმას ეპიტნავებოდა იმ ვიღაც ანდროსთან მისვლა.

მერე ამინდზე ჩამოაგდეს ლაპარაკი. მამაჩემი ამბობდა - ქალაქში ისე ცხელა, ისე ცხელა, ასფალტში ფეხი ეფლობა, კვერცხი რო მზეზე დადო, შეიწვებაო.

კაცო, აქ რო ეგრე ცხელა და იქ რაღა იქნებაო! - უდასტურებდა პაპა.

"სოლოო, შე საცოდავო, სოლოო..." - დროდადრო წაუტირებდა ნატა და თან ქათმის საბძელას წინკნიდა.

"ეე, აბა, ვინც ჩვენი ხელიდან შენდობას მიელის, სუყველა გაანათლოს..." - ჭიქაში ჩაიცქირებოდა პაპა.

"გაანათლოს, გაანათლოს!.." - ამბობდნენ კაცები და პურზე ღვინოს აწვეთებდნენ.

ენის წვერზე მადგა, მაგრამ ვერ ვიკითხე - სოლუა პაპა ვინ მოკლა-მეთქი და ამით დედაჩემის მწარე ალიყურიც ავიცდინე.

საღამოთი, შინ რომ მივედით, ჯიბიდან ის ბოლო კენჭიც ამოვიღე და სანახიროსკენ გავაბზრიალე...

სიცხისგან სულაც რომ გადაბუგულიყო, ქალაქში მაინც უნდა წამოვსულიყავით, რადგან სკოლას არავინ გაგვაცდენინებდა.

ის დრო იდგა, როცა ქვეყანა ახლებურად ლაგდებოდა, ადამიანები გაოცებას ვერ მალავდნენ - მალე სამი წელი შესრულდებოდა, რაც ხალხთა ბელადი და მასწავლებელი, დიდი სტალინი აღარ გვყავდა, მაგრამ ცხოვრება მაინც ჩვეულებრივად გრძელდებოდა.

ქალაქში ყველას თავისი საზრუნავი ჰქონდა: მამა სამსახურში წავიდა, დედამ ჩვენი ბინის იატაკი მორეცხა, ფანჯარები გააღო და პაპიროსის სუნით აქოთებული ჰაერი გაწ-მინდა, პირველ სექტემბერს კი დაირეკა სკოლის ზარი და კლასში შესულებს, ცხვირში ნავთიანი ნახერხის სუნი გვეცა.

იმ წელიწადს ქალთა და ვაჟთა სკოლები გააერთიანეს და კლასში გოგოები ჩვენს გვერდით დასხეს. წინასწარ ვიცოდით, ასე რომ უნდა მომხდარიყო, მაგრამ მათ დანახ-ვაზე მაინც ენა ჩაგვივარდა. გაოგნებულები შევცქეროდით ამ უცნაურ არსებებს, დაბნეულები ვათვალიერებდით მათ კოხტად დაწნულ-დავარცხნილ თმას, თეთრ ბანტებსა და ქათქათა წინსაფრებს. მაგრამ ამან დიდხანს როდი გასტანა, შესვენებაზე გაჩაღდა კამათი იმის შესახებ, თუ რომელი გოგო უფრო ლამაზი იყო. ზოგს ერთი მოსწონდა, ზოგს - მეორე, მაგრამ საბოლოოდ შევთანხმდით, რომ ყველას მაინც კუპრაშვილი სჯობდა, ამიტომ გაკვეთილების შემდეგ ყველანი უკან ავედევნეთ და როცა ის გორკის ქუჩაზე, ერთი ორსართულიანი სახლის სადარბაზოში შევიდა, ავტეხეთ საშინელი ყვირილი:

"კუ-პრა-შვი-ლი! კუ-პრა-შვი-ლი!!!"

ასევე მოვიქეცით მეორე დღეს და ალბათ, მესამე დღესაც იგივეს ვიზამდით, იმ გოგოს დედას სკოლის დირექტორთან რომ არ ეჩივლა.

გოგოების შემოერთებამ აშკარად შეგვცვალა. სკოლაში პირდაუბანელი და თმაგაბურძგნული აღარავინ მოდიოდა, დილაობით კბილებს ვიხეხავდით და

ფეხსაცმელებსაც კი ვიპრიალებდით. ეგ კიდევ არაფერი, რამდენიმე ბიჭმა გადავ-წყვიტეთ, ტრამვაიდან "ზადნით" ჩამოხტომა გვესწავლა.

კალინინის ქუჩაზე დადიოდა № 7 და № 10 ტრამვაი. ათი ნომერი ურემივით დაჩანჩალებდა და ამიტომ ვარჯიშიც სწორედ იქიდან დავიწყეთ. გვავარჯიშებდა ჩემი მეზობელი, ამ საქმის უბადლო ოსტატი, ლოვა ოსიპოვი. ლოვა ჩვენი ხნის ბიჭი იყო, რუსულ სკოლაში სწავლობდა და კრივზე დადიოდა. ჩვენ მის "პაედინკებს" ხშირად ვესწრებოდით და საშინელი ყვირილითა და წივილ-კივილით ვამხნევებდით.

ათი ნომერი ნელა კი დადიოდა, მაგრამ ტროტუარის გასწვრივ ჩარიგებული აკაციები საქმეს ძალიან გვირთულებდა - ტრამვაიდან ისე უნდა ჩამომხტარიყავი, რომ ხეს არ შესკდომოდი. თავიდან გვეძნელებოდა, მაგრამ ორი-სამი დღის მერე მშვენივრად გავიწაფეთ და ლოვას ავუხირდით, ეხლა შვიდ ნომერზე გვავარჯიშეო.

რუსული ეკლესიის გაჩერებიდან წამოსული ეს შვიდი ნომერი, ტურგენევის ასახვევს რომ გამოსცდებოდა, უეცრად აიწყვეტდა და საბჭოს ქუჩის დასაწყისამდე ისეთი საში-ნელი სისწრაფით მოერეკებოდა, რომ მგზავრები შიშისგან ცახცახებდნენ. თუ ბიჭი იყავი, აი, სწორედ იმ დროს უნდა ჩამხტარიყავი და თანაც "ზადნით"!

ლოვას სწავლების საკუთარი მეთოდი ჰქონდა: როცა ტრამვაის კიბეზე მუხლებაძაგძაგებულები ვიდექით და ჩახტომას ვერ ვბედავდით, სასკოლო ჩანთას ხელიდან გამოგვტაცებდა, ქუჩაში გადააგდებდა და ჩვენც იძულებული ვიყავით გადავმხტარიყავით, თორემ, არ იყო გამორიცხული, რომ ის ჩანთა ვიღაცას აეწაპნა.

თვითონ ლოვა "ზადნით" უნაკლოდ ხტებოდა და ცდილობდა ეს ილეთი ჩვენთვისაც ესწავლებინა, მაგრამ სერგო უმიკოვის მეტმა ვერავინ ვისწავლეთ. ძალიან კოხტა "ზად-ნი" გამოსდიოდა, თითქმის ლოვასაც კი სჯობნიდა, მაგრამ ჩვენს მასწავლებელს ეს არ სწყინდა, პირიქით, ეამაყებოდა კიდეც.

ლოვა ოსიპოვი დედით რუსი იყო, მამით კი სომეხი. ლოვას მამა და ბიძა, დედას, გენოციდს გამორიდებულ ქალს - ხორომსეს, განჯიდან თბილისში ჩამოეყვანა, აქვე დაეზარდა და დაეცოლშვილებინა, მაგრამ საწყლებს დიდხანს ვეღარ ეცოცხლათ - ორივენი ჭლექით დახოცილიყვნენ. დედამ ლოვა და მისი უფროსი ძმა სერგეი, რომელსაც სინამდვილეში სარქისა ერქვა, ქმრის სიკვდილის შემდეგ, თავის გვარზე გადაწერა, რითაც დედამთილის საშინელი რისხვა დაიმსახურა. როგორც მახსოვს, ხორომსე ბაბოს ანიასთვის სიკვდილამდე ხმა აღარ გაუცია.

ეს ლოვა ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო, მაგრამ ერთი ცუდი თვისება ჰქონდა, არ უყვარდა, როცა სომხობას გაუხსენებდნენ და ამის გამო, უბნელ ბიჭებთან ხშირად მოსდიოდა ჩხუბი.

სამაგიეროდ, სეროჟა უმიკოვი იჭაჭებოდა - გინდა თუ არა, სომეხი ვარო. არადა, ქართველი იყო, ჩვენებური - წითელქალაქელი.

როცა როსტომ მეფემ, ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის გასავრცელებლად, ამ სოფელში სომხები ჩამოასახლა, მათ ფული შეაგროვეს, საყდარი ააშენეს და ეჩმიაძინიდან ტერტერა ჩამოიყვანეს. დაიწყო ამ ტერტერამ ქართული მოსახლეობის გრიგორიანად მოქცევა. აი, როგორ ახერხებდა ამას: ვთქვათ, ვიღაც შალვა უმიკაშვილს ეყოლა ვაჟი, მივიდა ქართველ მღვდელთან და სთხოვა, მომინათლეო. ამან დაავალა ნათლობისთვის კარგი ნასუქი ჭედილისა და ქათმების დაკვლა, მოახდევინა ქვევრი და თან ერთი აბაზიც ფულად გამოართვა. საწყალი უმიკაშვილი ასეთმა ხარჯმა წელში გაწყვიტა. მეორე ვაჟი რომ ეყოლა, ჩამოიარა სომხის ტერტერამ და უთხრა - შენი არაფერი მინდა, ოღონდაც ეგ ბალღი მე მომანათვლინე და ხუთ მანეთს კიდევ გიფეშ-ქაშებო. აგაშენოს ღმერთმაო! - გაუხარდა იმ სულელ უმიკაშვილს, - მთავარია, ბალღი მოუნათლავი არ დამრჩეს, თორემ რა მნიშვნელობა აქვს, ამას რომელი მღვდელი იზამ-სო. ადგა და მოანათვლინა. ტერტერამ კი საეკლესიო წიგნში ასე ჩაწერა:

"დაიბადა ამა და ამ წელსა, ამა და ამ თვესა შალვა უმიკაშვილის ძე არშაკა."

იმ არშაკას შინ მაინც გოგიას ეძახდნენ და ამიტომ დიდად არ უნაღვლიათ.

გავიდა ხანი. ეს ჩვენი არშაკა გაიზარდა, ცოლი შეირთო, ეყოლა ვაჟი. მიიყვანა ტერტერასთან, რომელმაც ბალღი მონათლა და საეკლესიო წიგნში ჩაწერა: დაიბადა ამა და ამ წელსა არმენ არშაკას ძე უმიკოვიო.

ასე გასომხდა ნახევარზე მეტი სოფელი.

მე ეს ამბავი პაპაჩემისგან ვიცოდი და ამიტომ სეროჟას წამდაუწუმ ვუჩიჩინებდი, ქართველი ხარ, უმიკაშვილი ხარ-მეთქი!

არაო, სომხები ვართო - უმიკოვებიო. მეც სომეხი ვარ და მამაჩემი არმენაცო!

ბიჭო, სომხები თუ ხართ, ერთი სომხური სიტყვა მაინც რატომ არ იცით ან შენ და ან კიდევ იმ მამაშენმა-მეთქი?!

ჩვენაო, ჩვენი მშობლიური ენა, ძნელბედობის ჟამს დავკარგეთო!

ამის თქმაზე წამოვუტიალებდი თავში. ის გამექცეოდა, შევარდებოდა შინ, შუშიან კარზე ფარდას გადასწევდა და იქიდან მეჭყანებოდა.

სეროჟა ჩემს კლასში დადიოდა. სწავლით არ გამოირჩეოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ტარამვაიდან ჩამოხტომაში ისეთი ნიჭი გამოამჟღავნა, რომ მთელი კლასის ბიჭები შევ-ნატროდით.

სეროჟას მამა - არმენა უმიკოვი დურგალი იყო, ბინის ქვეშ სარდაფი ჰქონდა ამოჭრილი, სადაც, ფინაგენტის ჩუმად, კარ-ფანჯრებსა და პატარა, კოხტა სკამებს აკეთებდა, ამიტომ მათ სახლში მუდამ ფიჭვის ნახერხისა და ხის წებოს სუნი იდგა.

ერთხელ, ჯემალა კაროევმა - ქურთის ბიჭმა, რომელიც ჩვენი სახლის სარდაფში ცხოვრობდა, დაიტრაბახა: სეროჟა ვინ არი, აბა წამოდით, ნახეთ, მე როგორ ვხტებიო!

წავედით. გზაში ვეკითხებით, - ვინ გასწავლა, ლოვამ გასწავლაო?

ი, ლოვა ვინ არი, მე აღაბეკამ მასწავლაო!

კარგი. ჩავედით კალინინზე. ჩვენ ქვემოთ დავდექით, ჯემალა და სეროჟა კი რუსული ეკლესიის გაჩერებაზე წავიდნენ.

ცოტა ხანში, გავიხედეთ და მოდის გარეკილი შვიდი ნომერი. უმიკოვი "ზადნით" ჩამოხტა და ტროტუარზე, კარგი ტანმოვარჯიშესავით, ერთ ადგილზე დაერჭო. იმავე წამს ჩამოხტა ჯემალაც, მაგრამ ვერ მოზომა, აკაციის ხეს შეასკდა და ასფალტზე ბრახვანი მოადინა.

შეშინებულები მივცვივდით. თვალებდახუჭული იწვა და მოგვეჩვენა, რომ აღარ სუნთქავდა. რაღა უნდა გვექნა, დავავლეთ ხელი და სულ ციმ-ციმ მივიტანეთ სახლში. ატყდა იქ ერთი გნიასი და წივილ-კივილი. ჯემალას დედა, ენე-საბრე თმას იგლეჯდა, ჯემალას დები საშინელი ხმით გაჰკიოდნენ, მარტო ხავაზა არ დაბნეულა - შვილიშვილს ყურები დაუსრისა, სახეზე წყალი აპკურა და მოასულიერა.

ეგ იყო და ეგ, მას მერე ჯემალა კაროევი ტრამვაიდან აღარ ჩამომხტარა.

ზინა, ასია, გულჩორა, ნარგიზა, ჟანა, კარინე, ლეილა, ანაიდა... აი, ჯემალას დების არასრული სია - თერთმეტნი იყვნენ და ყველას სახელი მე კი არა, იმათ მამას, კოჭლ ჰასანას არ ახსოვდა.

ჯემალა ნაბოლარა შვილი იყო და ამიტომ ძალიან ანებივრებდნენ დედაც, მამაც, ბებიაც და, რა თქმა უნდა, დებიც.

"ჯამალ, ვარა ვრა! - ისმოდა ეზოში ენე-საბრეს ყვირილი, - მოდი, ბიჩოჯან, გოგლი-მოგლი ჩამე!"

"არ მინდა, ვა!"

"მოდი, გენასვალე, მოდი აქა!" - ეძახდა ხავაზაც.

ერთი სიტყვით, დამწვარი თითივით უვლიდნენ და მეც, ლოვასაც, სეროჟასაც და სირაკანიანსაც შურით თვალები გვცვიოდა.

კაროევები ყოველ წელიწადს თითო გოგოს, ზოგჯერ კი ორსაც ათხოვებდნენ. მოვიდოდა ჰასანა ჯოხის ბჯენით, კარზე დაგვიკაკუნებდა, მაგრამ შინ რომ შევიპატიჟებდით, არაფრის დიდებით არ შემოვიდოდა.

“მიდი, ვახტანგას დაუზახე”, - გვეტყოდა და იქვე, ჩვენი სახლის წინ გამართულ სკამზე ჩამოჯდებოდა.

გამოვიდოდა მამაჩემი, ჰასანას ხელს ჩამოართმევდა და გვერდით მიუჯდებოდა.

ჩვენ უკვე ვიცოდით, რაშიც იყო საქმე - დღედღეზე ქორწილი უნდა ჰქონოდათ და მამაჩემი თამადად უნდოდა.

“შენ კაი კასი არი, ხაზეინჯან, კაი კასი!” - ეუბნებოდა ის.

შეთანხმდებოდნენ, ხელს ხელზე დაჰკრავდნენ და ჰასანა კმაყოფილი ჩადიოდა თავის სარდაფში.

გავიდოდა რამდენიმე დღე და დაიწყებოდა დიდი სამზადისი. მეზობლები ამაში არ მონაწილეობდნენ და არც იყო საჭირო, რადგან მთელი ქალაქის ქურთობა ჩვენს ეზოში იყრიდა თავს. ზოგი მწვანილს რეცხავდა, ზოგი ბრინჯს არჩევდა, ზოგი კი ხორცს ჭრიდა. იდგა ერთი გნიასი და საშინელი ყაყანი. კერძებს უზარმაზარ, გაკრიალებულ ქვაბებში ხარშავდნენ. ჩხარუნით მოჰქონდათ არყისა და ლიმონათის ბოთლებით სავსე ხის ყუთები და სარდაფის ჩასასვლელთან ალაგებდნენ. იშლებოდა სუფრა და საღამოს პირზე, ეზოს ჭიშკარს დამკვრელებიც შემოაღებდნენ.

მამაჩემი ჩვენებური წესით თამადობდა და მასპინძლებს ეს ძალიან მოსწონდათ, მაგრამ იმათი სუფრა მაინც არ ჰგავდა ქართულს - მთელი ღამე ისმოდა ზურნის ჭიჭყინი, დოლის ბაგაბუგი და სტუმრები საცეკვაოდ წამდაუწუმ გარეთ გარბოდნენ. მამაჩემი ამას მიჩვეული იყო, ვინ იცის, ამათ ოჯახში უკვე მერამდენედ თამადობდა და ამიტომ განსაკუთრებულ სიმკაცრეს არ იჩენდა, ეგ კი არა, ზოგჯერ, თვითონაც ჩაებმებოდა ხოლმე იმათ ფერხულში.

სექტემბრის ბოლოს, ჩვენი სახლის მესამე სართულზე, წულუკიძეების სამოთახიანი ბინა განთავისუფლდა - კოკას და ალიკას მამა პარტიულ თანამდებობაზე დააწინაურეს და ქალაქის ცენტრში ახალი ბინა მისცეს. ეს კოკა და ალიკა, ზრდილობიანი, კარგად ჩაცმულ-დახურული და ყველასთვის სანიმუშო ბიჭები, ჩვენზე ცოტათი უფროსები იყვნენ, რუსულ სკოლაში დადიოდნენ და ამიტომ ნაკლებად ვიცნობდით, მითუმეტეს, რომ ისინი უბანში თავს არავის უყადრებდნენ და ერთმანეთის მეტს არც არავის ელაპარაკებოდნენ. ჩვენი უბნელი დიდი ბიჭები ამ ძმებს რატომღაც სულ თვალებში შესცინებდნენ, ცდილობდნენ როგორმე მათი ყურადღება დაემსახურებინათ, მათი გული მოეგოთ, მაგრამ კოკა და ალიკა ზედაც არ უყურებდნენ, მუდამ ერთად იყვნენ, ერთად დადიოდნენ და სხვას ახლოს არავის იკარებდნენ, ამიტომ მათი აქედან გადასვლა სულაც არ გვწყენია.

მეორე დილით ენე-საბრეს ყვირილმა გაგვაღვიძა:

“ჯამალ, ვარა ვრა, ვარა ვრა!”

ეს ხმა სარდაფიდან როდიღა ისმოდა, ჯემალას დედა წულუკიძეების აივანზე გადმომდგარიყო, ხელში გოგლი-მოგლის ჭიქა ეჭირა და შიგ ჩაის კოვზს ათქაფუნებდა.

“რა გინდა, რა!” - მოისმა ჯემალას ბუზღუნი.

“მოდი, გოგლი-მოგლი ჩამე!”

“არ მინდა, ვა!”

“მოდი გენასვალე, მოდი აქა!” - ეძახდა ხავაზაც.

მე და ლოვამ გაოცებულებმა ავირბინეთ მესამე სართულზე, წულუკიძეების ყოფილი ბინის კარი შევაღეთ და დავინახეთ ჰასანა, რომელიც ფართო, ნათელ სასტუმრო ოთახში ძველი მობინადრეების დანატოვარ, ჯერ ისევ პენშერჩენილ სავარძელში იჯდა, პაპიროსს აბოლებდა და იქაურობას კმაყოფილი სახით ათვალიერებდა.

“მოდი, კასო, მობზანდი!” - დაგვიძახა მან და თან, მეტი დამაჯერებლობისთვის, ხელიც დაგვიქნია.

გაუბედავად შევედით და შუა ოთახში გავჩერდით.

“ჯერ მაისა, - გვითხრა მან, - ეხლა გოგოები სახლი გარესხონ!

მართლაც, გულჩორამ და ნარგიზამ თუ გულჩორამ და ლეილამ ვედროთი საპნიანი წყალი მოიტანეს და კარ-ფანჯრების რეცხვას შეუდგნენ.

აივნიდან ენე-საბრე შემოვიდა. იქაურობას ისიც კმაყოფილი სახით ათვალიერებდა.

“წამო, წამო!” - გვითხრა მან. წინ გაგვიძღვა, ჯერ ერთი საწოლი ოთახი დაგვათვალიერებინა, მერე - მეორე, ბოლოს სამზარეულოშიც შეგვიყვანა და იქ წულუკიძეების დაჭეჭყილი “ბურჟუიკა” გვაჩვენა, - “აი, კექსი გამოაცხო, გაჩამო!”

მოვიდა ვასო ზაალიშვილი - მაღალი, ხმელი კაცი, ჰასანას ხელი ჩამორთვა, იქაურობა უსიტყვოდ მოათვალიერა და თავი სინანულით გადააქნია.

“ რა არი?” - ჰკითხა შემკრთალმა ჰასანამ.

“ეხლა იცი, რა ქენი შენა - მე განცხადებას დაგიწერ, შენ მიდი აღმასკომში და საბინაო განყოფილებას ჩააბარე”.

“რა განსხადება, კასო?!” - შეშინდა ჰასანა.

“კანონით თუ არ დაიმტკიცე, მილიციის ძალით გაგასახლებენ, არ იცი შენა?”

მილიციის ხსენებაზე ჰასანა საშინლად დაფრთხა:

“მე საწყალი ქურთი კასი არი, ინვალისტი არი, მილისია არ მინდა, სიხეში არ მინდა!”

“მაიცა ეხლა, მაიცა, ჰო, ნუ გარეკე!” - გაბრაზდა ძია ვასო.

“მე ქურთი კასი არი, ფული არ არი, აღმასკომი ფული უნდა...” - გაიძახოდა ჰასანა.

“ეე, აბა, შენა ხარ, აი!” - ხელი ჩაიქნია ვასომ და ოთახიდან გავიდა.

როგორც შემდეგ გავიგეთ, ძია ვასოს, ჰასანას სახელით, განცხადება დაეწერა და აღმასკომის საბინაო განყოფილებაშიც თვითონ მიეტანა, მაგრამ ამან კაროევებს ვერა-ფერი უშველა - საწყლებმა ორი-სამი კვირა კი ისიამოვნეს და იფუფუნეს წულუკიძეების ნაბინავარში, მაგრამ მოადგა ერთ დღესაც ჩვენს სახლს ავეჯითა და სხვა სოჯახო ხაბა-კით დატვირთული “პალტარატონკა”, გადმოვიდა იქიდან ვიღაც ახალგაზრდა, შავულვაშიანი კაცი და ჯიბიდან ბინის ორდერი ამოიღო.

“ბიჭი, მოდი აქა!” - დამიძახა მან.

გულმა რეჩხი მიყო.

“რა ქნეს, გავიდნენ ბინიდან ის ქურთები?”

“ვინ ქურთები?!”

“აი, მესამე სართულიდან!”

“არა, ისევ იქ არიან”.

“ვახ, ჩემი ბედი რა ვთქვა, რა!” - შუბლში ხელი შემოირტყა კაცმა, მერე მანქანის კაბინასთან მივიდა, შოფერსა და ახალგაზრდა ქალს, რომელსაც კალთაში ძუძუთა ბავ-შვი ეჯდა, რაღაც უთხრა და ორდერის ფრიალით სახლმმართველობისკენ დაეშვა.

მე მაშინვე მაღლა ავვარდი და ეს ამბავი ჯემალას შევატყობინე. ჰასანა შინ არ იყო - იმ დროს ის ყოველთვის “კიროჩნზე” იჯდა ხოლმე და პაპიროსს ყიდდა.

ხავაზამ სახე ჩამოიხოკა, გოგოებმა წიკვინი ატეხეს, მაგრამ ენე-საბრემ დაუტია და გააჩუმა.

სიტუაცია დაიძაბა. ფანჯრებს მომდგარი მეზობლები სატვირთო მანქანას პირგამეხებულები მისჩერებოდნენ.

შინ რომ ჩავედი, დედაჩემი აღელვებული დამიხვდა, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, ოთახში დადიოდა და თან თავისთვის რაღაცას ლაპარაკობდა, ვიღაცას სწყევლიდა, ქვის ქვეშ აფარებდა.

ფანჯარასთან მივედი და მანქანას გავხედე.

უეცრად, იქიდან ბავშვის ტირილი შემომესმა, ეტყობა, მოშივდა, მაგრამ დედას უცხო კაცისა ერიდებოდა და შვილს ძუძუს ვერ აწოვებდა, ის სულელი შოფერი კი ვერ ხვდებოდა, რომ იქაურობას ცოტა ხნით მაინც გასცლოდა, არხეინად იჯდა, პაპიროსს აბოლებდა და კარგი, შეგნე-ბული ადამიანივით კვამლს ღია სარკმელიდან გარეთ უშვებდა.

ბავშვი რომ ჩაბჟირდა, ქალმა კაბინის კარი გააღო, მანქანიდან გადმოვიდა და უმწეოდ მიიხედ-მოიხედა. დედაჩემი მაშინვე გარეთ გაეგება, ღიმილით ანიშნა, ჩვენსა შემოდიო. ქალი შემოვიდა და ჩემს დანახვაზე, დედას უსიტყვოდ გადახედა.

“გადი, ბიჭო, კარში!” - მითხრა დედამ.

ჯემალა ქვემოთ ჩამოსულიყო და სადარბაზოს ქვის კიბეზე იჯდა. მივედი და მეც გვერდით მივუჯექი.

შოფერს ნერვიულობა დაეტყო - პაპიროსს პაპიროსზე უკიდებდა და ქუჩას მოუთმენლად გასცქეროდა, მაგრამ მისი კლიენტი არსად ჩანდა. აღარ ჩანდა ბავშვიანი ქალიც, რომელსაც ახლა დედაჩემი, ალბათ, ჩაითა და კაკლის მურაბით უმასპინძლდებოდა.

უცებ, ჯემალა წამოხტა და სადარბაზოში შევარდა. მე მაშინღა დავინახე გაჩქარებული ნაბიჯით მომავალი ის შავულვაშა კაცი, რომელსაც უკან ჩვენი სახლმმართველი და ორი მილიციელი მოსდევდა.

შოფერი მანქანიდან გადმოვიდა და კლიენტს გაბრაზებული სახით მიაჩერდა:

“რა არი, როდემდე ვიდგე აქა, ტო?!”

“მაიცა რა, თუ ძმა ხარ... არ გაწყეინებ”, - უპასუხა მან და სადარბაზოში შევიდა. დანარჩენებიც უკან შეჰყვნენ.

“ვა, გაგონილა, კაცო?!” - ხელები გაშალა შოფერმა.

უეცრად, ზემოდან საშინელი წივილ-კივილი მოისმა, აივნიდან წულუკიძეების მიერ დატოვებული “ბურჟუიკა” გადმოვარდა, ქვაფენილზე ხმაურით დაენარცხა, სახურავი მოსძვრა და თითქმის ქუჩის ბოლომდე ჩახრიგინდა. ამას მოჰყვა რაღაც ფუთები, შეკვრები, ლეიბები, ბალიშები, საბნები, მუთაქები... ჰაერში მოფარფატებდა ენე-საბრესა და ხავაზას ჭრელ-ჭრელი ქვედაკაბები, მოფრინავდა ჯემალას ქუდი, ჰასანას ძველი ბუშლატი, კარინეს წითელი პალტო და ვინ იცის კიდევ რაღა არა!

მეზობლები გარეთ გამოიშალნენ - ახმაურდნენ, აყაყანდნენ, ქალები აივანზე გადმომდგარ მილიციელებს მუშტებს უღერებდნენ და ქოქოლას აყრიდნენ.

მოულოდნელად, სადარბაზოს კარი გაიღო და იქიდან მოხუცი ხავაზა გამოვიდა, ცალ ხელში ნავთის ბოთლი ეჭირა, მეორეში - ასანთი. თავიდან ვერავინ მივხვდით, რას აპირებდა, მაგრამ როცა მივხვდით, უკვე გვიან იყო - ხავაზამ ნავთი ზედ შეისხა, ასანთს გაჰკრა, ცეცხლი მოიკიდა და ერთბაშად აბურბურდა!

ატეხეს ქალებმა საშინელი კივილი, ზოგი წყლის მოსატანად გაიქცა, ზოგი - სახანძროში დასარეკად, მარტო ძია ვასო არ დაბნეულა - ძირს დაგდებულ საბანს ხელი დასტაცა და აწივლებულ დედაბერს სასწრაფოდ ზედ შემოახვია.

ტროტუარზე ლეიბი დააფინეს, სახედამწვარი, თმაგადატრუსული ხავაზა ზედ დააწვინეს და ირგვლივ შემოეხვივნენ.

“წყალი არა, წყალი არ მიაკაროთ, უარესი იქნება, - კამანდრობდა ძია ვასო, - და გაიწით, კაცო, ჰაერი მიეცით რა, ვა!”

დავინახე, როგორ გამოვიდნენ სადარბაზოდან მილიციელები და როგორ ჩუმად გაიცურცლნენ.

ძია ვასო დარცხვენილ კომენდატს ამუნათებდა:

“აბა, რა გააკეთეთ ეხლა ეგა, მაგარი ბიჭები ხართ, არა? ეს ქალი რო მოკვდეს მერე რა უნდა ქნათ?”

შეცბუნებული კომენდანტი ქვემოთ დაეშვა და ბიჭებმა სტვენით გავაცილეთ.

ენე-საბრე დედამთილს გვერდით მისჯდომოდა და თავის ენაზე რაღაცას ეუბნებოდა. გოგოები ტიროდნენ.

შავულვაშა კაცმა ცოლ-შვილი მანქანის კაბინაში ჩასხა, თვითონ ძარაზე ავიდა და “პალტარატონკა” დაღმართზე რახრახით დაეშვა.

“სად წავიდა, ე?!” - გაუკვირდა ვიღაცას.

“ეგრე თქვა, არც ეგეთი ბინა მინდა და არც არაფერიო”, - უპასუხა დედაჩემმა.

“ვა, კაცი ყოფილა, რა!” - დაასკვნა ძია ვასომ.

ხალხმა ერთხანს კიდევ იყაყანა, ბოლოს ხავაზა ლეიბიანად ასწიეს და თავის სარდაფში ჩაიყვანეს.

ჰასანას გოგოებმა შუა ქუჩაში გაფანტული ნივთები აკრიფეს.

მე წავედი და თითქმის პურის საცხობამდე ჩაგორებული “ბურჟუიკა” ამოვიტანე, რომელიც ისე დაჭეჭყილიყო, რომ აღარაფრად ვარგოდა. ენე-საბრემ ერთხანს დანანებით ატრიალა ხელში, მერე უკან მომცა, ამოიოხრა და მითხრა:

“ეხ... წაიღე, ბიჩოჯან, გადააგდე...”

მე და ლოვამ წულუკიძეების ყოფილი ბინიდან სავარძელი ჩამოვიტანეთ, ძია ვასომ კი არმენა უმიკოვი და მეგარმონე ვალოდია იშველია, ავეჯი ჩამოზიდეს და სულ მალე კაროევების დროებით დაცარიელებული სარდაფი ისევ გაივსო...

წულუკიძეების ბინას ჩვენმა კომენდატმა “პლომბი” დაადო. თითქმის ერთ თვეს იყო დალუქული, მერე კი იქ ჯიბუტები შეასახლეს - პატარა ტანის მოხუცი, მაგრამ ძალიან ყოჩაღი ბებია და მისი ობოლი შვილიშვილები - ლადო და კოტე. ლადო ჩემზე ორი წლით უფროსი იყო, კოტე - ორი წლით უმცროსი. ერთმანეთს კარგად შევეწყეთ და გაკვეთილების შემდეგ, ქუჩის გადაღმა, “ციციანოვის ეზოში” ერთად ვთამაშობდით ლახტსა და ავჭალურს.

“დედი, სოლუა პაპა ვინ მოკლა?” - ვკითხე ერთხელ დედას, როცა ის კარგ გუნებაზე დავიგულე.

“ვინ გითხრა, რო მოკლეს.”

“როგორ, ვინ მითხრა, საფლავის ქვაზე არ აწერია?”

“რა აწერია.”

“სოფლის ბოლოში დამიხვდა, ხანჯლით გამომჭრა ყელიო... ვინ დაუხვდა?”

დედამ ყურადღებით შემომხედა.

“მოდი, შვილო, აქა”.

ფრთხილად მივუახლოვდი. ხელი მომხვია, გულში ჩამიკრა და თავზე მაკოცა. სიამოვნებისგან გავიტრუნე. ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა - დედა მკაცრი ქალი იყო, ზედმეტი მოფერება და ალერსი არ იცოდა. მე და ჩემს ძმას, როცა დაგვაძინებდა, მაშინ თუ გვაკოცებდა თითოჯერ, თორემ სხვა დროს - არა. სულ მუდამ ვხვდებოდი, რომ რაღაც დარდი ჰქონდა, რაღაც აწუხებდა, მაგრამ ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, ვერ გავიგე, რა სტანჯავდა. ზოგჯერ აიღებდა გიტარას, სიმებს ხელს ჩამოუსვამდა და ნელ-ნელა ტკბილ, ჟრუანტელის მომგვრელ ხმას ააყოლებდა, მაგრამ ეს სიმღერა როდი იყო, გოდებას უფრო ჰგავდა - კვნესოდა, ოხრავდა, გულიდან სულ მუდამ რაღაც შეუცნობელი სევდა და ნაღველი ამოსდიოდა.

ამომიჯდებოდა გული და ვტიროდი. ტიროდა ჩემი ძმაც, ღაპაღუპით გვდიოდა ცრემლი და ცოტა ხნის შემდეგ, გასავათებულები, ტირილისაგან დაღლილები ყურებში თითებს ვიცობდით და ვეხვეწებოდით, ვემუდარებოდით, რომ გაჩუმებულიყო, აღარ ემღერა, არასოდეს აღარ ემღერა, მაგრამ თითქოს სწორედ ამას ელოდებოდაო, გაუნათდებოდა თვალები, პირზე ღიმილი მოერეოდა და ჩუმი სიამაყით გვიყურებდა.

“მე მაშინ სულ პატარა ვიყავი, - დაიწყო დედამ, - შვიდი-რვა წლისა. მოასვენეს საწყალი სოლუა ძია ურმით, სულმთლად სისხლიანი. აბა, ეს ვალიკო და მაყვალა რანი იქნებოდნენ. მაყვალა კიდევ ჰო - ჩემზე ერთი წლით დიდია და ვალიკო კი ჯერ ისევ აკვანში იწვა...”

“და ვინ მოკლა?”

“სიძემ. დის ქმარმა...”

“ვინა, სოფო პაპიდას ქმარმა?!”

დედამ ჩუმად შემომხედა.

“სოფო პაპიდა საიდანღა იცი?!”

“როგორ არ ვიცი - ამ ზაფხულს მე და პაპა ვიყავით იქა. ორი ჩურჩხელა მომცა...”

“რას ამბობ, ბიჭო?! - დედას თვალები მოერღვა, - და პაპაც იყო?”

“იყო, მაშ, იმან არ მიმიყვანა?”

“რას ლაპარაკობდნენ, რაო?”

“რა ვიცი, არაფერს... და რათ მოკლა?”

“გიჟი იყო და იმიტომ...”

მეტი აღარაფერი უთქვამს, ადგა და ოთახიდან გავიდა.

აი, როგორც იქნა, ფარდა გადაიწია და საიდუმლოს ერთი ნაწილი გამოჩნდა, მაგრამ მხოლოდ ერთი პატარა, მცირე ნაწილი, მთავარი კი მაინც გაურკვეველი დარჩა - რატომ გაიმეტა მოსაკლავად სოფო პაპიდას ქმარმა სოლუა.

ერთხელ, ციციანოვის ეზოში, დიდი ბიჭების ლაპარაკს მოვკარი ყური: რაჟიკო ამბობდა - კაცი რო ქუჩაში მოკლული გდია, ის კაცი ნაღდად რაღაცაში დამნაშავეა, აბა ტყუილად ხო არ მოკლავდნენო.

გულში დავეთანხმე. ზოგი მართლა მოსაკლავი იყო, მაგალითად, რუსის ბიჭი გენა, რომელიც ძალიან გადამეკიდა - სკოლიდან ან პურის მაღაზიიდან მომავალს ქუჩის კუთ-ხეში მისაფრდებოდა ხოლმე და მცემდა.

აი, როგორ დაიწყო ეს ამბავი:

“ე, შენ გეუბნები!” - მომესმა ერთხელ და მაშინვე დავინახე ის ბიჭი, რომელიც მერეც, ლამის დიდობაშიც კი მესიზმრებოდა ხოლმე, მესიზმრებოდა სწორედ ისეთი, როგორიც პირველად დავინახე - აგურის კედელზე ზურგით მიყრდნობილი და შარვლის ჯიბეებში გამომწვევად ხელებჩაჩრილი.

გავჩერდი და დაბნეული სახით მივაცქერდი.

ქუჩაში ჩვენს მეტი არავინ იყო. ადრეული შემოდგომის თბილი, მზიანი დღე იდგა და ჯერ ისევ მწვანედ მოღაღანე ჭადრის ფოთლებში მხიარულად დაფრთხიალებდნენ ბე-ღურები.

“ხო, შენ გეუბნები, შენა!” - გამიმეორა ბიჭმა.

გული უსიამოვნოდ შემეკუმშა და მუხლებში სამარცხვინო სისუსტე ვიგრძენი. იმ დროს ვინმეს რომ გამოევლო - მეზობელს ან თუნდაც რომელიმე ნაცნობ ბიჭს, შემდგომი მოვლენები სულ სხვაგარად განვითარდებოდა, მაგრამ ქუჩაში არავინ ჩანდა და მეც, უცნაური შიშით შეპყრობილი, ადგილიდან ვერ ვიძროდი, ბიჭს ისე შევყურებდი, როგორც მონუსხული თაგუნა გველს.

“მოდი აქა! - თითით მიმიხმო და როცა ყოყმანი შემატყო, დაუმატა, - მოდი, ნუ გეშინია.”

ჩემზე სამი-ოთხი წლით მაინც იქნებოდა უფროსი, მაგრამ ტანით პატარა იყო, გაფსხლიკული. ეცვა ვიწრო, კუბოკრული შარვალი და ჭრელი პერანგი, რომლის გაღე-ღილი საყელოდან წვრილი ძეწკვი მოუჩანდა. იმ ძეწკვმა ჭადრის ფოთლებიდან ჩამოპარულ მზის სხივზე გაიბრწყინა და მეც სწორედ მაშინ შევნიშნე.

ქუჩა გადავჭერი და ფრთხილად მივუახლოვდი.

“რა არი ეგა?” - მკითხა მან.

“რა”.

“აი, ეგა, ხელში რო გიჭირავს”.

“ჩანთაა, რა უნდა იყოს”.

“აბა, მაჩვენე”, - გამომართვა, უეცრად აიქნია და სახლის სახურავზე ამიგდო.

გავმწარდი, ფეხი გავუქანე, წვივში მოვარტყი და გავიქეცი. კარგად რომ გავცდი, უკან მივიხედე და დავინახე, რომ ჩაცუცქულიყო და ნატკენ ადგილზე სახედაღრეჯილი ხელს ისვამდა, თან - “მაიცაო!” - თავს მიქნევდა.

მართლაც, მას შემდეგ ქუჩაში აღარ გამატარა, სკოლიდან მომავალს გზაში მხვდებოდა ხოლმე და ისე მცემდა, სულ მალილავებდა. ერთხელ ქვა მესროლა და თავი გამიტეხა.

ჯერ ვცდილობდი, წინააღმდეგობა გამეწია, მაგრამ უფროსი იყო და მერეოდა, გაქცევითღა ვშველოდი თავს. ბოლოს, ისეთ დღეში ჩამაგდო, გარეთ გამოსვლის მეშინოდა.

მივედი ლოვა ოსიპოვთან, ჩხუბი მასწავლე-მეთქი, იმან კი წამიყვანა და ბოქსის სექციაზე ჩამწერა.

გვავარჯიშებდა ერთი პატარა ტანის, ცხვირჩაჭყლეტილი კაცი, რომელმაც მისვლისთანავე ჭერში ჩამოკიდებულ, ნახერხით გატენილ ტომარასთან დამაყენა და მითხრა - ამას ურტყიო. თვითონ შორიდან მიყურებდა და მეძახდა:

“მარცხენა, მარჯვენა! მარცხენა, მარჯვენა! ეგრე, კარგია!”

გავიდა ერთი კვირა, ერთი თვე, მერე ორიც, მაგრამ მე ისევ იმ ტომარას ვუბაგუნებდი. გავბეზრდი.

მე აქ იმიტომ მოვედი, რომ ჩხუბი მესწავლა, თორემ ეგრე ხო შინაც ვივარჯიშებდი-მეთქი, - ვუსაყვედურე მწვრთნელს.

ამხედ-დამხედა და რაღაც ფინთათ გამიღიმა.

კარგიო, ადი რინგზეო.

გულისფანცქალით ჩავიცვი ხელთათმანები, ფიცარნაგზე ავედი და თოკებქვეშ გავძვერი. გამომიყვანა ერთი იეზიდის ბიჭი - გამხდარი, გაჩხინკული, რო შეგებერა, გადაიჩეხებოდა.

სხვასთან მაჩხუბე, ამას ხო მოვკლავ-მეთქი!

მიდი, აბა, მოკალიო!

მაშინვე ხელი მოვუქნიე, მაგრამ იმან ჩაყვინთა და ყბაში მომდო. კიდევ მოვუქნიე - კიდევ მომდო.

“ვა! - ჯერ გამიკვირდა, მერე გავბრაზდი, - ეხლა ამას ხო, უხ”, - და მგლიჯა კიდეც ცხვირში!

თვალებიდან ნაპერწკლები წამომცვივდა, გავმწარდი, გადავირიე, დავიძარი გავეშებული, ჯერ პანჩური ამოვარტყი, მერე სოფელში ნასწავლი გარეკაურით ძირს დავაწყვიტე და მუცელში წიხლი ჩავაზილე. ის იყო ფეხი უნდა მომენაცვლებინა, რომ მომხვდა კანჭებში რეზინის სახტუნაო თოკი. მივიხედე და გაბრაზებული მწვრთნელი დავინახე.

ჩამო ძირსაო, - მიყვიროდა, - ჩაიცვი და დღეიდან თვალით აღარ დამენახოო!

ჯერ გავიფიქრე, ამასაც ხო არ ჩავუტარო ერთი ლაზათიანი მოგვერდი-მეთქი, მაგრამ მერე მომერიდა. არადა, ტანით ჩემზე ძალიან დიდი როდი იყო, სულაც არ გამიჭირდებოდა იმისი გადატანა.

ასე დამთავრდა ჩემი სპორტული კარიერა.

მართალია, ჩხუბი ვერ ვისწავლე, მაგრამ არ ვიცი, რა მომივიდა - მას მერე იმ რუსის ბიჭის შიში დავკარგე. გამგზავნა, ერთხელ, დედაჩემმა რაღაც საყიდლებზე; წავედი “ჩერქეზოვის გასტრონომში”, ვიყიდე შაქარი, კარაქი, პური და გამოვბრუნდი უკან. ვხედავ, სპარტაკას სახლთან დგას და მელოდება, უნდა მცემოს, მაგრამ გულს შიში არ ეკარება, მარტო ის მაფიქრებს, ნეტა ეს შაქარი არ დამეპნეს-მეთქი. ჩავუარე გაჩქარებული ნაბიჯით.

ეი, პაცანო, - დამიძახა.

სანოვაგის ჩანთა კედელთან დავდგი, გამოვბრუნდი, უეცრად გამოვქანდი და დავეჯახე თავით მუცელში. ეგრეევე უკან გადავარდა. დავაჯექი ზემოდან და დავუწყე ცემა. სანამ არ ვატირე, არ მოვეშვი. მას მერე, ქუჩაში რომ მხვდებოდა, მეორე მხარეს გადადიოდა ხოლმე.

სოფელზე ხშირად ვფიქრობდი, მაგონდებოდა პაპები, ბებიები, ბიძები. ზაფხულამდე ჯერ შორი იყო და როცა ძალიან მომენატრებოდნენ, ავუყვებოდი ბოჭორიშვილის შესახვევს, ვერხარნის ქუჩაზე გავიდოდი, მივადგებოდი ქვის გალავანს, ზედ ავიბღოტებოდი და პატარა, ხელისგულისოდენა ეზოში ჩავიხედავდი, სადაც

საქართველოს რომელიღაც ხეობისა თუ კუთხის მაკეტი იყო მოწყობილი: ბალახიან კორდზე თავპირისმტვრევით ჩამორბოდა მდინარე, რომელიც ფიქალის მაღალი კლდიდან გადმოჩუხჩუხებდა. კლდის თავზე ამაყად იდგა რქებდაგრეხილი ჯიხვი, ცოტა დაბლა, მწვანე ფერდობზე კი შველი და იმისი ნუკრი სძოვდა.

მდინარე ქვემოთ მილივლივებდა და გამჭვირვალე ტალღებით ლოკავდა ნაპირს. წყალგაღმა, სერზე ცხვარი შეფენილიყო. ახალგაზრდა მწყემსი ძირს დაგებულ ნაბადზე იჯდა და სალამურს უკრავდა. იქვე დაყუნცულიყო ბომბორა ძაღლი, რომელიც ყურადღებით გაიცქირებოდა უღრანი ტყისკენ. ტყიდან მგელს გამოეყო თავი და პირდაღებული ფარას უყურებდა.

ქვემოთ მდინარე დინჯდებოდა და უკვე მდორედ მიდიოდა. ერთ ფლატეზე სოფლური სახლი იდგა, ეზოში გლეხი გოდორს წნავდა, მისი დედაკაცი კი წითელ ძროხას ცურთან მისჯდომოდა და სწველიდა. იქვე ება ხბოც, რომელიც დედისკენ იწევდა, მაგრამ თოკი არ უშვებდა და საცოდავად ეღრიცებოდა კისერი.

მოშორებით კალო გაემართათ. გოგოები კევრზე ისხდნენ, ერთი წითელხალათა ბიჭი კი ბზეში მალაყს გადადიოდა. ცოტა იქით, კაცები და ხილაბანდით პირახვეული ქალები, ნალეწს ანიავებდნენ. მათ ფეხებთან გორებად იდგა ხორბლის ხვავი.

უფრო ქვემოთ, მდინარეზე წისქვილი იყო გამართული. წისქვილთან ტომრებით დატვირთული, კამეჩებშებმული ურემი იდგა.

ქვემოთ და ქვემოთ მდინარე უფრო მეტად მდოვრდებოდა და მზვარეებს ზლაზვნით მიუყვებოდა. იქ მწკრივზე გაშლილი ვენახები ჩაფენილიყო. ერთ ზვარში რთველი ჰქონდათ - მსხმოიარე ვაზებს მკრეფავები შესეოდნენ, მარჯვე ყმაწვილებს ზურგზე სავსე გოდრები ეკიდათ, დიდ საწნახელში კი ხელიხელგადახვეული კაცები იდგნენ და ყურძენს წურავდნენ.

ეს ეზო ერთი უფეხო კაცისა იყო. ამბობდნენ, რომ ფრონტიდან სოფელში ჩასულს ცოლი გათხოვილი დახვედროდა, ამიტომ იქაურობა მიეტოვებინა და ქალაქში წამოსულიყო. მარტო ცხოვრობდა. ზოგჯერ, ვხედავდი, როგორ გამოფოფხდებოდა თავისი პატარა, გადაფერდებული სახლიდან, მწვანედ შეღებილ ძელსკამთან მიჩოჩდებოდა, აიწეოდა და ზედ ისე მარჯვედ შემოსკუპდებოდა, რომ თვალებს არ ვუჯერებდი. იჯდა, პაპიროსს ეწეოდა და იქაურობას ჩუმი სიამით ათვალიერებდა. ყველაფერი მისი ნახელავი იყო: ტყეც, ზვრებიც, მდინარეც, ცხოველებიცა და ადამიანებიც და ახლა, როცა ამას ვწერ, მეჩვენება, რომ მეც იმ უფეხო კაცივით ვწვალობ, ვჯახირობ და ჩემი ბავშვობის იმ სამყაროს ნამსხვრევებს ვაკონწიებ, ასე ძალიან რომ მენატრება.

მამაჩემის მამა, მიხაც, ხეიბარი იყო - ორი ჯოხით დადიოდა და გლეხური შრომა: ბარვა, თოხნა და სხვა ამისთანა მძიმე საქმის კეთება არ შეეძლო, მაგრამ ვენახის გასხვლას მაინც არავის ანებებდა, ვენახი კი ისეთი ჰქონდა, ერთ ნახვად ღირდა.

მიხასაც და მის ერთ მომიჯნავე ძმას - ვასუასაც ჩაყრილი ჰქონდათ ფრანგული ჯიშის ვაზი, რომელსაც, უბრალოდ, "ფრანგულას" ეძახდნენ, მეორე მომიჯნავეს, ამათ უმცროს ძმას, სინკოს კი ედგა "ქართული" - თეთრი ყურძენი. ამიტომ მიხა და ვასუა წითელ ღვინოს აყენებდნენ, სინკო - თეთრს.

ვასუასა და მიხას ვენახებს შუაზე მარტო ერთი გაკორდებული სამძღვარი ჩაუდიოდა, მიხასა და სინკოს ვენახებსშუა კი ისეთი გაბურდული ღობე იყო ჩაყოლებული, შიგ ჩიტი ვერ გაძვრებოდა.

პაპაჩემს ვენახის თავში, ვაშლებამდე, ოციოდ ძირი ქართული ვაზიც ედგა, მგონი - "ჩინური", მაგრამ ვერ უვლიდა და უფუჭდებოდა. ვასუას ამ ჯიშის ვაზი არა ჰქონია, სამაგიეროდ ედგა რამდენიმე ძირი "ქიწნურა", რომელიც აგვისტოს ბოლოს შეჭრელდებოდა ხოლმე და ბალღები ზედ ჩიტებივით ვესიეთ.

სამივეს - მიხასაც, ვასუასაც და სინკოსაც ვაზებს შორის, ჩაყოლებაზე, ედგათ სხვადასხვა ჯიშის ატმები, რომლებსაც ერთმანეთისგან იმით ვანსხვავებდით, რომ

ზოგი სახეჩი იყო და ზოგიც - სახრავი. სახეჩ ატამს “ვენახის ატამს” ვეძახდით, სახრავს - “ნამყენ ატამს”.

პაპაჩემსაც და ვასუასაც შუა ვენახებში კრამიტით დახურული ფიცრული ქოხები ედგათ. ფიცრებისგანვე შეკოწიწებულ ტახტზე ვასუას ძველი, გაზინზლული და აქა-იქ ბამბებგამოჩრილი ბუშლატი ეგდო, მიხას კი ერთი ნაბდიძველა, რომელიც ისე იყო დაფხავებული, რომ სჯობდა სულაც არ ყოფილიყო.

სინკოს ვენახში ქვის პატარა ოთახი ჩაედგა, სადაც ძველი რკინის საწოლი თავისი ლოგინით, მაგიდა და ორი მორყეული სკამი ჰქონდა.

ყურძენი რომ შეთვალდებოდა, სამივე ძმა ვენახებში გადასახლდებოდა - დღეც იქ იყვნენ და ღამეც.

პაპაჩემს ჰქონდა ერთი ძველი, მგონი, პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ჩახმახიანი შაშხანა, რომელიც, არ ისროდა, მაგრამ ქურდების შესაშინებლად მაინც ძალიან კარგი იყო. ღამ-ღამობით, მტრისა და ავის დასაფრთხობად, გამოძვრებოდა თავისი ქოხიდან და გააბამდა ყვირილს:

“სინკო, სინკოო!.. ჰაი, ვასო, ვასოო!!!”

“ჰოუ, ჰოოუ!” - ნამძინარევი ხმით ეპასუხებოდა ვასუა.

“ მიხა, მიხაა!” - ყოჩაღად ეხმიანებოდა სინკო.

სინკოს, ნაომარ, ტყვეობაგამოვლილ კაცს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, ორ სიტყვას არ გადააბამდა ერთმანეთზე. სამაგიეროდ, ვასუა იყო კარგი მოლაპარაკე და მოპასუხე.

ბევრი ლაპარაკი პაპაჩემსაც არ უყვარდა. იჯდა ერთთავად სკამზე, ეჭირა ხელში გაზეთის ნაგლეჯი და კითხულობდა. იმ ნაგლეჯებით ჰქონდა ხალათის ჯიბეები გამო-ტენილი. როცა დამინახავდა, დამიძახებდა, მიმისვამდა გვერდზე და ახლა მე მაკითხებდა.

ეს იყო გაზეთ “კომუნისტიდან” ამოხეული წერილები, სტატიები და ინფორმაციები, რომლებიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს, მაგრამ პაპაჩემი მათში მაინც პოულობდა რაღაც იმედისმომცემსა და სანუგეშოს. თავზე ხელს დამადებდა და მეტყოდა:

“აგე, ბიჯო, ნახე, რასა სწერამენ... მაიცა, მალე დადგება ამათი აღსასრული, მალე!”

პაპაჩემი “ამათზე” იმიტომ იყო გაბრაზებული, რომ სამჯერ გაეკულაკებინათ - ყველაფერი წაერთმიათ, ხარ-კამეჩიც, ურემიცა და პატარა დუქანიც, ერთი რკინის საწოლიღა დაეტოვებინათ, სადაც ოთხი ბავშვი გარდიგარდმო ეწვინათ და ბოლოს ისიც წაეღოთ.

ომამდე ორი წლით ადრე, მამაჩემისთვის ეთქვა - მალე გერმანია ომს დაგვიწყებს, ბევრი ხალხი დაიხოცება, ამიტომ, ჩადი ქალაქში, მილიციაში მოეწყვე და ომში ვეღარ წაგიყვანენო.

წამოსულა ეს მამაჩემიც, ჩამოსულა ქალაქში და მილიციის სამმართველოში მიმავალი უნივერმაღთან შეყოვნებულა, სადაც, თურმე, რაღაც “საროჩკებს” არიგებდნენ. ჩა-მდგარა რიგში და მალე დახლამდეც მიუღწევია, მაგრამ აუტეხია ვიღაც რუსის დედაკაცს შარი - არ იდექიო!

როგორ არაო, ვიდექიო...

არაო, გინდა თუ არა, არ იდექიო!

ჩარეულა საქმეში რიგის მომწესრიგებელი მილიციელი და იმ რუსის დედაკაცის მხარე დაუჭერია:

არ იდექი, ამხანაგო!

ვიდექი, კაცოო!

უკვრია იმ მილიციელს ხელი და ყირამალა გადაუტარებია.

წამომდგარა საწყალი მამაჩემი, ჩამოუბერტყია შარვალი, წამოსულა და მილიციის ნაცვლად სახანძრო რაზმში ჩაწერილა. ზოგი ჭირი მარგებელიაო, იცინოდა ხოლმე.

დადგებოდა ოქტომბრის პირველი რიცხვები, დაიწყებოდა რთველი და ჩვენც იქ ვიყავით.

მიხასი და ვასუას ვენახები თითქმის ყოველთვის ერთდროულად იკრიფებოდა - აქეთ ჩვენ გაგვიდიოდა ჟრიამული, იქით, იმათ. ჩვენ გვეხმარებოდა დარა თავისი ბიჭებით - გოგიათი და შოთათი, იმათ - მარუსა და ცქმუნა. ზოგჯერ ქალაქიდან ჩამოგვეშველებოდნენ პაპიდაჩემის, ელიჭკას გოგოები, ნორა და ფირუზა. ფირუზა ჩვენ გვშველოდა, ნორა - იმათ.

პაპა გვიჯავრდებოდა ხოლმე, ზედვე ნუ გაჰკიკნით, მთელი მტევანი მოგლიჯეთო. არადა, ისე უფრო გემრიელი იყო: აქ ერთ მარცვალს შეაცლიდი, იქ - მეორეს, თანაც სულ საღებს, მსხვილებს და იტკბარუნებდი პირს. პაპას კი ყველაფერზე მეტად ეს ეჯავრებოდა, დაგვიწყებდა ყვირილს: რასა შვრებით, აბა, რასა შვრებითო, მოგლიჯეთ მთლიანად და ისე შეჭამეთ, გაკიკნილი მტევანი აღარა ვნახო აქაო!

კრეფას რომ დავიწყებდით პაპაჩემი ვაზებში დაფოფხავდა, ძირს დაცვენილ მარცვალს აგროვებდა და გოდორში ყრიდა. ვასუა არა. ვასუა ამ დროს გაღიმებული დადიოდა თავის ვენახში და მკრეფავებს ეხუმრებოდა. ზოგჯერ საეჭვოდ შეიმალებოდა ქოხში და ცოტა ხნის მერე იქიდან უფრო მეტად გამხიარულებული გამოდიოდა.

ღობის იქით, სინკოს ვენახში რა ხდებოდა, ვერ გაიგებდი - ისინი, სულ მუდამ ჩუმად კრეფდნენ და ჩუმადვე წურავდნენ.

ყურძნით თავმოდგმულ გოდრებს ურემზე დავალაგებდით ხოლმე და შინ მიგვქონდა. იქ, მარანში უკვე გველოდებოდა კოხტად გამართული, გარეცხილ-კაწკრიალებული საწნახელი. შოთა და გოგია - მაგარი, მოჭიდავე ბიჭები, გოდრებს მარანში შეზიდავდნენ და საწნახელში ჩაცლიდნენ, რითაც კაცების იმდღევანდელი შრომა მთავრდებოდა და იწყებოდა ქეიფი...

დაწურვით მეორე დღეს ვწურავდით.

გააცხელებდნენ ქალები წყალს, დაგვბანდნენ მე და ბიძაჩემს ფეხებს და ჩაგვაყენებდნენ ნავში. "ფრანგულას" თხელი კანი ჰქონდა და ამიტომ იოლად იწურებოდა. თუ თბილოდა, ყურძენიც სასიამოვნოდ თბილი იყო და ხალისიანად ვწურავდით, სიცივეში ფეხებს გვაზრობდა და ამიტომ მე მალევე ამომსვამდნენ ნავიდან, ბიძაჩემი ბოლოჭა კი, გასახურებლად, წამდაუწუმ არაყს ყლურწავდა.

სულ რომ დაიწურებოდა და ყურძნის წვენი, ანუ "ტკბილი" ქვევრებში ჩაბინავდებოდა, ჭაჭას საწნახელის ცალ მხარეს მიხვეტავდნენ და დასაქაჯად ზემოდან ფიცრებსა და ქვევრის მძიმე სარქველებს დაალაგებდნენ.

ამ დროს, ბებიას უკვე ცეცხლი ენთო და ზედ დიდი საარაყე ქვაბით თათარა ედგა. საჩურჩხელე ნიგოზი წინასწარ ჰქონდა ძაფზე ასხმული და გასაშრობად გაკიდებული. ნიგოზიც და ჩამიჩიც.

თათარა რომ კარგად დაშუშდებოდა, ამოიღებდნენ თეფშებზე, მოგვცემდნენ კოვზებს და ჩვენც იქვე, ცეცხლთანვე შევექცეოდით. დავლებას მერეღა იწყებდნენ. ამ საქმეში ყველანი ვმონაწილეობდით: ბებია ავლებდა, დედა და ძალუა ჩურჩხელებს სათავით გრძელ ლატნებზე ჰკიდებდნენ, ის ლატნები კი მე და ბოლოჭას გვეჭირა.

პაპაჩემი ამ დროს შორიახლო იჯდა და გაზეთების ნაგლეჯებს კითხულობდა.

სველ, ლოფლოფ ჩურჩხელებს წიტები გასდიოდა და ლატანქვეშ შედგმულ ორომზე ცვიოდა. იმ წიტებს წვრილფეხობა ეხვია. რაც იმათ გადაურჩებოდა, ახმობდნენ და ზამთრისთვის ინახავდნენ.

მთელ ამ საქმეს: მოკრეფას, დაწურვასა და დავლებას სრული ორი დღე უნდებოდა, კვირა საღამოს უკვე გორის მატარებელში ვისხედით და ქალაქისკენ მოვიჩქაროდით.

მაგრამ ერთხელ, სოფელში მიმავლებს გზაშივე გაგვიწვიმდა და დაგვხვდა იქაც ისეთი უბედური ძანძახი, რომ ვენახში არ შეისვლებოდა. რა უნდა გვექნა, ვისხედით და გამოამინდებას ველოდებოდით. კაცები სვამდნენ და თავს ამით ინუგეშებდნენ, ჩვენ რა უნდა გვექნა?

ვიჯექი ფანჯარასთან და ვუყურებდი წვიმას, ალინჭყულ ეზოს, ფიჩხებთან მიქუჩებულ, აბუზულ ქათმებს, მესმოდა მთვრალი კაცების ყაყანი, ვგრძნობდი დახუთული ჰაერის მძიმე სუნს და გული დარდით მისივდებოდა.

მეორე დღეს მზე კი გამოვიდა, მაგრამ ვენახში მაინც არ შეისვლებოდა - ყურძნის კრეფა კვირა დილითღა დავიწყეთ.

სულ რომ ჩამოქცეულიყო, ოქტომბრის დასაწყისში ერთი პატარა, ორკვირიანი ზაფხული მაინც გამოვიდოდა, რომელსაც "ჩურჩხელების ზაფხულს" ეძახდნენ. ამ დროს, შემოდგომის ცაზე ცხრათვალა მზე ღუდღუდებდა და ნაბოსტნარში გატანილ, ლატნებზე გაკიდებულ ჩურჩხელებს აშრობდა...

ნოემბერში, სამხრეთით გაწოლილი მთები თითქოს უფრო მეტად გაემკვრივებინა სისველეს - ნაწვიმარი ბუჩქნარი ჩამუქებულიყო, მოტიტვლებულ ფერდობებს კი ნაცრისფერი დასდებოდა. სკოლის ფანჯრიდან მოჩანდა, როგორ მიერეკებოდა დასავლეთის ქარი მთაგრეხილის თავზე გაწოლილ ღრუბელს, ალაგ ისევ შავს, შავად ჩაკუნაპეტებულს, ალაგ გაცრეცილს, სველი მატყლივით ჩამოძენძილს. ზამთრის პირი იდგა, გარეთ ციოდა.

ასეთ დროს შინ ჯდომასა და კითხვას არაფერი სჯობდა, მითუმეტეს, თუ კარგი წიგნი გეჭირა ხელში.

შინ ბევრი არაფერი გვებადა: "ვეფხისტყაოსანი", "ვისრამიანი", გრიშაშვილის საბავშვო ლექსები და კიდევ რამდენიმე სხვა, ამიტომ ბიბლიოთეკაში ჩავეწერე და წიგნები იქიდან გამომქონდა.

ეს ბიბლიოთეკა იყო პლეხანოვზე, თევზის მაღაზიის პირდაპირ, "დეკას" გვერდით, და იქ ერთი დიდი ოთახი ეჭირა.

დღემდე კარგად მახსოვს ბიბლიოთეკარი - ჭაღარა, დაბალი, პუტკუნა ქალი, დეიდა ჟენია, რომელსაც თბილი ფაჩუჩები და სატინის ლურჯი ხალათი ეცვა. ზამთარში იმ ხალათქვეშ ხელით ნაქსოვი თბილი, ყელიანი სვიტრი მოუჩანდა. ბიბლიოთეკის ერთ კუთხეში, მუშამბაგადაფარებულ, პატარა მაგიდაზე ედგა ნავთქურა, რომელზეც გა-მუდმებით შიშინებდა ჩაიდანი, ოთახში ტრიალებდა მოშუშული ხახვის სუნი, მაგიდაზე ელაგა დარეცხილ-დაკრიალებული ჯამ-ჭურჭელი, ქვაბები და დანა-ჩანგალი, იქვე იდგა ორი სკამიც, თაროებს უკან კი საწოლი ჰქონდა გამართული.

მაშინ დარწმუნებული ვიყავი, რომ დეიდა ჟენია იმ ბიბლიოთეკაში ცხოვრობდა - იქ ჭამდა, იქ სვამდა და იქვე ეძინა.

სულ პირველი წიგნი თვითონ შემირჩია - "პირველკლასელი გოგონა". მასში მოთხრობილი იყო პატარა გოგოს, მარუსიას ჩვეულებრივი და ძალიან მოსაწყენი თავგადასავალი. უხალისოდ წავიკითხე და ორი კვირის შემდეგ დავუბრუნე.

"წაიკითხე?" - მკითხა მან.

"დიახ."

"მერე, მოგეწონა?"

"დიახ."

ეჭვით შემომხედა.

"ძალიან მოგეწონა თუ ისე, რა."

"ისე, რა", - გამოვუტყდი მე.

"კარგი, მე შენ ეხლა ერთ წიგნს მოგცემ, რომელიც ძალიან, ძალიან მოგეწონება... - წავიდა, თაროებს მიეფარა და ცოტა ხნის შემდეგ იქიდან დანიელ დეფოს "რობინზონ კრუზოს თავგადასავალი" გამოიტანა, - აბა, ეს წაიკითხე და ვნახოთ მერე, რას იტყვი!"

ის წიგნი მესამე დღეს დავუბრუნე.

"რა არი, რატომ არ წაიკითხე?!" - გაუკვირდა მას.

"როგორ არ წავიკითხე..."

დეიდა ჟენიამ წიგნი გადაშალა და თარიღს დახედა.

“ბიჭო, გუშინწინ წაგიღია და ამხელა წიგნი ორ დღეში როგორ დაამთავრე, ვის ატყუებ შენა!”

“არ გატყუებთ...”

“მაშინ, მიამბე, აბა, რაზეა!”

სულაც არ მეპიტნავებოდა წიგნის შინაარსის მოყოლა, ვიდექი, ვუყურებდი და ჯიუტად ვდუმდი.

“იმ ერთი ბენო წიგნს ორი კვირა მოუნდი და ეს ორ დღეში როგორ წაიკითხე, ვინ დაგიჯერებს მაგასა!”

გამოვბრუნდი და ოთახიდან უსიტყვოდ გამოვედი, ყელში ხორკლიანი გორგალივით რაღაც მქონდა მოჩრილი და მეშინოდა, შუა ქუჩაში ტირილი არ დამეწყო.

შევედი დეკას ბაღში, იქ ერთხანს ბილიარდის მოთამაშეებს ვუყურე, მერე წამოვედი, ფოტოგრაფის ვიტრინაში გამოფენილი სურათები დავათვალიერე, ბოლოს ისევ ბიბლიოთეკას მივადექი, კარი შევაღე და შიგ თავი შევყავი.

დეიდა ჟენია ჩაის სვამდა და ზედ “სლოიკას” აყოლებდა.

“ზღვაში გემი დაიღუპა. ერთი კაცი გადარჩა. კუნძულზე მოხვდა. სახლი აიშენა. თხები მოიშინაურა. პარასკევა გაიცნო. აი, ეგრე!” - ეს სიტყვები სხაპასხუპით მივაყარე, კარი გამოვიხურე და სახლისკენ მოვკურცხლე.

იმ საღამოს დეიდა ჟენია შინ გვესტუმრა. დღესაც არ ვიცი, როგორ მოგვაგნო, იქნებ იმ ბარათში, პირველ მისვლაზე რომ შემივსო, ჩვენი ბინის მისამართიც ეწერა. დედაჩემს ესაუბრა, მე თავზე მაკოცა, მერე ჩაი დალია, ლეღვისა და კაკლის მურაბა დააყოლა, წისვლის წინ ჩანთიდან ალექსანდრე დიუმას “სამი მუშკეტერი” ამოიღო, მაგიდაზე დამიდო და შეთქმულის ღიმილით მითხრა:

“აი, ეს წაიკითხე და მერე ვნახოთ, რას იტყვი!”

ამასწინათ იმ ქუჩაზე მომიწია გავლა. გაკვირვებული ვათვალიერებდი იქაურობას - ძალიან შეცვლილიყო ყველაფერი, არც “დეკა”, არც ფოტოატელიე, აღარც ის ცნობილი თევზის მაღაზია, მარტო ჩემი ბიბლიოთეკაღა გადარჩენილიყო - მანქანის ფანჯრიდან თვალი მოვკარი შუშის ახალ, წითელ აბრას: “თბილისის № 23 საქალაქო ბიბლიოთეკა” და ძალიან გამეხარდა.

ნოემბრის ბოლოს მე და ჩემი კლასელი თეთრუაშვილი კალათბურთის სექციაზე ჩავეწერეთ. იქ ერთი ჩვენი უბნელი ბიჭიც დადიოდა - კილასონია, და ვარჯიშის შემდეგ შინ სამივენი ერთად ვბრუნდებოდით ხოლმე. გზაში, მე და თეთრუაშვილი, ერთმანეთს წაკითხული წიგნების შინაარსს ვუამბობდით და ჩვენი ნაკითხობით თავი მოგვქონდა კილასონიასთან, რომელიც მუდამ ჩუმად იყო და საუბარში არ ერეოდა. ერთხელ გვითხრა, მამაჩემს იმდენი წიგნი აქვს, თქვენ არც კი დაგესიზმრებათო.

“მართლა?”

“მართლა.”

“ვა!”

“მოდი რა, გვათხოვე!”

“მოდით და გათხოვებთ.”

კილასონიას მამა ტაქსის შოფრად მუშაობდა. მაშინ ტაქსი ახალი ხილი იყო, ქალაქში ჭადრაკულად მოხატული რამდენიმე “პობედა” დადიოდა და, როგორც ამბობდნენ, ტაქსისტები დიდძალ ფულს შოულობდნენ. კილასონიას ზედვე ეტყობოდა მამის ფულები, ჩემსავით სამჯერ გადაბრუნებული პალტო კი არ ეცვა.

ერთხელაც, ერთ წიგნს ვკითხულობდი, “როგორ იწრთობოდა ფოლადი” ერქვა, და ძალიან გამიჭირდა დამთავრება, არადა, ბოლომდე თუ არ წაიკითხავდი, დეიდა ჟენია ახალ წიგნს არ მოგცემდა. გამახსენდა კილასონია და შინ მივადექი, რამე კაი წიგნი მათხოვე-მეთქი.

შემოდიო, - მარტო იყო. დედამისი მოდელების სახლში მთავარ ბუღალტრად მუშაობდა, მამაზე ხო უკვე გითხარით.

ისე მდიდრულად მოწყობილი ბინა ჩემს სიცოცხლეში არ მენახა, გაკვირვებული სულ აქეთ-იქით ვიყურებოდი. ბოლოს მამის კაბინეტში შემიყვანა, სადაც შუშიან თაროებში წიგნები ელაგა. ეჰ, სად იყო დეიდა ჟენიას ბიბლიოთეკაში ამდენი წიგნი, თანაც ასეთები - სულ ახლები, კეწკეწები. იქ თითო წიგნი რატომ ასჯერ მაინც არ იყო ახლიდან აკინძული და პურის ფქვილის წებოთი დაწებებული, აქ კი...

თაროებს გულაჩქროლებულმა ჩამოვუარე. წიგნები ავტორების მიხედვით კი არ იყო დალაგებული, არამედ ფერების მიხედვით - ქვემოთ ლურჯები, შუაში მწვანეები, ზემოთ კი უფრო ღია ფერისები.

მე ვიქტორ ჰიუგოს "პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს" დავადგი თვალი, ეს მათხოვე-მეთქი. ვიცოდი, რო მაგარი წიგნი იყო - თეთრუაშვილის ძმას ჰქონდა წაკითხული.

კილასონიამ შუშა გასწია, წიგნი გადმოიღო და მომცა.

ეს, სულ ცოტა, ერთ კვირას მაინც მეყოფოდა და კარგი, წავედი-მეთქი.

არაო, სად წახვედიო, წამო, ადინ-ნა-ადინ გეთამაშოო.

ეზოში კალათბურთის ფარი ჰქონდათ და ზოგჯერ ორი ორზე ვთამაშობდით ხოლმე. მე და კილასონია თუ ერთად ვიყავით, ყველას ვუგებდით.

მე ვუთხარი, არ მინდა რა, წავალ წიგნს წავიკითხავ-მეთქი და წამოვედი.

ეწყინა, მაგრამ რა მექნა, ერთი სული მქონდა, სანამ შინ მივიდოდი.

მივედი თუ არა, ჩემს სამეცადინო მაგიდას მივუჯექი და გადავშალე. ვხედავ, წიგნში ტკიცინა ოცდახუთმანეთიანი დევს, გადავფურცლე - კიდე ოცდახუთიანი! კიდე გადავ-ფურცლე - კიდე ოცდახუთიანი! კიდე - კიდე! და ეგრე, ბოლომდე! ვა, რა ვქნა?! ვაითუ, კილასონიას მამა შინ მივიდეს და წიგნი მოიკითხოს, მერე?

ეგრევე დავკეცე და უკან წავუღე.

ეზოში დამხვდა - ფარზე სროლაში ვარჯიშობდა. დამინახა და გაუკვირდა, ვა, უჟე წაიკითხეო?!

მეთქი, მოდი აქ!

გვერდზე გავიყვანე, წიგნი გადავუშალე და ფულები ვაჩვენე.

კინაღამ გაგიჟდა - საიდანო! წიგნი გამომართვა და შინ აიტანა. მე ცოტა ხანს კალათში ბურთს ვისროდი და რო აღარ ჩამოვიდა, შინ წავედი.

მეორე დღეს ვარჯიშზე მეკითხება - შენ იქიდან ხო არაფერი აგიღიაო.

მეთქი, ეე, ძმაო! - და ჩვენი მეგობრობაც ამით დასრულდა, თუმცა, არც არასოდეს ვყოფილვართ დიდი მეგობრები.

"პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი" კი უკვე დიდობაში წავიკითხე. მაშინ ჩუღურეთში, ებრაელების არტელში ყარაულად ვმუშაობდი, წიგნს ღამღამობით ვკითხულობდი ხოლმე და იქ მოთხრობილმა ამბებმა გული ისე დამიმძიმა, რომ, არ დაიჯერებთ, დილით წავიღე და მტკვარში გადავაგდე.

ომისშემდგომი პერიოდი იდგა, ხალხს უჭირდა, ძია სტალინი კაი ხნის მკვდარი იყო და პროდუქტებს აღარავინ აიაფებდა. მე და ჩემს ძმას ტკბილი რომ მოგვენატრებოდა, დედა თეფშზე ცოტა შაქრის ფხვნილს დაგვიყრიდა, შიგ პურს ვაწებდით და ისე ვჭამდით. ზოგჯერ ჩვენი კარის მეზობელი, სომხის ქალი, შუშიკ-ტოტა შაქარ-წყალში აზელილი ქუმელით გვიმასპინძლდებოდა, ხან კი, როცა ხურდა ფული გაგვიჩნდებოდა, აფთიაქში გემატოგენს ვყიდულობდით. დედა მურაბას მხოლოდ მაშინ აჩენდა, როცა თევზის ქონი უნდა დაგველია. ეს თევზის ქონი, ჩემი თაობის ბავშვებს, კოშმარულ მოგონებად ექცა.

მაგრამ მარტო თევზის ქონი ხომ არ იყო. როგორც ამბობენ, სიცოცხლე მაინც მშვენიერია და კარგი რამეები მაშინაც ხდებოდა. მაგალითად, ახალი წელი, როცა სკოლიდან მთელი ორი კვირით გვითხოვდნენ.

ახალი წლის წინა დღეს, დილით, სოფლიდან ჩამოდიოდა რომელიმე დიდედა ან ერთ-ერთი ბიძა მაინც. ჩამოჰქონდათ სოფლური სანოვაგე - დაკლულ-გაპუტული ინდაური, ქათმები, ღორის ერთი დიდი ფეშხო, მამაჩემის გასახარად, ღვინო და არაყი. ახლა

ტკბილეული? - ნაირ-ნაირი ჩირი და ტყლაპები, ჩამიჩი და ჩურჩხელები, ვაშლი და ზამთრის მსხალი - რა გინდა, სულო და გულო!

დათქმული ჰქონდათ, რომ ახალ წელიწად დღეს ნათესავები ჩვენთან უნდა შეკრებილიყვნენ. მოდიოდნენ მამაჩემის მამიდები ელიჩკა და კატუშა, დედაჩემის დეიდები თამარა და ოლიკო, ყველანი თავიანთი ოჯახებით და, რა თქმა უნდა, თებრონე. ბლომად ხალხი ვგროვდებოდით და, აი, მაშინ კი გამოალაგებდა ლენა თავის სანაქებო მურაბებს: კაკლისას, ლეღვისას, ბადრიჯნისას, კომშისას და თეთრი ბლისას.

იმ წელიწადს მარტო გოგა ძია ჩამოვიდა - დედაჩემის უფროსი ძმა. ეს გოგა ძია იყო საშუალოზე მაღალი, ლამაზი ვაჟკაცი უკან გადავარცხნილი ტალღოვანი თმითა და იმავე ფერის სქელი ულვაშით. დაკუნთული მკლავები და კარგად განვითარებული ბიცეპსები ჰქონდა, ეს თვითონაც კარგად იცოდა და ამიტომ, ზაფხულობით, ეზოში, ხშირად წელზევით შიშველი დადიოდა. ომის დროს, ტყვეთა ბანაკში, ერთ პოლონელს, მისთვის მარცხენა ბიცეპსზე ამოესვირინგებინა კაცი, რომელიც შეშას ჩეხავდა და როცა გოგა თვითონ ჩეხავდა შეშას, ის დახატული კაციც ნაჯახს იქნევდა. საათობით ვიჯექი ხოლმე და როგორც საინტერესო მულტფილმს ისე ვუყურებდი.

ახალი წლის დილას, დედაჩემი ჩაგვილაგებდა ნამცხვრებს, ქილებით მურაბებს, გოზინაყს და მე და ჩემს ძმას მეკვლეებად არსენალზე, საშა ნათლიასთან გვაგზავნიდა, თან გვარიგებდა: კარს რომ გაგიღებენ, ჯერ კამფეტები შეყარეთ, მერე შედით და ორთავემ ერთდროულად თქვით - "შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი - კვალი ანგელოზისაო!" აბა, გაიმეორეთო და ჩვენც ვიმეორებდით: "შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი..."

რეპეტიციაზე მშვენივრად გამოგვდიოდა, მაგრამ ადგილზე რომ მივიდოდით, ტექსტი გვავიწყდებოდა, აგვიტყდებოდა ფხუკუნი და სიცილით ვაწყდებოდით ერთ-მანეთს.

საშა ნათლია ჩვენზე მეტს იცინოდა, მოგვხვევდა ხელებს, შეგვიყვანდა "ზალაში" და დაგვსხამდა გაშლილ სუფრასთან. მოჰქონდა და მოჰქონდა მის ცოლ თამარასაც ნაირ-ნაირი კერძები - აბა, ეს გასინჯეთო! აბა, ეხლა ეს გადაიღეთო! მეკვლეები ხართ, არ იქნება, უნდა ჭამოთო! და ჩვენც გვინდოდა თუ არ გვინდოდა, ვჭამდით, ვისიკნებოდით, ერთმანეთს ნაღვლიანი თვალებით შევცქეროდით.

ამ დროს, როგორც წესი, შინ არ იყო ამათი შვილი, ჩემი ნამდვილი ნათლია, თარხანა - ჩემზე სულ რვა წლით უფროსი ბიჭი.

იმის გზა-კვალს რას გაიგებო! - უკმაყოფილო სახით ამბობდა ხოლმე საშა.

კარგი, კაცო, რათ იცი ეგრეო, - ამართლებდა შვილს თამარა და მერე ჩვენ მოგვიბრუნდებოდა, - წუხელ, ამხანაგებთან ერთად შეხვდა ახალ წელსო.

აქ იმიტომ გვიყვარდა მოსვლა, რომ მათი კარ-მიდამო ძალიან ჰგავდა სოფელს და ფაქტიურად, სოფელიც იყო, რადგან ჰქონდათ კერძო სახლი, პატარა ეზო, ბოსტანი და, რაც მთავარია, ჰყავდათ ორი რუსული ჯიშის წითელი ძროხა - მანია და ზოია, მაგრამ ისინი ჩვენი სოფლის ძროხებს როდი ჰგავდნენ, იმათხელა მარტო ცურები ჰქონდათ. მანია დღეში ორ ვედროს იწველიდა, ზოია - ცოტა მეტს.

სუფრას რომ მოვითავებდით, შევეხვეწებოდით - საშა ნათლია, რა იქნება, რომ ძროხები გვაჩვენოო და ისიც ხალისით გაგვიძღვებოდა გომურისკენ, რომელიც ეზოს ბოლოში ედგა.

გააღებდა კარს და შეგვიყვანდა.

შიგ თბილოდა, იდგა ნეხვისა და საქონლის სუნი. მანია და ზოია ალერსიანი ზმუილით გვხვდებოდნენ. საშა ნათლია შინიდან წამოღებულ მარილს ხელისგულებზე დაგვიყრიდა და მე მანიას ვაჭმევდი, ჩემი ძმა - ზოიას. ძროხები მარილს ლოკავდნენ და ჩვენ ხელისგულებით ვგრძნობდით მათ ცხელ სუნთქვას, ხაოიანი ენების შეხებას...

ძველით ახალ წელს, ნამდვილ სოფელშიც მივდიოდით ხოლმე. წინასწარ იყვნენ შეთანხმებულები, რომ თორმეტ იანვარს ჯერ მამაჩემის მამას - მიხას დაეკლა ღორი,

მერე კი, ცამეტში, მეორე პაპას - ილას. დედა ცდილობდა, ისეთ დროს ჩავეყვანეთ, როცა ღორი უკვე დაკლული, გაფუფქული და გაკეთებული იყო, მაგრამ უფრო ადრე თუ მოგვივიდოდა ჩასვლა, დაკვლას არ გვაყურებინებდა - შეგვიყვანდა შინ, დაგვსხამდა ფეჩთან და გარეთ რომ ერთი საშინელი ჭყვირილი და აურზაური ატყდებოდა, ხან მე მაფარებდა ყურებზე ხელს და ხანაც ჩემს ძმას.

ერთხელ, ბიძაჩემ ბოღოჭას, ნახევრადდაკლული, ყელში დანაგაჩრილი ღორი გაექცა, ლამის ნახევარი სოფელი შემოირბინა და თოვლიანი არე-მარე სისხლით მორწყო, მაგრამ ეს ამბავიც ჩვეულებრივად დამთავრდა: მწვადებით, ყაურმით, ხაშლამითა და ცხელ-ცხელი ხინკლებით.

ასე გადიოდა არდადეგები და ორკვირიანი უსაქმურობისგან გაზანტებულები უხალისოდ ვბრუნდებოდით სკოლაში, მაგრამ საინტერესო ამბები ზოგჯერ სკოლაშიც ხდებოდა. ერთხელ, მაგალითად, ნამდვილი პოეტი გვესტუმრა და მე მას საკუთარი ლექსი წავუკითხე.

ეს ამბავი ასე მოხდა: შემოვიდა კლასში ჩვენი ქართულის მასწავლებელი, მაშინ ალბათ ასე ორმოცდაათი წლის, მაგრამ ჩვენთვის უკვე ძალიან ბებერი კაცი, სოსო ჭარელიშვილი, და გამოგვიცხადა: ამ დღეებში, სკოლაში იოსებ გრიშაშვილი უნდა გვესტუმროს და კარგი იქნება თუ ერთ-ერთი თქვენგანი, ჩვენს საყვარელ პოეტს ლექსს მიუძღვნისო.

მაშინ კლასში ორი "პოეტი" ვიყავით - მე და ნეფარიძე, თითოკუპლეტიან შაირებს ვწერდით, ამხანაგებს ვაცინებდით და ამიტომ ყველა ჩვენ მოგვაჩერდა, მაგრამ ნეფარიძემ სირაქლემასავით მაშინვე მერხში ჩარგო თავი.

რაღა უნდა მექნა, ავწიე ხელი, ჭარელიშვილი კი ზედაც არ მიყურებს, ნეფარიძეს და სხვა ფრიადოსნებს მისჩერებია, იმათი იმედი აქვს, თორემ მე რა, მე ყველა მეოთხედში ერთ საწყალ სამიანს ძლივს მაყოლებს და დარწმუნებულია, ამისი მადლობელიც უნდა ვიყო, რადგან ქართული ენის გრამატიკისა ინჩი-ბინჩი არ გამეგება და ლექსს ხომ საერთოდ ვერ ვიზეპირებ. არადა, ჩემს მეტი ხელს არავინ სწევს, არც ნეფარიძე, არც დანარჩენი ფრიადოსნები და საგონებელში ჩავარდნილი, ხან მე მიყურებს, ხანაც - იმათ.

ერთხანს კი იძახა - აბა, რომელი დაწერს, აბა, რომელიო! - და ხელი რომ აღარავინ ასწია, მე მომიბრუნდა:

"რა იყო, ბიჭო, საპირფარეშოში მოგინდა გასვლა?"

"არა, მასწავლებელო."

"მა რა ხელს იწევ?!"

"მე დავწერ, მასწავლებელო."

"რას დაწერ, ბიჭო?!"

"ლექსსა."

"გადი, დაიკარგე!"

"მართლა, მასწავლებელო!"

ჭარელიშვილმა ბოლთა დასცა, მერე მივიდა და ფანჯრიდან ეზოში გადაიხედა, სადაც სწორედ იმ დროს მეცხრეკლასელებს ფიზკულტურის გაკვეთილი უტარდებოდათ და იქიდან ერთი საშინელი წივილ-კივილი და ღრიანცელი ისმოდა. მერე მობრუნდა, ნელი ნაბიჯით წამოვიდა და მომიახლოვდა:

"მართლა დაწერ, ბიჭო, ლექსსა?"

"დავწერ, მასწავლებელო."

ჭარელიშვილმა თავზე ხელი დამადო და ფრიადოსნებისკენ გაიხედა:

"აი, თქვენ კი შეგარცხვინათ ღმერთმა, აჰა!"

სოსო ჭარელიშვილი პოეზიის დიდად მოყვარული კაცი იყო და მგონი, ჩუმჩუმად, ლექსებს თვითონაც წერდა, მაგრამ ერთი რამ არ იცოდა: პოეტი ის კი არ არის, ვინც მხოლოდ წერს, არამედ ის, ვინც აქვეყნებს კიდეც.

მთელი ღამე თეთრად გავათენე და დილით, თორმეტფურცლიან რვეულში გადაწერილი, ათგვერდიანი ლექსი მივუტანე. ჭარელიშვილმა რვეული გამომართვა და სამასწავლებლოში შევიდა. გულისფანცქალით გავაყოლე თვალი.

შუა გაკვეთილზე საკლასო ოთახის კარი შემოაღო და ბოტანიკის მასწავლებელს მორიდებით უთხრა:

“ქალბატონო შუშანა, უკაცრავად კი ვარ, მაგრამ, თუ შეიძლება, ეგ ბიჭი ცოტა ხნით გარეთ გამოუშვით...”

დერეფაში გულაჩქროლებული გავედი. ჭარელიშვილს ჩემი რვეული ეჭირა ხელში და მკაცრად მიყურებდა.

“ვინ დაგიწერა, ბიჭო, ესა.”

“მე თვითონ დავწერე...”

“ჰა, ეხლა!”

“არა, მასწავლებელო, მართლა მე თვითონ დავწერე!”

“აბა, დაიფიცე!”

“დედას გეფიცებით!”

დაკვირვებით შემათვალიერა, რვეული გადაშალა, ნაწერს უსიტყვოდ ჩახედა, მერე ხელი ჩაიქნია, გაბრუნდა და წავიდა. სამასწავლებლოს კართან მისულმა უკან მოიხედა:

”შენ იცი, აბა, როგორ წაიკითხავ ეხლა!”

ბოლოს, როგორც იქნა, ის დღეც დადგა. სკოლის დარბაზი მასწავლებლებით, მოსწავლეებითა და მათი მშობლებით გაივსო. მოვიდა იოსებ გრიშაშვილი, რომელსაც საყელოზე კარაკულშემოვლებული დრაპის პალტო ეცვა და კარაკულისავე მაღალი ქუდი ეხურა. ყველანი თვალებგაფართოებულები ვუყურებდით, რადგან ცოცხალ პოეტს პირველად ვხედავდით. მან პალტო გაიხადა, ჭარელიშვილს ქუდთან ერთად გადასცა და ჩვენი დირექტორის თანხლებით, ქაღალდის გირლიანდებითა და ნაძვის ტოტებით მორთულ სცენაზე ავიდა.

ჭარელიშვილის ნიშანზე დარბაზმა მქუხარე ტაში დასცხო.

ჯერ დირექტორმა ილაპარაკა, მერე კი თვითონ გრიშაშვილმა მოგვმართა, სულ გვრიტები და ცუგრუმელები გვეძახა და ბოლოს, რამდენიმე ლექსიც წაგვიკითხა. კით-ხულობდა რაღაცნაირი წამღერებით, ცოტა სასაცილოდაც კი, მაგრამ დარბაზში არავის გასცინებია, პირიქით, ძალიან სერიოზულად და დიდი ყურადღებით უსმენდნენ.

დადგა ჩემი ჯერიც. ავედი სცენაზე და დავიწყე კითხვა. შუამდე არ ვიყავი მისული, როცა მივხვდი, რომ ლექსი ძალიან გრძელი და მოსაწყენი გამომსვლოდა, მაგრამ რაღას ვიზამდი, ბოლომდე ჩავიკითხე და როცა დავამთავრე, შვებით ამოვისუნთქე.

დარბაზმა ტაში კანტიკუნტად დაუკრა, აქა-იქ დაუსტვინეს კიდეც. მივხვდი, რომ ჩემი კლასელები უსტვენდნენ. სამაგიეროდ, გრიშაშვილს მოეწონა - ადგა, მოვიდა, ხელები მომხვია და რატომღაც აყვანა მომინდომა, მაგრამ უკვე იმხელა ვიყავი, რომ ვერაფერი მომიხერხა, ამიტომ ერთხანს ეგრე უხერხულად ჩახუტებულები ვიდექით და მე ვგრძნო-ბდი სუნამოს სურნელს, რომელიც მის ახლადშეკერილ, ნაცრისფერ კოსტუმს ასდიოდა.

ბოლოს, რაკი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ვერ ამიყვანდა, რვეული გამომართვა, შუაზე გაკეცა და პიჯაკის გულის ჯიბეში ჩაიდო, რითაც საერთო აღტაცება და მქუხარე ტაში დაიმსახურა.

სცენა სიმწრის ოფლში გახვითქულმა დავტოვე, საკუთარი ადგილი მოვძებნე და დავჯექი. ვიღაცები ზურგზე ხელებს მითათუნებდნენ, ერთმა უფროსკლასელმა ბიჭმა ხუმრობით ცხვირიც კი დამიჭირა.

სცენიდან გრიშაშვილი ლაპარაკობდა და მე მხოლოდ მის ბოლო სიტყვებს მოვკარი ყური, ეს ყმაწვილი ნამდვილი პოეტი გამოვაო და აი, სწორედ მაშინ ჩამთხლიშა ვიღაცამ თავში. გამწარებულმა მივიხედე - ნეფარიძეს თავზე ხელები წაეფარებინა და სულელივით იკრიჭებოდა.

გავიდა ხანი, თითქმის ორმოცი წელი, ერთხელ, ჟურნალისთვის რაღაც მასალას ვამზადებდი და მუზეუმის დავთარში ვიქექებოდი, სადაც ფონდის ხელნაწერები იყო აღწერილი. უეცრად საკუთარმა გვარმა მომტაცა თვალი, აი, რა ეწერა მის გასწვრივ: "ლექსი პოეტს". ავტორი ოცდამეთერთმეტე საშუალო სკოლის მოსწავლე. თორმეტფურცლიანი რვეული. კარგად შენახული".

რა თქმა უნდა, შემეძლო რვეული გამომეთხოვა და ფონდის მცველი მას დაუბრკოლებლად მომცემდა, მაგრამ დავთარი დავხურე და არ ვიცი, რატომ, მუზეუმიდან პირუჩუმრად გამოვიპარე.

შაბათობით, მე და ჩემი ძმა, მამას აბანოში დავყავდით.

დედა აბანოს პატარა ჩემოდნებში ჩაგვილაგებდა საცვლებს, პირსახოცს, საპონს, "მაჩალკას" და გავუდგებოდით გზას.

№ 7 ტრამვაით ავდიოდით ავლაბარში, ღვინის აღმართით დავეშვებოდით ქვემოთ, გავუვლიდით დარეჯანის სასახლეს, მეტეხის ახალი ხიდით მეიდანში გავიდოდით და მივადგებოდით აბანოებს, სადაც გოგირდის სუნთან ერთად მწვადის საამო სურნელიც ტრიალებდა. იქ იყო ცნობილი ჩაიხანა, რომელშიც გალიბანდიანი სპარსელები პატარა, წელში გამოყვანილი ჭიქებით ჩაის სვამდნენ, ტროტუარზე გამოდგმულ, აბოლებულ მაყალზე კი ცხვრის მწვადი შიშხინებდა.

ის მწვადი დიდად არ გვიტაცებდა, ჩვენ უფრო მოგვწონდა გულ-ღვიძლის ღვეზელები, იქვე, ერთ ღრმა სარდაფში რომ ჰყიდიდნენ, ამიტომ უმცროს ძმას ჩუმად წავაქეზებდი და ისიც დაიწყებდა გულისგამაწვრილებელ ღნავილს.

"რა იყო, ბიჭო, რა გატირებს?" - ეკითხებოდა მამაჩემი.

"პერაშკი მინდა..."

"მაიცა, რა დროს პერაშკია, ჯერ ვიბანაოთ და მერე!"

მე გუნებაში მეცინებოდა, მაგრამ სახე ისეთი მეჭირა, ვითომ სულ არაფერ შუაში არ ვიყავი.

"პრასტინა მოგცეთ?" - გვეკითხებოდა მეაბანოე - წელზე ზეწარშემოხვეული, გაძვალტყავებული კაცი.

"არ გვინდა."

"ქისა?"

"არც ქისა."

"შკაფი ხო გინდათ."

"შკაფი გვინდა."

"რამდენი?"

"ორი."

მეაბანოე ორ ჟეტონს გვაძლევდა, რომლებზეც კარადის ნომრები იყო ამოტვიფრული. ერთში მამაჩემი ჰკიდებდა ტანისამოსს, მეორეში - მე და ჩემი ძმა.

იქაურობა ისე იყო დაბინძურებული, რომ იატაკზე ფეხშიშველი ვერ გაივლიდი, ამიტომ ხის ქოშებს ვიცვამდით. ეს ქოშები გასახდელის ერთ კუთხეში ეყარა და დიდხანს უნდა გერჩია, სანამ ერთნაირებს იპოვიდი. როგორც წესი, ამას ვერ ვახერხებდით და ამიტომ სულ ცალ-ცალები გვეცვა. სიმართლე რომ ითქვას, არც ის ქოშები გამოირჩეოდა დიდი სისუფთავით, მაგრამ შიშველი ფეხებით სიარულს მაინც ეს სჯობდა, ყველაფერს კი იმის გამო ვიტანდით, რომ აბანოს შემდეგ ცხელ-ცხელი ღვეზელები გველოდებოდა.

აბანოში ერთი პატარა აუზი იყო, სადაც კედელზე მიმაგრებული ლომის ხახიდან გოგირდიანი წყალი გადმოდიოდა, მაგრამ შიგ მუდამ იმდენი კაცები ისხდნენ, რომ ჩასვლას ვერ ვახერხებდით და მამაც გვიშლიდა - რად გინდათ ეგ ბინძური აუზი, არ ჩახვიდეთო.

შხაპებქვეშ ვბანაობდით ხოლმე, მაგრამ არც ისინი იყო საკმარისი: ზოგში წყალი არ მოდიოდა, ზოგი აუზში მონებივრე კაცებს დაეკავებინათ და ერთ ხეირიან შხაპს თუ სადმე მივაგნებდით, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

მე ძალიან მიყვარდა აზერბაიჯანელი მექისის ყურება, რომელიც ქვის ტახტზე გაწოლილ კლიენტს სიქას აცლიდა - სახსრებს უჭიმავდა, ბეჭებზე ხელებს უტყაპუნებდა, ზედ დასდიოდა და ქისით ჭუჭყს აცლიდა. განსაკუთრებით ის მომწონდა, როცა თხელი ნაჭრის გასაპნულ პარკს გაბერავდა, კლიენტს ზედ დააწურავდა და თავიდან ფეხებამდე ქაფში გაჰხვევდა.

მექისე მანეთი ღირდა, მაგრამ არ მახსოვს, მამაჩემი იმ ტახტზე დაწოლილიყოს - ჯერ ჩემს ძმას გახეხავდა და სანამ ის თავზე საპონს ისვამდა, ახლა მე მომდგებოდა. ისეთი მაგარი ხელი ჰქონდა, მეჩვენებოდა, რომ ჭუჭყთან ერთად კანსაც მაცლიდა, მაგრამ შიშისაგან ხმას ვერ ვიღებდი, რადგან წამოთაქება იცოდა.

ორივეს რომ კარგად გაგვღვრეჭდა, ქისას მოგვცემდა და ზურგს მოგვიშვერდა - ახლა ჩვენ უნდა გაგვეხეხა.

ორთქლისა და გოგირდიანი წყლისაგან ისედაც მისავათებულები ვიყავით, მამაჩემის ფართო ზურგი კი საბოლოოდ გვიღებდა ბოლოს.

“მიდი, ბიჭო, მიდი! რა არი, ღონე არა გაქ?” - გვეჩხუბებოდა ის.

“ვა, გისვამ და მეტი რა ვქნა...” - კნაოდა ჩემი ძმა.

“მიეცი მაგასა!”

ის ქისას სიხარულით მაძლევდა და თვითონ აუზისკენ მიიპარებოდა.

“გარეცხე და კარგა გაწურე!” - მეუბნებოდა მამა.

ქისას წყალში ვავლებდი და რაც ძალი და ღონე მქონდა, ვწურავდი.

“ჰა, მორჩა?”

“მორჩა.”

“მიდი ეხლა!”

დავუწყებდი ხეხვას. თავიდან არაფერი, მაგრამ, მერე და მერე, როცა მკლავებში ძალა გამომელეოდა, მოჰყვებოდა ჯუჯღუნს:

“რა იყო, ბიჭო, დილას არაფერი გიჭამია?”

“რა გინდა, ხო გისვამ!”

“კარგა ვერ მისვამ!”

აბანოში ცხელოდა, ორთქლის ბუღი იდგა, ადვილად ვიღლებოდი, რადგან ჰაერი არ მყოფნიდა და ტუჩებს ნაპირზე ამოგდებული თევზივით ვალამუნებდი. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ თვალებში ოფლი ჩამდიოდა და საშინლად მწვავდა. ზოგჯერ, თავს გადავწევდი, სახეს შხაპს შევუშვერდი, ოფლს ჩამოვირეცხავდი და ისიც სწორედ ამ დროს ამბობდა ყველაზე საშიშ რამეს:

“პერაშკი... ჭამაში ხო მაგრები ხართ, არა?”

მე უკანასკნელ ძალ-ღონეს ვიკრებდი და ქისას მეორე ხელსაც ვაშველებდი. მალე ისევ ამევსებოდა თვალის უპეები ოფლით, ისევ არ მყოფნიდა ჰაერი და სულმთლათ გა-სავათებული, ხელებს ძირს დავუშვებდი.

“ეე, არ ვარგიხარ, არა!..” - ამბობდა მამა და ქისას მართმევდა.

ამ დროს, დაღლილობისაგან უკვე ისე ვიყავი გაბრუებული, რომ სინამდვილის შეგრძნებას ვკარგავდი, მეჩვენებოდა, თითქოს რაღაც ნისლიან ხეობაში ვიყავი და გაკ-ვირვებული მივჩერებოდი ადამიანების შიშველ ლანდებს, იმ ბურუსში შენელებულად რომ მოძრაობდნენ.

უსასრულო არაფერია და ბოლოს ეს ჩვენი ტანჯვაც მთავრდებოდა. აბანოდან გამოსულები ხარბად ვისუნთქავდით თებერვლის სუფთა ჰაერს და სარდაფისკენ გახა-ლისებულები მივაბიჯებდით.

მამა სომეხ დახლიდარს ათ ცალ ღვეზელს გამოართმევდა და თავისთვის ლუდს დაასხმევინებდა.

ძმას ნიდაყვს გავკრავდი და ისიც მაშინვე ადუდღუნდებოდა:
“ჩვენც პივა გვინდა, მამიი...”
“რა დროს თქვენი პივაა, ბიჭო, ლიმონათი დალიეთ!”
“არა, პივა გვინდა.”
“შენა, ბიჭო?” - ახლა მე შემომხედავდა მამა.
“რავი, აბა, სულ ერთია...”
“მაშინ ლიმონათი დალიეთ.”
“ლიმონათი არ გვინდა, არა, პივა გვინდა!” - გაჭირვეულდებოდა ჩემი ძმა.
“ბავშვი ცოდოა, უფროსო, - ეუბნებოდა მამაჩემს დახლიდარი, - პივა უნდა - პივა დალიოს!”
“რა დროს ამისი პივაა, კაცო!”
“რატომ არა, უჟე დიდია.”
“კარგი, დაუსხი, ჰა!”
დუქნის მუშტრები გაკვირვებული სახეებით გვიყურებდნენ და ვატყობდი, რომ მამაჩემს იმათი ერიდებოდა.
“აღარ წავიყვან ამათ აბანოში, არა!” - ამბობდა ხოლმე გაბრაზებული მამა.
“რათ შეგყავ იქა, კაცო, რათა, ეს კერძი ტყუილად გავაკეთე? მოვიდნენ და ჭამონ შინა!” - ბრაზობდა დედაც.
“ყვავილების მიწაააა! - ისმოდა ქუჩიდან ტაბახმელელი ავარა გლეხის ყვირილი, - ჩერნა-ზემელ, ჩერნა-ზემეელ!”
თებერვალი იდგა, ქალაქში საიდანღაც შემოხეტებულიყო გაზაფხულის ნაზი სურნელი.
წყნეთელებს, წავკელებსა და ტაბახმელელებს, იმ დროს, ჯერ კიდევ ვირებით ჩამოჰქონდათ ნაირ-ნაირი ხილი, რძე-მაწონი, ნახშირი და შავი მიწა. მაისიდან მოყოლებული იმათგან მოსვენება აღარ იყო:
“მარწყვი, მარწყვი!”
“ბალი, ბალი, სპანცკი ბალი!”
“თუთა, ქალებო, თუთაა!”
“პანტა, პანტაააა!”
ახლა სხვები?
“სტარიადიოჟპაკუპაიუ!”
“ბატიბუტი ნა ბუტილკიე!”
მაგრამ ყველაზე უარესი მაინც მენავთის ზარი იყო.
დილით, ჯერ სკოლაშიც არ ვიყავით წასულები, რომ ატყდებოდა ერთი საშინელი რეკვა და დაჭეჭყილი სანავთე ბიდონების რახა-რუხი.
აისორ მენავთეს თავისავით მჭლე და გაქუცული ცხენი ჰყავდა შებმული ტაჭკაში, რომელზეც წითლად შეღებილი რკინის კასრი შემოედგა. გაიმართებოდა იმ კასრთან რიგი და ისმოდა ქალების საშინელი ყაყანი.
ჩვენმა პირველსართულელმა მეზობელმა, რადიმაშვილმა, რომელსაც დილის ძილი ძალიან უყვარდა, მენავთე რამდენჯერმე მკაცრად გააფრთხილა - იცოდე, ჩემს ფანჯარასთან ნუ აჟღარუნებ მაგ ზარს, თორე, გაილახებიო.
ეს რადიმაშვილი სპორტსმენი ბიჭი იყო - შტანგისტი. ერთხელ, უბნის ინსპექტორმა - ვალიკო მემარნიშვილმა მოაკითხა, რატო არა მუშაობო.
როგორ არა ვმუშაობო!
სადაო?
მშენებლობაზეო.
აბა, მაჩვენე ხელებიო! - და რო აჩვენა, შტანგის ღერძისგან ისე ჰქონდა დააბეჭდებული, რომ მემარნიშვილმა ბოდიში მოუხადა.

მაგრამ, აბა, იმ საწყალ მენავთეს სად ექნებოდა რადიმაშვილის ხელისგულები ნანახი, ამიტომ არ იშლიდა და იმ თავის ოხერ ზარს ისევ მათ ფანჯრებთან აჟღარუნებდა.

გავიხედოთ და ატყდა ერთ დილითაც ზარის რეკვა. დედამ ფული მომცა, მე ჩვენს ბიდონს დავავლე ხელი და რაკი რიგში დგომა ჭირივით მეჯავრებოდა, გარეთ თავქუდ-მოგლეჯილი გავვარდი.

ის იყო, მენავთემ ბიდონი გამომართვა და ონკანი მოუშვა, რომ, უეცრად, ფანჯარა გაიღო, იქიდან დაჭრილი დათვივით გავეშებული, ტრუსებისამარა რადიმაშვილი გადმობობღდა და ჩვენსკენ დაიძრა.

მისი კუნთების დანახვაზე მენავთეს ფერი ეცვალა, მოშვებული ონკანი სასწრაფოდ დაკეტა, ბიდონს ხელი უშვა და შეშინებულმა მოკურცხლა.

ამასობაში მეზობლის ქალებმაც გამოაჩხარუნეს თავიანთი სანავთეები. შიშველი რადიმაშვილი დაიბნა, ქალების შერცხვა, ამიტომ მენავთეს აღარ გამოეკიდა და გამწარებულმა იმის ცხენზეღა იყარა ჯავრი - თავჩაქინდრულ, ნავთის სუნით აქოთებულ, გაძვალტყავებულ ჯაგლაგს შუბლში მუშტი გლიჯა და ძირს დააგდო.

მას მერე მენავთემ ჩვენი ქუჩიდან ფეხი ამოიკვეთა, მისი ზარის ჟღარუნი, დილაობით, ახლა ქვემოთ, პურის საცხობთანღა ისმოდა და ჩვენც იძულებულები ვიყავით, მძიმე ბიდონები იმსიშორიდან გვეთრაქა. ზოგჯერ მენავთე მთელი კვირა აღარ გამოჩნდებოდა, ამიტომ ნავთი საბჭოს ქუჩიდან ამოგვქონდა ხოლმე. ასეთ დროს ჩვენი უბნის ქალები რადიმაშვილის ფანჯრებს ქოქოლას აყრიდნენ და თავისთვის რაღაცას ტუტუნებდნენ.

მე მეტი ჯაფა მადგა, რადგან ნავთი მარტო ჩვენთვის კი არა, ჩვენს თავზე მცხოვრები ერთი დავრდომილი დედაბრისთვისაც მომქონდა. მარგო ბებოს ქმარ-შვილი ოცდა-ჩვიდმეტში დაეხვრიტათ და მას მერე მარტო ცხოვრობდა. დედაჩემი აკითხავდა ხოლმე - ხან კერძს აუტანდა, ხან ნამცხვარს, ზოგჯერ აბანავებდა კიდეც.

ოცდაჩვიდმეტში, ჩვენი ახლობლებიდან, არავინ დაუჭერიათ, მარტო ბებიაჩემის ძმა, გაბა დააპატიმრეს, რომელსაც ეთქვა: "გაზეთში რო ყველაფერი მართალი იწერებოდეს, განა აბაზი ეღირებოდაო", მაგრამ გაბა პაპა მაინც შორეულ ნათესავად გვერგებოდა და ამიტომ ვერ დავიჩემებ, რეპრესირებული ოჯახიდან ვარ-მეთქი. მიუხედავად ამისა, როცა იმ წლებზე ჩამოვარდება სიტყვა, რატომღაც ყოველთვის ერთი ამბავი მახსენდება: მოვდივართ მე და მამაჩემი ქუჩაში ხელიხელჩაკიდებულები, მე 5-6 წლის ბიჭი ვარ, მამა - 30-32 წლის საველეფორმიანი ზემდეგი. მოვდივართ, ალბათ, საბავშვო ბაღიდან, სადაც მშობლებს ძალისძალით დავყავდი. ის იყო, კალინინის ქუჩაზე შემოვუხ-ვიეთ, რომ - "ამ მთავრობის დედაო!" - შემოგვესმა და წინ გვარიანად შეზარხოშებული, იმ დროის კვალობაზე რიგიანად ჩაცმულ-დახურული ორი კაცი შემოგვეფეთა.

შემგინებელი - მაღალი, ღაბაბიანი, სუფთად წვერგაპარსული კაცი მამაჩემის სამხედრო ტანისამოსის დანახვაზე საშინლად დაფრთხა, გაფითრდა და ყბა ჩამოუგ-რძელდა. მეორე უეცრად გაქრა, მაგრამ მე იმავე წუთს აღმოვაჩინე, რომ სახლის ნაცრისფერ კედელს აჰკვროდა და თვითონაც ისე განაცრისფერებულიყო, კარგად თუ არ დააკვირდებოდი, ვერ შენიშნავდი.

მოულოდნელად, იმ პირველმა, ღაბაბიანმა კაცმა დაპატარავება დაიწყო, თითქოს მიწაში ჩადისო, დაპატარავდა, დაპატარავდა და ბოლოს ჩემსიმაღლე გახდა. გვიანღა მივხვდი, რომ დაჩოქილიყო.

მამამ, დაბნეულმა, ხან მარჯვნივ გაიწია, ხან მარცხნივ, მაგრამ იმ კაცს მთელი ტროტუარი ჩახერგა და კარგა ხანს იწვალა, სანამ გვერდს აუქცევდა.

განვაგრძეთ გზა. მივდიოდით უხმოდ, უსიტყვოდ, უკან არ ვიხედებოდით. თბილი, ალერსიანი საღამო იდგა, ბინდდებოდა, მაგრამ დღის ნათელი ჯერ არ გამქრალიყო, კარგად მოჩანდა ნაცნობი ქუჩა და ბაღი. მამაჩემი ღონივრად, რაღაც ჯიბრიანადაც კი მიაბიჯებდა და ცარიელ ქუჩაში, სადაც სულ ახლახან ჩაიხრიგინა წითელმა, ფანჯრებ-

განათებულმა შვიდმა ნომერმა ტრამვაიმ, მკაფიოდ ისმოდა მისი ჩექმების ჭრაჭუნი, ქუსლებზე დაჭედებული ნალების ჭახაჭუხი.

მე თითქმის სირბილით მივდევდი, რადგან მამას ჩემი ხელი მაგრად ჩაებღუჯა მუჭში და ვგრძნობდი, როგორ უხურდა, როგორ უოფლიანდებოდა ხელისგული.

იმ ოფლის აუტანელი სუნი ცხვირში მიღიტინებდა და ამიტომ გამომწვევად ვკითხე:

“გაიგე, იმ კაცებმა რა თქვეს?!”

“რაო.”

“ამ მთავრობის დედაო...”

მამა ერთხანს გაჩუმდა, მერე ჩაახველა და ხმამაღლა, თითქმის ხალისიანადაც კი მითხრა:

“ამ მთავრობის დედაც და მაგათიც!”

ცხოვრებაში პირველად შეიგინა ჩემთან და შვებით ვიგრძენი, როგორ უეცრად გაუშრა ხელისგული, როგორი ჩვეულებრივი ხელი გაუხდა და ის აუტანელი სუნიც რანაირად გაქრა.

მივდიოდით. ჩუმად მივუყვებოდით ბინდში ჩაძირული ბაღის მესერს. იმ ქუჩას რომ ავათავებდით, მარცხნივ უნდა აგვეხვია და ჩვენი სახლისკენ მიმავალ აღმართს შევდგომოდით.

შინ ოჯახის ფერმკრთალი ანგელოზი გველოდებოდა.

მამაჩემი მკაცრი კაცი იყო და სხვებსაც არიგებდა - შვილი მტრულად გაზარდე, მოკეთედ გამოგადგებაო. დილით ლოგინიდან ადგომას რომ დავიზარებდი, საბნის გადახდა იცოდა.

საბანს რომ გადამაძრობდა, ერთხანს კიდევ ვიწექი და ვგრძნობდი, როგორ მეთოშებოდა სხეული, ხელს ვაფათურებდი, საბანს ვეძებდი, მაგრამ სულ ამაოდ - საბანი მამაჩემს ეჭირა.

ასეთ ყოფას ისევ ადგომა მერჩივნა, ამიტომ თვალებს ვახელდი და ნელა, უხალისოდ გადმოვბრუნდებოდი. მამა თავზე მადგა და - ადექი, ნუ ზოზინებო, - მეუბნებოდა.

მე ერთხანს კიდევ ვიწექი მოკუნტული, ნიკაპთან მუხლებმიტანილი, მაგრამ ამ წოლასაც თანდათანობით ეკარგებოდა აზრი, ერთს გავიზმორებოდი და საწოლზე წამოვჯდებოდი.

“ადექი, ადექი!” - მაჩქარებდა მამა, მერე მივიდოდა და კედლის რადიოს ჩართავდა, საიდანაც უკვე ისმოდა დიქტორის ხალისიანი ხმა:

“გაიმართეთ!... თავი მაღლა!... ადგილზე ნაბიჯით იარ! ერთი, ორი! ერთი, ორი!”

მას მაშინვე აჰყვებოდა ფორტეპიანოს სიცოცხლით სავსე აკომპანიმენტი და მეც, სხვა რა გზა მქონდა, ავიზლაზნებოდი, ადგილზე ნაბიჯით მოსიარულე მამას გვერდით დავუდგებოდი და ნამძინარევი, თვალებმიბლეტილი უხალისოდ ავამოძრავებდი ფეხებს.

რადიოს დიქტორი კი, თითქოს მხედავდა, მაშინვე ომახიანად შესძახებდა:

“გაიმართეთ, მუხლები მაღლა!”

წელზევით შიშველი მამა მხრებში გაშლილი და გამართული, საქმიანად, მთელი სერიოზულობით ამოძრავებდა დაკუნთულ მკლავებს, ბიცეპსები ებერებოდა, ბალნიან მუცელზე ქვასავით მაგარი კუნთები ებურცებოდა და თავაწეული, გაჯგიმული, მკაცრად მიბრიალებდა თვალებს.

“სდექ! - ამბობდა რადიოს კაცი, - ხელები მაღლა... ჩაისუნთქეთ... ახლა ხელები დაუშვით და ამოისუნთქეთ!”

ამ ბრძანებას მექანიკურად ვასრულებდი - გაჭიმული, წელში გაზნექილი ხელებს მაღლა ვწევდი, ჰაერს ღრმად ვისუნთქვავდი, მერე ხელებს მოწყვეტით ჩამოვყრიდი და ამოვისუნთქავდი.

“ცხვირით ჩაისუნთქეთ და პირით ამოისუნთქეთ! - გვაფრთხილებდა დიქტორი, - ხელები მაღლა, ჩაისუნთქეთ... ხელები დაუშვით, ამოისუნთქეთ...”

მონდომებით ვცდილობდი, რომ მართლაც ცხვირით ჩამესუნთქა და პირით ამომესუნთქა.

“სდექ!... პირველი ვარჯიში: ფეხები მხრების სიგანეზე... დოინჯი. დაიხარეთ და მარჯვენა ხელით მარცხენა ფეხის წვერს შეეხეთ, ისე, რომ მუხლები არ მოხაროთ... გაიმართეთ... დოინჯი. ისევ დაიხარეთ და ახლა მარცხენა ხელით მარჯვენა ფეხის წვერს შეეხეთ... დავიწყოთ - ერთი, ორი! ერთი, ორი!”

მამა ამ ბრძანებებს ძალიან ხალისიანად, ჩემი აზრით, რაღაც სიხარულითაც კი ასრულებდა, საბერველივით ქშინავდა და ბალნიან კუნთებს ზღაპრული დეევივით ათამაშებდა.

“მუხლები, მუხლები არ მოხაროთ!” - გვიყვიროდა რადიოს კაცი და მამა მოხრილ მუხლზე ხელის გულს მირტყამდა, თუმცა, თქმით კი არაფერს მეუბნებოდა, რომ სუნთქვის რიტმი არ დარღვეოდა.

“სდექ!.. კარგია.” - ამბობდა დიქტორი.

“ვითომ ხედავს...” - გულში ვიბოღმებოდი მე.

“ზემკლავი... ჩაისუნთქეთ... უფრო ღრმად ჩაისუნთქეთ! მიმკლავი და... ამოისუნთქეთ.”

დედა არ ჩანდა - სამზარეულოში დილის საუზმეს ამზადებდა, ფაფას ხარშავდა, კვერცხს გვიწვავდა. ასეთ დროს მუდამ იქ ტრიალებდა ხოლმე. დარწმუნებული ვიყავი, განგებ იქცეოდა ასე, რომ საკუთარი პირმშოს ტანჯვისთვის არ ეცქირა.

“მეორე ვარჯიში...” - აცხადებდა რადიოს კაცი.

სულ შვიდი ვარჯიში იყო, რაც თხუთმეტ თუ ოც წუთს გრძელდებოდა, მაგრამ ამ ოც წუთს კიდევ გაუძლებდა ადამიანი, მთავარი მერე, ვარჯიშის შემდეგ იწყებოდა!

“ახლა კი შევუდგეთ წყლის პროცედურებს!” - ხალისიანად აცხადებდა დიქტორი.

მამაჩემს უკვე მზად ჰქონდა ორი სველი, კარგად გაწურული, ხაოიანი პირსახოცი - ერთი თავისთვის, მეორე კი ჩემთვის. წელზევით შიშვლები, ტრუსების ამარანი ვიდექით და იმ სველი პირსახოცებით ტანს ვიზელდით. ყალთაბანდობას თუ შემატყობდა, მამა პირსახოცს წამართმევდა და თვითონ მზელდა - სულ მიწითლებდა კანს.

ერთხელ, დილით არავის გავუღვიძებივარ, ჩემით გამეღვიძა. ვიწექი და ველოდებოდი, როდის დამიძახებდა მამა, ან საბანს როდის გადამაძრობდა. ამ ლოდინში საკმაოდ დიდი დრო გავიდა, მაგრამ არავინ მაღვიძებდა.

კვირაობით რადიოში გამამხნევებელი ვარჯიში არ იყო, ამიტომ შემეძლო, იმ ერთ დღეს მაინც გამომეცხო დილის ძილი და რაკი არავინ მაღვიძებდა, ვიფიქრე, ნეტავ კვირა ხომ არ არის-მეთქი.

არა, კვირა არ იყო.

უეცრად ქვითინი შემომესმა!

გადმოვბრუნდი და დავინახე ზურგით მჯდომი, მობუზული დედა, რომელიც მხრებზე შალმოსხმული ფანჯარასთან იჯდა და ტიროდა.

ახლა კი საბოლოოდ გამოვფხიზლდი.

“მამა!” - გამიელვა თავში, წამოვხტი, მივუახლოვდი და მხარზე ხელი დავადე.

დედას გული ამოუჯდა და აზლუქუნდა.

გახევებული ვიდექი, გონება დამებინდა, ზედ ბურუსი გადამეკრა და იმ ბურუსში ნელ-ნელა ამოტივტივდა მამაჩემის სახე, მისი სქელი, შავი ულვაში, ჯანსაღი კბილები...

“მოკვდა?” - ვკითხე დედას.

“მოკვდა, შვილო, მოკვდა”, - მითხრა მან, მერე შემობრუნდა, ხელი მომხვია და გულში ჩამიკრა.

მე მის თბილ, აბურდულ თმაში ჩავრგე სახე, ყელში მძიმე გორგალი მომაწვა, ერთხანს ვუძალიანდებოდი, ვცდილობდი არ მეტირა, მაგრამ ბოლოს ვეღარ გავუძელი და დედასთან ერთად ავბღავლდი.

“კარგი, ქალო, კარგი... ნუ დაზაფრე ეგ ბავშვი!” - მომესმა უცებ და შემკრთალმა უკან მივიხედე.

ოთახში მამა შემოსულიყო!

მაღალი, ახოვანი, წვერგაპარსული, ძალიან ცოცხალი მამა პალტოს ღილებს იკრავდა და მოღუშული სახით გვიყურებდა.

“რა... რა მოხდა?!” - ბლუკუნით ვკითხე მე.

“სტალინი გარდაიცვალა... - თქვა მამამ, მერე დედას მიუბრუნდა, - აბა, ეხლა, ტირილით რაღა გაეწყობა... ადექი, აჭამე ამ ბავშვს რამე და გაუშვი სკოლაში.”

მამა ოთახიდან გავიდა და ჭრიალა კარი ისე ფრთხილად, ისე უხმაუროდ გაიხურა, თითქოს ძია სტალინი აქ, ამ ჩვენს სახლში მომკვდარიყო.

დედა კვნესით ადგა და სამზარეულოსკენ წალასლასდა.

მე რაღაც უცნაური შვებით, თითქმის სიხარულითაც კი ჩავიცვი წინდები, შარვალი, ლურჯი სვიტრი და მერე ფეხსაცმელიც. ქუჩიდან ბელურების მხიარული ჟივჟივი ისმოდა. გარეთ ადრეული გაზაფხულის თბილი, მზიანი დილა იდგა.

რადიოსთან მივედი და ამოვუწიე.

ოთახი მუსიკით გაივსო.

მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ეს მოცარტის რექვიემი იყო, მერე, დიდი ხნის შემდეგღა გავიგე. მუდამ სიამოვნებით ვუსმენდი ხოლმე და ის დღე მაგონდებოდა, როცა რადიოდან დილის გამამხნევებელი ვარჯიშის ნაცვლად ეს ჯადოსნური მუსიკა ისმოდა.

სწორედ იმ ხანებში, ან ქნებ ცოტა ადრეც, დედამ სამუსიკო სასწავლებელში მიმიყვანა, სადაც ვიღაც ხანშიშესულმა, მკაცრი სახის სათვალიანმა ქალმა სმენა გამისინჯა: ფორტეპიანოსთან ზურგით დამაყენა, კლავიატურაზე რამდენიმე ნოტი აიღო და მერე იმ ნოტების გამეორება მთხოვა.

კლავიშებს გაუბედავად შევეხე.

“თამამად, თამამად!” - მითხრა მან.

პირველი ნოტის პოვნა გამიჭირდა თორემ დანარჩენ ორს ისე ადვილად მივაგენი, მე თვითონ გამიკვირდა.

“კარგია! აბა, ახლა ეს...” - მასწავლებელმა მიმატრიალა და ახლა ხუთი ნოტი აიღო.

ეს დავალებაც იოლად შევუსრულე.

“ძალიან კარგი... მიბრუნდი...” - და მასწავლებელმა ახლა უკვე საკმაოდ რთული მელოდია დაუკრა.

ისიც რომ გავიმეორე, თავზე ხელი გადამისვა და დედას გაუღიმა:

“სმენა ძალიან კარგი ჰქონია, ვნახოთ, როგორ იბეჯითებს”.

იქიდან რომ წამოვედით, დედამ გზაში “მამალო” მიყიდა და საღამომდე სულ ტკბილად მელაპარაკებოდა.

უბედურება ის იყო, რომ შინ ფორტეპიანო არ გვქონდა, მაგრამ რაკი სმენა აღმომაჩნდა, ჩემმა მშობლებმა გადაწყვიტეს პიანინოს საყიდელი ფული შეეგროვებინათ. მათი ანგარიშით, ამას სულ მალე, დაახლოებით ორ წელიწადში შესძლებდნენ, მანამდე კი სამეცადინოდ ზაალიშვილებთან უნდა მევლო.

ვასო ძიას და ნინა დეიდას ორი შვილი ჰყავდათ - მიტო და მიშიკო. მიშიკო სამედიცინო ინსტიტუტს ამთავრებდა, მიტო კი გეპეიში სწავლობდა და ერთთავად რაღაცას ხაზავდა. მე მის ზურგს უკან ავიტუზებოდი ხოლმე და ვუყურებდი, როგორ გაჰყავდა ფანქრით სწორი ხაზები, როგორ მარჯვედ ხმარობდა სახაზავსა და ფარგალს, ყველაზე მეტად კი ის მომწონდა, ნახაზს რომ რეისფედერით დატუშავდა და ფანქრის კვალს საშლელით წაშლიდა.

“ნახე, როგორია?” - მეუბნებოდა ის და საკუთარ ნამუშევარს ფარული სიამაყით ათვალიერებდა.

“მიდი, ბიჭო, იმეცადინე, რას უყურებ მაგასა!” - მკაცრი სახით მიყურებდა ვასო ძია და მეც იძულებული ვიყავი, პიანინოს მივჯდომოდი და ის გულისგამაწვრილებელი გამები დამეკრა.

ნინა დეიდა თავზე მევლებოდა, სანამ მე ვმეცადინეობდი, სუფრას მიშლიდა - ჩაის ჭურჭელს აწკარუნებდა, ნამცხვარს ჭრიდა, ქილიდან თეთრი ბლის მურაბას იღებდა და მანამ არ გამომიშვებდა, სანამ კარგად არ გამიმასპინძლდებოდა.

მე კი ყელში არაფერი ჩამდიოდა, მრცხვენოდა, რომ ჩვენს კეთილ მეზობლებს ასე ვაწუხებდი და შინ მისული დედას ვემურმურებოდი ხოლმე, აღარ მინდა ეგ მუსიკა, გამომიყვანე-მეთქი. ბოლოს, მაინც ჩემი გავიტანე, სამუსიკო სასწავლებელს თავი დავანებე და შვებით ამოვისუნთქე.

ქალაქური ცხოვრება თანდათანობით მავიწყებდა ჩემს ძველ საფიქრალს და სოლუა პაპას საიდუმლო მკვლელობის ამბავი აღარც კი მახსოვდა, მარტის დასაწყისში კი ქალაქში ისეთი ამბები დატრიალდა, რომ საერთოდ ყველაფერი დაგვავიწყა...

კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობაზე, ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ, რომელშიც მან სტალინის კულტი დაგმო, ქართველები საშინლად აღაშფოთა და ბელადის გარდაცვალების დღეს, 5 მარტს მთელმა ქალაქმა მტკვრის სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან მოიყარა თავი. მოდიოდნენ მუშები, მოსამსახურეები, ოჯახის დიასახლისები, ინტელიგენციის წარმომადგენლები და მოჰქონდათ ყვავილების გვირგვინები, რომელთა სამგლოვიარო, შავ ლენტებს დაახლოებით ასეთი წარწერები ჰქონდა:

“მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს - იოსებ სტალინს, ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშებისაგან”.

“იოსებ ბესარიონის ძე სტალინს - მსოფლიო გენიოსს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს საზკვების თანამშრომლებისაგან”.

“ხალხთა დიად მასწავლებელს განათლების მუშაკებისაგან”.

იმ გვირგვინებით ამკობდნენ მარმარილოს მაღალ კვარცხლბეკს, რომელზეც სამხედროფორმიანი კაცის ქანდაკება იდგა. ყვავილებით მორთული ტრიბუნიდან პოეტები ლექსებს კითხულობდნენ, მეცნიერები ყვებოდნენ ცნობილ ეპიზოდებს ბელადის ბიოგრაფიიდან, ხალხი კი ბობოქრობდა და ხამუშ-ხამუშ ყვიროდა: “ლე-ნინ, სტა-ლინ! ლე-ნინ, სტა-ლინ!!!”

აღარ მახსოვს, შვიდში თუ რვაში, ან იქნებ ცხრაში დილითაც, გორიდან, სტალინის მშობლიური ქალაქიდან, თეატრის მსახიობები ჩამოიყვანეს. ორნი იყვნენ, ერთი ლენინს განასახიერებდა, მეორე - სტალინს. მსახიობები ბორტებგადახსნილი სატვირთო მანქანის ხალიჩაგადაფარებულ ძარაზე იდგნენ და თამაშობდნენ სცენას რომელიღაც სპექტაკლიდან. ხალხმა ძეგლს თავი ანება და ცოცხალ “ბელადებს” მიაშურა. სულგანაბულები უსმენდნენ და როცა მსახიობებმა თამაში დაასრულეს, მხურვალე ოვაციები გაუმართეს.

უეცრად, ბრბოდან ვიღაცამ დადარაჯებული ხმით დაიძახა:

“აბა, ეხლა ლენინმა აკოცოს სტალინს!”

“აკოცოს, აკოცოს!!!” - ახმაურდა ხალხი.

“ლენინი” მაშინვე გადაეხვია და “სტალინი” მხურვალედ გადაკოცნა.

ხალხს გული აუჩუყდა, აქა-იქ ვიღაც ქალებმა ცრემლიც კი მოიწმინდეს.

“ეხლა სტალინმა აკოცოს ლენინსა, სტალინმა!” - იყვირა ვიღაცამ.

“აკოცოს, სტალინმაც აკოცოს!!!” - იხუვლა გულმომბალმა ხალხმა.

მაგრამ “სტალინი” რატომღაც გაჯიუტდა, ეტყობოდა, ნამეტანი როლში შევიდა - “ლენინს” ზურგი შეაქცია.

“აკოცოს, აკოცოოს!!!” - ბღაოდა ხალხი.

მაგრამ სტალინმა ჩიბუხს “მოუკიდა” და შუბლშეკრულმა “გააბოლა”.

ბრბო შეჩოჩქოლდა, ატყდა საშინელი სტვენა და “სტალინი” მიხვდა, რომ აქ თეატრი კი იყო, მაგრამ თეატრი არ იყო, ამიტომ ჩიბუხი სასწრაფოდ დაბერტყა, ჯიბეში ჩაიდო და “ლენინი” სასწრაფოდ გადაკოცნა.

ბრბომ შვებით ამოისუნთქა.

“ეხლა ლენინმაც აკოცოს სტალინს!”

მოულოდნელად, ახლა ლენინი გაიბუტა, იმასაც ხომ ჰქონდა თავისი თავმოყვარეობა!

“აკოცოს, აკოცოს!!!” - ყიჟინა დასცა ხალხმა.

“აკოცე, შე ჩათლახო!” - დაუყვირა ვიღაც მთვრალმა.

შეშინებული “ლენინი” “სტალინს” ეცა და კოცნა დაუწყო.

“ეხლა სტალინმა აკოცოს ლენინს!”

ნირწამხდარი მსახიობები თავდაუზოგავად ჰკოცნიდნენ ერთმანეთს. სულ მალე სახეზე სქლად წასმული გრიმი აედღაბნათ, ლენინს ბლანჟე მოსძვრა და სტალინმა მას უნებურად ფეხი დაადგა, ლენინს კი სტალინის ულვაში ლოყაზე მიეწება.

“გამოატარეთ, გამოატარეთ!” - აყვირდა უეცრად ხალხი.

ბრბო შუაზე გაიპო და გამოჩნდა ვარანცოველი კიკა - ერთი საწყალი დაუნი, რომელიც ძალიან ჰგავდა ნიკიტა ხრუშჩოვს. ვიღაც ლაზღანდარა ბიჭებს მისთვის აქეთ-იქიდან ჩაევლოთ ხელი და “სცენისკენ” ძალით მოათრევდნენ.

კიკა ტიროდა, ცხვირიდან ცინგლი გასდიოდა და დასაკლავი ხარივით უკან იწევდა, მაგრამ მოიყვანეს და მანქანის ძარაზე შეაგდეს.

მის დანახვაზე ხალხმა სიცილი ატეხა.

“ზდაროვა, ნიკიტა სერგეევიჩ!” - დაუძახა ვიღაცამ.

“დედა.” - თქვა კიკამ.

“შენი დედაც!” - დაუყვირა მთვრალმა.

“დედიკო...” - აზლუქუნდა კიკა.

“ამხანაგო სტალინ, მიდი ერთი მაგას შენებურად ჩაუკაკუნე!”

სტალინმა, მართალია, ულვაში აღარ ჰქონდა, მაგრამ ჩიბუხი მაინც დააძრო და კიკას რამდენჯერმე ჩაარტყა თავში.

“ავოიეე!” - მთელი ხმით იბღავლა მთვრალმა და მას დანარჩენებიც აჰყვნენ.

მსახიობები სატვირთო მანქანის ძარიდან ჩამოხტნენ და ხალხში მიიმალნენ. "სცენაზე” კიკაღა დარჩა, რომელიც ხმამაღლა ზლუქუნებდა და ერთმანეთში არეულ ცრემლსა და ცინგლს მაჯით იწმენდდა.

გამხიარულებული ხალხი ისევ ძეგლს მიუბრუნდა, სადაც მთელი ამ ხნის განმავლობაში გაუნძრევლად იდგა საპატიო ყარაული - ქვემოთა ტრიბუნაზე მუშები, ზემოთ კი წითელყელსახვევიანი პიონერები.

სკოლა გვიცდებოდა და რაკი იქვე ახლოს ვცხოვრობდი, დილიდან საღამომდე ძეგლთან ვტრიალებდი, გამომსვლელებს ვუსმენდი, თანაკლასელებთან ერთად საპატიო ყარაულში ვიდექი და შინ გვიან ვბრუნდებოდი, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, ამის გამო დედა არ მიწყრებოდა.

გარდა პოეტებისა, საკუთარ ლექსებს სხვებიც, ჩვეულებრივი ადამიანებიც კითხულობდნენ. უნდა გამოვტყდე, რომ ერთი ლექსი მეც დავწერე, მაგრამ ტრიბუნაზე გამოსვლა ვერ გავბედე და წასაკითხად სირაკანიანს მივეცი. მან კარგად, გამოთქმით წაიკითხა და მქუხარე ტაშიც დაიმსახურა. გული მხოლოდ იმაზე დამწყდა, რომ ის ლექსი ხალხს სირაკანიანის დაწერილი ეგონა.

ცხრა მარტს, ჩემს დაბადების დღეზე, სტუმრები გვეწვივნენ. საშა ნათლიამ, ჩვეულებისამებრ, საჩუქრად ტუფლები მომიტანა, რომლებიც ორი ნომრით პატარები გამოდგა. რა თქმა უნდა, ძალიან დამწყდა გული, მაგრამ მამამ დამამშვიდა - დარდი ნუ გაქვს, ხვალვე მაღაზიაში მივალ და გამოვაცვლევინებო.

ფეხი კატასტროფული სისწრაფით მეზრდებოდა, თორმეტი წლისა უკვე ორმოცდასამ ნომერს ვიცვამდი და ჩემს მშობლებს ამის გამო მუდმივი პრობლემები ჰქონდათ. მა-

მაჩემი მერეც, ჩემს დიდობაშიც ჰყვებოდა ხოლმე, როგორ შეურცხვენიათ ერთხელ უნივერმაღში, სადაც ბავშვის ფეხსაცმელი მოუთხოვია.

რა ნომერი გნებავთო? - უკითხავს გამყიდველს.

ორმოცდასამიო.

რაღა ბავშვი ყოფილა, მაგხელა ტუფლებს თუ იცვამსო! - სიცილით მომკვდარა გამყიდველი.

პირველი ჭიქით, რა თქმა უნდა, ბელადი ადღეგრძელეს, მეორე ჭიქით - მე, მერე - ჩემი მშობლები.

კარგად იყო შეღამებული, როცა სროლის ხმა შემოგვესმა. გავცვივდით კარში.

მტკვარგაღმა ისროდნენ.

ტყვიამფრქვევიაო, - თქვა მამამ.

უეცრად, საშა ნათლიას თარხანამ რაღაც დაიყვირა, ადგილს მოსწყდა და დაღმართზე სირბილით დაეშვა.

ატეხეს სტუმრებმა ძახილი - "თარხან! თარხაან!!!" - მაგრამ თვალს ისე მიეფარა, რომ უკან ერთხელაც არ მოუხედია.

საშა ნათლია დაიზაფრა, ხმას ვეღარ იღებდა, ისედაც წნევა აწუხებდა და ახლა სულ ჭარხალივით გაწითლდა.

შევედით შინ და დაიწყო მამაჩემმა ჩაცმა.

რად იცვამ, კაცოო?! - ჰკითხა დედამ.

უნდა წავიდეო.

აბა, რას ამბობ, სად უნდა წახვიდეო!

მაშ რა ვქნა, იმ ბიჭს რომ რამე დაემართოს, თავი მექნება მოსაკლავიო.

დაიხურა სამხედრო ქუდი, ჩაიცვა შინელი და ზედ ნაგანის კაბურიანი ქამარი შემოიჭირა.

ეგრე ნუ წახვალო, - კარებში ჩაუდგა საშა ნათლია, - ეგ ქუდი მაინც მოიხადე, სამოქალაქო ტანსაცმელი მაინც ჩაიცვიო!

მაგრამ მამაჩემმა აღარ დაიშალა და ისევე წავიდა. დილამდე არც ის გამოჩენილა და არც თარხანა...

მეორე დღეს გარეთ არავინ გასულა, ქალაქის ქუჩებში მარტო კატები, ძაღლები და ვიღაც საეჭვო გარეგნობის კაცები დაძრწოდნენ.

მამაჩემი შებინდებულზე მოვიდა, თარხანა ეპოვნა და მშობლებისთვის უვნებელი და საღსალამათი ჩაებარებინა.

ამბობდნენ, რუსის სალდათებმა უამრავი ხალხი დახოცეს და დაჭრესო. დახოცილებს, თურმე, ვორონცოვის ხიდიდან მტკვარში ყრიდნენ. ქალაქის საავადმყოფოს მორგებში მიცვალებულთა ტევა არ იყო. ჩეკისტები თავზარდაცემულ ჭირისუფლებს ცხედარს ერთადერთი პირობით ატანდნენ - არც პანაშვიდი უნდა გადაეხადათ და არც ქელეხი, ჩუმად, ყოველგვარი ტირილისა და ხმაურის გარეშე უნდა დაემარხათ.

ასეც იქცეოდნენ.

ხალხი დაშინდა, სახლებში ჩაიკეტა. ცხვირს ვეღარავინ ვყოფდით გარეთ. მაგრამ მალე ბრძანება მოვიდა და, თითქოს არაფერი მომხდარაო, ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში ჩადგა: მოქალაქეებმა სამსახურებს მიაშურეს, ბავშვებმა - სკოლებს.

აპრილში მზემ ძალა მოიცა, გამოთბა და ციციანოვის ეზოში ტყემალი აყვავდა. ეს ტყემალი ზამთარში საცოდავი შესახედავი იყო - გაშავებული, ტოტებდაჩეხილი (ბავშვები სულ ზედ ვეკიდეთ), ახლა კი გამოიპერანგა, თეთრად გადაიპენტა და საპატარძლო გოგოსავით მოიკაზმა.

მეც, როგორც იქნა, მოვიშორე ჩემი დაბენძღილი პალტო და, დედაჩემის პროტესტის მიუხედავად, სკოლაში მოსწავლის ფორმის ამარა დავდიოდი. დადგა ლახტის, კოჭა-ობისა და ფეხბურთის სეზონი. სწავლას გულს ვეღარ ვუდებდით, ერთთავად გარეთ მიგვიწევდა გული.

მე ფეხბურთი არ მეხერხებოდა, ლახტს კი არაუშავს, კარგად ვთამაშობდი, ამიტომ დასწრებაზე იყო:

“არჩევანი - მე!”

“არადანი - მე!”

“ნუგზარა - მე!”

“ლოვა - მე!”

“სეროჟა - მე!”

“ჯემალა - მე!”

ერთ საღამოს, სამსახურიდან დაბრუნებულმა მამამ შინ ყურით მოათრია ჩემი ძმა, რომელიც, თურმე, უმიკოვების უმცროს ბიჭთან, დუროსთან ერთად, სადარბაზოში, პაპიროსს ეწეოდა.

მოიყვანა და დედაჩემს ზედ მიაგდო: აჰა, ჩაიბარე შენი გაზრდილი შვილიო!

“რა იყო, კაცო?!” - სახეზე მგლის ფერმა გადაჰკრა დედას.

“დავიჭირე, პაპიროზს ეწეოდა!”

“უი, მამიკვდეს თავი, მართლა, ბიჭო?”

“არა... ისე გავსინჯე... აღარ ვიზამ, რა...” - აბლუკუნდა ის.

უეცრად, დედამ სახეში გასცხო და მამას მიაგდო, ახლა მამამ წამოუთაქა, ისევ დედისკენ გაისროლა და როცა იმან ხელმეორედ გაულაწუნა, საწყალი ბიჭი ჩემსკენ წამობარბაცდა და ზედ მომეკრო.

გამახსენდა, როგორ მაბრაზებდა ხოლმე, როგორ მიშლიდა ნერვებს, ესენი კი ამის ცემას სულ მუდამ მიკრძალავდნენ, ამიტომ, დრო ვიხელთე და ერთი სანქცირებული ალიყური მეც ვაჭამე.

“შენ რაღას მირტყამ, ბიჭო, ძმა არა ხარ?” - წამოიკნავლა მან.

ამ სიტყვებზე დედას ტირილი წასკდა, მამამ ჯიბიდან “პრიმის” კოლოფი დააძრო და გარეთ გავარდა. ხმაურზე ჩვენს პატარა დას გაეღვიძა და აკვანში საშინელი ღნავილი მორთო.

მეც მეტირებოდა, მაგრამ იხტიბარს არ ვიტეხდი და თავს ჯიუტად ვიკავებდი.

ჩემი ძმა საბავშვო ბაღში დოლზე უკრავდა.

ბაღში ერთად დავდიოდით, უფროს ჯგუფში ვიყავი, როცა ის უმცროს ჯგუფში შემოიყვანეს, მაგრამ იქ ერთ დღესაც არ დარჩენილა - მოსვლისთანავე ატეხა ღნავილი:

“ძამ-ძაა... ძამ-ძააა!” - ვითომ, ძმასთან მინდაო.

რაღას იზამდნენ, შემოიყვანეს უფროსი ჯგუფის ოთახში და ჩვენს აღმზრდელს, დეიდა მაროს სთხოვეს, სანამ აქაურობას მიეჩვევა, თქვენთან იყოსო. მას მერე იქიდან ფეხი აღარ მოუცვლია. ხან ვის წაართმევდა სათამაშოს და ხანაც ვის, მაგრამ ჩემი შიშით ხმას ვერავინ სცემდა. დეიდა მაროც ძალიან მფარველობდა: არა უშავს, ბავშვებო, პატარაა, ნუ აწყენინებთო!

“პატარაა, პატარაა” და ისე გათამამდა, რომ სულ მალე იმ უფროს ბავშვებში “ქურდად დაჯდა” და რასაც უნდოდა, იმას აკეთებინებდა. ის საწყლებიც ყველაფერს უჯერებდნენ, რა ექნათ, იქით მასწავლებელი ექომაგებოდა, აქეთ - მე ვაბრიალებდი თვალებს. ამას ისიც დაემატა, რომ დაკვრის ნიჭი აღმოაჩნდა - გაგიკვირდებოდათ, ისე კოხტად აწკაპუნებდა დოლის პირზე თითებს. დასვამდნენ ახალი წლის ზეიმზე ლამაზად მორთული ნაძვის ხის ძირში, მარო მასწავლებელი პიანინოზე უკრავდა, ის დოლს აყოლებდა და ჩვენ ვცეკვავდით.

მალე, მასწავლებელსა და აღსაზრდელს შორის რაღაცნაირი ამქრული დამოკიდებულება გაიბა, რამაც ჩემი ძმის პოზიციები უფრო მეტად გაამაგრა.

ეს დაკვრის ნიჭი, ეტყობოდა, შთამომავლობით გამოჰყვა: პაპაჩემი, ილა და იმისი ძმა - სოლუა დუდუკზე უკრავდნენ, ბიძაჩემი მურაზა - დოლზე, ჩემი ბიძაშვილი, მიტო - აკორდეონზე, დედაჩემი კი - გიტარაზე.

როცა მურაზამ ჩემი ძმის დაკრული მოისმინა, ისე მოეწონა, რომ წავიდა და საიდანღაც პატარა, კოხტა დოლი მოუტანა.

ვატყობდი, რომ ჩემი ძმის დოლით გატაცება მამას ჭკუაში არ უჯდებოდა, მაგრამ დედაჩემის ხათრით არაფერს ამბობდა, რადგან მას ძალიან ეამაყებოდა თავისიანების მუსიკალური ნიჭი. რაკი ფორტეპიანოზე სიარულს თავი დავანებე, ჩემზე უკვე ხელი ჰქონდა ჩაქნეული და მთელს იმედებს ახლა უმცროს ვაჟზეღა ამყარებდა.

ერთხელ, ყური მოვკარი, როგორ შესჩივლა მამამ თავისი გასაჭირი თებრონეს. ეს თებრონე დედაჩემის შინაბერა დეიდა იყო, რუსის ბავშვებს სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა და იმ ბავშვების წაბაძვით, ჩვენც "თებრონე გიორგევნას" ვეძახდით. იჩურჩულეს, იტუტუნეს და როცა ჩემმა ძმამ, ჩვეულებისამებრ, დოლს წამოავლო ხელი, თებრონემ უთხრა:

"ნეტა რად გინდა, ბიჭო, ეგა, შარვალჩაჩაჩული მედოლე უნდა გამოხვიდე?"

ის დღე იყო და ის დღე - ჩემმა ძმამ დოლი ჭირივით შეიჯავრა.

დედაჩემს ძაღლის ნაკბენივით ახსოვდა თებრონეს სიტყვები და მერეც, დიდი ხნის შემდეგაც საყვედურობდა ხოლმე, ბიჭი გზას ამიცდინეო.

ახლოვდებოდა სოფელში გამგზავრების დღე. მე შარვლის ჯიბით უკვე კენჭებს დავაჩხარუნებდი და ახლა მასწავლებლები შემომჩენოდნენ - გინდა თუ არა, გადაყარეო.

მაისში მამაჩემს სამსახურში კვარტალური პრემია მისცეს და დედამ თქვა, მაგ ფულით სოფელში წასაღები შაქარი, ბრინჯი, მაკარონი და ზეთი შევიძინოთო. მამაჩემი კი ამბობდა, შეშა ვიყიდოთო.

რა დროს შეშაა, კაცო, რა დროს შეშაა, ამ გაგანია მაისშიო! - ბრაზობდა დედა, მაგრამ მამა თავისაზე იდგა, აღარ მოვა ზამთარიო?

პირველ კლასში მამაჩემი ველოსიპედს შემპირდა - მეორეში რო გადახვალ, მაშინ გიყიდიო. გადავედი, მაგრამ არ მიყიდა - მესამეში რო გადახვალ, მერეო.

თურმე მატყუებდა - არც მესამეში მიყიდა და არც მეოთხეში.

მე ის ველოსიპედი გამახსენდა, ამიტომ დრო ვიხელთე, ჩემი ძმა ჩუმად წავაქეზე და იმანაც - ველოსიპედიო? - წამოიკნავლა, მაგრამ გადაუბრიალა დედაჩემმა თვალები და ხმა ჩააკმენდინა.

მამაჩემს კი ეგრე იოლად ვეღარ გადაათქმევინა - შეშა და შეშაო, იძახოდა.

მეორე დილით მე და მამა რიყის უბანში წავედით (ახლა იმ უბნის ნასახიც კი აღარსად არის). წავედით, რასაკვირველია, ფეხით. ჩავედით, გავიარეთ ვიწრო ქუჩები და ერთ ფარდულს მივადექით.

გამოგვეგება იქიდან ვიღაც შავი, შავფეშტამლიანი კაცი. მამაჩემი მიესალმა და შეშა გვინდაო, - უთხრა.

აათვალიერ-ჩაათვალიერა იმ კაცმა ეს მამაჩემი, სხვათაშორის, ესეც შავი, შავი, რომ მეტი არ იქნება და ეკითხება:

"ინჩქანეს უზუმ?"

"რაო?!"

"ასუმემ, ინჩქანეს უზუმ, აი-მართ!"

"ქართულად მითხარი, კაცო, არ მესმის", - გაეცინა მამაჩემს.

"ვა, შენ რა რჯული ხარ?"

"ქართველი ვარ."

"ქართველი?!"

"ჰო, რა იყო?"

"კაცო, მართლა?!"

"მართლა."

მეშეშემ ზეცას ახედა, პირჯვარი გადაისახა და განცვიფრებულმა თქვა: ვაი, ტერასტვაც, პირველად ვხედავ, ქართველი გაზაფხულზე შეშას ეძებდესო.

სკოლიდან დაგვითხოვდნენ თუ არა, ავიბარგებოდით და მეორე დღესვე სოფელში მივემგზავრებოდით. მეტეხის სადგურამდე გორის მატარებელს მივდევდით, იქ კი ფაიტონს ვქირაობდით. გავივლიდით სოფლებს: მეტეხს, ჩოჩეთს, ახალქალაქს და გარიყულასთან ახალციხისკენ ავუხვევდით. გზადაგზა ყაჩაღებივით მოგვდევდნენ მატარებლის გადაყრილი ბილეთების შემგროვებელი სოფლელი ბალღები და ხმაჩახლეჩილები მოგვძახოდნენ:

“ბილეთები, ბილეთები!!!”

ერთხელ, ამ ამბებიდან ძალიან დიდი ხნის შემდეგ, უკვე საკმაოდ მოხუცებულ თებრონე გიორგევნას ვუთხარი, რა იქნება, შენი თავგადასავალი რომ დაწერო-მეთქი.

არ მეგონა, თუ დამიჯერებდა - მომიტანა, სამი თვის მერე, ორმოცდარვაკაპიკიანი საერთო რვეული, რომელსაც გარეკანზე ასეთი სათაური და ეპიგრაფი ეწერა: “ყინულზე ნაწერი მოგონებები. ამბობენ, თუ ახალგაზრდობაში ისწავლი, ქვაზე დაწერ და თუ სიბერეში - ყინულზეო. გაფურ გულიამი. უზბეკი პოეტი”.

იმ რვეულში თებრონე გიორგევნას ბებრული ხელით ჩაეწერა მთელი თავისი თავგადასავალი - ბავშვობის, მოწაფეობის, სტუდენტობისა და სამსახურის ამბები. იხსენებდა მშობლებს, და-ძმებს, მეგობრებსა და მასწავლებლებს. მეთოთხმეტე გვერდზე ასეთი რამ ეწერა: “მარიამობა დღეს მოკლეს ჩემი უფროსი დის მაზლი, საწყალი სოლუა. მოკლა საკუთარმა სიძემ, დის ქმარმა. ილა და სოლუა კავთისხევში, დღეობაზე დამკვრელებად ყოფილან. მთელი ღამე უქეიფიათ. სისხამ დილით, ნასვამი სოლუა ახირებულა - წავიდეთ, ჩვენი და - სოფიო ვინახულოთო, მაგრამ ილას უთქვამს - ადრეა, ჯერ მოდღევდესო. სოლუას არ დაუშლია და მარტო წასულა. მისულა, შეუღია კარი და ლოგინში ერთად მწოლიარე ცოლ-ქმარი რომ უნახავს, სიძისთვის ხუმრობით დაუჭყივლია - შე მუდრეგო, ვინ მოგცა უფლება, რომ ჩემს დასთან წევხარო! იმას მაშინ არაფერი უთქვამს, მაგრამ მერე, როცა სოფიოს სუფრა გაუშლია და არაყი დაულევიათ, კაცები ისევ რაღაცაზე შელაპარაკებულან და ამტყდარა ერთი გაწევ-გამოწევა, სოლუას სუფრა მიუტოვებია და გაბრაზებული წამოსულა, მაგრამ სიძე გზაში დასწევია და ხანჯლით მოუკლავს”.

ამ ჩანაწერმა ახალი ვერაფერი მითხრა. რატომ მოკლა? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ სოლუა ცოლ-ქმარს ლოგინში ზედ წაადგა? ან ის საცოდავი სოფო პაპიდა რაღაზე მოიძულეს?

ვინ გამცემდა ამაზე პასუხს?

თებრონემ ეს არ იცოდა, არც დედამ და შესაძლოა, არც პაპას სცოდნოდა რამე. ცხადია, პაპიდას ეცოდინებოდა, მაგრამ იმ დროისათვის, როცა მე თებრონე გიორგევნას “ყინულზე ნაწერი მოგონებები” წავიკითხე, სოფიო უკვე აღარ იყო ცოცხალი. ვისთვის უნდა მეკითხა? ალბათ, მისი შვილებისთვის - ყურმოკვრით მაინც ეცოდინებოდათ რამე, მაგრამ მათთან ისე ახლოს არასდროს ვყოფილვარ, ასეთ საჩოთირო თემაზე რომ ჩამომეგდო ლაპარაკი.

მითუმეტეს, რომ ახლა, მკვლელობიდან სამოცდათხუთმეტი წლის შემდეგ, აღარც სოფიო პაპიდას შვილები არიან ამქვეყნად.

მოკვდა ნატა ბაბოცა და ნატაანთ ვალიკოც, ილა პაპაცა და დიდედაც, მიხაცა და ბაბუცა ბაბოც...

მოკვდა ბიძაჩემი გოგაც.

დაიხოცნენ მიხას ძმები - სინკო და ვასუა...

აღარც პაპიდები არიან ცოცხლები: მოკვდა ელიჭკა, იმისი ქმარი კოლა და მათი შვილები: ფირუზა, ნორა და ოთარა, რომელმაც ბევრი ხვეწნის მიუხედავად ერთი სურათიც კი არ მაჩუქა...

გარდაიცვალა ცხოვრებისაგან ნატანჯი კატუშა პაპიდა და მისი უფროსი შვილი ნოდარა, რომლის ნაცვეთი, გადაბრუნებული პალტო ჯერ გურამს ეცვა, მერე მე და ბოლოს ჩემს საწყალ ძმას...

აღარ არიან დედაჩემის დეიდები: თამარა, ოლიკო და თებრონე გიორგევნა...

მოკვდა საშა ნათლია, მერე კი მისი ცოლი თამარა. ინფარქტით გარდაიცვალა თარხანაც...

დაიხოცნენ ჩვენი მეზობლებიც: ძია ვასო და ნინა დეიდა, ჰასანა კაროევი, ენე-საბრე, ხავაზა, შუშიკ-ტოტა, სირაკანიანი, უმიკოვი, ანია და მისი დედამთილი ხორომსე.

სრულიად ახალგაზრდა მოკვდა კუპრაშვილიც, რომელმაც მეოთხეკლასელი ბიჭები ისე მოგვხიბლა, რომ დღემდე გვახსოვს.

გარდაიცვალა ჩვენი კლასის დამრიგებელი, ქართულის მასწავლებელი, სოსო ჭარელიშვილი და პოეტი იოსებ გრიშაშვილი.

რა თქმა უნდა, ცოცხლები აღარ იქნებიან ბიბლიოთეკარი დეიდა ჟენია და ის უფეხო კაცი...

მოკვდა ნიკიტა ხრუშჩოვი და საწყალი ვარანცოველი კიკაც, რომელიც დედის სიკვდილის მერე, ქალაქელმა ავარა ბიჭებმა სასმელს მიაჩვიეს, ერთთავად პირველ ნომერ ტროლეიბუსში იჯდა და მგზავრებს შესტიროდა, დედა მინდაო...

გარდაიცვალა ჩემი უმცროსი ძმა და მას, ცოტა ხანში, დედაც მიჰყვა, მაგრამ მათზე ადრე მოკვდა მამა, რომელმაც სიკვდილის წინ მითხრა: რას იზამ, ზოგი სულ არ დაბადებულა და მე სამოცდაოთხი წელი მაინც ვიცოცხლეო.

კალინინზე აღარც შვიდი ნომერი ტრამვაი დადის, იქ ლიანდაგი აყარეს და ქუჩასაც სახელი შეუცვალეს.

2005 წ.

<u>მყინვარწვერი</u>

- ის ვინ არი?
- ჩემი ძმაა - ზურა.
- ზურა?
- ჰო.
- მერე ეგ რაღად გინდოდა?
- რა ვიცი, ამეკიდა. უფროსი ძმაა, უარს ხო არ ვეტყოდი?

ზურა ქვემოთ გველოდება, ფეხებთან დიდი, მწვანე, გატენილი ზურგჩანთა უდევს. იქვე აწყვია თოკები და ორი წერაყინი. ყაზბეგში მივდივართ. ჩემს ძმაკაცს ოცდაათი წელი უსრულდება და გადაწყვიტა, ეს დღე მყინვარწვერზე აღნიშნოს - ერთი ბოთლი ფრანგული შამპანური მოაქვს, იქ უნდა დავლიოთ.

ზურა თავაზიანად მესალმება, ჩემზე ათი წლით მაინც იქნება უფროსი.

ტაქსს ვაჩერებთ და ავტოსადგურში მივდივართ. დილაა. ოქტომბრის კარგი, მზიანი დღე თენდება. ზურგჩანთებსა და ალპინისტურ აღჭურვილობას „იკარუსის“ საბარგულში ვაბინავებთ და ავტობუსში ავდივართ.

ყაზბეგში არ ვყოფილვარ, მითუმეტეს, მყინვარწვერზე, გულში ცოტა არ იყოს, შიში მეპარება, რომელი მთამსვლელი მე ვარ, რა მინდა მწვერვალზე, მაგრამ იხტიბარს არ ვიტეხ.

ეს ჩემი ძმაკაციც კარგი დარტყმულია, აიტეხა — გინდა თუ არა, დაბადების დღე მყინვარწვერზე უნდა გადავიხადოო! გიჟია, რა! ვითომ თბილისში ვერ ვიქეიფებდით.

მივდივართ... ჩვენი „იკარუსი“ აღმართზე მიხროტინობს.

ზურა მშვიდად ზის, ფანჯარაში იცქირება. ალბათ გამოცდილი ალპინისტია, მე კი ვნერვიულობ, თანდათან მოუსვენრობა მიპყრობს. ერთ უბრალო ალპინიადაშიც კი არ მიმიღია მონაწილეობა და მყინვარზე რა ამიყვანს? არადა, უარი როგორ ვუთხრა, ძმაკაცია. ეს იგივეა, ჩხუბში არ წაჰყვე. ზოგჯერ ჩხუბიც არ გინდა, მაგრამ ძმაკაცს უარს ვერ ეუბნები.

რაღაც ავი წინათგრძნობა მიპყრობს, მაძაბუნებს. საკუთარ თავს ვუწყრები და გულს ძალით ვიმაგრებ. ეს ზურაც არ მიჯდება ჭკუაში: იმედს არ ვკარგავდი, რომ ამ ჩემს ძმაკაცს ბოლო წუთს მაინც გადავათქმევინებდი, მაგრამ ახლა არ გამოვა, მე ერთი ვარ, ესენი - ორნი, თანაც, ძმები...

კბილი რომ ავიტკიო? ან მუცელი?.. არა, არ ივარგებს, მიხვდებიან და შევრცხვები. ეჰ, რა ვქნა, ჯანდაბას, რაც არი, არი!

შუადღისას უკვე ყაზბეგში ვართ, აქეთ-იქით ვიხედები: რა მყინვარი, რის მყინვარი, ისეა იქაურობა ნისლით ჩამობურული, მყინვარს კი არა, ერთმანეთს ვერ ვხედავთ. გულ-ში იმედი მესახება - იქნებ გაწვიმდეს, ოქტომბერია, რა იცი, ეგებ გათოვდეს კიდეც... აუ, ბიჭო, ახლა ერთი კარგი მამაპაპური თოვლი!

ზურა სასადილოში შესვლას გვთავაზობს - კარგი ხინკალი იციანო. შევდივართ დაზურგულები, თოკებითა და წერაყინებით აჩონჩხლილები. დახლიდარი გაკვირვებული სახით გვიყურებს. დამლაგებელი ქალი ტუჩებზე ხელისგულს იფარებს.

ზურგჩანთებს ვიხსნით და მაგიდასთან ვსხდებით. მინის ფართო ვიტრინიდან მოჩანს ჩანისლული დაბა, გზაზე ნახირი მოდის.

ოფიციანტი გვიახლოვდება და ზურა ოცდაათ ხინკალსა და სამ ლუდს უკვეთავს.

- ოცდაათი რა ამბავია, გაგიჟდი?! - ეუბნება ჩემი ძმაკაცი, - ხვალ მწვერვალზე ვართ ასასვლელები!

ოფიციანტს ეღიმება:

- არა, გენცვა, რა მწვერვალი, რამდენი ხანია, დამთავრდა სეზონი.

- მე სამზე მეტს არ შევჭამ, - ჯიუტობს ჩემი ძმაკაცი.

- კი ბატონო, - მშვიდად ამბობს ზურა, - მაშინ ოცდასამი ხინკალი და ორი ლუდი.

- სამი ლუდი, - ამბობს ჩემი ძმაკაცი.

- კარგი, სამი.

ოფიციანტი მიდის.

მე და ზურა ერთმანეთს ვუყურებთ - ჩემი ძმაკაცი სკამზე ცმუკავს.

ჯიბიდან სიგარეტის კოლოფს ვიღებ და ასანთთან ერთად მაგიდაზე ვდებ.

- არ მოწიო, - მაფრთხილებს იგი.

- მაიცა, რა, თუ ძმა ხარ...

- ხვალ რო ენას გადმოაგდებ, მაშინ გაგახსენებ.

ზურას ოდნავშესამჩნევად ეღიმება.

უეცრად რესტორანი გაჩახჩახდება - გარეთ ნისლს გადაუყრია და მზე ანათებს.

- აჰა, ესეც მყინვარწვერი! - საზეიმოდ აცხადებს ჩემი მეგობარი.

მართლაც, ჩვენს ცხვირწინ ერთი, რაღაც უშველებელი, უზარმაზარი მთა აყუდებულა, ამისთანა არაფერი მინახავს, თავზარდაცემული შევყურებ...

„რა, ჩვენ ამაზე უნდა ავიდეთ?!“

მღელვარებისაგან პირი მიშრება, გული მიჩერდება.

„არა, მუცელი უნდა ავიტკიო... წადი, თქვენი!!!“

ოფიციანტს სამი ლუდი მოაქვს, მერე ხინკალიც. მჟავე, აქოთებული ლუდი სამოთხის შარბათად მეჩვენება.

ზურა ხინკალს პილპილს აყრის და სხვათაშორის ამბობს:

- ამას არაყი მოუხდება...

- ეხლა, არ გამაგიჟო! - თვალებს აბრიალებს ჩემი ძმაკაცი.

- შენ რას იტყვი? - ახლა მე მეკითხება ზურა.
- მოუხდება, კი.
ზურა თავის ზურგჩანთას ხსნის და იქიდან ლიტრიან ბოთლს ამოაცოცებს:
- ჭაჭაა, ჩემი გამოხდილი...
- მე არ დამისხა! - ამბობს ჩემი ძმაკაცი.
- ბატონი ბრძანდები...
ზურა ორ ჭიქას ავსებს:
- ნახე, რა ჯაჭვი აქვს!
- მაგარია! - მოწონებით ვამბობ მე.
- აბა, გაგვიმარჯოს!
- გაგვიმარჯოს!
ვსვამთ. მართლა მაგარი ჭაჭაა. ხინკალს ვაყოლებთ. ხინკალიც მაგარია!
ზურა ისევ ავსებს ჭიქებს და ერთმანეთს ვუჭახუნებთ:
- ამ ჭიქით ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს! - მეუბნება იგი.
- გაუმარჯოს!
არაყი მუხლებს მიდუნებს, სხეულში სასიამოვნო სითბო მეღვრება. რა სჯობია ცხოვრებას!
— მაიტა, ცოტა მეც დამისხი... - მორცხვად ამბობს ჩემი ძმაკაცი.
ზურა ბოთლს ჭიქაში უპირქვავებს.
- თქვენს გაცნობას გაუმარჯოს... - ამბობს იგი და სვამს.
- ეგრე, რა, კაცო!
მერე თითოსაც ვსვამთ და ზურა ისევ ავსებს.
მყინვარწვერს ვუყურებ. ახლა ისეთი საშიში აღარა ჩანს - რა უნდა, ავალთ, რა!
- მაიტა, ის შენი შამპანური ამოიღე! - ამბობს ზურა.
- რა შამპანური?!
- შენი შამპანური.
- გაგიჟდი?!
- ამოიღე, ამოიღე!
ჩემი ძმაკაცი ზურგჩანთას მიიჩოჩებს, ხსნის და თან ჯაჯღანებს:
- ხო ვიცოდი, არა? ხო ვიცოდი!
ფრანგული შამპანურის ბოთლი ამ ბინძურ სასადილოს მზესავით ანათებს... და უცებ, მეორე სასწაულიც ხდება - გაუპარსავ, ჭუჭყიანხალათიან ოფიციანტს სამი, საოცრად ლამაზი, მაღალფეხიანი ფუჟერი მოაქვს და წინ გვილაგებს.
- საღოლ, ძმაო, - ეუბნება იმას ზურა, ბოთლს ხსნის და ჭიქებს ავსებს.
- აბა, დაბადების დღეს გილოცავ, მრავალს დაესწარი!
- ფეხზე, ფეხზე! - ვამბობ მე.
ორივენი ფეხზე ვდგებით.
ჩემი ძმაკაცი ერთხანს დაფიქრებული გვიყურებს, მერე ჭიქას აიღებს და ნელა წამოდგება.
მიჭახუნებისას ბროლის ჭიქები სასიამოვნოდ წკრიალებენ.
თვალი გარეთ გაგვირბის. იქ ამაყად დგას უშველებელი მყინვარწვერი და თანდათანობით ნისლში იკარგება.
იმავე დღეს, გვიან ღამით ვბრუნდებით თბილისში. ისევ „იკარუსში“ ვსხედვართ. ზურას სძინავს. ძილში ტკბილად ეღიმება.

2002 წ.

ბ ა ბ უ ა

- ჩქარა, ჩქარა! - ჩასძახის ბაბუა მანქანის მძღოლს და კაბინის სახურავზე აბრახუნებს.

ძარაში ცამეტნი არიან: ათი ცხვარი, ორი ქალაქელი ბიჭი და ერთიც ბაბუა. შატილიდან ბარისახოში მოდიან.

ბაბუა კაცია, ხევსური. კირზის ჩექმები და ერთ დროს ხაკისფერი, ახლა კი გახუნებული შარვალ-ხალათი აცვია. ბიჭებს არც კი გამომცნაურებია, ამოვიდა, ერთი უგემური "გამარჯობა" თქვა და მას მერე კაბინის სახურავზე აბრახუნებს.

შოფერი არაფერს ეუბნება - საშინელი შესახედავია: თავპირჩამოგაზული, სახეზე სისხლებშემხმარი, თან ყვირის - ჩქარა, ჩქარაო და რა უნდა უთხრას?!

როგორც იქნა ჩააღწიეს ბარისახოში.

მანქანა სახინკლესთან გაჩერდა და ბაბუამაც მაშინვე ძირს ისკუპა.

ქალაქელი ბიჭები რომ სასადილოში შევიდნენ, ის უკვე წინდებისამარა იჯდა მაგიდასთან, ჩექმები იქვე, კედელთან მიეწყო, წინ არყის ბოთლი და ნათალი ჭიქა ედგა - დაისხამდა და დალევდა, დაისხამდა და დალევდა. ხინკალი რომ მიუტანეს, სამი ცალი შეჭამა და ახალი ბოთლი გაახსნევინა.

ერთი ქალაქელი ბიჭი ადგა, თავისი ლუდის ბოთლი აიღო, მივიდა და ბაბუას წინ ჩამოუჯდა.

ბაბუა უაზროდ მიაჩერდა, ერთხანს ეგრე უყურა, მერე ჭიქაში არაყი დაუსხა და ახლოს მიუწია.

- დალიე.

ბიჭმა ჭიქა აიღო:

- გაგიმარჯოს!

- შენც გაგიმარჯოს.

- რა გქვია?

- ბაბუა. შენა?

- მე - გიო.

- დალიე.

ბიჭმა არაყი დალია და ბოთლიდან ლუდი მოწრუპა, მერეღა ჰკითხა:

- ჩექმები რატო გაიხადე?

ბაბუა მოიღუშა:

- ჩხუბში მიშლის ხელსა.

- რაში?!

- ჩხუბში.

ბიჭს გაეცინა და ბაბუას მხარზე ხელი მოუთათუნა:

- წამო, ერთად დავლიოთ!

- არა.

- რათა?

- ჩხუბი მოგვივა.

- წამო, არ მოგვივა.

- მოგვივა.

ბიჭმა ისევ გაიცინა, მერე წამოდგა:

- კარგი, როგორც გინდა, - წავიდა და სანამ მაგიდას მიუჯდებოდა, ამხანაგს რაღაც უთხრა.

ბაბუამ დაისხა და დალია.

სახინკლეში შოფერმა შემოიხედა:

- ჰა, მოსდიხართ თუ რჩებით?

- მოვდივართ, მოვდივართ!

ბიჭები რომ სასადილოდან გავიდნენ, ბაბუას გულთ დააკლდა, მაგრამ ჯერ ისინი ჟინვალშიც არ იქნებოდნენ ჩასულები, რომ მაინც იჩხუბა.

თავიდან ყოჩაღად ირჯებოდა - მაგიდა გადააბრუნა და იმ ცარიელ ადგილზე ციბრუტივით ტრიალებდა, მაგრამ ორ ბარისახოელს სხვა ორიც მიეშველა და ისე სცემეს, სულ გაუერთიანეს ძვალი და რბილი.

სასადილოდან გამოქცეულმა ღუღნას სახლთანღა ჩაიცვა ჩექმები, მერე ხევში ჩავიდა, ანწლებში ჩაწვა და სახურავდაზნექილ სახლს იქიდან მიაჩერდა.

ბინდდებოდა. სახლიდან ბალღის ტირილი და გაკაპასებული ქალის წყევლა ისმოდა.

ის ქალი, სანამ ღუღნას ცოლი გახდებოდა, ბაბუას წაწალი იყო.

2002 წ.

<u>მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა</u>

წამოვიდოდა ქვემოდან მხარზე ბარგადებული, გაცეცხლებული კაცი ყვირილით: აი, წყალმა წაგიღოთ და მეწყერმა ჩაგიტანოთო! დაგენგრეთ ოჯახიო! რატომ არ დამაცლით, თქვე არდასაცალებლებოო! დაიწვით და დაიბუგეთ, როგორც ეს ჩემი ვენახია დამწვარიო!

მოჰყვებოდა დაწრეტილ, ჯერ ისევ სველი რუს ნაპირს და მიადგებოდა ბოლოს მეზობლის ნაკვეთში გადახევებულ წყალს. იქ არავინ ჩანდა. წყალი რუკრუკით დიოდა დაჩიავებულ, დაყვითლებულ სიმინდებში. მიწა ისე იყო დაშაშრული, კამეჩი ფეხს მოიტეხავდა.

გადმოიღებდა ბარს, დასცემდა გაბრაზებული და დაახევებდა ისევ თავისკენ. ერთხანს ჩუმად იდგა, იხედებოდა აქეთ-იქით, იცოდა, რომ იმისი წყლის მომპარავი იქვე, შორიახლო, ჩირგვებში იჯდა და აცმაცუნებდა ტუჩებს.

ახლა გინება არ იქნებოდა, წეღანდელი ლანძღვა უმისამართო იყო და რაკი ახლა მისამართი გასჩენოდა, თავი უნდა შეეკავებინა, ბრაზი გულში უნდა ჩაეკლა, თორემ ისიც ხომ კაცი იყო, იმასაც ხომ ჰქონდა თავმოყვარეობა, გამოძვრებოდა იმ ჩირგვებიდან და ატყდებოდა ერთი დავიდარბა და ბარების ჩახა-ჩუხი...

ამიტომ სიჩუმე სჯობდა. ისიც ჩუმად იდგა, ადგილიდან არ იძვროდა...

წინათ ასე იყო და, რასაკვირველია, ახლაც ასევე იქნება - თუ ისევ ვინმე მოთავისე კაცი ჰყავთ მერუედ, ვინ იცის, რამდენს ექნება თავი თოხითა თუ ბარით გატეხილი.

აი, ახლაც ვიღაცას უდის წყალი. ბალახებში ნაკადული მილიკლიკებს, გარემოს სულს უდგამს. ქანაობენ ეს ბალახები, თავებს იქნევენ, ხეხილის ტოტებში ჩიტები უსტვენენ, ოფოფმაც კი გადამიფრინა თავზე... აი, რა არის წყალი!

შარშანდელს აქეთ სოფელში აღარ ვყოფილვარ, ახლაც ძლივს მოვახერხე ჩამოსვლა, აქ კი ისევ გვალვაა, ირგვლივ სიცხის ალხი ტრიალებს...

სადაცაა, დიდედაჩემის ბოსტანიც გამოჩნდება, მთელს სოფელში სანაქებო და სახელოვანი. ვინ იცის, რაღას არ ამბობენ იმ ბოსტანზე - ედემის ბაღიო, სამოთხის წალკოტიო... ლამაზ ქალსაც კი იმას ადარებენ - ბაბუცას ბოსტანივით მშვენიერიო!

მართლაც, ერთ რამედ ღირს - დაკვალული, დამასმასებული. ისეა გაწკრიალებული, ბაზოებზე ერბო აიკრიფება. რაღა არ მოჰყავს: ქინძი და კამა, ქონდარი და რეჰანი, ოხრახუში და ნიახური, ხახვი და ნიორი, ჭარხალი და თვის ბოლოკი, წიწაკა და თალგამი... ბოსტნის თავში კიტრი უთესია, ბოლოში - გოგრები, აქეთ-იქით - სარის ლობიო... თან ყველაფერი სათავითაო, ყველაფერი გემრიელი...

სულ შიგ ტრიალებს, სულ იმის თოხნაში, მარგვლასა და რწყვაშია... აი, მგონი, ეს წყალიც იმას უდის... ჰო, აგერ, გამოჩნდა კიდეც - პატარა, დალეული, წელში ორად მოხრილი... რწყავს, თოხით უნაკადლებს, წყალში ფეხშიშველი დაიარება...

რამდენი ხანია, აღარ მინახავს... როგორ მომნატრებია...

"სადა ხარ, შე ციგანო, ეგრე უნდა, ბიჭო?!" - ჩამომეკიდება კისერზე, ჩამკოცნის... ხმელი, გაშავრკინავებული ხელებით მომისინჯავს მხრებს, მკლავებს, თავ-პირს... თვალებში სიხარული ჩაუდგება, თითქოს ერთი ოცი წლით მაინც გაჯიელდება...

ნეტავ თუ ვინმეს ვუყვარვარ ამასავით... არა, არავის... ამას ხომ ჩემსავით მართლა არავინ უყვარს - პირველი შვილიშვილი ვარ, ნანინანატრი...

"გენაცვალოს ბებო, ჩემო იმედო, ჩემო თვალისჩინო, გულზე მიწის დამყრელო!" - მოიცა, ჯერ დამინახოს!

ბოსტანს რომ გავუსწორდები, გავჩერდები და ღიმილით ვუყურებ: შავი კაბის სველი ბოლო ძირს დასთრევს, თავი თეთრი ხილაბანდით წაუკრავს, თოხით წყალს ურურუებს, ქინძის კვალს რომ მორჩება, ახლა წიწაკას მიუგდებს, თოხის პირით მიწას აუცრის, ნებანება მიუშვებს, კმაყოფილი სახით ათვალიერებს მსხმოიარე წიწაკებს და უცებ, ჩემსკენ გამოიხედავს...

აი, ნახეთ ეხლა, თოხს როგორ დააგდებს, როგორ წამოვა, ხელებს ფრთებივით როგორ დაიქნევს, თითქოს უნდა გამოფრინდესო...

მაგრამ არა... ისევ წყალს მიუბრუნდება, შიგ თოხის პირს ააჭყაპუნებს, ნაკადელს შეუცვლის, ცალი მხრიდან მშრალ მიწას მიაყრის, იქით გაუშვებს...

ვერ დამინახა?!. როგორ არა, აგერ, ისევ გამოიხედა! ჩქარობს, პირზე რაღაც შეწუხებული, მორცხვი ღიმილი დასთამაშებს...

წიწაკის კვალს რომ მორჩება, წყალს ახლა კიტრის ბარდებისკენ უზამს პირს, მაგრამ შიგ როდი შევა, თოხს შორიდანვე უნაცვლებს... იქნებ ვერ მიცნო?.. არა, ხომ ვიცი, რომ სულ ჩემს ლოდინშია, სულ ერთთავად გზისკენ უჭირავს თვალი, ყველა ამვლელ-ჩამვლელი მე ვგონივარ...

აი, კიდევ გამოიხედა! რაღაც საცოდავმა ღიმილმა დაუბრიცა ტუჩები... ჩქარობს, ჩქარობს... ამ წყალსაც რომ არავინ უწყვეტს?!. სად არიან ის უნამუსოები, ის ჩემი ცოდვით სავსენი...

მილიკლიკებს ნაკადული, შეცოტავებისა არაფერი ეტყობა, ეგ კი არა, მგონი, მოიმატა კიდეც... დიდედაჩემი თოხს დაყრდნობია, კიტრებს დასცქერის, მეორე ხელით დოინჯი აქვს შემოყრილი... ცახცახებენ კიტრის ეკლიანი ფოთლები...

ფეხს არ ვიცვლი. ცოტა არ იყოს, გულგატეხილი, იმედგაცრუებული ვდგავარ და ჩუმად შევყურებ, მაგრამ როდემდე ვიდგე ეგრე? ეს იქნებ საღამომდე ვერ მორჩეს საქმეს, იქნებ ამ წყალმა საღამომდე იდინოს...

კიტრის კვალიც რომ გაითქვარა, წყალს ახლა თალგამებისკენ უყო პირი... ლობიოებსაც ჩაუტარა და მერე ქონდრის კვალს მიუგდო...

ფეხსაც არ მოვიცვლი, ვნახოთ, ერთი როდემდე გაგრძელდება ასე!

ბოლოს, ნივრის კვლისკენ რომ დაახევა, მაშინღა მივხვდი, რა სასაცილო იყო ეს ყველაფერი და გამეღიმა...

თითქოს ამას ელოდებოდაო, ნაკადული დადუმდა... ძირს დავიხედე და, ღმერთმა უშველოს, ვიღაცას დაეწყვიტა! დიდედამაც მაშინღა დააგდო თოხი, თითქოს პირველად ახლა დამინახაო, წამოვიდა გაღიმებული, სახეგანათებული, ფრთებივით იქნევდა ხელებს...

მოვიდა და ჩამომეკიდა კისერზე.

- სადა ხარ, შე ციგანო, ეგრე უნდა, ბიჭო?!

- აი, ხო ჩამოვედი... - ვეუბნები და ყელში თბილი, ცომივით გაფუებული რაღაც მაწვება, ვცდილობ, ცრემლი არ დამინახოს...

- გენაცვალოს შენი ბებო, ჩემო იმედო, ჩემო თვალისჩინო, გულზე მიწის დამყრელო... რა ვქნა, შვილო, გვალვაა, უწყლოდ არაფერი მოვა... აი, ხო ნახე, დამიწყვიტეს ამ დასაწყვეტლებმა... წამოდი, გენაცვალე, წამოდი...

შინისკენ მივდივართ, მე მის მხარზე მაქვს ხელი გადახვეული, ზემოდან დავცქერი, მერე დავიხრები და ხილაბანდზე ვკოცნი...

მას შემდეგ თითქმის ორმოცი წელი გავიდა, მაგრამ იმ ხილაბანდის სურნელი ახლაც მახსოვს...

რა ხანია, წავიდა, მიწას ჩაეფარა...

ვინ იცის, ახლაც გზისკენ უჭირავს თვალი, ვინ იცის, მაშინდელივით ახლაც მოუთმენლად მელოდება... მივალ და საყვედურით მეტყვის:

- სადა ხარ, შე ციგანო, ეგრე უნდა, ბიჭო?!

რაღა დარჩა.

<u>წერასატანილი</u>

გიორგი შენგელაიას

სანდროს სანდრო კი ერქვა, მაგრამ ყველანი "წერასატანილს" ეძახდნენ. ეს ზედმეტი სახელი იმიტომ შეერქმიათ, რომ ბალღობიდან წერას ჰყოლია ატანილი: ყველაზე ღრმა მორევში იმას უნდა ებანავა, ყველაზე ავი ძაღლი იმას უნდა გაებრაზებინა, ყველაზე ძუნწი კაცის ხილი იმას უნდა მოეპარა.

გველს რომ დაიჭერდა, სხვებივით გოგოებს კი არ აშინებდა, საჩვენებლითა და ცერა თითით წასწვდებოდა, მოსავსავე ენას ამოაცლიდა და ისე გაუშვებდა.

ბალღები არ ეთამაშებოდნენ, დიდები ერიდებოდნენ.

დადიოდა მარტო, ტყე-ღრე ლაჯქვეშ ჰქონდა ამოდებული.

სამეხრეველ შეღერებულმა გუთნისდედას გოროხი ესროლა და თავი გაუტეხა - სულ ქაფ-ქაფი სისხლი ადინა.

თოთხმეტი წლისამ მეველის ცხენს კუდი მოაჭრა.

თხუთმეტისამ - მეზობელს ძნა დაუწვა.

თექვსმეტისამ - თავისივე გარეგნიძაშვილი, მებატე გოგო, ჩირგვებში შეიტყუა და ნამუსი აჰხადა.

თვრამეტისამ - ბატონს მოჯამაგირე ბიჭი მოუკლა.

მას მერე ყაჩაღად იყო გასული. ჩაფრები დასდევდნენ, ცოფიანი ძაღლივით უნდა მოეკლათ, მაგრამ ნადირის გეში ჰქონდა და ვერ მიუდგნენ.

ეხლა დუქანში ამბავი მოეტანათ, წერასატანილი დაუჭერიათო და გლეხები ამის მაღარიჩს სვამდნენ. დახლზე გადმოყუდებული მედუქნე იმათ მხიარულ სიფათებს უყურებდა. გარეთ ნოემბრის უჟმური ღამე იდგა. წვიმდა. მესამე დღე იყო, რაც ამინდი გაფუჭდა და ქალაქელი მუშტარი დაიკარგა, ამიტომ მედუქნეს ამათი ხორხოცი გულზე მალამოდ ედებოდა - ნისიას არ დაგიდევდათ, ჯანიც გავარდნოდა, მაშ დუქანს ხომ არ დაკეტავდა! - დახლს მუცლით გადმოსწოლოდა და შემთვრალი გლეხების ლაპარაკს ყურს უგდებდა.

წერასატანილი მეტყევე სოსანას დაებეზღებინა - ჩაფრები იმას წაეყვანა კოდაკლის კაპნებში და მძინარესთვის თავზე დაეყენებინა. გაეკოჭათ, თოკებით შეეკრათ და სულ კონდახების ცემით წამოეყვანათ.

ამათ უხაროდათ, ნისიას ნისიაზე იღებდნენ, წითელ კახურს ყლურწავდნენ და წერასატანილს ნიშნს უგებდნენ:

- ახია იმაზეო, სარჩობელაზედ რომ ჩამოჰკიდებენ, მერეც მომიჭრას ცხენს კუდიო! - ხვიხვინებდა მეველე.

- აპოხტივით რო ჩამოჰკიდებენ, მაშინაც გამომესროლოს ბელტიო! - უკბილო პირს აფჩენდა გუთნისდედა.

- ჩურჩხელასავით რომ ჩამოაკონწიალებენ, მერეც დამიწვას ძნებიო! - ხითხითებდა წერასატანილის მეზობელი.

- მაშ ბატონმა რაღა ქნასო, ბატონის ბიჭს კი არ უნდოდა ამ მზიანი ქვეყნის ყურებაო? - ჟღავ-ჟღუვობდნენ დანარჩენები.

მედუქნე ჩუმად უსმენდა, ლაპარაკში არ ერეოდა. წერასატანილი სულ ერთხელ ჰყავდა ნანახი და მაშინაც დიდი შიში ეჭამა.

გარეთ ძაღლმა დაიყეფა, მერე წკავწკავი მორთო და დუქანში წერასატანილი შემოვიდა. კბილებამდე იარაღში იყო ჩამჯდარი, ზურგზე გუდა ეკიდა.

გლეხებმა ხმა გაიკმინდეს და გამტკნარებულები მიაჩერდნენ, იმან კი გუდა მოიხსნა და მედუქნეს დახლზე დაუგდო - ხორცია და შეწვიო!

მედუქნემ გუდა აიღო და სამზარეულოში გაიტანა. გაკვირვებული იყო, თუკი დაიჭირეს, აქ როგორღა გაჩნდაო.

ბიჭს ცეცხლთან ჩასძინებოდა. მედუქნემ კისერში წამოუთაქა და ფეხზე წამოაგდო, მერე ცეცხლს დახედა - კარგი, ღონიერი ნაკვერჩხალი დაედო.

წერასატანილი ცარიელ მაგიდას მისჯდომოდა. კარაბინი მუხლებშუა ჩაედგა.

- ღვინო მომართვიო! - ხრინწიანი ხმით უთხრა უკან შემობრუნებულ მედუქნეს.

ის ყოჩაღად დატრიალდა: ჯერ ღვინო მიუტანა, მერე პური, ყველი და წიწაკის მწნილი.

- მიუტა იმათაცო! - უთხრა წერასატანილმა.

მედუქნემ თაროებიდან ბოთლები წამოკრიფა და გლეხებს წინ დაულაგა, ჭიქებიც თვითონვე შეუვსო.

დასიცხული ცხვრებივით თავჩაქინდრულები ისხდნენ და სასმისებს უხმოდ დასჩერებოდნენ.

- ჰა, დალიეთ ეხლაო! - დაიღრინა წერასატანილმა.

გუთნისდედამ ჭიქა აიღო, - აბა, გაგვიმარჯოსო! - და გამოცალა.

- გაგვიმარჯოს, კარგად ვიყვნეთო... - ჩაილაპარაკეს დანარჩენებმაც.

ორ-ორი რომ დალიეს, მედუქნის ბიჭმა შამფურებით მწვადი შემოიტანა.

- მე არაო, მაგათ ჩამოურიგეო! - უთხრა იმას წერასატანილმა.

სათითაო შამფური ერგოთ. მედუქნემ პური დაჭრა. გემრიელად იღმურძლებოდნენ. წერასატანილი ჩუმად უყურებდა.

- ბიჭო, სანდრო, რა ხორცია ესაო? - ჰკითხა ბოლოს გუთნისდედამ.

- ნანადირევიაო.

- რა ნანადირევიო.

- აბა, თუ გამოიცნობო!

- რა ვიცი, კაცო, ღორია, ღორი არ არი, დათვია და არც დათვიაო...

- გითხრათ, რაც არიო?

- გვითხარიო.

- ეგაო, ძია მიხაო, მეტყევე სოსანას ბარკლების ამონაჭრებიაო, იმასა სჭაამთო!

- რაიო?!

- რაც გაიგონეთო! - წამოდგა და კარაბინი ხელში აიღო, - იცოდეთ, ყველა ბოზსა და გამყიდველს, ეგრე დაემართებაო! - გაბრუნდა, კარი გამოაღო და სიბნელეში გაუჩინარდა.

მას მერე შვიდი წელი კიდევ გასძლო ტყეში. მრავალი ცოდვა დაიდო, ბევრი კაბის კალთა გააშავა და ბოლოს ისევ იმ კოდაკლის კაპნებში მოკლეს ბიჭებმა. ახლა რანაირად: დაუჭერიათ, გაუტიტვლებიათ, ფეხებით ხეზე დაუკიდიათ, ხორცები უჭრიათ და ზედ მუჭით მარილი უყრიათ.

ეჰ, ნეტავი ან ამათ რა პასუხი გასცეს ღმერთსა და ან კიდევ იმან...

სხვა უიმისო წავიდოდა, ჩეჩნებში სადმე გადაიხვეწებოდა, მაგრამ ის აქაურობას არ მოსცილებია. რატომაო, მკითხავთ. წერას იყო ატანილი და იმიტომ.

2002 წ.

<u>მ ჩ ა გ ვ რ ე ლ ე ბ ი</u>

ეგენი, შვილო, ძალიან წამოგვასხდნენ თავზე. ხო გაიგეთ, რა თქვა - მიწა იმისია, ვინც ამუშავებსო...

აფსუს, ჩემო მამა-ბიძებო, მაგდენს ვინ გააბედვინებდა!

მოჯამაგირეებად გვედგნენ. დადიოდნენ, დაიზუზებოდნენ ამბრანძულები, თხის ტყაპუჭიანები, თხის სუნით აქოთებულები.

ერთხელ, საწყალმა მამაჩემმა ლეკვი ჩამოიყვანა მთიდან - ლამაზი, ლამაზი რომ ავ თვალს არ ენახვებოდა! ვზრდიდი, ჩემი ხელით ვაჭმევდი. ორ წელიწადში დადგა კარგი, ავი ქოფაკი. ღამით ავუშვებდით, დილით ისევ ვაბამდით. იმისთანა ავი ძაღლი არა გვყოლია - ალმასა გვექვივნა.

ახლა როგორი ღონიერი, ქა?! - ვერა ჯაჭვი ვერ უძლებდა. დატრიალდებოდა, დატრიალდებოდა, გასწევდა და გაწყვეტდა. მოვიტანდით ახალს, დავაბამდით, გავიხედავდით და დადიოდა ეზოში არხეინად!

მამაჩემისა და ჩემს მეტს ახლოს არავის იკარებდა. ატყდებოდა წიოკი: "არიქა, გოგო, ძაღლი აშვებულაო!"

გავიდოდი, გავუტანდი პურის ნატეხს, ცუგა, ცუგა-მეთქი და წავავლებდი ქეჩოში ხელს. მაშინვე ფეხებში უნდა გამგორებიყო.

რო გაბეზრდა, მოიტანა საიდანღაც მამაჩემმა ერთი რაღაცნაირი წვრილი ტროსი და დააბა იმით. აბა, იმას რაღას უზამდა! იწვა მთელი დღე კაკალქვეშ და ეძინა. ღამით, რო-ცა ავუშვებდით, სულ გარეშემო უვლიდა სახლ-კარს, გომურს, საბძელსა და მარანს. ვინ მოვიდოდა იმისი შიშით!

ერთხელ, გავიხედეთ და ძაღლი აღარ არი! დავუწყეთ ძახილი, ვითომ უნდა დავაბათ, მაგრამ რა გაგიშვია, რას ეძებ!

შემოირტყა საწყალმა მამაჩემმა შუბლზე ხელი:

"ვიცი, ვინც წაიყვანდაო!"

"აბა, რას ამბობ, კაცოო, - დედაჩემმა, - ხბო ხომ არ იყო, ვის მიიკარებდა ახლოო!"

"ეგ მე ვიციო".

მოიყვანა ცხენი, მოსდო ავშარა და მოახტა უბელოსვე.

გადავუდექი წინ: მეც წამიყვანე-მეთქი!

"ჩამომეცალეო!"

"არა, გინდა თუ არა, წამიყვანე-მეთქი!"

"წაიყვანე, კაცო, რა იყოო!" - დედაჩემმაც.

რაღას იზამდა - "კარგიო, მოდი, შემომიჯექიო."

ამწია საწყალმა დედაჩემმა და შემომსვა ცხენის გავაზე.

"აბა, მაგრად ჩამჭიდე ხელიო!" - და გავფრინდით.

სულ ჭენებით გავიარეთ მთელი სოფელი, გავეშვით მინდორზე, ჭენებით გადავიარეთ ხოდაბუნებიც, დავადექით აღმართს და შევედით ტყეში. იქ კი მამაჩემმა ნებაზე მიუშვა ცხენი - მივდივართ, მივლაყუნობთ.

გამოჩნდა ბოლოს მაგათი სოფელი.

ჩავუარეთ სათიბებს, ნაკარტოფილარს, ბაკებს, მივადექით ერთ სახლს და დავინახეთ, რომ ეზოში ჩვენი ალმასა აბია! ჩვენს დანახვაზე სულ გაგიჟდა - დაიწყო ყეფა და წკავ-წკავი, ეწევა, უნდა, რომ ის ოხერი ტროსი გაწყვიტოს, მაგრამ რაკი ვერაფერს უხერხებს, დგას უკანა ფეხებზე აკალხული, გვიყურებს და წკმუტუნებს საცოდავად.

ჩამოვბობღდი ცხენიდან, შევვარდი ეზოში და მოვექენი ყელზე.

მამაჩემიც დაქვეითდა, მაგრამ შიგ არ შემოდის, გადმოეყუდა მესერზე, გადმოაწყო ზედ მკლავები და გვიყურებს ჩუმად. მერე მიაჩერდა სახლის მოჯარულ კარს და დაიძახა:

“გამოდი, კოსტა, მე შენი ასე და ისეო!”

დაიყეფა ალმასამაც, ქეჩოზე ბალანი აეშალა.

სახლიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა და ვიფიქრე, შინ არ იქნებიან-მეთქი.

გზის გადაღმა სხვა სახლები დგას. გამოვიდა ერთ-ერთიდან ვიღაც მაღალი, კრძალვით მომღიმარი კაცი და მამაჩემს მიესალმა.

მამაჩემმა სალამზე არ უპასუხა, - კოსტა სად არიო, - ჰკითხა.

“კარგი, კაცო, კარგი, გოგიო...” - იმან.

მოვიდა ახლა მეორე კაცი, ისიც მაღალი, ისიც შეწუხებული ღიმილით ტუჩებდაბრეცილი და - “არ გინდა რა, გოგი, ხო იცი, რანაირიც არი ეგაო - სხვა მოსაპარი თუ ვერაფერი ნახა, საკუთარ ქუდს მოიპარავსო...”

მამაჩემი კი უფრო და უფრო მეტად ბრაზდება:

“გამოდი, კოსტა, ნუ იმალები, მე შენი მკვდარი და ცოცხალიო!”

მოგროვდა ამ ყვირილზე მთელი სოფელი, ეხვეწებიან, ემუდარებიან, ყელს უწევენ - კარგი, კაცო, აუშვი ეგ ოხერი ძაღლი და წაიყვანეო! - მაგრამ იმას არაფრის გაგონება არ უნდა.

გაიღო ბოლოს ჭრიალით სახლის კარი და გამოვიდა იქიდან კოსტას ცოლი - თეთრი, ფაშფაშა, გავასქელი დედაკაცი. ხელები ცომიანი აქვს. შლის იმ ხელებს, იკრავს გულში, - “აიო, გოგიო, სენი წირიმეო, ხაბიზგინებს ვაცხობო... კარგი არაყიცა გვაქვს, პანტისა, შენ რო გიყვარსო...”

“სად არი, ქალო, შენი ქმარიო?”

“შინ არიო... თავისი პირისა რცხვენია და იმიტომ ვერ გეჩვენებაო... აპატიე, გოგიო...”

წამოვიდა მამაჩემი, ჩაგვიარა მე და ალმასას გვერდით და შევიდა სახლში. შევყევი მეც.

ფეჩთან, ჭრელ ფარდაგგადაფარებულ ტახტზე თავჩაქინდრული ზის კოსტა და სრუტუნებს. ჩვენს შესვლაზე არ აუხედია.

მივიდა მამაჩემი და ისეთი ჩასცხო თავში, რომ ცხვირი ფეჩზე დააკვრევინა.

წასკდა საწყალს სისხლი, მაგრამ რაკიღა ეგრე იოლად გადარჩა, უხარია, უხარია, რომ აღარ იცის, რა ქნას - შესცქნავის ამ მამაჩემს, ელაქუცება, გასდის თან ცხვირიდან სისხლი.

შემოვიდა, შემოგვყვა უკან რამდენიმე კაცი. იცინიან ისინიც, უჩაჩქუნებენ მასპინძელს თავში, დასცინიან.

გახსნა, ბოლოს, ის შეკრული შუბლი მამაჩემმაც.

გაიშალა სუფრა და დაიწყეს კაცებმა არყის სმა... დღესაც კი მახსოვს იმ ხაბიზგინების გემო.

ეს კიდევ - მიწა იმისია, ვინც ამუშავებსო!

ზოგჯერ ფიქრი წამიღებს... ვფიქრობ, ვფიქრობ, ნეტა რა მოხდა, ეგრე რად წამოგვასხდნენ თავზე-მეთქი, მაგრამ ვერაფერი მომიფიქრებია... არ ვიცი... არა ვიცი-რა... არადა, მარტო ეგენი ხო არ არიან, შვილო - ვინც ჩვენ არა გვჩაგრავს, ზის და ტირის.

2002 წ.

მეორე დღე

კაკო თავის ტკივილმა გააღვიძა. სწყუროდა. საწოლთან მიდგმულ სკამზე ხელი მოაფათურა, მაგრამ წყლის ჭიქა ვერ იპოვნა. ახლაღა გაახსენდა ცოლთან წუხანდელი ჩხუბი, გული დაუმძიმდა. ერთხანს ჩუმად იწვა, მერე ადგა, ჩაიცვა ვიწრო, გაქექილი ჯინსის შარვალი, შავი სვიტრი და შუშაბანდში გავიდა. გატეხილი გრაფინი იატაკზე ეგდო. იატაკზე ეყარა დალეწილი თეფშებიც. ნათელა არ იყო, არც ბავშვი. კარი გამოაღო და კიბეზე რომ ჩადიოდა, თავბრუ დაეხვა, თეძოთი ხის მოაჯირს მიეყრდნო.

კედლის ძირებს წუხანდელი თოვლის ნაზი, სიფრიფანა არშია გასდევდა. მზე სველ ასფალტს აშრობდა.

ეზოშიც არავინ იყო. ონკანზე წყალი დალია, მაგრამ წყურვილი მაინც ვერ მოიკლა. საპირფარეშოში უაზროდ ათვალიერებდა ნესტიან აგურებს შორის გაბმულ აბალბუდას. მერე ისევ შინ ავიდა. ერთხანს ამაოდ იცქირებოდა კარგამოღებულ, ცარიელ მაცივარში, საიდანაც საამო სიგრილე მოჟონავდა, მერე კარადის თავზე სიგარეტის გაყვითლებული ნამწვი იპოვნა, მოუკიდა და მადიანი ნაფაზი დაარტყა.

თანდათანობით აგონდებოდა წუხანდელი ჩხუბი, ცდილობდა თანამიმდევრულად გაეხსენებინა ყველაფერი, მაგრამ დაბინდულ გონებაში მაინც ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოტივტივებდა ცალკეული ხმები და სურათები: ბავშვის ტირილი, მეზობლის ქალების ცნობისმოყვარე სახეები, ცოლის ისტერიული კივილი...

გუშინდელი დილის ამბები უფრო ცხადად ახსოვდა: დაბამბულქურთუკიანი, მოღუშული სახის ბიჭები კოლმეურნეობის მოედანზე... კაკო უხმოდ ათვალიერებდა იმათ განიერ ბეჭებს, წერაქვისა და ნიჩბის ხმარებისაგან გაუხეშებულ დიდ ხელებს. ისინი ალყაში აქცევდნენ ტროტუართან გაჩერებულ მანქანას და ყოველი მათგანი ცდილობდა შიგ ჩაჯდომას. არა, არ იგინებოდნენ, არც ხელებს იკვრეინებოდნენ, მხოლოდ ხვნეშოდნენ და მხრებით, ნიდაყვებით, თეძოებით აწვებოდნენ ერთმანეთს; ჭიფხვით, კბილების ხრჭიალით მიიწევდნენ მანქანის ღია კარისკენ. ბოლოს, ოთხნიღა ჩაიჭეჭყებოდნენ, დანარჩენები იმედგაცრუებულები მიდგებოდნენ უკან. კაკომ სამოცზე მეტი დათვალა ისინი. თვითონ სამოცდამესამე თუ სამოცდამეოთხე იყო - გამხდარი, გალეული, მუცელგალასტული. ერთხელ, სულ ერთადერთხელ სცადა მანქანაში შეძვრომა, მაგრამ მაშინვე დარწმუნდა, რომ ამათთან ვერაფერს გახდებოდა, წავიდა და მოშორებით ქვის პარაპეტზე ჩამოჯდა. საკუთარ თავზე მოსდიოდა ბრაზი: რომც მოეხერხებინა და წაყოლოდა, რა უნდა გაეკეთებინა, რისი შემძლე იყო? ამათ რას ედრებოდა, ნიჩაბი არასოდეს სჭერია ხელში. ერთხანს კიდევ იჯდა იმ პარაპეტზე, შორიდან უყურებდა ბიჭების ფაფხურს, აკვირდებოდა და იმახსოვრებდა მათ დაღვრემილ სახეებს, მერე ადგა და უკანმოუხედავად წავიდა.

ძველი სტუდიის ეზოსთან ჯგუფის წევრები დახვდნენ. წელიწადზე მეტი იყო, რაც ფილმს ვეღარ იღებდნენ, მაგრამ ძველი ჩვეულების გამო მაინც თითქმის ყოველდღე იკრიბებოდნენ ხოლმე. ახლაც ყველანი აქ იყვნენ - დამდგმელი რეჟისორი, ოპერატორი, მხატვარი, ორი ასისტენტი. რაღაც ფული ეშოვნათ, ასისტენტებს არაყი მოატანინეს და სახელოსნოში ჩავიდნენ. კაკო სვამდა, ნელ-ნელა ავიწყდებოდა ყველაფერი. იქიდან ის და კოტე დიდუბეში წავიდნენ. იქაც დალიეს, იქაც არაყი. ბუნდოვნად აგონდებოდა ვიღაც ქალები, ბავშვები, ვიღაცათა დამცინავი სახეები. მარტო ერთი რამ ვერ გაეხსენებინა - როგორ ან როდის დაბრუნდა შინ.

სიგარეტის ნამწვი თუნუქის კოლოფში ჩასრისა. ნათელა, ალბათ, პურზე იქნებოდა გასული. სჯობდა, დროზე გასცლოდა, რომ იმისი წუწუნისა და ტირილისთვის აღარ ესმინა. ქურთუკი ჩაიცვა, კარი დაკეტა და გასაღები საფენის ქვეშ ამოდო. ქუჩაში თვალს არიდებდა ფერად ჯიხურებს, რომელთა ვიტრინებშიც ლუდის ბოთლები ჩაემწკრივებინათ.

გაჩერებაზე ბევრი ხალხი იდგა და როცა ტროლეიბუსი ჩამოდგა, უკანა კარში ძლივს შეეკვეხა. იქვე შეიტყო, რომ უკვე თერთმეტი სრულდებოდა.

მოედანზე ჩამოვიდა, სტუდიის წინ მოღადავე ბიჭებს თავი დაუქნია და ბაზალტის მოაჯირზე ჩამოჯდა. ამათ ზოგს იცნობდა, ზოგს — არა. ძალიან ახალგაზრდები იყვნენ, მხიარული, თითქმის ბედნიერი სახეებიც კი ჰქონდათ. ერთ მათგანს გადახსნილი ქურთუკიდან, იღლიის ქვეშ, ნაგანის კაბურა მოუჩანდა. უეცრად ცხვირწინ სტუდიის ეზოში შემავალმა წითელმა "ჟიგულმა" დაუმუხრუჭა და მანქანის სარკმლიდან გაღიმებული წითელი სიფათი გამოჩნდა:

- როგორა ხარ?

- მძიმედ.

- გუშინ შაუბერეთ?

- ჰო.

- მერე?

- რა მერე, არაფერი.

"ჟიგულის" პატრონმა ჯიბიდან ფული ამოიღო და გადმოაწოდა.

- მაიცა რა, თუ ძმა ხარ... - შერცხვა კაკოს, მაგრამ ფული უკვე ხელში ეჭირა.

მანქანა თვალს მიეფარა. კაკომ მოღლაბუცე ბიჭებს გახედა. არყის ყიდვა უკვე შეიძლებოდა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. ეს დღე კარგად დაიწყოო, ესღა გაიფიქრა.

მალე"მაჯლაჯუნა" მოვიდა, კაკოს გვერდით ჩამოუჯდა და ჯიბიდან უფილტრო სიგარეტის კოლოფი ამოიღო. ჩუმად ეწეოდნენ.

- მახო იყო. - უთხრა კაკომ.

- მერე?

- აქ არი. - ჯიბეზე დაირტყა ხელი.

- რამდენი?

- ოთხი.

- ი, მაგის...

- რა გინდა.

- რა რა მინდა, შეჩემა, ცარიელი არაყი დავლიოთ? - წამოდგა მაჯლაჯუნა.

- კარგი ჰო, დაჯექი.

- რაღა დავჯდე, მომე, ბარემ მოვიტან!

კაკომ ფული მისცა, ერთხანს გაჩქარებით მიმავალ მაჯლაჯუნას უყურა, მერე ისევ იმ ბიჭებზე გადაიტანა მზერა.

ეს დღე კარგად დაიწყო, მაგრამ მაინც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა გუშინდელს, გუშინწინდელს, იმის წინანდელს. ჯერ თუ არ ჰგავდა, მალე უსათუოდ დაემგვანებოდა.

მოვიდა კოტე, რომელსაც თან ვიღაც უცხო ბიჭი მოჰყვა. იმ ბიჭის დანახვა, ცხადია, არ ესიამოვნა კაკოს. კოტემ გააცნო — მწერალიაო და თან გვარიც უთხრა, მაგრამ კაკოს სულ არ აინტერესებდა იმისი გვარი — არაფერი არ იქნებოდა ოთხ კაცზე ერთი არაყი.

ჩუმად ისხდნენ, მაგრამ როგორც კი მაჯლაჯუნა მოვიდა და არყის ბოთლი მოიტანა, მწერალმა კოტეს რაღაც უჩურჩულა და კაკოსაც მაშინვე აზრი შეეცვალა. მართლაც, ის ბიჭი წავიდა და ცოტა ხნის შემდეგ ორი ბოთლი "მასკოვსკაია" და გაზეთის ქაღალდში შეხვეული კარტოფილის ღვეზელები მოიტანა.

ქვემოთ ჩავიდნენ, პავილიონს შემოუარეს და სახელოსნოს დაკეტილ კარს მიადგნენ. მაჯლაჯუნამ ბოქლომი მავთულით გააღო. სახელოსნოში მჟავე სუნი იდგა. მაგიდაზე წუხანდელი საჭმლის ნარჩენები და დაცლილი ბოთლები ელაგა.

იქაურობა სწრაფად მიალაგეს და სუფრა გააწყეს. მაგიდას ხელების ფშვნეტით შემოუსხდნენ. კოტეს უმიზეზოდ ეცინებოდა. მაჯლაჯუნამ ჭიქები შეავსო. მიუჭახუნეს

ერთმანეთს და კაკომ მწერალს უთხრა, ჩვენს გაცნობას გაუმარჯოსო. გაუმარჯოსო, უპასუხა იმანაც და დალიეს.

კაკომ წყალი დააყოლა, რადგან არაყს არ უნდოდა იმის გამშრალ ყელში ჩასვლა. ბოლოს ჩავიდა. ლუკმა მიატანეს თუ არა, მაჯლაჯუნამ ისევ დაასხა.

კოტემ და მწერალმა ლაპარაკი გააბეს. კოტე რაღაცას უამბობდა და კაკო გვიანღა მიხვდა, რომ ფილმის სცენარს უყვებოდა. მწერალი ყურადღებით უსმენდა, ხანდახან თუ ჩაურთავდა სიტყვას. ძალიან გაერთნენ ლაპარაკით, მაგრამ მაჯლაჯუნამ ჭიქა მიუჭახუნა და ორი სახარება შეგვეწიოსო, უთხრა. შეგვეწიოსო, და დალიეს.

კაკოს ნათელა და თავისი წლინახევრის გოგო - მაიკო გაახსენდა. სინდისის ქენჯნა იგრძნო, ნაღველი შემოაწვა გულზე...

მერე კიდევ დალიეს თითო ჭიქა და მერე კიდევ თითო ჭიქა დალიეს.

კაკოს შეუბრუნა, მოეკიდა არაყი, მაგრამ სიამოვნებდა ეს სიმთვრალე. კოტეს ფილტრიანი სიგარეტი გამოართვა და გააბოლა.

მაჯლაჯუნა არაყს აქებდა და ამბობდა, რომ ღვინოს აღარასოდეს დალევდა, რადგან როდესაც ღვინოს სვამდა, ძილში ქვეშ იფსამდა, არაყზე კი არასოდეს მოსდიოდა ეგეთი რამე. ამაზე ყველანი იცინოდნენ და იცინოდა მწერალიც, ფაქტიურად უცხო კაცი, რომელიც კაკოს სულ უფრო და უფრო მეტად მოსწონდა.

ამ სიცილ-ხარხარში შემოვიდა კიჭ გიორგიჩი და შემოიტანა ორი ბოთლი "გარეჯი". ღვინის დანახვაზე უფრო მეტად ჩაბჟირდნენ, რის გამოც კიჭ გიორგიჩი განაწყენდა, მაგრამ როცა საქმის ვითარება აუხსნეს, იმანაც გაიცინა, მოიტანა საზურგემოხერხილი სკამი, მაგიდასთან დაიდგა და დაჯდა.

დალიეს მესამე ბოთლიც და როცა ღვინოზე გადავიდნენ, სახელოსნოს კარში ემამ შემოყო თავი:

- შენ გეუბნები, ბიჭო! — დაუძახა კაკოს.

- ჰა, რა იყო!

- მოდი, საქმე მაქ.

კაკო უხალისოდ ადგა და გარეთ გავიდა. იქ თებერვლის მზე ბჟუტავდა.

- რა გინდა.

- სვამ, არა?

- მერე შენ რა?

- შენ მოუკვდი შენს პატრონს, აჰა!

- ი?!

- რა ი, ბიჭო, რა ი! შენ აქ სკდები და შენი ცოლი ნახე, რას აკეთებს!

კაკომ პირი დააღო, მაგრამ ხმა არ ამოუვიდა. ბოლოს, როგორც იქნა, თქვა:

- ჰა, რა არი...

- წადი და შენ თითონ ნახე, რა არი!

- სად წავიდე, შეჩემა!

- მეტროსთან, სადა!

კაკო ქუჩაში გავარდა და პროსპექტს სირბილით გაუყვა. ყურში ემას სიტყვები უწიოდა, წადი, შენი ცოლი ნახე, რას აკეთებსო! გული ამოვარდნაზე ჰქონდა, გარბოდა, აღარავის ერიდებოდა. ისეთი რა უნდა გაეკეთებინა ნათელას, ამ ბოზანდარა ემას რომ გაჰკვირვებოდა? რისი გამკეთებელი იყო? იმას ხომ მარტო წუწუნი და ტირილი შეეძლო. კიდევ შეეძლო ორი ცალი კარტოფილისა და ნახევარი თავი ხახვისაგან წვნიანის მოხარშვა, კიდევ — სიგარეტის ნამწვის დამალვა კარადის თავზე, რომ მერე, გაჭირვების ჟამს, კაკო გაეხარებინა. კიდევ? ჰო! — შეეძლო უგონოდ მთვრალი ქმრისთვის ტანსაცმელი გაეძრო, ლოგინში ჩაეწვინა და თავთან წყალი დაედგა. მეტი რა? სხვა რა უნდა გაეკეთებინა ისეთი? და, უეცრად, კაკოს გაახსენდა გაზაფხულის ის თბილი, მშვიდი საღამო, როცა ნათელა გაიცნო, გაახსენდა მისი ღიმილი, შემკრთალი თვალები, ატმის ყვავილისფრად შეფაკლული ლოყები. გაახსენდა, როგორ დადიოდა, როგორ

ლაპარაკობდა, საჩვენებელ თითს როგორ იდებდა ხოლმე ნიკაპზე და მირბოდა, მირბოდა, გული წინ უსწრებდა, ფიქრიც, წარმოსახვაც წინ უსწრებდა და ათასნაირი შემაძრწუნებელი სურათები ედგა თვალწინ.

მეტროს სადგურთან ხალხი ზიმზიმებდა. ერთმანეთში არეულიყვნენ გარემოვაჭრენი, კახპები, ჯიბის ქურდები, ნარკომანები, რეკეტიორები, მათხოვრები, საშოვარზე გამოსული მშიერი, პატიოსანი მოქალაქეები. ამდენ ხალხში ძნელი იყო ადამიანის პოვნა, მაგრამ კაკომ მაინც მაშინვე დაინახა ცოლი - ქვის ბორდიურზე იჯდა, წინ გაზეთი გაეშალა, პირში საწოვარაჩაჩრილი მაიკო კალთაში ჩაესვა და თავჩაღუნული იმ გაზეთს დასქეროდა.

თავიდან ვერ გაიგო, რა ხდებოდა, ვერ მიხვდა, რატომ იჯდა ნათელა იმ ბორდიურზე, ან რატომ გაეშალა ასფალტზე გაზეთის ნაგლეჯი. სირბილისაგან სუნთქვაშეკრული, აქოშინებული იდგა და გაოგნებული, ცოტა არ იყოს გახარებულიც კი უყურებდა საკუთარ ცოლ-შვილს, გახარებული, რადგან ეჩვენებოდა, რომ დიდი ხნის წინათ დაკარგულები, იმ კახპებში, ბარიგებში, ქურდებში, ნარკომანებში, შიმშილისაგან მისავთებულ პენსიონერებში გათქვეფილები ახლაღა იპოვნა, ახლაღა აღმოაჩინა და დღეიდან სულ თავისთან ეყოლებოდა, გვერდიდან აღარ მოიცილებდა, მაგრამ მერე თანდათანობით გონს მოეგო, ყველაფერმა თავისი ნამდვილი სახე დაიბრუნა და როცა, უეცრად, ვიღაც გამვლელმა, რა მნიშვნელობა აქვს, როგორმა კაცმა, ნათელას გაზეთის ნაგლეჯზე გაქექილი ასკუპონიანი დაუგდო, ყოველივე ცხადი შეიქნა და კაკომ იგრძნო, როგორ გაუხევდა ხელები, მხრები, კისერი, ზურგი, ხერხემალი და მარტო ფეხებიღა მოუდუნდა, მუხლთ მოეკვეთა და რომ არ წაქცეულიყო, კედელთან მივიდა, მხრით ზედ მიეყრდნო, ნელ-ნელა ჩაჯდა, ჩაიჩოქა და უეცრად, თითქოს თოფი ესროლესო, წინ გადაქანებული ტროტუარზე პირქვე წაემხო.

1994 წ.

<u>თ ე თ რ ი ს ა ქ ა ღ ა ლ დ ე</u>

ამ ორი კვირის წინათ, ვერის (ყოფილი კიროვის სახელობის ბაღში), ჭადრაკის სასახლესთან ახლოს, ერთ ძელსკამზე ვიპოვნე თეთრი ფერის საქაღალდე, რომელშიც აღმოვაჩინე შემდეგი სახის საბუთები:

1. მოქალაქე შორენა გურამის ასული შალამბერიძის განცხადება განათლების მინისტრის მოადგილის, ბატონ თ. ჭყოიძის სახელზე. მომყავს ამ განცხადების სრული ტექსტი:

“ვარ მარტოხელა დედა. მყავს ორი შვილი 1985 წელს ოფიციალურად გაყრილი ქმრისაგან. მამას არავითარი სურვილი არა აქვს შვილებთან კონტაქტისა. იგი მხოლოდ ორი წლის განმავლობაში და ისიც ძალდატანებით იხდიდა ალიმენტს. ბავშვები არ იცნობენ საკუთარ მამას, მაგრამ მაინც მის გვარს ატარებენ. პირადად მე ვარ მეორე ჯგუფის ინვალიდი, ამიტომ ბავშვებს ზრდის დედაჩემი - ქვრივი ქალი რუსუდან შალამბერიძე, უმძიმეს მატერიალურ და ფიზიკურ გაჭირვებაში მყოფი, რასაც მიდასტურებენ ჩემი მეზობლებიც”.

განცხადებას შვიდი მეზობელი აწერს ხელს: ჭანტურია, გ. სიხარულიძე, ვართანოვი, ჩხიკვიშვილი, ბაინდურაშვილი, შალვა ჩხეიძე და სანაკოევი. აგრეთვე, მრგვალი ბეჭდითა და ხელმოწერით ადასტურებს თბილისის ვაკის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის № 73 საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტის უფროსი (ხელმოწერა გაურკვეველია). უზის თარიღიც: 9 აპრილი, 1994 წელი.

2. დაბადების მოწმობის ქსეროასლები:

ა). დაბადების მოწმობა VI-TN N-452187, მოქალაქე რუსუდან გიორგის ასული გვაზავა დაიბადა 16. 03. 1983 წელს, ქალაქ თბილისში, რაზედაც დაბადების აქტების რეგისტრა-

ციის წიგნში 1983 წლის 25 მარტს მოხდენილია ჩაწერა № 718. მშობლები: მამა - გვაზავა გიორგი ლევანის ძე. ეროვნება - ქართველი. დედა - შალამბერიძე შორენა გურამის ასული. ეროვნება - ქართველი. რეგისტრაციის ადგილი: ორჯონიკიძის რაიონის მმაჩის განყოფილება. მოქალაქეობრივი აქტების ჩამწერი განყოფილების გამგის ხელმოწერა (გაურკვეველია).

ბ). დაბადების მოწმობა XI-N315319. მოქალაქე გიორგი გიორგის ძე გვაზავა დაიბადა 10. 04. 1984 წელს, ქალაქ თბილისში, რაზედაც დაბადების აქტების რეგისტრაციის წიგნ-ში 1984 წლის 17 აპრილს მოხდენილია ჩაწერა № 211. მშობლები: მამა - გვაზავა გიორგი ლევანის ძე. ეროვნება - ქართველი. დედა - შალამბერიძე შორენა გურამის ასული. ეროვნება - ქართველი. რეგისტრაციის ადგილი: ორჯონიკიძის რაიონის მმაჩის განყოფილება. განყოფილების გამგის ხელმოწერა აქაც გაურკვეველია.

3. 62-ე პოლიკლინიკის მიერ 1994 წლის 30 მარტს გაცემული ცნობა:

"ცნობა ეძლევა შალამბერიძე შორენა გურამის ასულს, მცხოვრებს ჯანელიძის ქუჩა № 20-ში, მასზედ, რომ ის არის ნამდვილად მეორე ჯგუფის ინვალიდი. დიაგნოზი: ხერხემლის კიფოსკოლიოზი. მიოდისტროფია. ცნობა ეძლევა განათლების სამინისტროში წარსადგენად". ცნობას ხელს აწერს ექიმი ჭელიძე და მთავარი ექიმის მოადგილე გ. ჩიკაშუა.

4. სასამართლოს გადაწყვეტილება:

"ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ - თავმჯდომარე კვაჭაძე, სახალხო მსაჯულები - დათიშვილი და შარაშენიძე, მდივანი - ჯაბადარი, 1985 წლის 10 სექტემბერს, ღია სამსჯავრო სხდომაზე განიხილა საქმე მოსარჩლე შორენა გურამის ასული გვაზავას მოპასუხე გიორგი ლევანის ძე გვაზავასთან განქორწინების შესახებ. სასამართლომ გადაწყვიტა: სარჩელი დაკმაყოფილდეს - შეწყდეს მოსარჩლე შორენა გურამის ასული გვაზავასა და მოპასუხე გიორგი ლევანის ძე გვაზავას შორის ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მმაჩის განყოფილებაში 1982 წლის 8 ივნისს რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერი №128). განქორწინების მოწმობის მიღებისას გადახდეს მოპასუხე გიორგი ლევანის ძე გვაზავას ჯარიმა 120 (ასოცი) მანეთი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ხოლო მოსარჩლე შორენა გურამის ასული გვაზავა ჯარიმის გადახდისაგან განთავისუფლდეს. მოსარჩლეს დარჩეს ქორწინებამდელი გვარი და იწოდებოდეს შორენა გურამის ასულ შალამბერიძედ. გადაწყვეტილება კასაციურია 14 დღეში, თბილისის საქალაქო სასამართლოში". გადაწყვეტილებას ხელს აწერენ სახალხო მოსამართლე კვაჭაძე, სახალხო მსაჯულები დათიშვილი და შარაშენიძე.

5. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილების მიერ 1994 წლის 29 მარტს გაცემული ცნობა: "ცნობა მიეცა შალამბერიძე შორენა გურა-მის ასულს მცხოვრებს ჯანელიძის ქუჩა №20-ში, მასზედ, რომ მას ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში დანიშნული აქვს და ეძლევა პენსია, როგორც ბავშვობიდან მეორე ჯგუფის ინვალიდს თვეში 89 400 კუპონი". ცნობას ხელს აწერენ განყოფილების გამგე ა. ოკინაშვილი და ინსპექტორი მონასელიძე.

იმავე განყოფილების მიერ, იმავე დღეს გაცემულია მეორე ცნობაც: "ცნობა მიეცა მოქალაქე შალამბერიძე რუსუდან ალექსანდრეს ასულს მასზედ, რომ მას ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში დანიშნული აქვს და ეძლევა პენსია მოხუცებულობის გამო თვეში 73 000 კუპონი". ხელმოწერები და ბეჭდები იგივეა.

6. ორი მოწმობა ყოფაქცევისა და წარმატების შესახებ (თითოეულ მათგანში ჩადებულია კარგი, გარკვეული ხელით დაწერილი დახასიათება):

ა). ქალაქ თბილისის 57-ე საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე გვაზავა რუსუდან გიორგის ასული. 1993-94 სასწავლო წელი: ყოფაქცევა - სანიმუშო, მშობლიური ენა - 5, წერა - 5, რუსული ენა - 5, რუსული წერა - 5, მათემატიკა - 5, ბუნებისმცოდნეობა-

ბიოლოგია - 5, შრომითი სწავლება - ჩაეთვალა, სახვითი ხელოვნება - ჩაეთვალა, სიმღერა და მუსიკა - ჩაეთვალა, ფიზიკური კულტურა - ჩაეთვალა.

დახასიათებაში წერია: "რუსუდან გიორგის ასული გვაზავა, დაბადებული 1983 წლის 16 მარტს, ქალაქ თბილისში, ეროვნებით ქართველი, მცხოვრები ჯანელიძის ქუჩა №20-ში, 1990 წლიდან დღემდე სწავლობს აკადემიკოს ლეო შოთას ძე დავითაშვილის სახელობის თბილისის 57-ე საშუალო სკოლაში. რუსუდან გვაზავა ფიზიკურად ჯანმრთელი და გონებრივად კარგად განვითარებულია. ახალ მასალას ითვისებს სწრაფად. წარმატებას აღწევს მუსიკაში, ჩაბმულია ეროვნული ცეკვის წრეში. რუსუდანი თავის ძმასთან ერთად იზრდება ბებიის მეთვალყურეობის ქვეშ, რომელიც შეძლებისდაგვარად ყურადღებას აქცევს ბავშვის აღზრდას. გოგონა გატაცებულია მხატვრული ლიტერატურის კითხვით. თავაზიანია უფროსებისადმი, მოკრძალებული და მეგობრული - ამხანაგებისადმი".

დახასიათებას ხელს აწერენ კლასის ხელმძღვანელი ნ. ცინცაძე და სკოლის დირექტორი ბ. მუმლაძე.

ბ). ქალაქ თბილისის 57-ე საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე გვაზავა გიორგი გიორგის ძე. 1993-94 სასწავლო წელი: ყოფაქცევა - სანიმუშო, მშობლიური ენა - 4, წერა - 4, მათემატიკა - 5, ბუნებისმცოდნეობა-ბიოლოგია - 5, შრომითი სწავლება - ჩაეთვალა, სახვითი ხელოვნება - ჩაეთვალა, სიმღერა და მუსიკა - ჩაეთვალა, ფიზიკური კულტურა - ჩაეთვალა.

დახასიათება: "გიორგი გიორგის ძე გვაზავა, დაბადებული 1984 წლის 10 აპრილს ქალაქ თბილისში, ეროვნებით ქართველი, მცხოვრები ჯანელიძის ქუჩა №20-ში, 1990 წლიდან დღემდე სწავლობს აკადემიკოს ლეო შოთას ძე დავითაშვილის სახელობის თბილისის 57-ე საშუალო სკოლაში. გიორგი გვაზავა ფიზიკურად ჯანმრთელი და გონებრივად კარგად განვითარებული ბავშვია, ჩაბმულია ეროვნული ცეკვის წრეში. გიორგი თავის დასთან ერთად იზრდება ბებიის მეთვალყურეობის ქვეშ, რომელიც შეძლებისდაგვარად ყურადღებას აქცევს ბავშვის აღზრდას. იგი თავაზიანია უფროსებისადმი, მოკრძალებული და მეგობრულია - ამხანაგებისადმი".

ამ დახასიათებასაც იგივე პიროვნებები აწერენ ხელს.

7. მოქალაქე შორენა შალამბერიძის ხელწერილი: "მე, შორენა გურამის ასული შალამბერიძე თანახმა ვარ, რომ ჩემი შვილები: გვაზავა რუსუდან გიორგის ასული, დაბადებული 1983 წელს და გვაზავა გიორგი გიორგის ძე, დაბადებული 1984 წელს იშვილოს ამერიკის შეერთებული შტატების ნებისმიერმა მოქალაქემ. რაზედაც ხელს ვაწერ: შ. შალამბერიძე". განცხადება დამოწმებულია სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ.

ვიმეორებ: საქაღალდე ვიპოვნე ამ ორი კვირის წინათ, ვერის ბაღში, ჭადრაკის სასახლის წინ მდგარ სკამზე. პატრონს ვთხოვ, დამირეკოს. ჩემი ტელეფონია: 99-95-89.

გასამრჯელოს არ მოვითხოვ.

1994 წ.

<u>თავს გაუფრთხილდით, ბიჭებო</u>

რედაქციის ვიწრო, გრძელ ოთახში სამი საწერი მაგიდა დგას. კუთხეში თვითნაკეთი ელექტროგამათბობელი ბჟუტავს, მაგრამ მაინც ცივა. ერთ მაგიდას მხრებზე პლედმოხურული კაცი მისჯდომია და ტუშში ჩასველებული ფუნჯით ქაღალდზე ასო "ჯ"-ებს წერს. თექვსმეტი უკვე დაუწერია, ახლა მეჩვიდმეტეზე ჯახირობს - ფუნჯს წყლიან ქილაში ალაღლაღებს, ნამუშევარს ალმაცერად დასცქერის.

შემოდის ჭაღარაწვერიანი, ძვალმსხვილი მამაკაცი, დამხვდურს ხელს ართმევს და საკოცნელად ეტანება, მაგრამ ის სახეს არიდებს:
- არ მაკოცო, გაციებული ვარ!
- რამ გაგაცია.
- რავა რამ გამაცია, დენი მე არ მაქვს და ნავთი!
წვეროსანი გაქექილ სავარძელში ჩაჯდება, თავს ცარიელი მაგიდისკენ გადაიქნევს:
- ეს არ მოსულა?
- რა ეჩქარება.
- გასკდა გუშინ.
- დათვრა?
- ძეგლს გავდა.
- სად იყავით? - იცინის.
- ლევანასთან. თვრამეტი ბოთლი დავლიეთ ხუთმა.
- მეხუთე ვინ იყო?
- ბადრი.
- მოიცა, ბადრიმაც დალია?!
- დალია. რას ამბობენ, ხელფასი არ იქნებაო?
- არა. ფული არ ქონიათ ანგარიშზე.
- მომე ერთი სიგარეტი.
- არ გინდა ახლა, ნუ მოწევ ამ უზმოზე.
- მომე, მომე! - სიგარეტს ართმევს და რეფლექტორზე უკიდებს, - კიდევ კარგი აქ მაინც გვაქვს დენი...
ოთახში მესამე კაცი შემოდის.
- ჰაიტ! - კარებიდანვე ყვირის ის.
- მთვრალია ისევ, ეს საწყალი! - იცინის "ჯ"-ების მწერალი.
- მთვრალი შენ ხარ!
- მოდი, მოდი, დაჯექი. - წვეროსანი ჩაიჩოჩებს და ახლადმოსულს ცარიელი მაგიდისკენ გაატარებს.
- რა დათვრა, ბიჭო, გუშინ ჭუბრიკა!
- რა გახსოვს, შე ძეგლო.
- როგორ არ მახსოვს, მე არ მივაცილე?!
- შენ ვისი მიმცილებელი იყავი.
- თავს გაუფრთხილდით, ბიჭებო, თავს... - ნაღვლიანი სახით ამბობს "ჯ"-ების მწერალი.
ერთხანს სიჩუმე ჩამოწვება.
- რა ვქნათ ახლა ჩვენ? - კითხულობს ძეგლი.
- რა უნდა ვქნათ...
- ხაში არ ვჭამოთ?
- ფული?
- ხელფასი არ არი?
- არა.
- მაღაზიის ბიჭებს რო ვთხოვოთ?
- თხოვე, მერე...
- მე წვეთის დამლევი არ ვარ, იცოდეთ! - აცხადებს "ჯ"-ების მწერალი.
ძეგლი წამოდგება. წვეროსანი ისევ ჩაიჩოჩებს და გამოატარებს.
- მოვალ ახლავე, - იბარებს ძეგლი და გადის.
- ბევრს ნუ დალევთ, თუ ძმა ხარ.
- თორე შენ არ დალევ, აი!
- ა-პა-პა-პა-პა, წვეთის დამლევი არ ვარ!

- კარგი, ვნახოთ.
შემოდის მაღალი, ნაღვლიანი სახის ბიჭი.
- სად ხარ, კაცო, გადაგვრია სიზმრებმა!
- რას შვრებით, როგორა ხართ.
- ფული გვაქვს და არ ვიცით, სად დავხარჯოთ.
- დალიეთ?
- კი.
- მეც დავლიე...
- მერე?
- შინ როგორ მივედი, აღარ მახსოვს.
- საწამლავია ეს არყები...
- ხელფასი არ არი?
- არა.
- როდის იქნებაო?
- რა ვიცი. ფული არ ქონიათ ანგარიშზე.
- აბა, სად ქონიათ.
- კითხე.
ოთახში ძეგლი შემოდის და თვალებს ეშმაკურად ჭუტავს.
- რამდენი იშოვნე.
- ათი.
- ხაში ჩაიშალა. კაი, გავარდით ეხლა, ორი არაყი და ცოტა მისაყოლებელი მოიტანეთ!
- ცოტა გუშინწინდელი ყველია კარადაში, - ამბობს "ჯ"-ების მწერალი.
- მაშინ სამი არაყი და ორი პური!
ძეგლი და ნაღვლიანი სახის ბიჭი რომ გავლენ, ტელეფონი დარეკავს. ყურმილს "ჯ"-ების მწერალი აიღებს.
- ხო.
- რავა ხარ!
- ვარ ფაქიზად! - ხმას იბოხებს "ჯ"-ების მწერალი.
- სვაამთ?
- ვემზადებით.
- რამდენი გაქვთ?
- სამი.
- სხვა?
- ნაკლებათ.
- გასაგებია.
"ჯ"-ების მწერალი ყურმილს დებს.
- ვინ იყო?
- გიორგევიჩი.
- მოვა?
- კი. ახლა შენ გეუბნები: მე წვეთის დამლევი არ ვარ და არ გეწყინოს, იცოდე!
უეცრად, კარი ყურთამდე მოიღება და გამოჩნდება გრძელპალტოიანი, მხარზე თეთრკაშნეგადაფენილი, სუფთად წვერგაპარსულ-გალამაზებული კაცი.
- ოჰ?!
- რა ხდება აქ!
- მოდი, მოდი...
- სადაა ეს?
- მოვა. მოდი, დაჯექი.
კაცი ჯდება და თითებს მაგიდაზე აათამაშებს:
- დალიეთ გუშინ?

- ხო.
- მერე, მე?!
- შენ წახვედი და...
- აქ დალიეთ?
- არა, ლევანასთან.
- ბედი არ მაქვს მე, ბედი!..
- რა ვიცი, კი არ მოიცადე და...
- ბადრი იყო?
- კი.
- დალია იმანაც?
- მაგრათ.
- აუჰ!
ოთახში ძეგლი და ნაღვლიანი სახის ბიჭი შემოვლენ. ხელში ცელოფანის პარკები უჭირავთ. შემოვლენ და შემოაჭრაჭუნებენ იმ პარკებს.
- აგე, თუ არა გაქვს ბედი! - ეუბნება წვერიანი თეთრკაშნეიანს.
- დედა, გადამრევენ ესენი!
- აბა, დროზე ეხლა, დროზე! - დაფაცურდება წვეროსანი, - წადი, შენ ჭიქები გარეცხე. მაჩვენე ერთი, რა მოიტანეთ...
- მე გავრეცხო, კაცო?!
- აბა, მე-ე?
- ეს სამი არაყი, ესეც - პური.
- საღოლ, ძმაო! დანა?
- დანა კარადაშია... მე წვეთს არ დავლევ, იცოდეთ!
- აი, დარდი!
- ძეხვი არ იყიდეთ, ძეხვი?
- ბიჭო, შენ ისევ აქა ხარ?! არ გითხარი, ჭიქები გარეცხე-მეთქი?
- კაი, კაცო, მივდივარ და რა ვქნა მეტი!
- არ მოგვწამლავს ეს არაყი?
- რა ვიცი.
- რა ქვია?
- “ლილო”.
- ცოტა კაი სახელი ვერ დაარქვეს?
- სახელი რად გინდა, გრადუსი ხო აქვს!
- გრადუსი კი აქვს, თუ არ მოგვწამლა...
- თავს გაუფრთხილდით, ბიჭებო, თავს...
- კაი, კაცო, ნუ დაგვჩხავი ყვავივით!
- ამ ყველს რო სუნი დასცემია?
- რა უჭირს, მერე!
- რა ქენი, გარეცხე?
- კი, კაცო!
- ჩამოასხით, აბა!
- დასხმა ძლიერი!
- დილის მადლი შეგვეწიოს!
- შეგვეწიოს დილის მადლი.
- რაღა დროს დილაა, ორი დაიწყო უკვე.
- კაი არაყია, რას ერჩი!
- უჩემოდ დაიწყეთ, თქვე უსინდისოებო?!
- ვა, გიორგევიჩ?!
- აჰა, ეს ერთი და ესეც - ორი!

- კაცი ხარ კაცური!
- ესეც - ძეხვი!
- ვახ, ძმაო!..
- დაუსხით გიორგევიჩს!
- ბიჭო, გუშინ რამდენი დაულევია ბადრის...
- აბა!
- არ შეიძლება, ძმაო...
- მერე, უთხარი, რატომ არ ეუბნები?
- მე რა უნდა ვუთხრა, თვითონ არ იცი?
- მოდი, ჩვენს სიყვარულს გაუმარჯოს!
- აბა, გაგვიმარჯოს!
- ეგრე, შე კაცო!
- აკი არ დავლევო?
- რა ვქნა, თქვენ რომ კაცს შეუჩნდებით...

ძეგლი ყურმილს იღებს და ნომერს კრიფავს. ტელეფონი კარგახანს რეკავს, ბოლოს ქალის ხმა პასუხობს:

- გისმენთ!
- რომელი ხარ?
- მეზობელი ვარ.
- ბადრის თხოვეთ, თუ შეიძლება.
- ბადრი გარდაიცვალა, ბატონო...
- რაო?!
- დიახ... ამ დილით გარდაიცვალა.

ძეგლს სახე ჩამოუგრძელდება.

- რა იყო? - ეკითხება ნაღვლიანი სახის ბიჭი.
- ბადრი გარდაცვლილა...
- რას აბობ, ბიჭო!
- ხო, ამ დილით მომკვდარა.

წვერიანი პირთან მიტანილ ჭიქას მაგიდაზე დადგამს.

ოთახში სიჩუმე ჩამოწვება.

ძეგლს ისევ ხელში უჭირავს ტელეფონის ყურმილი. იქიდან წყვეტილი ზუმერი ისმის.

უეცრად, "ჯ"-ების მწერალს ტირილი წასკდება. ტირის და თან რაღაცას ამბობს.

ძეგლი ყურს მიუგდებს, თვალები ეწვის, ყელში რაღაც მძიმე და ხორკლიანი მოსწოლია.

- თავს გაუფრთხილდით, ბიჭებო... - ამბობს "ჯ"-ების მწერალი.

ფარღალალა ფანჯრიდან სიცივე ჟონავს. გარეთ მარტის ნაცრისფერი დღეა.

1996 წ.

ჭაობი

სანამ საბოლოოდ გამოფხიზლდებოდა, ქვემოთ ჩაქანდა, წყალმცენარეებით გაბურდულ ლიაში ქვასავით ჩაეხეთქა და იმავე წამს აბუყბუყებული ჭაობის სიმყრალეც იგრძნო. თვალებდახუჭული იწვა და ცდილობდა როგორმე ისევ იმ ტკბილ სიზმარში შებრუნებულიყო, მაგრამ ვიღაც ანჯღრევდა და ყველაფერი ქრებოდა, ფერმკრთალდებოდა, ვარდისფერი ლაქებისა და კაშკაშა, ყვითელი წრეების ქაოსში იბნეოდა. ვიღაც ანჯღრევდა და მასთან ერთად ირყეოდა ყველაფერი, ისმოდა გაურკვეველი დგანდგარი, ღრჭიალი, გუგუნი.

უენოდ დაიზმუვლა, გვერდი იცვალა, მაგრამ იმ ვიღაცამ ნიკაპში ამოსდო ხელი, სახე მოუღრიჯა და ის სუსტი ძაფიც მაშინვე გაწყდა - თვალები ჭყიტა, წამოჯდა და ელდანაცემმა ზედ წამომდგარი მილიციელი დაინახა.

- ჩვენ ბოდიში, რო გაგაღვიძეთ! - გესლიანად უთხრა მან.

მთლად უკვალოდ გამქრალიყო ნაგემი სიტკბო, მის ადგილზე ახლა თბილი, მოვარდისფრო ნისლიღა იდგა და ისიც თვალსა და ხელს შუა ეპარებოდა, ქრებოდა, მაგრამ ეს როდიღა აწუხებდა, თავზარდაცემული იმაზე ფიქრობდა, მატარებელში როგორ მოვხვდიო.

მილიციელმა მკლავში ხელი წაავლო, ისიც წამოდგა და რომ არ წაქცეულიყო, ზემოთა ნარს ზურგით მიეყრდნო. უცნობმა სწრაფად გაჩხრიკა - სხეულზე პროფესიული სიმარჯვით მოუფათურა ხელები და მერე ზურგში უბიძგა.

განათებულ დერეფანში ვიღაც ახმახმა დაძაბული მზერა შეაგება, მაგრამ იმას მარჯვედ უგანა და ტამბურისკენ დაიძრა.

- გაჩერდი!

შიშმა აიტანა, ნაბიჯს აუჩქარა და ტამბურში გავარდნილი კარის სახელურს დაეჯაჯგურა. გამოღებული კარიდან ქშუილით შემოიჭრა მსუსხავი ქარი.

- ხელები! - უკნიდან დაეძგერა მილიციელი, შავი, პრიალა ნაგანი ეჭირა.

- მიხურე კარი! - დაუყვირა ახმახმაც.

- რა გინდათ...

- საბუთები!

ახმახს რუხი პალტო ეცვა და ბეწვის ყურებიანი ქუდი ეხურა. ტამბურის კუთხეში მიჩიხეს. სახით გრძნობდა იმათ ცხელ სუნთქვას.

- სად მიდიხარ?

- არსად...

- ჰოო? — მილიციელმა მზაკვრალად გაიღიმა და ქურთუკის საყელოში ხელი წაავლო. სწორედ იმ ხელით ეჭირა ნაგანიც და იმისი ცივი ლულა ლოყის ქვემოთ ებჯინებოდა, ყბას სტკენდა.

- ტანსაცმელი სად იშოვნე!

- რა ტანსაცმელი?!

- თავს ნუ იკატუნებ, შენი!

- სად გარბოდი, შე სულელო, არ იცოდი, რო მაინც დაგიჭერდით?

- არა, ვიღაცაში გეშლებით...

- მართლა? - გაიცინა ახმახმა, და მერე მილიციელს, მიუბრუნდა, - რაღას ალაპარაკებ, წამოიყვანე!

ისევ კარის სახელურს ეცა, მაგრამ მილიციელმა მკლავი გადაუგრიხა და დაიმორჩილა.

- ხელი გამიშვი!

- წადი, წადი!

- ხელი გამიშვი და წამოვალ.

- კარგი, გაუშვი.

ნატკენი მაჯა მოისრისა და მოულოდნელად მილიციელს ხელი ჰკრა, ახმახს ზედ მიაგდო, კარს ეცა, გამოაღო და აკივლებულ სიბნელეში თევზივით გასხლტა. ჰაერში იმის გაფიქრებაც კი მოასწრო, არ უნდა გადმოვმხტარიყავიო, მერე მოეჩვენა, რომ ბეტონის ვერტიკალურ კედელს შეასკდა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ძირს დაენარცხა.

გონება სულ რამდენიმე წამით დაკარგა და თვალი რომ გაახილა, დაინახა თოვლით გადათეთრებულ ჩამოღამებულ ველზე მიმავალი მატარებელი, ბოლო ვაგონზე მოკიაფე შუქნიშანი და მისი ბორბლების ყრუ, დაგუდული ხმაც გაიგონა.

უძრავად იწვა თოვლში და თავაღერილი, სუნთქვაშეკრული გასცქეროდა სიბნელეში მოციმციმე წითელ შუქნიშნებს. უეცრად, მუხრუჭების ხრჭიალი და ბუფერების ერთ-

მანეთზე დაჯახების ხმა შემოესმა, ყურები ცქვიტა, ფეხზე წამოიჭრა და ქუდმოგლეჯილი თავქვე დაეშვა.

შიშისაგან თავგზაარეული უგზოუკვლოდ გარბოდა. თვალწინ ვერაფერს ხედავდა. გაყინული თოვლი წარამარა ფეხქვეშ უტყდებოდა და შიგ მუხლებამდე ეფლობოდა. მე-რე წაიბორძიკა, პირქვე წაღავდა, მაგრამ უმალ წამოხტა და ისევ გაიქცა.

ახლა ჭალის ტყის წვრილიანში გარბოდა. ნამქერწაყრილი მაყვლები შარვლის ტოტებზე ებღაუჭებოდნენ, ხელ-ფეხს უკაწრავდნენ, მაგრამ აღარაფერს ეპუებოდა. ბო-ლოს, მუხლთ მოეკვეთა და ერთი დიდი წნორის ქვეშ ჩაჯდა.

თავით ფეხამდე თოვლში ამოგანგლული ღამეულ სიჩუმეს დევნილი ნადირის ინსტინქტით აყურადებდა. მდინარის ყრუ დუდუნისა და საკუთარი გულის ბაგაბუგის მეტი არაფერი ესმოდა. ხელ-ფეხი უბჟუოდა და ფერდიც სტკიოდა, მაგრამ ჯერ მაინც ისევ სიზმარში ეგონა თავი.

მდინარის გაღმა თოვლით მოსწორებული განიერი მინდორი იდო. მარჯვნივ, მინდვრის ბოლოში ბუნდად მოჩანდა ტყის მუქი ზოლი, ხოლო შორს, უფრო იქით, გულისშემძვრელად უცხო, უცნობი მთაგრეხილი გადაჭიმულიყო.

მონუსხულივით იჯდა და გაურკვევლობის მწვავე, მტანჯველი გრძნობა თავს არ ანებებდა - არ იცოდა, მატარებელში როგორ მოხვდა, ან ის კაცები რატომ გადაეკიდნენ, რა უნდოდათ და უეცრად, შიშით გაიფიქრა, ნამდვილად ჭკუაზე შევიშალე და ეს ყველაფერი მეჩვენებაო.

მტკივანი ხელით თოვლი მოხვეტა, სახეზე მოისვა და მაშინღა მიხვდა, ნამთვრალევს როგორ გაშრობოდა პირი, რანაირად უხურდა მთელი გულგვამი. მუჭით თოვლი აიღო, ხარბად შეჭამა და უეცრად, გაახსენდა რომელიღაც უცხო ოჯახი, მასპინძლებიც სულმთლად უცხონი, ნაძალადევი თავაზიანობით მომღიმარნი. ფანჯრის რაფაზე სისხლის წვეთივით ეკიდა ბალბის ყვავილი, კედელზე ჩარჩოში ჩასმული მომცრო სურათი - შორეული ჭაობის სულისშემხუთველი პეიზაჟი.

გუშინდელი ამბების ნაწყვეტები ნელ-ნელა ცოცხლდებოდნენ და ჯაჭვის რგოლებივით ებმეოდნენ ერთიმეორეს...

* * *

ღამით თოვდა. გრძელი ზამთრისგან გაბეზრებული, დადუმებული ქალაქის ქუჩები თეთრი საბურველით შეიმოსა, მაგრამ გათენდა თუ არა, თოვლმა დნობა დაიწყო, გალხვა, დარბილდა და წყლად წავიდა. მარტის მიწურული იდგა და ალბათ უკანასკნელი იყო ეს თოვლი - ზამთარს ყავლი გასდიოდა, მზე ძალას იკრებდა.

კოტეს მოწევა უნდოდა, მაგრამ აბესალომის შიშით თავს იკავებდა და ქუჩას მორჩილად გასცქეროდა.

სველი ტროტუარი ნელა შრებოდა, კედლის ჩრდილიან ძირებს კი ისევ შერჩენოდა წუხანდელი თოვლის თეთრი ზოლი.

ბოლოს ცდუნებას ვეღარ გაუძლო, ჯიბიდან სიგარეტის ლურჯი კოლოფი ამოიღო, იქიდან ერთი ღერი ამოაძვრინა, თითებით მოსრისა და აბესალომის მკაცრ პროფილს თვალი შეავლო. ბატონი აბესალომი საკუთარ მანქანაში კი არა, რედაქციის დერეფანში არავის აწევინებდა და კოტემ მოსაკიდებლად გამზადებულ სიგარეტს სინანულით დახედა.

რუსთაველზე, ოპერასთან მარჯვნივ აუხვიეს და ჭავჭავაძის ქუჩას აუყვნენ. აბესალომმა სიჩქარე გამოცვალა.

"შუშას ჩამოვწევ და კვამლს გარეთ გავუშვებ. რა მოუვა, ხო არ მოკვდება..."

მარცხნივ, რიყის ქვით მოგებულ ქუჩაზე შეუხვიეს და გამოჩნდა ერთმანეთზე მიტმასნილი ორსართულიანი აგურის სახლები, შავად შეღებილი ალაყაფები, ბნელი, ნესტიანი სადარბაზოები. კოტემ სიგარეტი უკან ჩააბრუნა და კოლოფი ჯიბეში შეინახა.

ის ქუჩაც რომ გალიეს, კვლავ მარჯვნივ აუხვიეს. ამ კუთხეში წინათ ლუდის ჯიხური იდგა - ორი კაცი სამ მანეთად თავისუფლად გამოდიოდა პახმელიაზე. დახლიდარი აჩიკოს ნაცნობი იყო და ნისიაზე უარს არ ამბობდა. ახლა ჯიხური აღარ იდგა, შარშან აიღეს.

ვიწრო, ტალახიანი შუკა ჯაყჯაყით აიარეს და ტყიან ფერდობს მიადგნენ. მანქანა გაჩერდა. ნელა, უხალისოდ გადმოვიდნენ. აბესალომმა კარი გასაღებით ჩაკეტა, მანქანას ირგვლივ შემოუარა, დანარჩენი სამი კარიც შეამოწმა, მერე საბარგულთან მივიდა, მონიკელებულ ღილაკს ცერა თითით მიაწვა და დარწმუნდა, რომ ისიც საიმედოდ იყო დაკეტილი.

კოტე არხეინად ელოდებოდა, პირში სანუკვარი სიგარეტი გაერჭო, აბოლებდა...

ბოლოს აბესალომი მანქანას მოსცილდა და ტალახში გაკვალულ ბილიკს გაუყვა.

კოტე უკან აედევნა.

ნაცნობი ჭიშკარი შეაღეს და პატარა ეზოში შევიდნენ. აქ ისევ იდო წყლის წვეთებით დაჩვრეტილი, დამბალი თოვლი. ონკანი ღია დაეტოვებინათ და ცემენტის ავზში წყალი ჩხრიალით ჩადიოდა.

კიბეს რომ შეუყვნენ, კოტემ მეორე სართულის ხის გრძელ, შემინულ აივანს აჰხედა. თოკზე სარეცხი გაეფინათ და მაშინვე იცნო აჩიკოს ლურჯი, კუბოკრული პერანგი, რომელსაც სახელოებზე ყინულის პატარა, მბრწყინავი ლოლოები ეკიდა.

კიბის თავში, ბაქანზე, ვიღაც სახედაბიჟვინებული, გრძელცხვირა კაცი შემოხვდათ. აბასალომმა ხელი ჩამოართვა:

- თანამშრომლები გახლავართ, ჩემო ბატონო!

- აჰა, რედაქციიდან? - სახე გაუბრწყინდა მას და რატომღაც სიგარეტი ზურგსუკან დამალა.

თავაზიანად აუარეს გვერდი და შუშაბანდში შევიდნენ, აბესალომმა ოთახის ღია კარში საქმიანად შეაბიჯა და კოტეც უკან მიჰყვა.

ოთახის შუაგულში, ფარდაგგადაფარებულ ტახტზე აჩიკო ესვენა.

აქ სხვა არავინ იყო და მოსულები უხერხულად შედგნენ, მიიხედ-მოიხედეს. მძიმე სიჩუმეს კედლის დიდი საათის ხმა არღვევდა. ოთახში თბილოდა. ფანჯრის რაფაზე შემოდგმულ ქოთანში ბალბა ყვაოდა. კედლების გასწვრივ სკამები ჩაემწკრივებინათ. კედლებზე აჩიკოს ნახატები ეკიდა.

უეცრად, საათი აჟღრიალდა, ამოძრავდნენ უხილავი ჩაქუჩები და გაისმა რეკვა. კოტემ საათს შეხედა - თორმეტი შესრულებულიყო.

იმავე წამს გაიღო მეზობელი ოთახის კარი და იქიდან შუახანს მიტანებული, სანდომიანი სახის ქალი გამოვიდა, უცხო ხალხის დანახვაზე შეცბა, ხელი უნებურად ჩამოშლილი თმისკენ გაექცა, მაგრამ ხელები უმალ სახეზე მიიფარა, სკამზე დაეშვა და უსიტყვოდ ატირდა.

კოტე შეცბუნებული დასცქეროდა ქალის მოცახცახე მხრებს და როცა იმის შემჭკნარ, მაგრამ ჯერაც მოხდენილ კისერს შეავლო თვალი, ფეხი მოინაცვლა და მზერა მიცვალებულზე გადაიტანა. აჩიკოს ზეწარქვეშიდან ერთმანეთზე მიტყუპებული და კანაფით შეკრული ფეხები მოუჩანდა.

ქალი ტიროდა. მონოტონურად რეკავდა ძველებური კედლის საათი და ოთახში რაღაც საზეიმო, ამაღლებული განწყობილება ისადგურებდა. კოტე აჩიკოს ფეხსაცმელებს დასჩერებოდა - ახლები ჩანდა, სულ რამდენჯერმე ექნებოდა ნაცვამი.

საათი რომ დადუმდა, აბესალომი დაჯდა, ამოიხვნეშა და სკამი ააჭრაჭუნა. მერე პალტოს ჯიბიდან ქაღალდში გახვეული (იმ ქაღალდზე რედაქციის თანამშრომელთა სია ეწერა) ფული ამოიღო და ცარიელ სკამზე დადო.

ქალმა ტირილი შეწყვიტა და თავი აიღო. ცდილობდა, ფულისთვის არ შეეხედა, მაგრამ ვერ შეძლო, ერთი წამით მაინც შეავლო თვალი, მერე კაბის სახელოდან ცხვირსახოცი გამოიღო, თვალებზე მოისვა და მიცვალებულს მიაშტერდა:

- ტელევიზორს ვუყურებდით გუშინ და მითხრა, რაღაც ვერა ვარ კარგად, დავწვებიო... სასწრაფოს გამოვუძახებ-მეთქი, მაგრამ არ ქნა...

უეცრად, ცრემლი წასკდა, ცხვირსახოციანი ხელი სახეზე აიფარა და აქვითინდა. ეტყობოდა, რომ ტირილი შვებას გვრიდა. კოტემ თვალი აარიდა. მოპირდაპირე კედელზე ჩამოკიდებულ სურათებს გულდამძიმებული მიაჩერდა.

აბესალომმა ჩაახველა:

- დამშვიდდით, ქალბატონო ლამარა, რას იზამთ... ახლა გმართებთ გამაგრება.

ქალი გაჩუმდა, ქვედა ტუჩი ჩაიკვნიტა და თვალებში ცხვირსახოცი ამოისვა:

- ძალიან ხათრიანი იყო, საცოდავი, - თქვა ბოლოს და კოტეს მიაჩერდა, - უარს ვერავის ეუბნებოდა ... ვეხვეწებოდი, ნუ სვამ ამდენს-მეთქი, მაგრამ ვინ გიჯერებდა!

ამჯერად მშრალად, მკაფიოდ ლაპარაკობდა, ისევ კოტეს უყურებდა.

კოტე უხერხულად შეიშმუშნა, მერე მოპირდაპირე კედელზე ჩამოკიდებულ ერთ მომცრო პეიზაჟს დააკვირდა: მძიმე ღრუბელი სველი, დაძენძილი საბანივით დასწოლოდა მიწას. დასავლეთისკენ დაღერილი მზის მკრთალი დისკო იმ ღრუბლებში თეთრ ლაქად მოჩანდა. შორს, ამყაყებული ჭაობის მიღმა, ჰორიზონტსა და საბნის ბამბებგამოჩრილ ნაპირს შორის სინათლის კაშკაშა ზოლი გაჩენილიყო და მისი ანარეკლი ჭაობის მუქ ზედაპირს მთელს სიგრძეზე განათებული ბილიკივით გასდევდა. ჭაობის მომწვანო წყალში ფერნაცვალი არყები და რაღაც თხმელისმაგვარი ხეები იდგა, ჩამავალი მზის შუქით განათებული ლელი ნარინჯისფრად აალებულიყო, ხოლო შორს, ღრუბლებშორის გამოჩენილ მჭვირვალე ზეცას ნაზი, სუნთქვისშემკვრელი ვარდისფერი დასდებოდა.

კოტეს ადრეც არაერთხელ ენახა ეს პეიზაჟი, მაგრამ დიდი ყურადღება არასოდეს მიუქცევია. ახლა გრძნობდა, როგორ ნელ-ნელა იპყრობდა უცნაური, ყოვლისმომცველი სევდა, რანაირად ეღვენთებოდა ცვილივით დარბილებულ სულში ნაღველი და იმავე დროს, როგორ უიმედოდ იცლებოდა და იფიტებოდა.

- აბა, რას ბრძანებთ, შეწუხება რა სათქმელია, - ამბობდა აბესალომი, - ჩვენ, რაც გვევალება, ყველაფერს გავაკეთებთ: ნეკროლოგსაც გამოვაქვეყნებთ და უფასო განცხადებასაც!

კოტე გარეთ გავიდა, კიბის ბაქანზე სიგარეტს მოუკიდა და თამბაქოს მწარე კვამლი ნეტარებით ჩაისუნთქა.

ის ნახატი ადრეც ენახა, მაგრამ ახლა სხვა იყო, იმ კედლებზე გამოფენილ სურათებს ახლა სხვა ფასი ედებოდა... მოდიოდნენ მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები, ზურგზე ხელებშემოწყობილნი, დაფიქრებულნი ათვალიერებდნენ. ქალბატონი ლამარა ყავას ხარშავდა და თან ყურადღებით უსმენდა მათ აღტაცებულ საუბარს, თვალს აყოლებდა ოთახის ჭერისკენ წასულ თამბაქოს კვამლს, იმ კვამლთან ერთად მიიწევდა თვითონაც მაღლა, სულ მაღლა...

ის წეღანდელი დიდცხვირა კაცი ეზოში ჩასულიყო და ონკანთან წახრილი მუჭით სახეზე წყალს ისხამდა. კოტე კიბეზე დაეშვა, გვერდით გაუარა და ის იყო ქუჩაში უნდა გასულიყო, რომ მოესმა:

- ერთი წუთით, თუ შეიძლება!

გაჩერდა და უკან მიიხედა. კაცს ჯიბიდან დიდი, ჭრელი ცხვირსახოცი ამოეღო და სახეს იმშრალებდა.

- თქვენ რედაქციიდან ბრძანდებით, ხომ?

- დიახ...

- ესე იგი ჩვენი აჩიკოს თანამშრომელი.

- კი, ბატონო.

- ეჰ, რა ბიჭი იყო, საწყალი! - ცხვირსახოცი დინჯად დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო. - თქვენი სახელი?

- კოტე.

- კოტე... - გაიმეორა მან და ხელი გაუწოდა, - მე შალვას მეძახიან.
- სასიამოვნოა...
- ჩამომართვი, კაცო, ხელი!
კოტემ სველი, ცივი ხელი ჩამოართვა და დამნაშავესავით გაუღიმა.
- შალვა ხომერიკი გახლავართ, - განაგრძო მან, - არჩილის მეგობარი თუ ხარ, ჩემი სახელიც გაგეგონება.
- დიახ, რა თქმა უნდა! - ამ კაცის სახელი და გვარი პირველად ესმოდა, მაგრამ აღარ გააწბილა.
- რა მქვიაო, ესე იგი?
"მთვრალია", - გაიფიქრა კოტემ, მაგრამ მაინც მაშინვე უპასუხა:
- კოტე, ბატონო.
- ა, კოტე, ხო! მე არჩილის მეზობელი ვარ, აქვე ვცხოვრობ, მეორე ეზოში... ხო არ გადავსულიყავით ჩემთან, თითო ხომ არ... ჰა?
- არა რა, თქვენი ჭირიმე...
- როგორ, კაცო, თითო ჭიქა არ წავუქციოთ მიცვალებულს?!
- არა, სხვა დროს იყოს, ჩემო ბატონო...
- რანაირად შეიძლება ახლა ეს, ქართველები ვართ ბოლოსდაბოლოს!
- ათასი საქმეა, ხომ იცით... - პირმოთნედ იღიმებოდა წელში გადრეკილი კოტე.
ხომერიკი მოტყდა:
- ვიცი, კაცო, როგორ არ ვიცი — რედაქციაა, მიმსვლელია, მომსვლელია...
- დიახ.
- უხ, მიყვარს თქვენნაირ ხალხთან პურის ჭამა - მწერლებთან, მხატვრებთან, ჟურნალისტებთან!
- კარგად ბრძანდებოდეთ...
- ჰა?! ჰო, კარგად, კარგად! შევხვდებით კიდევ ერთმანეთს.
- აუცილებლად!
კოტე ქუჩაში გავიდა და შვებით ამოისუნთქა.
მაღლა, ტყიანი ფლატის ძირში ჭუჭყიანი თოვლი იდო, მაგრამ შორიახლო უკვე უსტვენდა შაშვი და ნეკერჩხლებიც ისეთი ამაყი მოლოდინით იდგნენ, რომ ეჭვი არ იყო, მალე აქაც დაიძახებდა გაზაფხული. თვალებმოჭუტული შესცქეროდა ფერდობზე შეფენილ ტყეს - ფოთოლგაძარცულ რცხილებსა და შავად გამომზირალ მუხებს, ქურთუკის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა და თავისდაგასაკვირად მთელი არსებით გრძნობდა საკუთარ სხეულს, ესმოდა, როგორ უძგერდა გული, რანაირად აუდ-ჩაუდიოდა სისხლი ძარღვებში, როგორ თანაბრად ევსებოდა და ეცლებოდა ჰაერით ფილტვები.
აბესალომმა ტალახიანი ქუჩა ფრთხილად გადმოჭრა, მანქანასთან მოვიდა და კოტეს საყვედურით შეხედა. მერე კარი გააღო და ჩაჯდა. კოტე გვერდით მიუჯდა.
მოტორი ამუშავდა და თავქვე დაეშვნენ.
ჩაიარეს ტალახიანი შუკა, მარჯვნივ ჩაუხვიეს, ერთხანს ქვაფენილზე იჯაყჯაყეს და მერე მოასფალტებულ, ვიწრო ქუჩას გაუყვნენ. კოტე ჩუმად ათვალიერებდა ერთმანეთზე მიხორხლილ სახლებს, რომელთა ქაოსურ განლაგებაში მაინც ჩანდა ერთგვარი კანონზომიერება, რადგან თითოეული სახლის ლავგარდანი, ფანჯარა თუ სადარბაზო შესასვლელი მისივე პატრონის ხასიათსა და იმ ურთიერთობებზე მე-ტყველებდა, ამ სახლებში მცხოვრებთა შორის რომ სუფევდა. ათვალიერებდა გამვლელებს, ქუჩის გასწვრივ მოწყობილ სკვერს, მზის სხივებზე მოლაპლაპე სველ ასფალტს, რომელსაც ოდნავშესამჩნევი, თხელი ორთქლი ასდიოდა და გრძნობდა, როგორ ფერმკრთალდებოდა ყოველივე, ნაცნობი სურვილით ატანილს რანაირად ექავებოდა საფეთქლები და უკუნი სიბნელიდან ნელ-ნელა მოტივტივებდა მთვარის შუქით განათებული უცხო ქალაქი, ბულვარში მოსეირნე ხალხი, ტროტუარის გასწვრივ

ჩარიგებული, მუშტრის მომლოდინე ეტლები და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, ჩქარი ნაბიჯით მიმავალი ტერორისტი ალექსანდრე ამირეჯიბი, რომელიც იმ საღამოს გლებ ივანიჩს უნდა შეხვედროდა საიდუმლო ბინაზე...

რედაქციის შენობაში არაფერი შეცვლილიყო, დერეფანში კვლავინდებურად მიმოდიოდნენ თანამშრომლები, სამანქანო ბიუროდან ყურისწამღები კაკუნი ისმოდა, რედაქტორის მისაღებში ისევ ისხდნენ თავისი რიგის მორჩილად მომლოდინე მთხოვნელები და კუთხეში აყუდებულ ხის საკიდზეც ძველებურდ მოჩანდა ვიღაცის გაცრეცილი ლაბადა, რომელიც აგერ უკვე მეოთხე წელი იყო, რაც აქ ეკიდა და კოტეს ვარაუდით რომელიღაც გაბრაზებულ ავტორს უნდა დარჩენოდა.

მის დანახვაზე მდივანმა გოგონამ სკამიდან წამოიწია:

- ბატონო კოტე... ბატონმა გივიმ, გამოჩნდება თუ არა, შემოვიდესო!

უეცრად, დერმანტინგადაკრული კარი გაიღო და ყველამ იქით გაიხედა — რედაქტორი ერთ ცნობილ ავტორს მოაცილებდა, მხიარული საუბრით მოსდევდა უკან.

- დიდი მადლობა, ბატონო უშანგ, სწორედ რომ სულზე მოგვისწრო თქვენმა წერილმა... აი, კოტეც მოსულა! ახლავე გადავცემ, მწერალი კაცია, მაგაზე კარგად ვინ მოამზადებს!

- თქვენ იცით, აბა! - თქვა უშანგმა და გამომშვიდობების ნიშნად ორივეს ხელი ჩამოართვა.

- შემოდი. - უთხრა რედაქტორმა, როცა ცნობილი ავტორი წავიდა.

კოტე კაბინეტში შეჰყვა და ზურგსუკან კარი მიხურა.

რედაქტორი დაჯდა, წერილს ჩააჩერდა, მერე თავი აიღო და ფეხზე მდგომ კოტეს ქვემოდან აჰხედა.

- იყავით?

- ვიყავით...

ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა.

რედაქტორი ცნობილი ავტორის წერილს უხალისოდ ფურცლავდა.

- თუ ძმა ხარ, ყურადღებით წაიკითხე, იქნებ რამე გამოიყვანო აქედან...

კოტემ ფეხი მოინაცვლა:

- გივი...

რედაქტორმა წერილს მარცხენა კუთხეში კოტეს გვარი წააწერა და რიცხვი დაუსვა.

- კიდევ რაღაც უნდა მეთქვა... ჰო, შენი ჭირიმე, კოტე, ჩვენს საწყალ არჩილზე ერთი კარგი, შენებური ნეკროლოგი უნდა დამიწერო!

- რამდენი გინდა?

- გვერდი, გვერდნახევარი... თუმცა, არა, მოდი, სამი გვერდი იყოს, ოღონდ, შენ რომ იცი ხოლმე, ისეთი, კარგი?

- კი ბატონო, მაგრამ...

- ჰო, რა იყო?

- პირველიდან შვებულებაში უნდა გამიშვა...

- ე, გაგიჟდი, რა დროს შვებულებაა?!

- თავიდან ბოლომდე მოფიქრებული მაქვს ყველაფერი, ერთი ჩაჯდომა უნდა და გამიშვი, რა!

რედაქტორი გაბრაზდა:

- ვერ უყურებ, კაცო, რა დღეში ვარ, არა გრცხვენია? ხო ხედავ, ძია მიშა პარასკევობით არ ცხადდება, ზურიკო კვირაში ორჯერ ხაშურშია, კასრაძე კაცმა არ იცის, სად დადის... შვებულების დროა ეხლა?! არა, არა, წაიღე ეს წერილი და სასწრაფოდ მომიმზადე, ოღონდ, ჯერ ნეკროლოგი დაწერე, იცოდე!

რედაქტორმა, იმის ნიშნად, რომ კამათს დამთავრებულად თვლიდა, სათვალე გაიკეთა, წვრილად ნაწერი მომცრო ფურცლების დასტა ახლოს მიიჩოჩა და კითხვას შე-უდგა.

კოტე ერთხანს კიდევ იდგა და უფროსს ჩუმად, რაღაცნაირი შვებითაც კი უმზერდა, მერე ცნობილი ავტორის წერილი მაგიდიდან აიღო, შებრუნდა და ოთახიდან ხმისამოუღებლად გავიდა.

მის დანახვაზე მდივანმა გოგონამ მორცხვად გაიღიმა და მაგიდის უჯრიდან სქელი რვეული ამოაცოცა.

- ბატონო კოტე... ძალიან გთხოვთ, ეგებ მოიცალოთ და ეს რვეული გადაათვალიეროთ...

- სიამოვნებით!

- იცით, ამასწინათ რომ წაგაკითხეთ, ისინი "ცისკარში" მივიტანე და მგონი მოეწონათ.

- მართლა? აბა, რა იქნებოდა!

- თქვენი ძალიან დიდი მადლობელი ვარ, ბატონო კოტე, ტაბაღუამ მითხრა, ვეცდები, შემოდგომისთვის დაგიბეჭდოო.

- ოოო, ძალიან კარგი, მომილოცავს! ამასაც უსათუოდ დღესვე წავიკითხავ.

- უიმე, როგორ გაწუხებთ!

- კარგი ერთი, რა შეწუხებაა!

კოტემ რვეული იღლიაში ამოიჩარა და მოსაცდელიდან გამოვიდა.

დერეფანში ჯოდორი შეეჩეხა, მკლავში ხელი გამოსდო, გვერდზე გაიყვანა და საიდუმლო ხმით უთხრა:

- წადი ახლა და გაგნიძეებთან დამელოდე... მე მოხუცს წამოვიყვან.

- არ მცალია, ჯოდორ, ნეკროლოგი მაქვს დასაწერი...

- ა, უყურე ამას?! არ გრცხვენია, ბიჭო, თითო ჭიქა მაინც არ წავუქციოთ საწყალ არჩილს?!

კოტე შეყოყმანდა:

- ცოტა მერე რო ჩამოვიდე?

- ახლა რომელია... - ჯოდორმა კედლის საათს ახედა, - პირველია... ერთი საათი ხომ გეყოფა?

- კი, კაცო!

- აბა, ზუსტად ორზე იქა ხარ!

- ბატონი ბრძანდები. - კოტემ ოთახის კარი შეაღო და შევიდა.

- არ გვალოდინო, ბიჭო! - დააწია ჯოდორმა.

კოტემ სკამი გამოსწია, მაგიდას მიუჯდა და უჯრიდან კალამი ამოიღო:

"არიან ადამიანები, რომლებიც..."

წინადადება გადაშალა და კალამი მიაგდო. ერთხანს ეგრე იჯდა, მერე სკამის საზურგეს გადააწვა, ფეხები გრძლად გაჭიმა და ოთახი მოათვალიერა. ოთახში, ჭრელი პეპლებივით დაფარფატებდნენ სიტყვები, თანდათანობით ფრაზებად, წინადადებებად ლაგდებოდნენ და ახლა ეს წინადადებები ირეოდნენ სივრცეში — სამგლოვიარონი, სულში ჩამწვდომნი, თვალზე ცრემლისმომდენნი...

ტელეფონის ზარი აწკრიალდა და კოტე ყურმილს დასწვდა.

- გისმენთ...

- ბიჭო, ნამუსი არა გაქვს შენა?

- მოვდივარ, ძია მიშა, მოვდივარ!

- დროზე!

კალამი უჯრაში შეინახა, ქაღალდი, რომელზეც ერთადერთი და ისიც გადაშლილი წინადადება ეწერა, მოჭმუჭნა და კალათში ჩააგდო, მერე ქურთუკი ჩაიცვა და ოთახიდან გავიდა. სამანქანო ბიუროსთან ერთი წუთით შედგა, შეყოყმანდა, მაგრამ ბოლოს თავს სძლია და კარი შეაღო:

- დეიდა ლიზა, ტელეფონთან!

ბიუროდან ხნიერი, ჭაღარა ქალი გამოვიდა და კოტეს თანაგრძნობის ღიმილით მიაჩერდა:

- რო არა მაქვს, შვილო?..
კოტემ მოინყინა.
- დაიცა! - დეიდა ლიზა ოთახში შებრუნდა და ცოტა ხნის შემდეგ იქიდან გაღიმებული გამოვიდა, - თუმანი გეყოფა? აი, ვენერას გამოვართვი.
კოტემ უსიტყვოდ გამოართვა, დაიხარა, ქალს შუბლზე აკოცა და კიბეზე დაეშვა.

* * *

გაგნიძეების სარდაფში ჩასულმა, შორიდანვე დაინახა, ჯოდორი და ძია მიშა. ისინი კუთხეში, ამოჩემებულ მაგიდასთან ისხდნენ, წინ სამი ბოთლი ღვინო, ჭიქები, ყველი, პური, მწვანილი და გაშავებული წიწაკის მწნილი ელაგათ.
- დაჯექი! - იყვირა ძია მიშამ.
- ეხლავე...
- დაჯექი, რო გეუბნები!
- ხელები დავიბანო რა, კაცო!
- ჰო, მიდი!
როცა ასეთი რიხით ლაპარაკობდა, ძია მიშა მუდამ ქეიფის გუნებაზე იდგა და კოტე მიხვდა, რომ დღეს დიდი სმა და დავიდარაბა არ ასცდებოდა.
"ჯანდაბას, — გაიფიქრა დარდიმანდულად, — საცა ვიწროა, იქ გაწყდეს!"
დახლთან მივიდა, ვალიკოს თუმნად ოთხი ბოთლი "გარეჯი" გაახსნევინა და სუფრაზე მიიტანა.
- აი, ხო გითხარი! - ნიშნისმოგებით უთხრა ძია მიშამ ჯოდორს.
- რად გინდოდა ახლა ეგ! - შეიცხადა იმანაც.
კოტე მაგიდას უხმოდ მიუჯდა, ნაკლულ ბოთლს მისწვდა და ჭიქები შეავსო.
- შენც იყავი არა, იქა? - ჰკითხა ძია მიშამ.
- ხო, ვიყავი...
- ქალი როგორ არი?
- როგორ იქნება...
- ტირის?
- ტირის.
კოტემ ჭიქა აიღო:
- ხსოვნა იყოს, ნათელში ამყოფოს.
ღვინო დალია და წიწაკის მწნილი მიაყოლა.
- დაწერე, ბიჭო? - ჰკითხა ჯოდორმა.
- არა.
- არაუშავს, დაწერ შენ მაგას!
გაგნიძემ, თეთრხალათიანმა, პირბუდაღმა კაცმა უშველებელი ტაფით ხახვში ჩახრაკული კურდღლის გულ-ღვიძლი მოიტანა და მაგიდის შუაგულში ჩადგა.
ჯოდორმა ჭიქა შეუვსო.
- რა არი, ბიჭო, ეგა? - ჰკითხა ძია მიშამ, სანამ გაგნიძე ჭიქას აიღებდა.
- კურდღელია, ბატონო...
- კურდღელი კი არა, ნუტრიაა!
- რავა გეკადრება, ძია მიშა! - შეწუხდა მზარეული.
- მეკადრება, თორე ეხლა!..
"ოო, დღეს მაგრად დავთვრები", - მხიარულად გაიფიქრა კოტემ და ძია მიშას ღიმილით მიაჩერდა.
- საწყალი აჩიკოს ხსოვნა-მოგონება ყოფილიყოს, - ამბობდა გაგნიძე, - არა მჯერა, კაცო, გუშინწინ აქ არ იჯდა, აი, ამ სკამზე?!
- კაცო, დალიე, ბევრს ნუ ლაპარაკობ! - ხმას აუწია ძია მიშამ.

- ა, ჩემო მიხო! - გაიცინა ჯოდორმა.
- გაანათლოს... - გაგნიძემ დახლისკენ გაიხედა, ჭიქა პირთან მიიტანა და ზალპით გამოცალა.
- კამპანიას გაუმარჯოს! - კაკუჩა წამოსდგომოდათ თავზე, სახეზე ცბიერი ღიმილი დასთამაშებდა.
- ოჰ, მოგვაგენი, შე პინგვინო? - გაეცინა ჯოდორს.
- დაჯექი! - უყვირა ძია მიშამ.
კაკუჩა დაჯდა, კოტემ ჭიქა შეუვსო.
- ვალიკო, თეფში! - გასძახა გაგნიძემ დახლიდარს და მაგიდას გაეცალა.
- როგორაა, ბიჭო, იქ საქმე? - ჰკითხა ძია მიშამ კაკუჩას.
- კარგად.
- რედაქტორს არ ვუკითხივართ?
- არა, ნუ გეშინია.
- ოჰ, მეშინია, თორემ ყურებზე ხახვი არ დამაჭრას. დაასხი!
ვალიკომ სუფთა თეფშები მოიტანა და მაგიდის კუთხეში დააწყო. ჯოდორმა იმასაც შეუვსო ჭიქა.
- არა, ჯოდორ, გენაცვალე...
- დალიე, კაცო! - უყვირა ძია მიშამ.
- კარგი რა, ძია მიშა, ხო იცი ჩემი გულის ამბავი...
- დალიე, რო გეუბნები!
- გაანათლოს საწყალი არჩილი, ხსოვნა იყოს, მის დანატოვარს გაუმარჯოს...
- ლაპარაკი კარგი გცოდნია, დალევა უნდა მაგას! - არ დააცალა ძია მიშამ.
ვალიკოს ხმა აღარ გაუღია, ჭიქა სულმოუთქმელად გამოცალა.
მალე სუფრას ორი კაცი კიდევ შემოემატა - გამწევი ხარივით მუშა, რედაქციის საქმის ერთგული ზურიკო შინდარელი და ზალიკო - ერთთავად პირმოთნედ მომღიმარი ბიჭი.
- ამ ჭიქით ჩვენს ეზო-ყურეს გაუმარჯოს, - ამბობდა ჯოდორი, - ალავერდი მოხუცთან!
სარდაფში თრითინასავით მოძრავი, ნაადრევად გამელოტებული სტილისტი თავდიშვილი ჩამოვიდა, რომელიც თვითონ არ სვამდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ფულის დახარჯვაზე მუდამ მზად იყო და ამიტომ მისი დანახვა ყველას გაუხარდა.
- ჰა, რავაა საქმე? - ხელების ფშვნეტით იკითხა მან და ცარიელ ბოთლებს თვალი მოავლო, - ამ წუთში იქნება ყველაფერი!
- ა, ძმაო, კაცი! - მოწონებით თქვა ზურაბ შინდარელმა.
თავდიშვილი დახლისკენ გაშპა.
ცოტა ხანში მოვიდა ვალიკო, მაგიდიდან ცარიელი ბოთლები წამოკრიფა და სავსეები ჩამოდგა. გაგნიძემაც მოიტანა დიდი, გაშავებული ტაფით კურდღლისა თუ ნუტრიის ხახვში ჩაშუშული გულ-ღვიძლი.
ზურიკომ პიჯაკი გაიხადა, პერანგის სახელოები დაიკაპიწა და ტაფა ახლოს მიიჩოჩა...
სუფრა გამოცოცხლდა, ახმაურდა, გამხიარულდა. წეღანდელი სამგლოვიარო განწყობილება სადღაც გაქრა და ქეიფი ნელა, მაგრამ ძალდაუტანებლად შევიდა ეშხში.
კოტე გრძნობდა, როგორ თანდათანობით თვრებოდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით იმ ფაზაში იყო, როცა ადამიანს ეჩვენება, რომ ღვინისაგან გონება დაეწმინდა, ამიტომ უფრო ნათლად აზროვნებს და სიტუაციასაც საკმაოდ კრიტიკულად აფასებს. იგი ჩუმად ათვალიერებდა გამოცოცხლებულ თანამეინახეებს და გულში, ცოტა არ იყოს, სწყინდა მათი ასეთი მხიარულება, ამასთან, თვითონაც გრძნობდა რაღაც შინაგან სილაღეს და ამის გამო სინდისის ქენჯნა აწუხებდა, მაგრამ საკუთარ გრძნობებში ბოლომდე მაინც ვერ გარკვეულიყო, რადგან სუფრაზე აუტანელი ხმაური იდგა.

- კანტი ვერ განთავისუფლდა ობიექტივისტური ტრადიციის გავლენისაგან და ამიტომ ვერ შეძლო ბოლომდე გაეტარებინა ტრანსცენდენტალური სუბიექტივიზმის თვალსაზრისი... - გაცხარებული ამბობდა კაკუჩა.

- რას ბჟუტურობ, ბიჭო, შენ! - ბრაზობდა ჯოდორი, რომელსაც ღვინით გალიცლიცებული ჭიქა ეჭირა ხელში და ამ ხმაურში სადღეგრძელოს თქმას ვერ ახერხებდა.

- სწორედ ამის გამო, კოპერნიკისეული გადატრიალება, რომელიც სამყაროს ცენტრად სუბიექტის გადაქცევაზე აცხადებდა პრეტენზიას, განუხორციელებელი დარჩა...

- შენ, ბიძია, ეს ხომ არ დაგავიწყდა? - ჯოდორი პიჯაკის ჯიბეში იქექებოდა, ბოლოს, როგორც იქნა, იქიდან პირადობის მოწმობა ამოიღო.

ყველამ კარგად იცოდა, რომ იმ მოწმობაში ჯოდორს ფეხბურთის მსაჯივით ორი ფერის ბარათი ედო - ყვითელი და წითელი. ამჯერად ყვითელი ბარათი ამოიღო და კაკუჩას უჩვენა.

- ძალიან გთხოვთ, ერთი სადღეგრძელოს უფლება მომეცით! - ხმა დაიბოხა შინდარელმა.

- მოიცა, კაცო!

- გთხოვთ!

- მივცეთ, მიხო?

- ჯანდაბას მაგისი თავი!

- თქვი, შე პინგვინო, თქვი...

- მეგობრებო, - ზურიკომ ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა და წამოდგა, - ამ პატარა ჭიქით, მე მინდა, ჩვენს დიდ მამულიშვილს, გორის მაზრის ბუმბერაზ წარმომადგენელს, მსოფლიო მნიშვნელობის გენიოსს...

- აჰ, აჰ, აჰ!!! - ჯოდორმა პირადობის მოწმობა ამოიღო, იქიდან წითელი ბარათი დააძრო და მაღლა ასწია.

- დადგი ჭიქა! - დაიღრინა ძია მიშამაც.

ზურიკომ ჭიქა დადგა და თუმცა ამგვარ რეაქციას წინასწარ ელოდა, სუფრას მაინც შეცბუნებული მზერა მოავლო:

- რა ხალხი ხართ, ძმაო, თქვენი ვერაფერი გამიგია...

- დაჯექი!

ზურიკო თამადას მიუბრუნდა:

- ბატონო ჯოდორ, სათაფლიაზე თუ ყოფილხართ თქვენა?

- კი. მერე?

- დინოზავრის ნაკვალევი თუ გინახავთ?

- მინახავს.

- ხომ კარგადაა მოვლილი?

- არა უშავს... - აშკარად დაიძაბა ჯოდორი.

- ხომ არის საიმედოდ შემოღობილი?

- ე ბიჭო, რა გინდა, ნუ დაგვტანჯე! - იყვირა ძია მიშამ.

- რა მინდა, ძია მიშა და, რომ გამოვუჭედეთ მსოფლიოს ყურები ტრაბახით, ვინც ჩამოვა, რომ მივარბენინებთ სათაფლიაზე, - აქანა ქართული დინოზავრი დარონინობდაო, - კაცი არ ჯობია ახლა ვითომ დინოზავრს?

- არა!

- რანაირად?!

- ზოგიერთი კაცი, მაგალითად შენ, დინოზავრს კი არა, ქათამს არ ჯობია!

- აბა, თქვენ რა უნდა გელაპარაკოთ ადამიანმა... - ზურიკო დაჯდა, ჭიქა მიიყუდა და ბოლომდე დაცალა.

- ოოო, ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! - დაიძახა ჯოდორმა და ფეხზე წამოდგა.

სარდაფის კიბეზე მთავარი რედაქტორი ჩამოდიოდა.

კოტე დათვრა და მართალია, ჯერ კიდევ შესწევდა იმისი უნარი, რომ გარშემო მყოფთათვის თავი ფხიზლად მოეჩვენებინა, მაგრამ გრძნობდა, მალე სულ ერთი გახდებოდა ყველაფერი. პირველი თრობის ბედნიერმა წუთებმა გაიარა, ახლა ნელა ეძალებოდა ჩვეული ნაღველი, იჯდა და ჩუმად, თავისთვის ეწეოდა. ბოლო დროს სმა ძველებურ სიამოვნებას აღარ ანიჭებდა, მაგრამ ნათქვამია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო და ახლა ადრინდელთან შედარებით უფრო ხშირადაც კი სვამდა, ამიტომ შინ გამუდმებული უსიამოვნება ჰქონდა. გუშინაც იჩხუბეს. ცოლი დაემუქრა - თუ კიდევ დაგილევია, იცოდე, შევკრავ ჩემს ბარგი-ბარხანას, მოვკიდებ ბავშვს ხელს და დედასთან გადავალო! ჯანდაბამდე გზა გქონიაო, უყვირა მაშინ, მაგრამ ახლა ძალიან აწუხებდა ეს ამბავი - რას იტყვის, დღესაც რომ ნასვამი მივალო. მაგრამ გვიან იყო უკვე და კოტეც მწყურვალივით სვამდა, ჭიქაში წვეთს არ ტოვებდა, ცდილობდა მალე შესულიყო იმ ფაზაში, როცა ყველაფერი მნიშვნელობას კარგავს და სულ ერთი ხდება.

- თქვენ, ბატონო გივი, პატარა ილია ჭავჭავაძე ბრძანდებით, - ამბობდა კაკუჩა, - თქვენმა დაუღალავმა შრომამ, უსაზღვრო ნიჭმა და საქმისადმი გასაოცარმა სიყვარულმა ჩვენი ჟურნალი სრულიად ახალ მწვერვალზე აზიდა!

- ლაპარაკი კარგი გცოდნია, დალევა უნდა მაგას! - შეაწყვეტინა ძია მიშამ.

- კარგი რა, ძია მიშა, აცადე! - უსაყვედურა გივიმ.

- ჰა, ჩემო გივი! - გაიცინა ჯოდორმა.

- რა მოგივიდათ, ე, დათვერით?! თქვი, კაკუჩ, თქვი!

მოვიდა გიგა კაკაბაძე, რომელსაც მუდამ სადღაც ეჩქარებოდა და ძალიან უყვარდა შეკითხვების დასმა. წიგნიც კი ჰქონდა დაწერილი - "ასი შეკითხვა მკითხველს".

- რა ხდება? - იკითხა მან, - რედაქცია აქ გადმოიტანეს?

- დაჯექი! - უთხრა ძია მიშამ.

- არა, ძია მიშა, მეჩქარება, წასასვლელი ვარ.

- დალიეე!

- ჰო, ჰო, კარგი... - გაეცინა გიგას, - რა ღვინოა?

- ხაშმური საფერავი. ვერ ხედავ, რაც არის?

- გარეჯია?

- დაამთავრებინეთ ამ კაცს სადღეგრძელო! - გაბრაზდა გივი.

სარდაფის ჩამოსასვლელში ერთი წამით აბესალომის დადარაჯებული სიფათი გამოჩნდა, მაგიდასთან მსხდომნი მოათვალიერა და მაშინვე გაქრა.

ზაალს გაეცინა.

- ვინ იყო? - ჰკითხა გივიმ.

- ბატონმა აბესალომმა დაგვხედა.

- აუ, ბიჭო! - რედაქტორს უსიამოვნოდ დაემანჭა სახე.

- წავიდეს, მაგის... — შეიგინა ძია მიშამ და მერე ზალიკოს შეუბღვირა, - დაასხი, შე ტარაკანა, გაშრა ყელი!

- ჰა, ჩემო აბესალომ! - დაიყვირა ჯოდორმა.

- მოიცათ, ზურიკოს არ დაულევია ჩემი სადღეგრძელო! - თქვა გივიმ.

შინდარელი წამოდგა:

- გაგიმარჯოთ, ბატონო გივი... - დაფიქრდა, ჭიქას ჩააცქერდა, - წეღან თქვენ აქ ილიას შეგადარეს. არ არის მართალი! თქვენს ხასიათში შერწყმულმა ორმა ძირითადმა თვისებამ - რაციონალიზმმა და ჯანსაღმა რომანტიზმმა, რომელსაც უდიდესი განათლება დაერთო თან, სრულიად ახალი ტიპის რედაქტორად ჩამოგაყალიბათ. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვი, რომ თქვენ სუპერთანამედროვე რედაქტორი ბრძანდებით...

- ჰა, ჩემო ზურიკო!

- ჯოდორ! - საყვედურით გადახედა გივიმ თამადას.

- ლატომ მლიქვნელობ, ზულიკო, ალ გლცხვენია? - დაიწრიპინა კაკუჩამ.

ზურიკომ სუფრის წევრებს დამცინავი ღიმილით მოავლო თვალი:

- თუკი ვინმეს ეჩვენება, რომ ტყუილს ვლაპარაკობ, შეუძლია საწინააღმდეგო აზრი გამოთქვას და საერთოდ, მლიქვნელის ხმა მესმის!

უეცრად, კაკუჩა წამოხტა და სკამი გადააყირავა:

- თუ შეიძლება, ერთი წუთით გარეთ გამოდი!

ზურიკომ ჭიქა დადგა, კაკუჩას მკლავში ხელი გამოსდო და სარდაფის ასასვლელისკენ წაიყვანა.

ზალიკო იმათ უკან გაჰყვა.

- შეეშვი, - დაუძახა ჯოდორმა, - თავისი საქმის თვითონ იციან!

- მოდით ორივე აქ! - თქვა უცებ გივიმ და ფეხზე წამოდგა.

ზურიკო და კაკუჩა მობრუნდნენ, რედაქტორს მიუახლოვდნენ და მის წინ მორჩილად დადგნენ.

- თქვენ, ბიჭო, ხო არ გინდათ, ორივე დაგზნეყვოთ, ა? - გივი ძველი მოკრივე იყო და ტყუილად არ იმუქრებოდა. - დასხედით და თქვენი ხმა არ გავიგონო აქ!

ბიჭები უსიტყვოდ დასხდნენ.

კოტე ჩუმად უყურებდა იმათ და თავის დაუწერელ რომანზე ფიქრობდა, რომელიც დაახლოებით ასე უნდა დაეწყო: "ტერორისტი ალექსანდრე ამირეჯიბი თავის პატარა ოთახში საწოლზე გაუხდელი გულაღმა იწვა, ხელები თავქვეშ ამოეწყო და დალაქავებულ ჭერს მიშტერებოდა. გარეთ ნელ-ნელა ბინდდებოდა. ქუჩიდან ისმოდა ქვაფენილზე ჩავლილი ეტლების გრუხუნი, ცხენების ფლოქვთა ცემის ხმა და ბულვარში მოსეირნე ადამიანების მხიარული საუბარი. ქვემოდან, პირველი სართულის სასტუმრო ოთახიდან კი სახლის პატრონის, ვარვარა სტეპანოვნა ვორობიოვას ქმრის, ანდრეი პალიჩის განწირული ჭყვირილი ისმოდა, რომელსაც დალევა უნდოდა, მაგრამ მრისხანე დიასახლისი ტრაქტირში არ უშვებდა"... თითქმის ყველაფერი მოფიქრებული ჰქონდა - იცოდა დასაწყისი, ამბის განვითარება, ისიც, თუ სად უნდა შეეკრა კულმინაციური წერ-ტილი, როგორ უნდა გაეხსნა კვანძი, — ერთი ჩაჯდომა უნდოდა, მეტი არაფერი, მაგრამ სწორედ ეს ჩაჯდომა უჭირდა. ხან რას იმიზეზებდა და ხან კიდევ რას, მაგრამ ახლა უცნაურ, დაუოკებელ სურვილს აეტანა, ხელები ექავებოდა, საფეთქლები სტკიოდა და ასე ეგონა, ახლავე რომ დამჯდარიყო, მთელ წიგნს ერთი ამოსუნთქვით დაწერდა...

- ადექი, ადექი... რა მოგივიდა, კაცო, დათვერი?!

თავზე ჯოდორი დასდგომოდა და ანჯღრევდა.

- ჰო... რა იყო!

- ადექი, მიხო ვერაა, ეტყობა, კარგად!

კოტე ახლაღა გამოფხიზლდა, სუფრა მოათვალიერა, მაგრამ ძია მიშა იქ აღარ დაუხვდა.

ჯოდორი სარდაფის კიბეზე ადიოდა.

ძია მიშა ტროტუარის კიდეზე იჯდა და დიდი, ძველებური ბუკლეს კეპი მუხლზე ედო.

- ჰა, ძია მიშა, სასწრაფოს ხომ არ გამოვუძახო? - ჰკითხა შეშინებულმა კოტემ.

- სასწრაფოს არა, მაგრამ ტაქსს თუ გამიჩერებ, კარგს იზამ. დავთვერი, ბიჭო, ხო იცი...

მოსაღამოვებულიყო. ქუჩაში სამსახურებიდან გამოშლილი ხალხი ზიმზიმებდა. არ იყო ასეთ დროს ტაქსის შოვნა იოლი, მაგრამ ბედად კერძო მანქანის მძღოლმა გაუჩერა.

- წამოგყვები, ძია მიშა!

- შენს თავს მიხედე შენ, არ მოვკვდები, ნუ გეშინია!

თავს ძალით იყოჩაღებდა, თორემ ისე აშკარად ცუდად იყო - სახეზე მიტკლისფერი ედო და თვალის უპეებიც ჩამუქებოდა.

- არაფერია მაგი, ნუ გეშინია. - დაამშვიდა ჯოდორმა, როცა ძია მიშამ კარი მიიჯახუნა და მანქანა წავიდა.

სარდაფის ჩასასვლელთან იდგნენ და კოტემ იგრძნო, რომ აღარ უნდოდა იქ ჩასვლა — ღვინო მოჰკიდებოდა და ცოტა არ იყოს, გულსაც აზიდებდა.

- წავალ ახლა მე... - თქვა მან.

- მოიცა!

- წავალ, ჯოდორ, ნეკროლოგი მაქვს დასაწერი...

- დაწერ შენ მაგას... ხვალ. ახლა ერთგან უნდა წამომყვე აუცილებლად.

- წვეთის დამლევი აღარა ვარ, იცოდე!

ჯოდორმა დაასლოკინა:

- კი კაცო, ნუ დავლევთ, მარა მივიდეთ მაინც, აგერაა, სულ ახლოს.

ნელი ნაბიჯით გაუყვნენ ქუჩას. მიდიოდნენ, მიბარგანაობდნენ, ხანდახან მხრებით ეხლებოდნენ ერთმანეთს. ციოდა. ტროლეიბუსის გაჩერებასთან მოგროვილი მგზავრები ტრანსპორტის მოლოდინში ლანდებივით ჩუმად იდგნენ. კოტეს მიუსაფრობისა და სიცარიელის გრძნობა დაეუფლა - ეცოდებოდა ის ხალხიც, საკუთარი თავიცა და ძია მიშაც, რომელიც მივიდოდა ახლა გამოციებულ სახლში, ენის ქვეშ ვალიდოლს ამოიდებდა და ჩაწვებოდა გაყინულ ლოგინში.

ჯოდორი რომელიღაც სადარბაზოში შევიდა და კოტეც თან შეიყოლა. არ გასძალიანებია — ახლა მისთვის უკვე სულერთი იყო ყველაფერი. მძიმედ აბარგანავდნენ კიბეზე და ზარი დარეკეს. კარი სათვალიანმა, თმაგათეთრებულმა ქალმა გაუღო.

მოხუცმა ჯოდორი იცნო და ალერსიანად გაუღიმა:

- რა ქარმა გადმოგაგდო, ყმაწვილო?!

ჯოდორი დაიხარა, ხელზე უნდოდა ეკოცნა, მაგრამ წინ გადაქანდა და კინაღამ წაიქცა.

- მობრძანდით, შინ შემობრძანდით!

დერეფანში შევიდნენ.

- ნინო, ნინო, - დაიძახა ქალმა, - აბა, გამოიცანი, ვინ გვესტუმრა!

ოთახის ღია კარიდან მეორე მოხუცმა გამოიხედა, იმასაც სათვალე ეკეთა, იმასაც შალი მოეხურა მხრებზე:

- ჩხირი კედელს, ჩხირი კედელს!

- მობრძანდით, ყმაწვილებო, მობრძანდით! - გახარებული იმეორებდა პირველი მოხუცი და კოტემ იგრძნო, როგორ ნელ-ნელა გაუთბა სული და წეღანდელი მიუსაფ-რობის კვალიც კი აღარ დარჩა.

ბროლის ჭაღით განათებულ დიდ, ძველებურ დარბაზში შევიდნენ და ხავერდგადაკრულ სავარძლებში ჩასხდნენ. პირველი მოხუცი სადღაც გაქრა, მეორე სტუმრებს წინ ჩამოუსკუპდა და კოტეს ღიმილით მიაჩერდა:

- ეს ყმაწვილი?..

- ჩემი მეგობარი გახლავთ, დეიდა ნინო, კოტე!

- რა გვარი ბრძანდებით?

კოტემ უთხრა თავისი გვარი და მოხუცმა ღიმილით დაუქნია თავი.

ოთახში თბილოდა და ძილი მოერია. ერთხანს, ეტყობა, ჩათვლიმა კიდეც, რადგან, როცა თავი აიღო, დაინახა, რომ მოხუცებს სუფრა გაეწყოთ და ახლა სტუმრებს მაგიდასთან ეპატიჟებოდნენ.

ჯოდორმა ბროლის გრაფინიდან ჭიქები არყით შეავსო:

- დეიდა ნინო, დეიდა სალომე... ცუდი ამბავი უნდა გითხრათ: საწყალი არჩილი გარდაიცვალა - ამასწინათ რომ მყავდა აქ, ჩვენი ჟურნალის მხატვარი...

- რას ამბობ, ბიჭო?! - სალომემ მოკუმულ ტუჩებზე ხელის გული მიიფარა.

- ჰო, მოკვდა საწყალი... წუხელ. - მერე კოტეს ჭიქა მიუჭახუნა, - გაანათლოს!

კოტემ უხმოდ დალია. ჭაჭის არაყმა ყელი ჩასწვა, და სუნთქვა შეუკრა.

- მურაბა, მურაბა მიაყოლეთ! - უთხრა სალომემ.

კოტემ ლეღვის მურაბა გადაიღო, მაგრამ ამასობაში ამოისუნთქა კიდეც. არაყმა ბოლო მოუღო. ახლა მის წინ ორი კი არა, ოთხი მოხუცი იჯდა და ოთხივე ნაღვლიანად უღიმოდა.

- რომანი უნდა დავწერო, - თქვა უცებ, - ყველაფერი მოფიქრებული მაქვს, ფინალიც კი ვიცი უკვე!

ყელში რაღაც დიდი, ხორკლიანი ბურთი გასჩროდა და ლაპარაკს უშლიდა. უცნაურ გუნებაზე დამდგარიყო, რატომღაც უნდოდა, რომ ამ მოხუცებისთვის ბოლომდე გადაეშალა გული, მაგრამ აზრს ვერ აბამდა, ენა ეშლებოდა, ბორძიკობდა:

- დღე და ღამე ვიმუშავებ... წავალ, გადავიკარგები სადმე... ქაღალდი... ქაღალდი ხომ მაინც იშოვება!

- ქაღალდი ჩემზე იყოს! - იყვირა ჯოდორმა.

კოტემ ჭიქა აიღო და წყალივით გადაჰკრა. არაყს გემო დაჰკარგვოდა.

გარეთ რომ გამოვიდნენ, ფეხზე ძლივს იდგნენ. ჯოდორი მეზობელ ქუჩაზე ცხოვრობდა, მაგრამ ძლივს მიაღწიეს იქამდე. ჩაბნელებულ ქუჩაში ხელიხელგადახვეულები იდგნენ და ლაპარაკს არ აცლიდნენ ერთმანეთს:

- აუცილებლად უნდა დაწერო! - ყვიროდა ჯოდორი.

- წავალ, გადავიკარგები, სადმე, მიყრუებულ სოფელში... ჩავჯდები და ვიმუშავებ ჩემთვის...

- ახლავე უნდა წახვიდე!

- ჰო... ახლავე... სიგარეტი და წყალი, მე მეტი არაფერი მინდა...

- მოიცა...

- დღე და ღამე ვიმუშავებ...

- მოდი, აქ დამელოდე, გაიგე?

- ჰო...

- იცოდე, არსად წახვიდე, დამელოდე!

ჯოდორი სიბნელეში გაუჩინარდა.

კოტე იდგა და გრძნობდა, როგორ ივსებოდა ენერგიით, რანაირად უცემდა გული. დარწმუნებული იყო, რომ მიეშვათ, მთას გადააბრუნებდა. ჯოდორი რომ მოვიდა, დიდი ხნის უნახავივით დაეძგერა და ჩაბუბნა.

- მოვიტანე, - უთხრა მან და ხელში რაღაც მოზრდილი შეკვრა მიაჩეჩა, - წავედით!

- ეს რა არის...

- ქაღალდია... ჰა, წავედით, მატარებელს უნდა მივუსწროთ!

ქუჩას ბარბაცთ გაუყვნენ.

- ჩემს სოფელში გაგიშვებ, აბედათში, - ეუბნებოდა ჯოდორი, - იქ სახლი მაქვს, აი, გასაღები, დაჯექი და იმუშავე რამდენიც გინდა, შენი ხელის შემშლელი არავინ იქნება!

ვაგზალზე უამრავი ხალხი ირეოდა. მატარებლის გასვლამდე ნახევარი საათი კიდევ იყო და რესტორნის დახლთან ზეზეულად გამოცალეს თითო "კახეთი". ჯოდორმა გზა დაულოცა, მერე მატარებელში ჩასვა, და ვაგონის გამცილებელი დაარიგა, ამ კაცს მიმიხედეო.

კუპეში შევიდა თუ არა, კოტე დაწვა და მაშინვე დაეძინა.

* * *

ჭალის ტყეში ერთი დიდი წნორის ქვეშ იჯდა და სიცივისაგან ბაბანებდა. შორიახლოს მდორედ მიედინებოდა მდინარე. ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა, აღარც მატარებელი იყო სადმე და აღარც ის კაცები. წამოიმართა, ძლივს აამოძრავა გახევებული სახსრები, მტკივან ფერდზე ხელის გული მიიდო და მიმოიხედა...

ერიჟრაჟა. მაღლიდან, ბურუსიანი ციდან მღვრიე არყისფერი შუქი მოჟონავდა და იქაურობას თანდათანობით აჩენდა: თოვლში შავად იდგნენ ფოთოლგაძარცვული,

მახინჯი ხეები, ტრიალი მინდვრის ბოლოში ყინვისგან შეჭირხლული ტყის მონაცრისფერო ზოლი მოჩანდა, უფრო იქით კი თეთრად ჩამოლესილი მთაგრეხილი გადაჭიმულიყო.

დაჟინებით მისჩერებოდა იმ მთაგრეხილს —თითქოს ეცნო მისი დაკბილული კონტურები, ალაგ-ალაგ შავად ჩამოღადრული კლდეები, ტყიანი ფერდობები და უეცრად, სიხარულისაგან სულ დაავიწყდა ყინვაც და ტკივილიც, გაჩქარებული შეუდგა აღმართს. კოჭლობით მიდიოდა, ღრმა თოვლში მიფორხილობდა და როცა ჭალის ტყე აათავა და მოშიშვლებულ სერზე ავიდა, სიცილი წასკდა — ქვემოთ, ფერდობის ძირში მხიარულად ციმციმებდნენ ელნათურები...

თავქვე დაეშვა, ახლა აღარც სიცივე აწუხებდა აღარც ტკივილი. სოფელში რომ შევიდა, ირგვლივ მამლები ყიოდნენ, ისმოდა ძაღლების ყეფა, მოშიებული საქონლის ბღავილი. სიცივისაგან აბუზული ბავშვები ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ სკოლისაკენ.

კოტემ შარაგზიდან ნაცნობ ორღობეში გადაუხვია და სულ მალე მწვანედ შეღებილ ჭიშკარს მიადგა. ეზოს სიღრმეში ორსართულიანი სახლი იდგა, იქ გოგია შუბითიძე ცხოვრობდა, კოტეს უნივერსიტეტელი ძმაკაცი - მსმელი, მომლხენი, პურმარილიანი კაცი.

სახლის საკვამურიდან სტუმართმოყვრულად, სქელ-სქელ ბოლქვებად ამოდიოდა შავი კვამლი. კოტემ ერთი წუთით წარმოიდგინა გოგიას გაოცებული სახე, მისი გაბრწყინებული თვალები, სიცილისაგან ათახთახებული ღიპი, გაეღიმა და ეგრე გაღიმებულმა შეაღო ეზოს ჭიშკარი.

1987 წ.

<u>ფულის სუნი</u>

ტოლედოში რომ ოქროს მედალი ავიღე, ჭიდაობას იმ წელიწადს დავანებე თავი... დამიძახეს სპორტკომიტეტში - მლანძღეს, მთათხეს, მეხვეწნენ, რაღას არ შემპირდნენ, მაგრამ რაკი ერთი შევჯექი ვირზე, აღარ ჩამოვედი!

მართალი გითხრა, მეც არ ვიცი, რა დამემართა - საჭიდაოსკენ აღარ მინდოდა გახედვა. ჭკუა, თორემ ისეთ ჯანზე ვიყავი, ქვას წვენს ვადენდი, ადე რა, იჭიდავე, შე ოხერო მამაძაღლო!

ამ ჩვენს რაიონს სახელიანი მოჭიდავეები არ აკლია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონი, ხო იცი, მაინც სხვა რამეა - ხელის გულზე მატარებენ, ერთი მე ვარ და მეორე - ჩვენი რაიკომის პირველი მდივანი! დავდივარ, დავიჯგიმები, მამალ ბუზს არ ვისვამ თავზე.

საწყალი მამაჩემი სულ იმას მეჩიჩინებოდა - სანამ გამავლობა გაქვს, საქმეში ჩადექიო, მაგრამ ვინ უგდო ყური...

დამიძახეს ერთხელ რაიკომში - მილიციის უფროსის მოადგილედ უნდა გაგიშვათო. არა-მეთქი, მილიციაში ვერ წავალ-მეთქი. სულელი კაცო!

დავდივარ, დავქეიფობ, ხან აღმა ვარ, ხან - დაღმა, მაგრამ ის ერთი დრო ვის შერჩენია, რომ მე შემრჩენოდა?

გავიდა ხანი, მამაჩემი, საწყალი, გადაბრუნდა და მოკვდა. მანქანა დავლეწე - ხევში გადავაგდე მთვრალმა. მანქანას ვინ ჩიოდა, სიკვდილს ძლივს გადავურჩი - ფეხი მომტყდა, ლავიწის ძვალი, სამი ნეკნი... ამ სასმელმაც მაგრად დამრია ხელი, დამაგდო, დამაჯანდაგა, მაგრამ მაინც ვერ ვეშვები. ერთი სიტყვით, აღარ ვვარგივარ. ეს ძმაკაცებიც შემომეფანტნენ - წინათ რომ ბუზებივით მეხვივნენ, ეხლა მერიდებიან, ზოგი სალამსაც კი აღარ კადრულობს!

მივალ მთვრალი შინ, ამოვიღებ კომოდის უჯრიდან ოქროს მედალს, დავცქერი და ჩამომდის ღაპაღუპით ცრემლი. აღარ არის ჩემი საცოდაობით საწყალი დედაჩემი!

ითმინა, ითმინა და ბოლოს მითხრა: არაო, შვილოო, ცოლი უნდა შეირთოო!

გამეცინა: რას ამბობ, დედი, ნეტა მე ვიღას ვუნდივარ-მეთქი?!

დაუძახა თავის ძმას, ბიძაჩემ იაგორას, დასხდნენ, იჩურჩულეს, იტუტუნეს და დამანიშნინეს მეორე შაბათს ქალი. წლისთავზე, ეს მაიმახი ბიჭი რო შეგვეძინა, დედაჩემმა თქვენი ჭირი წაიღო... დაგვრჩა მე და ამ ჩემს დედაკაცს პაპიჩემის აშენებული ძველი სახლი, ხუთი მეასედი საბოსტნე და თხუთმეტიც სავენახე. ღმერთმა უშველოს, კარგი მეოჯახე კი გამოდგა - შრომობს, წელებზე ფეხს იდგამს. მე მაინც გარეთ მიჭირავს თვალი, სასმელს ვერა ვთმობ.

აბა, მაშინ ხომ რანაირი ცხოვრება იყო - ბევრი ურევდა თაფლის კასრში ხელს, ზოგი ორშიც. ააშენეს დიდი, დიდრონი სახლები სულ რკინაბეტონისა. ჩემი ძველი, ხისაივნიანი ქოხი იმათთან რა მოსატანი იყო!

ამიტყდა ეს ჩემი ცოლი: კაცო, ხო უყურებ, დაკეთდა ხალხიო. ადე, ცოტა მიდექ-მოდექი, ბიჭს ამხანაგები ვერ მოუყვანია შინაო.

წავუყრუე, ვითომ არ მესმის, მაგრამ როდემდე?

ავდექი ერთხელ, ჩავიცვი რკინის ქალამანი, დავიჭირე რკინის ჯოხი და მოვედე რაიონს. ზოგი ჩემი ყოფილი ძმაკაცი ცემენტის ქარხანაში მუშაობს, ზოგი აგურისაში. გავახსენე ჩემი თავი და ძველი დამსახურება რაიკომ-აღმასკომის ხალხსაც. ეგრე ხვეწნითა და ყელისწევით ჩამოვითხოვე აგური, ცემენტი, არმატურა, შიფერი და რა ვიცი, რაღა არა... ვიშველიე მეზობლები და სამ დღეში ავიყვანე კედლები. ნათქვამია - საგონებელო წლისაო, საქმე ხარ მინუტისაო! - ორ კვირაში გადავხურე კიდეც.

რაკი სახურავქვეშ მოვაქციე, გული საგულეს ჩავიდე. ახლა რა სცოდნია, კაცო, ერთი სული მაქვს, იატაკს როდის დავაგებ, შიგნით-გარედან როდის გავლესავ. დავდივარ ისევ იმ რკინის ქალამანამოცმული, ისევ ის რკინის ჯოხი მიჭირავს ხელში, ხან ვის მივადგები კარზე და ხან კიდევ - ვის.

ერთი ძმაკაცი მყავდა, ისიც ჩემსავით ძველი მოჭიდავე, სამხერხაოს გამგედ მუშაობდა, მტკვარგაღმა, ხიდის ყურში ჰქონდა ცეხი. მივედი, დაველრიჯე: ვალიკო-მეთქი, ერთი რვა კუბომეტრი ფიცარი მინდა, პოლისა, ეგებ როგორმე სახელმწიფო ფასში მომიხერხო-მეთქი.

უარი არ უთქვამს: რას ამბობო, რაზეა ლაპარაკიო, მაგრამ ეხლა მასალა არა მაქვს, ერთ კვირაში გამომიარე, მაშინ მექნება და შენი ხმალი და ჩემი კისერიო!

წამოვედი გახარებული, თავი ქუდში მგონია. იქითა კვირას გაჯიც ვიშოვნე, მაგრამ სანამ იატაკს არ დავაგებ, ხომ ვერ გავლესავ! მეორე კვირას, მართლაც, მივადექი იმ ჩემს ძმაკაცს. მოუტანიათ დიდი ხეები, სულ რუსეთის ნაძვი და ფიჭვი, მუშაობენ, ორივე ხერხს გაუდის წუილი...

გამეხარდა, ეგ არის და ჩემი საქმე-მეთქი! მაგრამ ვალიკომ - არაო, ეს მასალა რაიკომის კონტროლზეა აყვანილი, მაგას გრამი არ მოაკლდებაო. იქითა კვირაში მექნება საშუალება და მაშინ გამომიარეო.

რაღას ვიზამდი, წამოვედი, ცოტა არ იყოს წელათრეული, მაგრამ იმედი არ დამიკარგავს, იმ მესამე კვირას ველოდები...

ამასობაში, დაიწყო გაზაფხულის წვიმები, გაჯი მიფუჭდება, აღარ ვიცი, რა ვქნა! როგორც იყო, გავიდა ის კვირაც და მივედი...

როგორაო, კაცოო, გადამთიელები ხო არა ვართო, ხელი ხელსა ჰბანს და ორივე ხელი - პირსაო, მაგრამ, აბა, მასალა რო აღარა მაქვს, რითი გიშველოო! იქით კვირაში გამომი-არეო...

წამოვედი გამტკნარებული... ისეთი ვარ, დანა რომ დამკრა, წვეთი სისხლი არ გამომივა.

გამოვიარე სასადილოში, ბიჭები ქეიფობენ, დავითვერი, დავითვერი, რო კამეჩი მღვდელი მგონია! შინ რომ მივედი, დამიწყო ამ ჩემმა დედაკაცმა ჩხუბი - შენაო, შენი

მუცელი გირჩევნია ყველაფერსაო. აიო, სულ გავერანდა გაჯიო (ვითომ მე კი არ ვიცოდი), სადღა გვაქვს ამისი საყიდელი ფულიო!

გაჩუმდი, დედაკაცო-მეთქი!

არა, არა ჩუმდება. იმდენი ქნა, სანამ კარგისები არ გამომტყუა, მაგრამ მთვრალი კაცი ხო იცი, ზედმეტი მომივიდა, სამი დღე ლოგინიდან ვეღარ ადგა...

დავდივარ გაბოროტებული, ხელიდან არაფერი გამომდის, ვიღრინები.

გავიდა, როგორც იყო, ის ერთი კვირაც და მივედი ისევ, მივადექი ღვთის გლახასავით - საკუთარი თავი მეჯავრება!

საღამოს პირია. სამხერხაოს ეზოში ორი მანქანა დგას - "კოლხოზნიკი" და შავი "ვოლგა". შევედი, შევუღე კაბინეტის კარი. ვიღაც კაცები უსხედან, ქაღალდებში იქექებიან, საანგარიშოებს აჩხაკუნებენ...

ამ ვალიკოს ისეთი ფერი ადევს, იტყვი, კაცი ჰყავს მოკლულიო!

გამოდი, ვალიკო, კარში-მეთქი!

გამოვიდა და მეტუტუნება: აბა, კუნწულ, შენთვისა მცალია ეხლაო?! ვერ უყურებ, რა დღეში ვარ, რევიზია მიზის, თავზე ცეცხლი მიკიდიაო... წადი, წადი და იქით კვირაში გამოიარეო...

გამოვედი, გამოვბარგანავდი გარეთ. მიწა რომ გამისკდეს და თან ჩამიტანოს, ის მინდა... იგრე ვარ გამტკნარებული, გუნებაშიც კი ვეღარ ვიგინები. ვდგავარ ამ სამხერ-ხაოს ეზოში, ვუყურებ მორებს, დახერხილ, ერთმანეთზე დათაკრულ ფიცარს, ვიცი, რომ მე აქ მომსვლელი აღარა ვარ და ლამის არის ჯავრისაგან გული გამისკდეს!

ფლატის პირზე საპირფარეშო დავინახე. ვიფიქრე, შევალ, ბარემ მოსაშორებელს აქვე მოვიშორებ-მეთქი. შევედი. ხომ იცი, როგორიც არის ჩვენებური საპირფარეშოები - ორმოზე მრგვლად ამოჭრილი ორი სქელი ფიცარია გადებული. ვდგავარ, ჩემსას ვსაქმიანობ და თან იმ ნახვრეტში ჩავიცქირები, თანდათან სიბნელესაც შევაჩვიე თვალი და რასა ვხედავ: მთელი ის ორმო სულ დაპაჭკული ფულით არის სავსე!

ჯერ ვიფიქრე, მეჩვენება-მეთქი, მაგრამ არა, კაცო, ფულია! ჩავცუცქდი, ჩავყავი ხელი და ამოვიღე ოცდახუთმანეთიანების შეკვრა, ოცდახუთმანეთიანი ხო გახსოვს, ლენინის თავი ეხატა ზედა. ვატრიალებ ხელში, ვათვალიერებ - ნამდვილია, კაცო! გავიხედე კარის ღრიჭოდან, ეზოში კაცის ჭაჭანება არ არის... ჩავიჩოქე, ჩავყავი ხელი და ამოვიღე ახლა ხუთმანეთიანებისა და თუმნიანების პაჭკები. ვიტენი ჯიბე-უბეებში, მაგრამ იმდენია, სად რა ჩაეტევა?!

გავიხადე ხალათი, ჩავუნასკვე სახელოები და ვალაგებ შიგ - ბალღობაში, კიტრის მოსაპარად რომ დავდიოდით ბიჭები, იქიდანა მაქვს ეს ხერხი ნასწავლი... აღარაფერს ვერიდები - გავწექი იატაკზე, მოვიკუნტე, იღლიამდე ჩავყავი ხელი, ვიღებ და ვიღებ ფულის პაჭკებს, გავავსე ხალათი. ულევია! მაგრამ მალე ხელი ვეღარ ჩავუწვდინე... ავდექი, ავყარე ის ფიცრები, გავიხადე შარვალი, გავუნასკვე იმასაც ტოტები და ჩავედი ორმოში.

ჩასვლა და ჩაფლობა ერთი იყო, მაგრამ რას დავეძებ - ამომაქვს და ამომაქვს ფულები! ახლა რა არის - სუნი, სუნი, რო ნულარ იტყვი, გული მერევა, უკაცრაული პასუხია და სულ კატასავით ვარწყევ, მაგრამ სანამ ის ორმო სულ არ ამოვასუფთავე, არ მოვეშვი...

ბოლოს, ამოვედი და დავაფარე ფიცრები.

არ გინდა ეხლა ამოდენა ფულის გამოტანა? კარიდან რომ გამოვიდე დამინახავენ. ავდექი, გავანგრიე უკანა კედელი, გავიტანე იქიდან ეს გაძეძგილი ხალათ-შარვალი და დავეშვი მტკვრისკენ...

სანამ წყალზე ჩავიდოდი, რატომ სამჯერ კიდევ არ ამერია გული - დედის ხსენი აღარ შემრჩა.

ჩავედი, აღარც ფონი მიძებნია, აღარც არაფერი, შევვარდი ამ ჩემი ფულებიანად მდინარეში. წამიღო წყალმა, მატარა. მატარა და კარგა ქვემოთ რომ ჩამიტანა, მოვუსვი

ფეხები ბაყაყივით და გავედი გაღმა. მაშინ ჯერ კიდევ ხშირი, დაბურული ჭალა იყო იქა. შევიმალე წნორებში, შევიყუჟე ერთი ბებერი ხის ფესვებში. ვზივარ და ვბაბანებ, კბილს კბილზე ვაცემინებ.

კარგა ხანს ვიჯექი ეგრე. კარგად რომ დაბინდდა, ავიკრიფე გუდა-ნაბადი, ვიარე სულ ჭალა-ჭალა მგელივით, ამოვედი სოფლის ბოლოზე და მივადექი ჩემს ვენახს - ერთი პატარა ქოხი მედგა იქა.

შევედი, შევიმალე იმ ქოხში, ჩამოვჯექი ტახტზე და ამიტყდა სულელივით სიცილი.

სველი ვარ, ტანტარა, ოფოფივით ვყარვარ და ვიცინი მაინც!

ამოვალაგე ეს გაზინზლული ფულის პაჭკები, ვითომ მინდა, რომ დავთვალო, მაგრამ რა დასთვლის, კაცო?! ავიღე ისევ ბარი, ამოვთხარე ორმო, ტახტზე ერთი ძველი, მამი-ჩემის ნაქონი შინელი ეგდო, ეს ამდენი ფული სულ იმაში შევახვიე და დავმარხე მიწაში.

ამასობაში ამოვიდა მთვარე, მაგრამ არა ვჩქარობ - ვზივარ ტახტზე და მიხარია, მიხარია, რომ სულ ვცქმუტავ. ჩავიცვი ბოლოს ეს ჩემი აქოთებული ხალათ-შარვალი, ისეა გასიპული, რომ ზედ მეკვრის, მაგრამ რა ვქნა, ტრუსიკ-მაიკის ამარა ხო არ ავალ სოფელში, და წამოვედი...

ეზოში რომ შევედი, ძაღლი გამეგლასუნა ფეხებზე, მაგრამ მაშინვე წკავწკავით გამეცალა.

ქვემოდანვე დავიძახე, დედაკაცო-მეთქი!

გამოვიდა, გადმოეყუდა მოაჯირს და მიყურებს ზემოდან, - რა ქენი, ჩაიხეთქე ისევ მუცელიო?

ჩამოდი, ჩამომხედე-მეთქი...

ჩამოვიდა ვიშვიშით, მაგრამ, რაკიღა ჭკუა ჰქონდა ნასწავლი, ძალიან აღარ კაპასობს. მოვიდა, შემომიჯდა იღლიაში და - ფუჰო! - დაიძახა, - ეგ რა მოგსვლია, შე უბედუროო!

გაჩუმდი, დედაკაცო, მეზობლებმა არ გაიგონ, დავითვერი და ფეხისალაგის ორმოში ჩავვარდი-მეთქი...

უი, მამიკვდეს თავიო! აქ იდექი, შინ არ შემოხვიდე, ეხლავე წყალს დავადგამო...

გააცხელა ერთი დიდი ქვაბი წყალი, გამოიტანა საპონი, პირსახოცი, საცვლები და იქვე, ეზოშივე მაბანავა. ამიყვანა შინ გაღვრეჭილი, ტანისამოსგამოცვლილი, დამსვა ტახტზე და მივლის გარშემო. კიდევ კარგი, ბიჭი შინ არ არის!

მოდი, აბა, ქალო, დამსუნე, აღარა ვყარვარ-მეთქი?

მოვიდა, დამსუნა და შეეჭმუხნა შუბლი. მერე წავიდა, ამოიტანა მარნიდან ერთი ჩარექი არაყი, დაასველა ბამბა და მისვამს თავზე, კისერზე, ხელებზე - უარესად ამაყ-როლა.

რა ვქნა, კაცო, ეგრე როგორ ჩაგაწვინო ლოგინშიო?

ლოგინში რა მინდა-მეთქი, ავიღე ჩემი ძველი ნაბადი, ჩავედი საბძელში და მივწექი თივაზე, მაგრამ არ გინდა დაძინება? ვწევარ თვალებაჭყეტილი და მაგონდება ვალიკოს გაფითრებული სახე, ის უცხო, პირქუში კაცები, საპირფარეშოს ფულით სავსე ორმო და ჩემი იმდღევანდელი წვალება. გული ავად შემომკვნესის, მაღონებს, მაგრამ მეორე წუთს გამახსენდება, რომ იმდენი ფულის პატრონი ვარ და სიხარულისაგან ლამის გავგიჟდე!

უეცრად, მომესმა გარედან მოტორის თუხთუხი და ჩემი ეზოს ჭიშკართან მანქანა გაჩერდა. ატეხა ძაღლმა ყეფა, იკლებს იქაურობას.

გულმა რეჩხი მიყო - ვიცი, ვინც იქნება! ავდექი, გავედი საბძლიდან, მივაყურადე: - ჰაი, კუნწულ, კუნწულო! - ვალიკოს ხმაა.

ცოტაც შევიცადე და სანამ მესამედ არ დავაძახებინე, ჭიშკარი არ გავაღე.

გზაზე "ნოლექვსი" დგას, ფარები უნთია, ვალიკო შოფრის გვერდით ზის. ხელი გადაიწოდა, უკანა კარი გამიღო და, ჩაჯექიო, მეუბნება.

რა იყო, ვალიკო-მეთქი?

ჩაჯექი, ჩაჯექიო!

ჩავჯექი.

რა არი, კაცო, ამ შუაღამისას რა გაგჭირვებია-მეთქი?!

შემობრუნდა, შუქი აანთო და - აბა, თვალებში შემომხედეო!

შევხედე...

კარგა ხანს ვუყურეთ ერთმანეთს, მერე თანდათანობით გაეხსნა შუბლი, - რა ქენი, გასკდი დღესაცაო?

რაზე მატყობ-მეთქი? - ვითომ ვიწყინე.

რაზე და არყის სუნზეო, ააქოთე აქაურობაო! - მერე შოფერს მიუბრუნდა (მაშინღა ვიცანი, ბაშკირა იყო, ქვეყნის ამომგდები) - წავედითო!

აბა, რას ამბობ, სად უნდა წახვიდეთ, თითო ჭიქა მაინც დავლიოთ-მეთქი! - გადმოვედი და გამოვუღე მანქანის კარი.

ნეტაი შენაო! - და მიიბრუნა თავი.

არა, ძმაო, მოსვლა თქვენი ნება იყო და წასვლა ჩემი-მეთქი! - დავუჭირე მკლავი და ვეწევი.

მერე, კუნწულ, მერე იყოსო და გამომგლიჯა ხელი.

შემეშინდა, ემანდ მეტი არ მომივიდეს, ემანდ საქმე არ წავახდინო-მეთქი და ვითომ გავიბუტე - მივდექი გვერდულად ჭიშკრისკენ.

იმათ მანქანა დაქოქეს და დაეშვნენ გიჟებივით ორღობეში.

ვდგავარ და მიკანკალებს მუხლები. შევედი ბოლოს ეზოში, ჩავკეტე ჭიშკარი, შევძვერი საბძელში და მივწექი ისევ ნაბდიძველაზე. დილამდე თვალი არ მომიხუჭავს.

გავიდა ხანი. დადგა შემოდგომა. დაიწყო ისევ წვიმები. გაჯმა ჭირი მოგჭამათ. ფული იმდენი მაქვს, ერთ სოფელს ვიყიდი, მაგრამ კაპიკს ვერ ვაკლებ. მეშინია, მე რომ იმ ფულის ხარჯვა დავიწყო, მაშინვე გამოაშკარავდება ყველაფერი. ბაშკირა ცუდი თვალით მიყურებს, ერთხელ მითხრა: განა არ ვიცი, რო ის ფული შენი წაღებულიაო, წილი დამიდე, თორემ, საფლავში ჩაგყვებიო!

რა ფული, ე, შენ ხაშხაში ხო არ გიჭამია-მეთქი, მაგრამ დააჯერებ?

ეგ კიდევ არაფერი, სუნმა შემაწუხა! ისე ვყარვარ, საკუთარი თავი მეჯავრება, საჭმელი აღარ არის ჩემთვის და სასმელი - ყველაფერს იმ ოხერი ფეხსალაგის სუნი უდის. მოვლენ, დამსუნავენ ხან ჩემი დედაკაცი, ხანაც ეს ჩემი ბიჭი - არაო, კაცოო, რეებს იგონებო, რა სუნი, რის სუნიო, გეჩვენებაო. ელაპარაკე!

დადგა ზამთარი. შეშა ვერ ვიყიდე, თუთები გადავბელე და იმითი გავიტანეთ თავი. გვცივა, გვშია, არ ვიცი, რა წყალს მივეცე... როგორც იყო, გამოზაფხულდა, გამოთბა და მივედი ჩვენი მეურნეობის დირექტორთან: უნდა მიშველო რამე, ანდრო-მეთქი, მიწა უნდა მომცე იჯარით, სახლი ვერ გამიმართია-მეთქი!

მოგცემ, კაცოო, რატომ არ მოგცემო, შენ ოღონდ მოიწადინეო და! - ყურებს არ უჯერებს.

გამომიყო ხუთი ჰექტარი კარგი მიწა, სულ სარწყავი. მოვახვნევინე, დავათესინე სიმინდ-ლობიო. გადმომხედა ღმერთმა, დამესწრო კარგი ამინდები - ზომიერი სითბო, ზომიერი წვიმა. მეც ხელი არ დამიკლია - სამჯერ გავთოხნე, ოთხჯერ მოვრწყე. ისე აიყარა ტანი სიმინდმა, ცხენიანი კაცი დაიმალება შიგა, სულ სამ-სამი ტარო აყრია! ახლა ლობიო? ლობიო, ლობიო, რომ ლობიოს უნახავი გახდები! თან რა არის მთავარი - მთელი ზაფხული ხომ მინდორში ვარ, ვმუშაობ, შრომის ოფლს ვიწურავ - არ ვიცი, იმ ოფლს გამოაქვს, რა არი, აღარა ვყარვარ, კაცო! სასმელ-საჭმელსაც გემო მიეცა - მოვკვიტინდი, მოვფერიანდი. არაყს სათოფეზე აღარ ვეკარები. ისეა ეს ჩემი დედაკაცი გახარებული, სულ ფრინავს!

სიმინდ-ლობიოში აღებული ფულით სახლი გავმართე - გავლესე, გავამასმასე. ვიყიდე მეორე შემოდგომაზე ორი კარგი ღორი, ერთი ძროხა, გავიჩინე ქათამ-ინდაური.

ეს ცხოვრება რომ აირია, მე ისევ თოხი და ბარი მეჭირა ხელში. ეხლაც, აი, სულ ვშრომობ. დილით, მამლის ყივილზე ვდგები, საღამოს, დაბინდდება თუ არა, ლოგინში ვარ - მთელი დღის ნაჯაფარს დასვენება ხომ მინდა!

ღვინოს კარგს ვაყენებ, ლობიო ბევრი მაქვს, სიმინდის ფქვილი, ხახვი, ნიორი, ღორის ხორცი, წინაკისა და კომბოსტოს მწნილი - გლეხკაცს მეტი რა უნდა, ჩემი წილ ქვაცა მაქვს და კაკალიც! იმ ფულისთვის კი, ღმერთი, რჯული, ხელი არ მიხლია - ისევ იქ არის... აქამდე, ალბათ, დაობდებოდა კიდეც, დალპებოდა... ეგეც არ იყოს, ვიღას რაღად უნდა, მას შემდეგ რამდენჯერ გუქმდა, გაკუპონდა და გამოიცვალა!

1995 წ.

<u>შესანდოზარი</u>

დაუბერა ქარმა და ზემოდან, მთების მხრიდან ფიფქი მოიტანა. მთებზე ვერცხლისფრად შეჭირხლულიყო ფოთოლგაცლილი ტყე, ფერდობზე, აქა-იქ, ისევ იდო წუხანდელი თოვლი, მზე სქელ ბურუსში მიმალულიყო და ციოდა.

ქარმა სულ აბუზა შავად პირდაღებულ საფლავთან მიგროვილი ხალხი. მოტირლები აჩქარდნენ, თალხი მოსახვევების სწორებით უკან მიდგნენ ფიდას რძლებიც. ეხლა მარტო იმისი უფროსი ქალი ეთერაღა გადამხობოდა მამის ცხედარს და ხმაწასული ხაოდა.

ზოგი სულსწრაფი უკვე ქვემოთ მიდიოდა.

შესცივდა ჩხინთასაც. ვინ იცის, ვისი ნაქონი შინელი ბოლომდე შეეკრა, გაზინზლული საყელლც აეწია. ნაბდის ქუდი შინელის ჯიბეში ჰქონდა ჩაჩურთული და გრძნობდა როგორ ადნებოდა შემელოტებულ თავზე ფიფქები, რანაირად ეთოშებოდა შუბლი, კეფა, მაგრამ ეთერას ეგრე იოლად არ ეთმობოდა მამა. რაკი ვეღარც რძლები დაინახა და ვეღარც უმცროსი და, ეხლა უფრო გამოიდო თავი, ხუთი დღის ტირილით მისავათებულმა სული მოიბრუნა და ისე წაიშინა თავ-პირში ხელები, ისე გაინწეწა თმა, რომ წასასვლელად დაღერებული ხალხი შედრკა და საფლავისკენ მიიწია.

ეთერა მოთქმით ტიროდა, მაგრამ გაძლიერებული ქარი პირიდან სიტყვებს აცლიდა და შორს, ზამთრისპირის ნაღვლიან მინდორში გაჰქონდა. ბოლოს ისევ შვილებმა, კარგად მოწიფულმა ბიჭებმა წაავლეს ხელი და ცხედარს რის ვაი-ვაგლახით ააგლიჯეს.

- ჰა, ჩქარათ, ჩქარათო, - იძახდა ფიდას პატარა სიძე, - დაიბუხა ხალხიო!

ჩხინთამაც მაშინათვე თოკებს დაავლო ხელი, გახსნა, გამოშალა, თან აქეთ-იქით იყურებოდა - აბა, რომელი მიშველისო...

გამოჩნდნენ მშველელებიც, მაგრამ თოკები მაინც ჩხინთამ ამოსდო კუბოს, სხვას ვის ანდობდა! მერე ასწიეს, მიწაყრილს გადააცილეს და ჩაუშვეს საფლავში.

- ნელაო, ნელაო! - იძახდნენ გარს შემოხვეული კაცები, აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ხელებს იქნევდნენ. ისინი კი, ვისაც თოკი ეჭირა, დაძაბულები, ტუჩებმოკუმულები აცურებდნენ კუბოს.

ჩხინთას არ უკვირდა იმ კაცების ეგეთი ფაფხური - რაც თავი ახსოვდა, ამ დროს სულ ეგრე ხდებოდა ხოლმე.

ჩაუშვეს კუბო და გადგნენ განზე. ჩხინთამ თოკები ამოკრიფა, მკლავზე აიხვია, ეხლა აღარ ჩქარობდა, დინჯად ირჯებოდა. ან რაღა იყო საჩქარო. კაცებმა აიღეს ნიჩბები და დაიწყეს მიწის მიყრა.

მოვიდა ერთი პატარა, მუშტისოდენა დედაბერი, ყორნის კლანჭივით გაშავებული ხელით აიღო მიწა და კუბოს სამჯერ მიაყარა. სულ რამდენიმე კაცმა მიბაძა იმას, მათ შორის ფიდას ქალაქელმა შვილიშვილმაც. დანარჩენები, ნიჩბიანი კაცების გარდა, უძრავად იდგნენ და პირღია საფლავს ჩაფიქრებულები ჩასცქეროდნენ.

თანდათან ძლიერდებოდა ქარი. თოვლიც გახშირდა.

კაცები აჩქარდნენ. ისმოდა ხვნეშა, ნიჩბების წკრიალი და კუბოს სახურავზე დაცემული გოროხების ბრაგა-ბრუგი. მარტო ერთი ბერიკაცი საქმიანობდა მშვიდად, გამოზომილად - ნიჩბის ტარს მუხლს აშველებდა, ჯაფას იიოლებდა.

ძალიან მალე ამოავსეს საფლავი, მოაშანდაკეს, გაალამაზეს ყვითელი ბორცვი და გადგნენ განზე. ფიდას პატარა სიძემ მოიტანა აქამდე ცოტა მოშორებით მიფარებული კალათი და მოზრდილი საღვინე. თეთრი, მწვანეზოლებიანი ტილო ზედ საფლავის ბორცვზე დააფინა და ამოალაგა ნაირნაირი თევზეულითა და ფხალეულით სავსე თეფშები. გამოჩნდა მეორე მოხალისეც, გაშალეს სუფრა და ჭიქები ღვინით შეავსეს.

კაცები მორიდებით გამდგარიყვნენ უკან, მარტო ფიდას ბიჭები გოგია და ლევანა იდგნენ სუფრასთან და იძახოდნენ - მოდით, კაცო, მოდით, არ შეიძლება, ჭიქა უნდა წავუქციოთო!

დიდხანს მოუნდათ პატიჟი. ბოლოს ისევ იმ წეღანდელმა, აუჩქარებლად მომუშავე ბერიკაცმა გაბედა, ჭიქა აიღო, - გაანათლოს ფიდას სულიო, - ცოტა მოსვა, ნახევარზე მეტი საფლავზე მოაქცია და გადგა ისევ უკან.

- არაო, - ფიდას პატარა სიძემ, - ლუკმა აიღეო, ეგრე არ იქნებაო!

იმანაც, რაღას იზამდა, შოთს ყუა წაამტვრია და ამოუსვა ხიზილალის თეფშში.

გათამამდნენ სხვებიც, აიღეს ჭიქები, - გაანათლოს, ნათელში ამყოფოსო! - ამბობდნენ, ცოტას სვამდნენ, დანარჩენს კი მიწაზე აქცევდნენ.

ბოლოს, გაიხსენეს ჩხინთაც, - მოდი, კაცოო, შენც მოდიო!

ჩხინთამაც - გაანათლოსო! - და მიიყუდა. მიწაზე არა დაუქცევია რა.

შეავსეს ხელმეორედ, მაგრამ შორიდანვე ეტყობოდა, საღვინეს ბევრი არაფერი მოჰკლებოდა. დალიეს, გაიხსენეს წასულები, ცოტათი გახალისდნენ და ლაპარაკის საღერღელიც აეშალათ, მაგრამ ციოდა, ქარი უბერავდა და მესამედ აღარ შეავსებინეს, დაეშვნენ თავქვე...

საფლავთან სამნიღა დარჩნენ - ჩხინთა, ფიდას პატარა სიძე და ვიღაც ტყაპუჭიანი მთიული.

ფიდას სიძემ გაზეთის ნახევზე გადმოცალა თეფშები - სულ ერთმანეთში ალუფხა სათალი, ხიზილალა, შილაფლავი, და ისპანახის ფხალი. ცარიელი, დასვრილი თეფშები კალათში ჩაალაგა. ჩააწყო ჭიქებიც, მერე ერთი ცალი უკან ამოიღო, საღვინეს გვერდით მიუდგა, დაავლო კალათს ხელი და დაეშვა ისიც სოფლისაკენ.

ჩხინთას ახლაღა გაახსენდა ქუდი, ამოიღო, გაასწორა და თავზე დაიხურა.

ქროდა ცივი, სუსხიანი ქარი, ფიფქი მოჰქონდა და ძირს აფენდა. ნაყარ მიწას ისევ შერჩენოდა სითბო - ადნობდა იმ ფიფქს, მაგრამ თოვლი ყამირზე მაინც ფეხს იკიდებდა, ათეთრებდა და ის სითეთრე რაღაც ცივსა და მიუსაფარს ხდიდა გარემოს.

ჩავიდნენ, ჩაეფარნენ თვალს ჭირისუფლები, მარტო ის მთიული არ იძროდა, იდგა და ჩხინთას ჩუმად უყურებდა.

შენ კი რატომ აღარ წახვალო, - ჰკითხა ჩხინთამ, - არა ხარ დაპატიჟებულიო? - არაო, მაგ ხალხს არ ვიცნობო...

- მაშ აქ რა გინდოდა, კაცო?!

- გზაზე მივდიოდი და გულმა აღარ გამიშვა...

- გოსტიბელი იქნები შენა!

- ჰო. გაბრიელს მეძახიან...

ჩხინთას აღარაფერი უკითხავს, შინელის ბოლო შემოიკალთავა, ბორცვის ძირში მიჯდა და საღვინეს გადასწვდა.

ჩაცუცქდა მთიულიც, სუფრაზე გაშლილ საჭმელებს დააცქერდა.

- ჩვენი წასულები გაანათლოს, - წამოიწყო ჩხინთამ, - ვინც კი ჩვენი ხელით შესანდობარს მიელის, სუყველანი აცხონოს ღმერთმა... - მერე ჭიქა დაცალა და სანამ ლუკმას მიაყოლებდა, ისევ შეავსო, თანამესუფრეს მიაწოდა.

იმან დინჯად ჩამოართვა, ცერით ღვინიდან პურის დამბალი ნამცეცი ამოიღო, ერთხანს ჩუმად იჯდა, მერე საფლავს დაჰხედა და შესანდობარივით თქვა:

დედა დაჯდება, დასჩეკამს
დიდსა, პატარას შვილებსა,

დაზრდის და ისევ თვითონ სჭამს,
კიდევ ილესამს კბილებსა...

- ჰაი, დედასა, ისეთს გამოსთქვამს მთიული, სუ უვიწყარსა! - თავი გაიქნია გაღიმებულმა ჩხინთამ და მსხვილი, კოტიტა თითები გაყინულ შილაფლავში წაურია.

ხშირ ბურუსში სულ ერთი წამით გამოჩნდა ძალამიმქრალი მზის დიდი, თეთრი დისკო, მაგრამ მალე ისევ დაუბერა ქარმა და მთების მხრიდან ისევ მოიტანა ნამქერი.

მთიულმა ჭიქა გამოცალა და ძირს დადგა.

ჩხინთამ კვლავ შეავსო...

საღვინეში კიდევ იდგა ორი კაცის სამყოფი და ღვთის მადლით, საჭმელიც არ აკლდათ.

1988 წ.

<u>დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა</u>

მოქმედი პირნი:

კაცი
დიდედა
პაპა
სანთლების გამყიდველი დედაბერი
უცხო ხმა

ეს არც ზღვის ხმაურია და არც ქარიშხლისა. ასეთი გუგუნი მხოლოდ მიწისძვრამ იცის. ამ ხმის გაგონებაზე ყოველი სულდგმული ძრწის, ცახცახებს და თავზარდაცემული, შიშისაგან დაზაფრული ქვეყნიერების დასასრულს ელოდება.

...

ასეთი სიჩუმეც მხოლოდ მიწისძვრის შემდეგ ჩამოწვება ხოლმე, როცა კედლიდან უკანასკნელი მორყეული ლოდი ჩამოვარდება და ნანგრევებით მოფენილი არე-მარე ღია სამარეს დაემსგავსება.

კაცის ხმა: რა ხდება... სიზმარია?.. იქნებ მართლაც სიზმარია?.. იქნებ მძინავს და ეს ყველაფერი მესიზმრება?.. ან იქნებ მესიზმრება, რომ მძინავს და მესიზმრება თითქოს ვიღაც მომდევს და სადაცაა უნდა დამეწიოს?.. ბავშვობაშიც მემართებოდა ასე: მესიზმრებოდა, რომ "მგელი" მომდევდა. მე გავრბოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა გავრბოდი და ის მომდევდა... ზურგსუკან მესმოდა ხოლმე მისი სუნთქვა... ნეტავ რამდენ წელს გასტანა ასეთმა ტანჯვამ?.. რაც უფრო ვიზრდებოდი, მით უფრო მიჭირდა სირბილი - ფეხები მებორკებოდა და ველარ გავრბოდი, მაგრამ მერე და მერე გაღვიძება ვისწავლე - გამახსენდებოდა, რომ სიზმარი იყო და ვიღვიძებდი... ახლა აღარ მახსოვს, როგორ ვაიძულებდი საკუთარ თავს გამეღვიძა... აღარ მახსოვს, თავს როგორ ვიღვიძებდი... ღმერთო, გამახსენე!.. გავრბოდი და პირი რომ უნდა ეტაცა, სწორედ მაშინ ვიღვიძებდი. მერე ვიწექი თვალებდაჭყეტილი, ოფლში გახვითქული და მიხაროდა, რომ ხელიდან დავუძვერი, კიდევ ერთხელ გავაცურე, პირში ჩალაგამოვლებული დავტოვე. ასეთ დროს ალბათ იდგა და გაავებული აბრიალებდა თვალებს, პირიდან მყრალი, ლორწოვანი დორბლი სდიოდა. მე კი უკვე სამშვიდობოს ვიყავი გასული - ლოგინში ვიწექი და საკუთარი გულის ბაგა-ბუგს ყურს ვუგდებდი... იავნანასავით ჩამესმოდა დიდედის ტკბილი ხმა: "გულო, ჩადექ საგულესა... გულო, ჩადექ

საგულესა”... დიდედამ მასწავლა, რომ ავი სიზმრის მერე გვერდი უნდა მეცვალა და ისევ დამეძინა. ასეც ვიქცეოდი. ოღონდ სულ მეშინოდა, ძილში უნებურად ისევ იმ გვერდზე არ გადავბრუნებულიყავი - იქ ხომ “ის” მელოდებოდა თვალებანთებული და ლაშებდაღრენილი... არა, ვერ ვიხსენებ, როგორ შეიძლება მძინარე ადამიანმა თავი გაიღვიძოს... თუმცა, მოიცა, გამახსენდა! აი, როგორ იყო: ძილში საკუთარ თავს ხელს წავკრავდი ხოლმე და მეღვიძებოდა! ეს ხერხი ჩემით ვისწავლე - უმალ თვალებს ვახელდი და ვფხიზლდებოდი... არა, ახლა ვეღარა... ხელები არ მემორჩილება... თითქოს ვიღაცამ გამკოჭა, ხელ-ფეხი შემიკრა და ასე გაკოჭილი დამტოვა... რა ვქნა?.. გამიხ-სენით ხელები!!!

დიდედა: გულო, ჩადექ საგულესა, გულო, ნუ შეგეშინდება... გულო, ჩადექ საგულესა, გულო, ნუ შეგეშინდება...

პაპა: გააღვიძე, ქალო, ეგ ბალღი, როდემდე უნდა ეძინოს, აგე, მზე სად წამოვიდა!

დიდედა: აბა, რას ამბობ, ბავშვი ძილში იზრდება..

პაპა: მე, მაგის ხნისა, მამლის ყივილს ფეხზე ვხვდებოდი, ვერ გავიზარდე?

დიდედა: მერე შენა და ეს ერთი ხართ?!

პაპა: რატომ ვითომ, რომელი ორთა ხენწიფის შვილი ეგა მყავს!

კაცი: გამაღვიძე, დიდედო, გამაღვიძე!

დიდედა: მოდი, შვილო, მოდი, საბანი ამოგიგო... აი, ეგრე... ეხლა დაიძინე... გულო, ჩადექ საგულესა, გულო, ნუ შენგეშინდება... გულო, ჩადექ საგულესა...

კაცის ხმა: გამაღვიძეთ! გამაღვიძეთ!!! არა... წავიდნენ... მარტო დამტოვეს... რა ვქნა?.. იქნებ ისევ პატარა ვარ და დიდედის ოთახში მძინავს, ეს ყველაფერი კი მესიზმ-რება?.. როგორ მიყვარდა იმ ოთახში ძილი... იქ ერთთავად კომშისა და სანთლის სურნელი ტრიალებდა... აი, ახლაც კი შემიღიტინა ცხვირში იმ სურნელმა... ზაფხულობით, სოფელში რომ ჩავდიოდით, ბავშვებს ჩხუბი მოგვდიოდა ხოლმე, არა მე დავიძინებ დიდედის ოთახში და არა - მეო!.. იქნებ ისევ იქ მძინავს?.. მაშინ რატომ ვეღარ ვიღვიძებ, რა დამემართა?! ვიცი, რომ საკუთარ თავს ხელი უნდა წავკრა და გავიღვიძო, მაგრამ ვერ ვახერხებ, რადგან ხელებიც შეკრული მაქვს და ფეხებიც. მუმიასავით... იქნებ მართლა მუმია ვარ? იქნებ ოთხიათასი წლის წინათ დამამუმიავეს და მას მერე ასე ვწევარ?... არა, როგორმე უნდა გავიღვიძო... გამიხსენით ხელები!!! რა ხდება... რა ხდება?! ვითომ მართლა მძინავს? მაშ რატომ ვერ ვიღვიძებ, როდემდე შეიძლება ადამიანს ეძინოს?!. თითქოს სარკოფაგში ვიწვე... ქვის სარკოფაგში... რა სიჩუმეა... ნიავიც კი არსაიდან იძვრის... სული მეხუთება... არა, ვიღაც უნდა იყოს, ვიღაც უნდა გამოჩნდეს, რომ გამაღვიძოს, თორემ ჩემით ვერ ვიღვიძებ... როგორ შეიძლება ამდენი ძილი?! იქნებ ავად ვარ... ან იქნებ მოვკვდი... იქნებ კუბოში ვწევარ... ვაი თუ მკვდარი ვეგონე და დამმარხეს, ახლა კი საფლავში გამეღვიძა!.. ლოცვა მაინც ვიცოდე... ლოცვა ხომ მაინც უნდა იცოდეს ადამიანმა!..

საღამოობით დიდედა სანთელს ანთებდა და ფანჯრის რაფაზე ამაგრებდა... ის რაფა დღესაც სანთლის მოშავო-მოყვითალო ნაღვენთებით არის მოფენილი... ლოგინში ვი-წექი და ვუყურებდი, როგორ იდგა სანთლის წინ ღამისპერანგიანი - პირჯვარსაც კი არ იწერდა, უხმოდ იდგა და ელოდებოდა, სანთელი როდის ჩაიწვებოდა... მეტი არაფერი... ახლაც ცხადად ვხედავ, როგორ იდგა, გამხდარ სახეზე როგორ დაჰფარფატებდა სანთლის ყვითელი შუქი...

მას მერე დიდი დრო გავიდა, მაგრამ ისე კარგად მახსოვს, თითქოს გუშინ იყო: პაპა კომბოსტოს წალდით ჭრიდა, მე და დიდედა კი იმ გრილ, მკვრივ თავებს ტომრებში ვაწყობდით... კარგად რომ დაღამდა, ბიძაჩემმა კამეჩებშებმული ურემი მოგვაყენა. ტომრები ზედ დავალაგეთ და შინისკენ გავწიეთ... კომბოსტოთი სავსე ტომრებზე გულ-აღმა ვიწექი და მთვარეს შევყურებდი, რომელიც იქაურობას რაღაც არაამქვეყნიურ, მკრთალ ნათელს ჰფენდა...

ალბათ ჩამეძინა, არ ვიცი... უეცრად, ვიგრძენი, რომ ვიღაცამ გულის ფიცარზე დამიკაკუნა! შევკრთი და თვალები გავახილე. არავინ იყო. ურემი ჭრიალით მიდიოდა. გაოგნებული ვიხედებოდი აქეთ-იქით... მთვარე ღრუბლებში შემალულიყო და ბნელოდა...

მერე და მერე ასეთი რამ ხშირად მემართებოდა ხოლმე - მეჩვენებოდა, რომ ხის კარი ვიყავი და ვიღაც უხილავი ზედ აკაკუნებდა, თითქოს გაღებას მთხოვდა... ფრთხილად აკაკუნებდა ხოლმე, ისე კი არა, გინდა თუ არა, გამიღეო! არა, ფრთხილად და მორიდებით... თავიდან მეშინოდა, გული სულ ბაგა-ბუგს მიწყებდა, მაგრამ მერე და მერე შევეჩვიე, რადგან დავრწმუნდი, რომ ცუდს არაფერს მიპირებდა, პირიქით, სიკეთეც კი სურდა, მაგრამ არ ვიცოდი, ის უხილავი კარი როგორ გამეღო...

ერთხელ, ძალიან დიდი ხნის შემდეგ, არ ვიცი, გულმა მთხოვა თუ რა იყო, საყდარში შევედი... გარეთ ტაქსი მელოდებოდა... სანთლების გამყიდველი დედაბრის მეტი ეკლე-სიაში არავინ იყო... გრილოდა... სანთელი ვიყიდე და ავანთე... ჩუმად ვიდექი... შევცქეროდი, ბოლომდე როდის ჩაიწვებოდა და თან სულ მახსოვდა, რომ გარეთ ტაქსი მელოდებოდა... სანთლის მოციმციმე ალს ვუყურებდი... პირჯვრის გადაწერა მინდოდა, მაგრამ ვერ ვახერხებდი... ისიც კი დამავიწყდა, როგორ უნდა გადამეწერა, მარჯვნიდან მარცხნივ თუ მარცხნიდან მარჯვნივ... ყელში რაღაც ხორკლიანი ბურთი მომაწვა... ის ბურთი მახრჩობდა, სუნთქვას მიშლიდა... უეცრად ვიგრძენი, როგორ დაიძრა შიგნით რაღაცა, როგორ გაიჭრიალეს ჩაჟანგებულმა ანჯამებმა და უხილავი კარი როგორ გაიღო!.. არ ვიცი, რა დამემართა - ტირილი წამსკდა... თითქოს სადინარი იპოვაო, თვალებიდან ღაპაღუპით მდიოდა ცრემლი, სახეს მისველებდა, ყელს ჩასდევდა და მკერდს მილტობდა... უხმოდ ვტიროდი, რადგან სანთლების გამყიდველისა მრცხვენოდა; თავს ვიკავებდი, იშვიათად თუ წამცდებოდა ჩუმი სლუკუნი და ამან მალე ისე დამღალა, რომ მოვეშვი, მივილუშე, მუხლთ მომეკვეთა, ჩავიჩოქე, იატაკზე დავემხე და როცა სველი ლოყით ფილაქანის შვებისმომგვრელი სიგრილე შევიგრძენი, სამარცხვინოდ ავზლუქუნდი...

მხარზე ვიღაც შემეხო. ავიხედე. თავზე სანთლების გამყიდველი დედაბერი მადგა, ხელში წყლიანი ჭიქა ეჭირა... წამოვიწიე... მოხუცმა მიშველა, წამომაყენა და ჭიქა ტუჩ-ებთან მომიტანა... მაგრამ ასეთმა თანაგრძნობამ უარესად ამაბღავლა. ვერ ვჩერდებოდი. წყალი მექცეოდა და გულისპირს მისველებდა. დედაბერი წაფაჩუნდა, საიდანღაც სკამი მოიტანა, ზედ დამსვა, მერე ჭიქა გამომართვა, მეორე ხელი თავზე მომხვია და მკერდზე მიმიხუტა...

დედაბერი: ილოცე, შვილო, ილოცე და გულზე მოგეშვება!

კაცი: რო... როგორ... ვილოცო...

დედაბერი: შეწყალება სთხოვე უფალსა.

კაცი: უფალო, შემიწყალე, უფალო შემიწყალე, უფალო...

დედაბერი: ეგრე... ეგრე...

კაცის ხმა: სახე მის მკერდში მქონდა ჩარგული, კომშისა და სანთლის სურნელს ვგრძნობდი და ნელ-ნელა ვმშვიდდებოდი... ვინ იყო, ნეტა ვინ იყო?!.. გარეთ ტაქსი მელოდებოდა... ვიცოდი, რომ უნდა ავმდგარიყავი, დედაბრისთვის მადლობა მეთქვა და ეკლესიიდან გავსულიყავი, მაგრამ არ შემეძლო, ვერ ვახერხებდი... თანაც ტაქსის შოფერს ეგრე ნამტირალევი ხომ არ გამოვეცხადებოდი... არადა, უკვე დიდი ხანი იყო, რაც მელოდებოდა... გუნებაში იქნებ მაგინებდა კიდეც...

დედაბერი: დამშვიდდი, შვილო... არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი.

კაცი: რაო?

დედაბერი: არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი-მეთქი.

კაცი: რო... როგორ, სხვებიც?!

დედაბერი: დიდია უფლის ძალა, შეგვეწიოს იმისი მადლი...

კაცის ხმა: ბოლოს მაინც ავდექი, ძლივს ავითრიე წელი და წამოვედი... მანქანაში რომ ვჯდებოდი, მძღოლმა ყურადღებით შემომხედა. მე მგონი მიხვდა, რომ ნამტირალევი ვიყავი. გზაში საუბარი გამიბა. საკუთარ პრობლემებზე მელაპარაკებოდა. ამბობდა, რომ ბენზინი ყოველდღე ძვირდება, მანქანა დაუძველდა და ამიტომ დიდი ხარჯი აქვს, მგზავრები კი იმდენს არ უხდიან, რამდენიც უნდა გადაუხადონ... მე ჩუმად ვიჯექი, ხმას არ ვიღებდი, მაგრამ ის არ ჩერდებოდა, გაუთავებლად წუწუნებდა უფულობაზე, ოჯახის გაჭირვებაზე, ადამიანების გაუტანლობაზე... საშინლად გავბრაზდი: "ვინ არი ეს იდიოტი, რამდენს ლაქლაქებს, უნდა გადაიყვანო ეხლა მანქანიდან და"... უეცრად, ვიგრძენი, რომ სადღაც, შიგნით, ჟანგიანი ანჯამები აჭრიალდა... ამ ხმამ შემაკრთო, კარი იხურებოდა! იხურებოდა ის კარი, რომლის გაღებასაც ამდენი ხნის განმავლობაში ველოდებოდი... ანჯამები ჭრიალებდნენ... ჭრიალებდნენ ანჯამები, ხის მძიმე კარი თანდათანობით იხურებოდა და როცა საბოლოოდ დაიხშო და დაიგმანა, რატომღაც შვებით ამოვისუნთქე, რაღაც უცნაური სიმხნევეც კი ვიგრძენი... ტაქსის შოფერს გადავხედე... არა, არ ჩანდა ცუდი კაცი... ერთი საწყალი ტაქსისტი იყო, ცხოვრების სიდუხჭირისგან შეჭირვებული... ნახა, რომ ეკლესიიდან ნამტირალევი გამოვედი და ამიტომ მომენდო, საკუთარი გულის წუხილი გამიზიარა... მას ახლა ისევე სჭირდებოდა ჩემისთანა ადამიანი, როგორც მე ის უხილავი და მარადიული, ვინც მთელი ცხოვრება გულის ფიცარზე მიკაკუნებდა, ის, ვინც წეღან ჩემში იყო და წავიდა, მაგრამ არ მიმატოვა... ვსაუბრობდით... ვლაპარაკობდით ავტოინსპექტორების ღორობაზე, სოკოებივით მომრავლებულ სამარშრუტო მიკროავტობუსებზე, ახალგაზრდებზე, რომ-ლებმაც სულ დაკარგეს სირცხვილ-ნამუსი... და ირგვლივაც ჩვეულებრივი იყო ყველაფერი - ქუჩა, სახლები, ადამიანები...

ახლა კი რა ხდება... სიზმარია?.. იქნებ მართლაც სიზმარია?.. იქნებ მძინავს და ეს ყველაფერი მესიზმრება?.. მაგრამ ვის გაუგონია ამდენი ძილი?! შეიძლება, რომ ადა-მიანს ამდენი ეძინოს?! ხელფეხგაკრული ვწევარ და ვერ ვინძრევი, თითქოს მართლაც ქურუმთა საიდუმლო წამლებით დამამუშავეს, არტახებში გამომკრეს და ქვის სარკო-ფაგში ჩამასვენეს... როგორც მუმია... სული მეხუთება, როდემდე უნდა ვიწვე ასე გაუნძრევლად... რა ხდება... რა სიჩუმეა... გამაღვიძეთ! გამიხსენით ხელები!!!

ისმის გუგუნი, რომელიც თანდათანობით ძლიერდება და სულ მალე ყურთასმენის წამლებ, შემზარავ გრიალად გადაიქცევა.

ერთხანს ასე გასტანს, მერე კვლავ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვება.

კაცის ხმა: რა იყო?.. ეს რა იყო?.. ნუთუ მომეჩვენა?.. იქნებ ყოველივე უკვე დამთავრდა... იქნებ ეს არის ქვეყნიერების აღსასრული?.. ჩუ, ვიღაც არის... აქ ვიღაც არის!!! მე მისი სუნთქვა მესმის!.. სუნთქავს... ვინ არის?.. ეს სურნელი?!

უცხო ხმა: მოემზადე... დადგა ჟამი არჩევანისა... დაუკვირდი: მყარი სითხეში დაინთქმება, სითხე - სიმხურვალეში, მხურვალება - ჰაერში, ჰაერი - სივრცეში, სივრცე კი მბრწყინავ სიცარიელეში... ნუ შეშფოთდები, ნურაფერი შეგაკრთობს, იყავი მშვიდად და ყურადღებით, მოემზადე წმინდა ნათელთან შესახვედრად... იგი არის აბსოლუტური არსი ყოფიერებისა, მბრწყინავი სიცარიელე, დიადი მდუმარების სამყოფელი, რომელიც არც იბადება და არც კვდება... შენ იხილავ მოკაშკაშე, დამაბრმავებელ, სანუკვარ და თავზარდამცემ ბრწყინვალებას... ნუ შეშინდები, რადგან ის არის შენი პირველსაწყისი არსი, შენი მარადიული სამყოფელი, შენი მშობელი... მიეახლე მას, ვითარცა უძღები შვილი მამას, დაუჩოქე და სხივოსან კალთაზე ეამბორე...

კაცის ხმა: მოიცა, მოიცა... წესიერად მითხარი, ვინა ხარ, რა გინდა, ეგრე რატომ მელაპარაკები!

უცხო ხმა: კარგი, ვეცდები გასაგებად აგიხსნა ყველაფერი... აბა, გაიხსენე: ერთხელ, ბავშვობაში, თერმომეტრი გაგიტყდა... გახსოვს?

კაცის ხმა: როგორ არ მახსოვს, ძირს დამივარდა, გატყდა, იქიდან ვერცხლისწყალი გადმოიღვარა და იატაკზე პატარ-პატარა, ციცქნა წვეთებად გაიფანტა... ჩავცუცქდი და იმ წვეთებს საჩვენებელი თითით ერთად ვაგროვებდი, ერთმანეთს ვუერთებდი... მოიცა... მითხარი... მე მოვკვდი?

უცხო ხმა: დიახ... დაგიდგა ჟამი, რომელსაც ადამიანები სიკვდილს ეძახიან, მაგრამ შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი... არც პირველი და არც უკანასკნელი...

კაცის ხმა: ეს სურნელი... კომშისა და სანთლის საამო სუნი?!

უცხო ხმა: ნუ შეშინდები, სიკვდილი შენთვის აღარ არსებობს... ყველაფერი წარსულში დარჩა... უკუაგდე ამაო ლტოლვა და ნუღარ ინაღვლებ, რადგან უკან მაინც ვეღარაფერი დაგაბრუნებს... შენი სხეული ახლა მხოლოდ ფიქრია და გაუცნობიერებელი სურვილები... ისინი ქვემოთ გეწევიან, უფსკრულისკენ მიგაქანებენ, რათა ისევ წუთისოფლის გაუთავებელ წრებრუნვაში დაგაბრუნონ... სძლიე მათ და შეურთდი მარადიულ მშობელს - სამყაროს დიად კანონზომიერებას, ვითარცა სინდიყის პატარა წვეთი ვერცხლისწყლის დაუსაბამო ოკეანეს...

ისმის საშინელი გრგვინვა და ჭექა-ქუხილი. მერე კვლავ სიჩუმე ჩამოწვება.

კაცის ხმა: რა არის... ეს რა არის!.. თითქოს ათასი მეხი ერთდროულად ჩამოვარდა, იელვა და შემაძრწუნებლად განათდა... გაქცევა მაინც შემეძლოს... ნუთუ ეს მრისხანე ბრწყინვალეაა "მარადიული არსი" და "ყოვლის საწყისი"?.. მაშ რატომ მთრგუნავს, რატომ მაშინებს?...

დიდედის ხმა: გულო, ჩადექ საგულესა, გულო, ნუ შეგეშინდება... გულო ჩადექ საგულესა, გულო, ნუ შეგეშინდება...

კაცის ხმა: მიშველე, დიდედო, მიშველე!..

სანთლების გამყიდველი დედაბრის ხმა: ილოცე, შვილო, ილოცე და გულზე მოგეშვება...

კაცის ხმა: უფალო შემიწყალე... უფალო, შემიწყალე... ღმერთო, მიხსენ განსაცდელისაგან...

დიდედის ხმა: გულო, ჩადექ საგულესა, გულო, ნუ შეგეშინდება... გულო, ჩადექ საგულესა, გულო, ნუ შეგეშინდება!

სანთლის გამყიდველი დედაბრის ხმა: არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი... არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი!

უცხო ხმა: ნუ გეშინია ამ ღვთაებრივი სინათლისა, ნუ შფოთავ, რადგან ეს ერთი შეხედვით დამთრგუნველი ბრწყინვალება ნათებაა შენივე პირველსაწყისი არსისა... მიდი, მიეახლე და მიენდე!

კაცის ხმა: ეს სუნი... კომშისა და სანთლის ეს თავბრუდამხვევი სურნელი იმ დამაბრმავებელი ნათელიდან მოედინება... მისი წიაღიდან მოჩქროლავს... მოკაშკაშე, სანუკვარი ბრწყინვალება გარშემო ისე შემომერტყა, თითქოს შიშველ სხეულზე ახლადდაუთოვებული, ჯერ ისევ თბილი პერანგი გადამაცვესო... და, აჰა, დაიჭრიალეს ანჯამებმა!.. ხის უხილავი, მძიმე კარი ნელა გაიღო, ღრიჭოში წმინდა ნათელი შემოიჭრა და ცარიელი ჭურჭელივით უცებ ამავსო... უცნაური, გამაოგნებელი რამ ხდება: ის ჩემში შემოდის, მე კი მასში ვბრუნდები და ჩვენს შორის სხვაობა აღარ არის, რადგან გავმთლიანდით, მბრწყინავ, დაუსაბამო ერთარსად ვიქეცით და დავემკვიდრეთ დიადი მდუმარებისა და თანხმობის ერთიან სამყოფელად, რომელიც არც არასოდეს იბადება და არც კვდება.

დასასრული

2004 წ.

<u>სპილოები უდაბნოში</u>

მოქმედი პირნი:

მოხუცი ქალი
ახალგაზრდა ქალის ხმა

მოხუცი ქალი: ქუჩის გადამკეტი ვარ მეე?! ქუჩა გადავკეტო კი არა, აი, აივანზე გამოვედი და თავბრუ დამეხვა, მუხლები ამიკანკალდა... კაბელი ყოფილა დამწვარი, ფიდერებიც ვერ უძლებსო... მესამე დღეა დენი არა გვაქვს... ნავთიც გამომელია... მაინც რა უცნაურია - ეს თუნუქის სანავთე დაძველდა, დაიჭეჭყა, გაშავდა, ქვეყნიერება კი თითქოს არც შეცვლილა... ისეთივე ცა, ისეთივე ხეები... ეს ეზოც ზუსტად ისეთივეა, როგორიც ამ სამოცი წლის წინათ იყო - აივნები, აივნები... აივნებზე ათასნაირი ხარახურა: სკივრები, კიდობნები, ძველი ავეჯი, რომელსაც პატრონები გადასაყრელად ვერ იმეტებენ, აგურის ნამტვრევებით სავსე ემალატკეჩილი აბაზანა... ქვემოთ - ეზო... სველი, მიუსაფარი... ისევ ჟინჟლავს... ძაღლები დასდევენ ერთმანეთს, სანაგვეში იქექებიან... ვიღაც შეშას ჭრის... აქედან რომ გადაიწიო და გადავარდე, ფარფატით წახვალ ქვემოთ, ჯერ სარეცხის გასაფენ თოკებს გამოედები ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მერე ჰაერში გულაღმა გადატრიალდები და სველ ასფალტს ქვასავით დაენარცხები... შეშინებული ძაღლები გაიქცევიან... ვიღაცა კივილს მორთავს... ის კაცი, შეშას რომ ჭრის, მოვა და ხელში ცულშერჩენილი, უნებური მკვლელივით სახეგაფითრებული დაგაჩერდება...

ღმერთო, გამაგებინე, ეს ფიდერები რაღაა და მერე, თუ გინდა, მართლა მომკალი!..

ბინდდება უკვე... ცივა... იმ კაცმა ერთი იღლია შეშა აკრიფა და შინ შეიტანა... ქალბატონო ნინაო... ქალბატონო კი არა, უნდა ადგე მართლაც და... ეს სარეცხის თოკები მაინც არ იყოს გაბმული... ქუჩა უნდა გადავკეტოთო... თუ არ გადავკეტეთ, ისე კაბელს არ გამოგვიცვლიანო... ქუჩის გადამკეტი ვარ მეე?! ჟაკეტი... ვარდისფერი ჟაკეტი...

ახალგაზრდა ქალის ხმა: კარგი ეხლა, შედი შინ და ჩაწექი ლოგინში! მაინცდამაინც ამ აივანზე უნდა წაიქცე, არა?

მოხუცი ქალი: ამ ორ ბოძს შორის გაბმულ თოკზე იყო გაფენილი... წვიმდა მაშინაც...

ახალგაზრდა ქალის ხმა: შედი-მეთქი, ახლავე შედი, ვერ გაიგე?

მოხუცი ქალი: ხო, ხო... კარგი, აჰა!.. აი, შევედი... ნეტა მომეჩვენა თუ მართლა გარეთ უფრო თბილოდა?

ახალგაზრდა ქალის ხმა: ჩაწექი ეხლა ლოგინში... თავიდან გაგიჭირდება, თორემ მერე არა გიშავს, თანდათანობით ჩათბები. აი, ასე... ეს საბანი კარგად ამოვიკეცოთ...

მოხუცი ქალი: ეხხ... ჟაკეტი... ვარდისფერი ჟაკეტი...

ახალგაზრდა ქალის ხმა: ხო ხედავ, როგორ ნელ-ნელა ჩათბი!

მოხუცი ქალი: იმასაც ათბობდა ალბათ, იქ, ომში... ცივ რუსეთში... გიმნასტურის ქვეშ იცვამდა თურმე...

ახალგაზრდა ქალის ხმა: გეყოფა ეხლა, დახუჭე თვალები და დაიძინე!

მოხუცი ქალი: მეორე დილით რომ ვეღარ ვნახე, გავგიჟდი - მომპარეს-მეთქი! სონიაზე მქონდა ეჭვი, ძალიან მოსწონდა, სულ მეხვეწებოდა, მათხოვე და მათხოვეო!.. საწყალი სონია... საღამოობით ლოტოს ვთამაშობდით ხოლმე - სონია, მამიდაჩემი, მე და ის ორნი: ის და ვანო - ძია ნიკოს ბიჭი... ვანოს ეტყობოდა, რომ სულ არ ეპიტნავებოდა ეს ლოტო, მაგრამ, რა ექნა, ძმაკაცის ხათრით თამაშობდა... მამიდა თვალს მიკრავდა,

მიცინოდა... მე ვბრაზობდი... რამდენჯერმე გადავწყვიტე, ავდგები და გავაგდებ-მეთქი, მაგრამ საბაბს არ მაძლევდა - იჯდა თავჩაღუნული, ლოყებავარვარებული და ალაგებდა ლობიოს მარცვლებს ნომრიან ქაღალდებზე... "დიპლიპიტოს ჩხირები!" - ამბობდა სონია და დადებდა ისიც ერთ მარცვალს თერთმეტ ნომერზე. "ახუტული-ჩახუტული!" - იცინოდა სონია და ისიც პირუჩუმრად ალაგებდა ლობიოებს სამოცდაცხრიანებზე...

ახალგაზრდა ქალის ხმა: გეყოფა, ქალო, ამდენი ლაქლაქი, დახუჭე თვალები და დაიძინე!

მოხუცი ქალი: რას წარმოვიდგენდი თუ ის ჟაკეტი მისი წაღებული იქნებოდა... დილაადრიან წასულიყვნენ და აივანზე რომ გაევლოთ, მაშინ ჩამოეგლიჯა თოკიდან... გიმნასტურის ქვეშ იცვამდა თურმე... ეხ... ქუჩა უნდა გადავკეტოთო... ქუჩას გადაგაკეტინებდნენ? რა იყო მაინც, რანაირი ცხოვრება გამოვიარეთ... ეხლა... ეხლა?.. ადამიანი ორმოც დღეს უძლებს შიმშილსო... ორმოც დღეს და ორმოც ღამესო... დავიჯერო, ვითომ მართალია?

ახალგაზრდა ქალის ხმა: ნუ დაიჯერებ, თუ გინდა!

მოხუცი ქალი: დენი რომ ყოფილიყო, ჩაის ავიდუღებდი... ასკილი ხომ მაქვს, ასკილის ჩაის ავიდუღებდი... აღარც კი მახსოვს, შაქარი როდის გამითავდა... აბა, ვიღას უნდა ეხლა შენი ლოტო... ეხლანდელი ახალგაზრდები... ფიჰ!

ახალგაზრდა ქალის ხმა: რატომ, ამასწინათ არ გამოიტანა იმ რუსის დედაკაცმა სანაპიროზე და შვიდ ლარად არ გაყიდა?

მოხუცი ქალი: ყველაფერი იყიდება, ყველაფერი!.. ჯერ ბეჭდები, საყურეები, ძველი ქამარ-ხანჯალი, დურბინდი, წიგნები, პიანინო... მერე ჭურჭელი სულ სათითაოდ - თეფ-შები, ჭიქები, დანა-ჩანგალი, კოვზები, ქვაბები, სამარილეები... ბოლოს გიტარა, ნარდი, ფარდაგი, ზეწრები, ბალიშისპირები... არა... უნდა ადგე მართლაც, გახვიდე და...

ახალგაზრდა ქალის ხმა: დაიძინე, ადამიანო, დაიძინე-მეთქი! ახლავე დახუჭე თვალები!

მოხუცი ქალი: ხო, კარგი, კარგი... აჰა, დავხუჭე... ვიწვები ასე მიცვალებულივით, ხომ იცი, რომ მაინც არ დამეძინება...

ახალგაზრდა ქალის ხმა: სპილოები დათვალე და დაგეძინება.

მოხუცი ქალი: შენ რას გეტყვი, შენა... ეგ რაღამ გაგახსენა, ქალო!.. ეგ ხომ... ეჰ... როდის იყო...

ახალგაზრდა ქალის ხმა: დათვალე, დათვალე!

მოხუცი ქალი: უი, მართლა! აკი ის თეთრი სპილოებიც გავყიდე, პიანინოს თავზე რომ მქონდა ჩაწიკწიკებული...

ახალგაზრდა ქალის ხმა: დაითვალე-მეთქი!

მოხუცი ქალი: ერთი თეთრი სპილო უდაბნოში... ორი თეთრი სპილო უდაბნოში... სამი თეთრი სპილო უდაბნოში... ოთხი თეთრი სპილო უდაბნოში... ხუთი თეთრი სპილო... ვაი, ეს რა არის?! ღმერთო, ღმერთო, დიდებულო! დენი მოვიდა! არიქა, ჩქარა, სანამ ისევ გამოურთავთ! ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, რა ბედნიერებაა, რა სასწაულია! მოიცა, ავდგე... ამ გამათბობელს ჩავრთავ და ზედ ჩაიდანს შემოვდგამ... კიდევ კარგი, წყალი მაინც მოდის... ესეც ასეე... ხედავ, დათბა უკვე... როგორ დათბა!.. შალიც თუ მოვიხურე, აღარაფერი მიჭირს... აი, სადაცაა ადუღდება... დავჯდები აქ ჩემთვის და... უჰ, რა კარგია... აკი კაბელია დამწვარიო! აკი ფიდერები ვერ უძლებსო! გაიგეს ალბათ, ქუჩის გადაკეტვას რომ ვაპირებდით და... იი, ციგნები, ეგ ციგნები!.. აჰა, აი, ადუღდა კიდეც!... აბა, მითხარი ეხლა, რად უნდა ამას შაქარი, ნახე როგორი გემო მისცა ასკილმა! თანაც მარგებელია, თირკმელებს უხდება... უიმე, ქალო, ამ ცხელმა ჩაიმ მადაზე არ მომიყვანა?!. ცოტა პური რომ მქონოდა... სულ ცოტა... ერთი ნაჭერი... ნეტავ უპუროდ რამდენ ხანს სძლებს ადამიანი?.. უპუროდ, უცხიმოდ, უშაქროდ... ალბათ, ორმოც დღეზე მეტ ხანს... ორმოც დღეზე და ორმოც ღამეზე მეტ ხანს... არაუშავს, ღმერთი მოწყალეა... პენსიამდე სამი დღეღა დარჩა...რა არი სამი დღე... არაფერი.

ახალგაზრდა ქალის ხმა: იაფად მივეციო, იმ რუსის დედაკაცმა, ათი უნდა დამეფასებინაო.

მოხუცი ქალი: გაზაფხულამდეც რაღაა - თებერვალი მოკლე თვეა, მერე მარტი და აპრილიი!

ახალგაზრდა ქალის ხმა: რაც დავუფასე, მაშინვე მომცა, ერთი არ შემვაჭრებიაო!

მოხუცი ქალი: არა, გენაცვალე, ეგ არა!

ახალგაზრდა ქალის ხმა: რატომ, ვითომ, რატომ, შიმშილით უნდა მოკვდე, არა?

მოხუცი ქალი: მოვკვდე და მოვკვდე, ჯანდაბას ჩემი თავი...

ახალგაზრდა ქალის ხმა: ხო და მოკვდები!

მოხუცი ქალი: სულ მე მიყურებდა ხოლმე, საწყალი... ლამფის შუქზე თვალები უელავდა... ყველა ხვდებოდა - მამიდაც, სონიაც, ვანოც... მე ვბრაზობდი, ავდგები ერთხელაც და გავაგდებ-მეთქი...

ახალგაზრდა ქალის ხმა: მერე, რატომ არ გააგდე? დროზე უნდა გაგეგდო, დროზე!

მოხუცი ქალი: გიმნასტურის ქვეშ იცვამდაო, - ვანომ, - საყელო რომ გავუხსენი, მაშინ ვუნახეო... სისხლით იყო შეღებილიო... წამომეღო, მინდოდაო...

ახალგაზრდა ქალის ხმა: შენა? შენ გინდოდა? სულ რომ არ გქონოდა ის ჟაკეტი, არ გერჩივნა? იმან დაგღუპა, შე საცოდავო, შენა, იმ ჟაკეტმა!

მოხუცი ქალი: რატომ, ქალო...

ახალგაზრდა ქალის ხმა: ვითომ არ იცი, რატომაც! გიხდებოდა და იმიტომ... ხო გიხდებოდა?

მოხუცი ქალი: ხო... მიხდებოდა... სონიასაც ძალიან მოსწონდა... გამიწყალა გული, მათხოვე და მათხოვეო!

ახალგაზრდა ქალის ხმა: მერე, რატომ არ ათხოვე... ეჭვიანობდი, არა? გამოტყდი, რომ ეჭვიანობდი!

მოხუცი ქალი: უიმე... აბა, რას ამბობ...

ახალგაზრდა ქალის ხმა: მე რას მიმალავ, ქალო, მე მიმალავ?! საცოდავი სონია...

მოხუცი ქალი: კარგი, გეყოფა.

ახალგაზრდა ქალის ხმა: ნავთლუღის სადგურზე გაქცეულა, მატარებლისთვის ძლივს მიუსწრია, იმ ვაჟბატონს კი თურმე შენი ჟაკეტი ეცვა უკვე... ის სულელური ჟაკეტი!

მოხუცი ქალი: კარგი, გეხვეწები, კარგი, გეყოფა!

ახალგაზრდა ქალის ხმა: არა, მაშინ რაღა იყო, ქვა რომ ააგდე და თავი შეუშვირე - არაო, უწინამც დღე დამლევიაო! ახლა ხომ ასე უპატრონოდაც აღარ იქნებოდი...

მოხუცი ქალი: აბა, რა მექნა, თვალები დამეხუჭა, ავმდგარიყავი და გავყოლოდი ვიღაც უცხო კაცს ქუთაისში?!

ახალგაზრდა ქალის ხმა: რატომაც არა, ვითომ რა ჰქონდა შენი დასაწუნი?!

მოხუცი ქალი: ეჰ, კარგი, ერთი... რას გავდა - ღიპიანი, მელოტი... ფუჰ!

ახალგაზრდა ქალის ხმა: სულელო, შე სულელო... მაინც რას ელოდებოდი, ვიღას ელოდებოდი, რისი იმედიღა გქონდა, მკვდარს ხომ ვეღარ გააცოცხლები?!

მოხუცი ქალი: რა გინდა ეხლა, გინდა, რომ მართლა ავდგე, გავიდე და...

ახალგაზრდა ქალის ხმა: ხო, კარგი, კარგი... მომისმინე, პენსიამდე სამი დღე დარჩაო, რომ ამბობ, ეს სამი დღე მშიერი იქნები? ჭამა არ გინდა?!

მოხუცი ქალი: მერე?

ახალგაზრდა ქალის ხმა: რა მერე, არ იცი? ადექი, ადექი ეხლა!.. აი, ხო ხედავ, როგორ დასუსტებულხარ, ძლივს დაბრაცუნობ, კომოდის უჯრასაც ვეღარ აღებ... აბა, აფშ-ლუკუნდი ეხლა შენებურად! იცოდე, ცრემლი არ დამანახო, თორემ არ ვიცი, რას გიზამ!.. აჰა, აი, რა გინდა, კოლოფი კარგად არის შენახული... ამ ნაჭრის პარკს კიდევ გარეცხავ, გააქათქათებ და... ნახე, ეს ლოტოს კოჭებიც სულ ახლებივითაა!

მოხუცი ქალი: ვაიმე... ეს... ეს მაშინდელი ლობიოს მარცვლები... ღმერთო, დიდებულო!..

ახალგაზრდა ქალის ხმა: ბიჭოს, რამდენი ლობიოა! თითქმის ერთი მოხარშვაა... მთავარია, დენი არ გამოირთოს, მთავარია, შუქი არ ჩაქრეს! ეგ ხარშვაშიც მოიმატებს, ხო იცი... ლობიო ხარშვაში მატულობს!

მოხუცი ქალი: აბა, რას ამბობ...

ახალგაზრდა ქალის ხმა: ოღონდ არ იტირო, გაიგე? არ იტირო... ცრემლი არ დამანახო, იცოდე! ახლა სულ სხვა რამ არის მთავარი, გესმის? მთავარი ახლა ეს ლობიოა... ეს ლობიოა მთავარი... უმთავრესი... ყველაფერი დაივიწყე, სხვაზე ნურაფერზე იფიქრებ... ახლა ასეა საჭირო, საჭიროა-მეთქი, გაიგე? ცრემლი, ცრემლი არ დამანახო, თორემ გავგიჟდები!

მოხუცი ქალი: კარგი, არ ვიტირებ... რაღა დროს ტირილი და თავშიცემაა... თვალები რომ მიცრემლდება, სიბერის ბრალია, განა ვტირი... ამას ეხლა კარგად გავრეცხავ... გავაჩახჩახებ და, აი, ქვაბით შემოვდგავ... ნეტავი მალე ადუღდებოდეს... ამას, ხო იცი, რამდენი ხარშვა უნდა... ლობიოს ქონდარი უხდება... კიდევ ქინძი, ნიორი... მოიცა, მგონი, სადღაც მქონდა ხმელი ქონდარი... უი, აი, წიწაკაც ყოფილა! მეტი რა? ჰო, ხახვი... მაგრამ, აბა?.. არაუშავს, ისედაც არაუშავს... წიწაკა, ქონდარი, მარილი და მისი ჯანი!.. ლობიო - ყველას მჯობიო... ლობიო - ყველას მჯობიო... აჰა, აი, დაიწყო... დუღს... დუღს!.. სუნიც რომ აუშვა?! ნახე, როგორი სურნელი აუშვა, თითქოს ის ძველი დრო დაბრუნდაო... ძველი, უზრუნველი დრო დაბრუნდაო...

ლობიოს, გენაცვალე, მწნილი უხდება! კომბოსტოს მწნილი, კიდევ პამიდვრისა და წითელი ღვინო. ხო-ხო-ხო, წითელი ღვინო! საფერავი! ძია ნიკოს ბიჭს ჩამოჰქონდა ხოლმე კახეთიდან და...

ვაიმე!.. ეს რა ქნეს, ამ უსინდისოებმა... ან მოსვლა რა იყო და ან წასვლა! ცოტა ხანს კიდევ ეცლიათ, რა მოხდებოდა... როგორ ჩამობნელდა... ეტყობა მთელი უბანი გამორთეს... თან რა ცუდად წავიდა - ჩაიბჟუტა, ჩაიბჟუტა და ჩაქრა... ქუჩა უნდა გადავკეტოთო... ქუჩის გადამკეტი ვარ მეე?.. რა ეშველება ახლა ამას... ერთი საათი მაინც ეცლიათ... ერთ საათში მოიხარშებოდა კიდეც...

ახალგაზრდა ქალის ხმა: კარგი, რას იზამ, დაწექი და დაიძინე.

მოხუცი ქალი: ცოტა ხანს კიდევ დაველოდები, რა ვიცი, იქნებ მოვიდეს...

ახალგაზრდა ქალის ხმა: მეტი არ იყოს ჩემი მტერი... დაწექი, დაწექი და საბანი კარგად ამოიგე... არა, ეგ შალი გეკეთოს!.. თავიდან გაგიჭირდება, თორემ მერე არა გი-შავს, თანდათანობით ჩათბები... აი, ეგრეე... დახუჭე ახლა თვალები და დაიძინე.

მოხუცი ქალი: აჰა, დავხუჭე, მაგრამ ხომ იცი, რომ მაინც არ დამეძინება...

ახალგაზრდა ქალის ხმა: სპილოები დათვალე და დაგეძინება.

მოხუცი ქალი: კარგი, ერთი!

ალგაზრდა ქალის ხმა: მიდი, მიდი! ხომ გახსოვს, დედაც ასე გაძინებდა ხოლმე...

მოხუცი ქალი: დედა?..

ახალგაზრდა ქალის ხმა: ხო, დედა. ეხლა რა გინდა, მოგეცა, არა ტირილის საბაბი! შენი ხმა არ გავიგონო, იცოდე!

მოხუცი ქალი: რა იყო, ტირილის უფლებაც აღარა მაქვს?..

ახალგაზრდა ქალის ხმა: კარგი ჰო, კარგი... რა გითხარი, დაითვალე-მეთქი, არ გითხარი?

მოხუცი ქალი: ერთი თეთრი სპილო უდაბნოში... ორი თეთრი სპილო უდაბნოში... სამი თეთრი სპილო უდაბნოში... ოთხი თეთრი სპილო უდაბნოში... ხუთი თეთრი სპილო უდაბნოში... კი, მაგრამ რა უნდათ სპილოებს უდაბნოში?! იქ ხომ ქვიშის მეტი არაფერია - არც წყალი, არც საკვები... ნეტა რამდენ ხანს უძლებს სპილო შიმშილს?

ახალგაზრდა ქალის ხმა: დაითვალე!

მოხუცი ქალი: ერთი მშიერი სპილო უდაბნოში... ორი მშიერი სპილო უდაბნოში... სამი მშიერი სპილო უდაბნოში... ოთხი მშიერი სპილო უდაბნოში... შიათ, სწყურიათ, სასმელ-

საჭმელი კი არსად არის...თვალსა და ხელს შუა დნებიან, ილევიან... გამხდრები, გასაცოდავებულები, გაძვალტყავებულები მოლასლასებენ...

ახალგაზრდა ქალის ხმა: რა გითხარი მე შენ, რა!

მოხუცი ქალი: ერთი გაძვალტყავებული სპილო უდაბნოში... ორი გაძვალტყავებული სპილო უდაბნოში... სამი გაძვალტყავებული სპილო უდაბნოში... აი, ერთი წაიქცა... ზვინივით გადაწვა გვერდზე... მეორემ წინა ფეხებზე ჩაიჩოქა, ეშვები ქვიშაში ჩაასო და... მოკვდა!

ახალგაზრდა ქალის ხმა: მორჩი ეხლა მაგ სულელურ სენტიმენტალობას და დაითვალე!

მოხუცი ქალი: კი, მაგრამ, შენ ვინა ხარ, რო მოსულხარ და მკამანდრობ აქა! ვინ ოხერი ხარ?

ახალგაზრდა ქალის ხმა: აი, ხო ხედავ, შე საწყალო, ისე გამოჩერჩეტდი, რო საკუთარ ხმასაც ვეღარა სცნობ!

მოხუცი ქალი: საკუთარ ხმასო?!

ახალგაზრდა ქალის ხმა: ხო, რა იყო, რა გაგიკვირდა!

მოხუცი ქალი: უიმე... უიმე... მართალი ხარ - გამოვჩერჩეტდი... დავბერდი... დავიღალე...

ახალგაზრდა ქალის ხმა: კარგი ეხლა, კარგი, დაითვალე და ჩაგეძინება...

მოხუცი ქალი: ერთი მკვდარი სპილო უდაბნოში... ორი მკვდარი სპილო უდაბნოში... სამი მკვდარი სპილო... უდაბნოში... ღმერთო... ღმერთო, დიდებულო... რა არის ეს... რა არის?!.. ჟაკეტი... ვარდისფერი ჟაკეტი... სისხლით შეღებილი ვარდისფერი ჟაკეტი!.. როგორ უეცრად განათდა!.. როგორი ნათელი ჩამოდგა... ნუთუ?!. მაგრამ ესენი?.. ამათ აქ რა უნდათ?.. ესენი ხომ დიდი ხანია, რაც... აი, მამიდა... აი, სონია... ძია ნიკოს ვანო და თვითონ ძია ნიკოც... აი, ისიც!.. ისიც... ღმერთო, როგორ ბრწყინავს, როგორ ნათდება ყველაფერი... ესენიც როგორ მიღიმიან, როგორ მიხმობენ... ხელებს მიწვდიან... ნუთუ ეს არის, რასაც ამდენ ხანს ველოდებოდი?.. ჰო, მოვდივარ... მოვდივარ, ჩემო კარგებო... დედა... ჩემო დედიკო... შენცა?... მოვდივარ, საყვარელო... მოვდივარ, ჩემო ძვირფასებო... აი, მოვდივარ.

დასასრული

1994-2004 წ.